„ცოდნა, სწავლა-განათლება დაუშრეტელი წყაროა, როგორც კაცად მყოფობისათვის, ისეც თავის სარჩენად, ქონების და სარჩოს მოსაპოვებლად... მცოდნე კაცი... ქვასაც წყალს გამოადენს, სიმდიდრის წყაროს იქ ამოახეთქებს, საცა უცოდინარს სიზმარშიც არ მოეჩვენება.“

(ილია)

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის
მ ო ა მ ბ ე

NEWSLETTERS
OF
ACADEMY OF EDUCATIONAL SCIENCES OF GEORGIA

№21

თბილისი - TBILISI
2022

რეცენზირებადი და რეფერირებადი პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“ გამოდის საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის გადაწყვეტილებით.

სარედაქციო საბჭო:
ზურაბ ხონელიძე - სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, **როინ მეტრეველი** - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, **ნათელა ვასაძე** - საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის საპატიო პრეზიდენტი, **ავთანდილ ასათიანი** - საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის თანაპრეზიდენტი, **გიორგი სოსიაშვილი** - საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, გორის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, **ლიუდმილა ბეჟენარუ** - იასის უნივერსიტეტის პროფესორი (რუმინეთი), **სერგეი ბოგდანოვი** - სანკტ-პეტერბურგის გერცენის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის რექტორი (რუსეთი), **რაფაელ გუსმან ტირადო** - გრანადის უნივერსიტეტის პროფესორი (ესპანეთი), **დენ დევიდსონი** - საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოების პრეზიდენტი (აშშ), **იან კე** - გუანჯოუს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (ჩინეთი), **ვენტა კოცერე** - ლატვიის აკადემიური ბიბლიოთეკის დირექტორი, **ირენა კუდლინსკა** - ეკონომიკის უნივერ-სიტეტის პროფესორი (პოლონეთი), **კლავდია ლასორსა** - რომის უნივერსიტეტის (ლა საპიენცე) ემერიტუს – პროფესორი (იტალია), **სვეტლანა ტერ-მინასოვა** - მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი, რუსეთის პედაგოგთა გაერთიანებული ასოციაციის პრეზიდენტი.

სარედაქციო კოლეგია:
ავთანდილ ასათიანი - მთავარი რედაქტორი
ნათელა მაღლაკელიძე - მთავარი რედაქტორის მოადგილე
მარინე აროშიძე, რევაზ ბალანჩივაძე, იმერ ბასილაძე, ლუბა ბიბილეიშვილი, როზა გაბეჩავა, ლია მენთეშაშვილი, ნათელა მოსიაშვილი, ალექსანდრე მღებრიშვილი, ინდირა ძაგანია.

ჟურნალის გამოცემა უზრუნველყო გორის სახელმწიფო უნივერსიტეტმა (რექტორი გიორგი სოსიაშვილი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი).

Scientifically Reviewed and Referenced Periodical Journal „Moambe of the Georgian Academy of Education Sciencesis“ issued by the decision of the Georgian Academy of Education Sciences

Editorial Board:
Zurab Khonelidze - Head of the Editorial Board, President of the Georgian Academy of Education Sciences, rector of Sokhumi State University, **Roin Metreveli** – Vise-president of the Science Academy of Georgia, **Natela Vasadze** – Honored president of the Georgian Academy of Education Sciences, **Avtandil Asatiani** – Co-president of the Georgian Academy of Education Sciences, **Giorgi Sosiashvili** - Vice-President of the Academy of Educational Sciences of Georgia, rector of Gori State Teaching University, **Ludmila Bezhenaru** – Professor at IAS University (Romania), **Sergey Bogdanov** – Rector of St. Petersburg Gertsen University (Russia), **Rafael Gusman-Tirado** – Professor at Granada University (Spain), **Dan Davidson** – President of the American Councils for International Education (USA), **Yan Ke** – Professor at Guanjo University (China), **Claudia Lasorsa** – Emeritus Professor at Rome University (La Sapienza) (Italy), **Svetlana Ter-Minasova** – Honored President of Moscow Lomonosov State University, President of Russia's United Association of Teachers.

Editors:
Avtandil Asatiani – editor in chief
Natela Maghlakelidze – deputy editor in chief
Marine Aroshidze, Revaz Balanchivadze, Lia Menteshashvili, Natela Mosiasvili, Imer Basiladze, Luba Bibileishvili, Roza Gabechava, Aleksandre Mgebrishvili, Indira Dzagania.

The journal was published by Gori State University (Rector – Giorgi Sosoashvili, Vice-president of Academy of Educational Sciences of Georgia)

ზოგადი პედაგოგიკა

ირინე გოგიბერიძე
ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი
თამარ დოგრაშვილი
ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი

სწავლების ზოგიერთი მოდელი და მისი პრაქტიკული რეალიზების ასპექტები

მასწავლებლის მომზადება მრავალ ასპექტს მოიცავს. მათ შორის მეტად მნიშვნელოვანია, ისინი სრულყოფილად დაეუფლონ სწავლების თანამედროვე მოდელების როგორც თეორიულ ასპექტებს, ისე მათ პრაქტიკაში რეალიზების საკითხებს. სწავლების პროცესში ახალი მოდელების ჩართვით გამორჩეულ პროფესიონალ მასწავლებლებსაც კი შეუძლიათ გაამდიდრონ საკუთარი რეპერტუარი, უფრო მეტ მოსწავლეებზე განავრცონ გავლენა და გაზარდონ ავტორიტეტი.

სწავლების მოდელი კონკრეტული ინსტრუქციების/მოთხოვნების თანამიმდევრობით შესრულების ერთობლიობას წარმოადგენს. სწავლების ახალი მოდელი განსხვავდება სწავლების სხვა მოდელებისგან. მოდელს აქვს კონკრეტული ღირებულებები, მიზნები, დასაბუთება და მიმართულება, თუ როგორ უნდა წარიმართოს სწავლება. სწავლების ყოველი მოდელი ფაზათა სპეციფიკური ნაკრებია, რომელსაც თანამიმდევრულად, ყოველ ფაზაში გაივლიან მასწავლებელი და მოსწავლეები. სწავლების ყოველი მოდელი კარგად დამუშავებული და განსხვავებული შედეგების მქონე სპეციფიკური კომპონენტების გარკვეული ერთობლიობაა. სწავლების მოდელი მოიცავს გაკვეთილის გეგმის მონახაზის შექმნას. სასწავლო მოდელის გაკვეთილის გეგმა გამოიყენება სასწავლო მასალის შინაარსის და გარკვეული სახის აზროვნების სწავლებისთვის. სასწავლო მასალის შინაარსის სწავლებისთვის ნებისმიერი მოდელი გამოდგება. ნასწავლი მასალის ერთგაროვნების მიუხედავად, ინტელექტუალური გამოცდილება თითოეული მოსწავლეთათვის განსხვავებული იქნება. მასწავლებელს სურს, რომ მოსწავლეებმა იფიქრონ, იკამათონ და დაასაბუთონ საკუთარი პოზიცია. თუ მასწავლებელი სასწავლო პროცესში ჯგუფური კვლევის მოდელს იყენებს, მას სურს მოსწავლეებს ასწავლოს არა მარტო მნიშვნელოვანი ინფორმაცია, არამედ იმავდროულად შეასწავლოს ჯგუფის ლიდერობაც და კვლევის მეთოდებიც. წინმსწრები აქტივობების მოდელის გამოყენებისას, მასწავლებლის მიზანია, მოსწავლეებმა ისწავლონ იერარქიული აზროვნება და იდეათა სუბორდინაცია.

სწავლების მოდელები მასწავლებლებს საშუალებას აძლევს გამოიყენოს ისეთი ხერხები, რომელიც სწავლების პროცესში გაურკვეველი საკითხების მოსწავლეთათვის გასაგებად ახსნის საშუალებას იძლევა, რითაც მასწავლებელი ამდიდრებს სწავლების ხერხებს და ამაღლებს მოსწავლეთა ინტელექტს.

საქართველოში დიდი ხნის ისტორია არ აქვს ტესტირების შედეგების ქულებით გაზომვას, მაგრამ მაინც საკმარისი მონაცემები დაგროვდა ამ მხრივ. თუ საქართველოს გამოცდილებას დავუმატებთ მრავალი ათწლეულის განმავლობაში ევროპული და ამერიკული განათლების სისტემებში დაგროვილ ცოდნას და გამოცდილებას, დავასკვნით, რომ სწავლების არცერთ

მეთოდს არ აქვს უპირატესობა, თუ მათი სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოვიყენებთ ტესტირებისას დაგროვილ ქულებს. სწავლების მოდელების შექმნის მიზანია, მოსწავლეებმა ისწავლონ აზროვნება და სასურველია, თუ თითოეულ მოსწავლეს განუვითარდება აზროვნების განსხვავებული სტილი. მასწავლებელს პრაქტიკაში შეუძლია სწავლების მოდელები მოარგოს იმ სტილს, რომელსაც სწავლების პროცესში იყენებს კლასის მოსწავლეთა უმრავლესობა, რაც საშუალებას მიცემს მასწავლებელს გაზარდოს მოსწავლეთა აზროვნების უნარი.

იმ მასწავლებლებს, რომელთაც სწავლების მოდელების მრავალფეროვანი რეპერტუარი აქვთ, შეუძლიათ ერთ დღეს, ერთსა და იმავე გაკვეთილზეც კი გამოიყენეონ განსხვავებული მოდელები. ასეთ მასწავლებლებს ექსპერტების დონეზე შეუძლიათ სწავლების მოდელების კორექტირება, რასაც მათი პროფესიონალიზმი ახალ განზომილებაში გადაჰყავს.

აღვწეროთ რამდენიმე მოდელი და შემდეგ განვიხილოთ რამდენიმე სპეციფიკური პრობლემა.

ინდუქციური სწავლების მოდელი. ინდუქციური სწავლების მოდელს ცხრა ლოგიკური საფეხური აქვს: 1. ჩამოთვლა; 2. დაჯგუფება; 3. სახელდება; 4. დიფერენცირება; 5. შედარება; 6. დასკვნა; 7. ჰიპოთეზის დაშვება; 8. დასაბუთება; 9. განზოგადება. ეს მოდელი მოსწავლეს სტიმულს აძლევს მონაცემების საფუძველზე გამოიტანოს დასკვნები. სხვა მოდელების მსგავსად ამ მოდელსაც აქვს ფაზათა თანამიმდევრული სერია. ყოველი ფაზა განსხვავებულია, მაგრამ ერთობლივი შედეგის მისაღებად დაკავშირებულია წინა და მომდევნო ფაზებთან.

ინდუქციური სწავლების მოდელის გამოყენებით გაკვეთილის ჩატარება შეიძლება დავიწყოთ მოკლე ფილმის ჩვენებით, სადაც გადმოცემული იქნება განსახილველი თემის არსი, მისი პრობლემა და დასახული იქნება მისი გადაწყვეტის შესაძლო გზები. ეს არის პირველი ფაზა, რომელიც ითვალისწინებს მონაცემების შეგროვებას. ფილმის დასრულების შემდეგ ვეკითხებით მოსწავლეებს, რა ინფორმაცია დაამახსოვრდათ და ვწერთ მას დაფაზე ან ცხრილში. შესაძლოა, ეს ინფორმაციები ერთმანეთთან კავშირში იყვნენ, ან არ იყვნენ. შესაძლოა, მოსწავლეთა მიერ შემოთავაზებულ ასეთ ოცამდე ჩანაწერს მოვუყაროთ თავი.

მეორე ფაზაში მოსწავლეებს ვთხოვთ დააჯგუფონ და ერთმანეთთან დააკავშირონ ჩანაწერები. მოსწავლეები დაფაზე დაწერილ წინადადებებს მათ შორის არსებული კავშირების მიხედვით აჯგუფებენ. მესამე ფაზაში მოსწავლეებს ჩანაწერების ყოველი დაჯგუფებისთვის ვთხოვთ სახელწოდების მოფიქრებას. მეოთხე ფაზაში მოსწავლეები წარმოადგენენ შექმნილ დაჯგუფებებს გარკვეული სახით (ცხრილი, წრიული ან სვეტოვანი დიაგრამა). ამ ფაზაში მასწავლებელი თხოვს, დაასაბუთონ, რატომ დაარქვეს ესა თუ ის სახელი კატეგორიებს, რამ განაპირობა დაჯგუფების შერჩევა? მოსწავლეებმა უნდა იმსჯელონ, ახსნან, შეადარონ და შეაპირისპირონ ინფორმაციის დაჯგუფების სხვადასხვა გზა. მეხუთე ფაზაში დადგინდება, ჩამოუყალიბდათ თუ არა მოსწავლეებს კონკრეტული მოსაზრებები განსახილველი საკითხის მიმართ გავლილი საფეხურების საფუძველზე. აქვთ და უნდათ თუ არა საკითხის შესახებ აზრის გამოთქმა? დავასკვნით, გავლილი წინა ფაზების მოთხოვნების შესაბამისად და არსებული მონაცემების მანიპულაციის შედეგად შესაძლებელია თუ არა მოსწავლეების მიერ დასკვნების გამოტანა? ეს მოდელი რამდენიმე სხვა ფაზასაც მოიცავს, თუმცა მათზე აღარ შევჩერდებით. ჩვენი მიზანია, ვაჩვენოთ, რომ სწავლების მოდელში საფეხურები და ფაზები გეგმაზომიერად ვითარდება და მოსწავლეთა გარკვეული მიმართულების აზროვნების ჩამოყალიბებას ემსახურება. შევაფასოთ სწავლების მოდელის პირველი ხუთი ფაზა:

ფაზა 1: რა მონაცემები გაქვთ? ფაზა 2: როგორ დააჯგუფებდით მონაცემებს? ფაზა 3: რა სახელს შეურჩევდით თქვენს კატეგორიებს ან ჯგუფებს? ფაზა 4: რა აკავშირებს თქვენეულ დაჯგუფებებს? ფაზა 5: რა დასკვნების გაკეთება შეგიძლიათ თემის შესახებ?

სწავლების ყოველი მოდელის გასაანალიზებლად ისმება კითხვები:

1. როგორია სწავლებისა და სწავლის მიმართულება ამ მოდელში? გამიზნულია თუ არა სწავლება რომელიმე სპეციფიკური ტიპის აზროვნების ჩამოყალიბებისთვის?

2. რა თანამიმდევრობით არის დალაგებული მოვლენები სწავლების პროცესში? რას აკეთებენ მასწავლებლები/მოსწავლეები თავდაპირველად? ყოველ მომდევნო საფეხურზე?

3. როგორ ეპყრობა, როგორი რეაქცია აქვს მასწავლებელს მოსწავლის მოქმედებაზე?

4. მასწავლებელთა/მოსწავლეთა როგორი ურთიერთობებია წახალისებული?

5. რა დამატებითი ზომებია საჭირო მოდელის ასამოქმედებლად?

6. რა არის სწავლების მიზანი? რა სასწავლო და აღმზრდელობითი შედეგებია მოსალოდნელი სწავლების ამ მეთოდის გამოყენებისას?

მოდელების აღწერა თვალსაჩინოს ხდის სწავლების მეთოდების ფართო სპექტრს და მათი მახასიათებლების შედარების საშუალებას იძლევა. ზუსტად შეგვიძლია ვთქვათ, თუ რის გაკეთება შეგვიძლია გაკვეთილზე სწავლების კონკრეტული მოდელის საშუალებით, რატომ ვასრულებთ ამა თუ იმ მოქმედებას და რა შედეგს ველით.

აუცილებელია სწავლების თითოეული მოდელის სასწავლო პროცესში გამოყენებამდე მათი სიღმისეული შესწავლა. პრაქტიკაში მასწავლებელთა უმეტესობა ერთ ან ორ მოდელს იყენებს, მათი მცირე ნაწილი თუ იცნობს სრულ სპექტრს და კიდევ უფრო მცირე ნაწილია დახელოვნებული მათ პრაქტიკულ გამოყენებაში და სხვადასხვა მოსწავლესა თუ სასწავლო პროგრამასთან მისადაგებაში.

თითოეული მასწავლებელის თავისი საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე უნდა ჩაუღრმავდეს იმ მოდელებს და სიღმისეულად შეისწავლოს, რომელიც უკეთ ესადაგება მის პრიორიტეტებს, რაც საშუალებას მიცემს მასწავლებელს გასცდეს მოცემული მოდელის შეთავაზებულ საზღვრებს.

წინმსწრები აქტივობების მოდელი მჭიდროდ უკავშირდება კონცეფციის წვდომას: ლოგიკის, ანალიზის, შედარებისა და შეპირისპირების გზით სწავლებას. მასწავლებელი მოსწავლეებს კონცეფციის ნაცვლად, აცნობს მონაცემებს ისეთი მაგალითების სახით, რომელიც შეიცავს კონცეფციის განსაზღვრისთვის საჭირო მონაცემებს, ხოლო მოსწავლეები ეძებენ და ადგენენ ამ თავისებურებებს. მასწავლებელი იყენებს ისეთ მაგალითებსაც, რომლებიც არ მოიცავს კონცეფციის თავისებურებებს, მაგრამ მოსწავლეებს რელევანტური თავისებურებების განსაზღვრაში ეხმარება.

მოსწავლემ ინდუქციის გზით უნდა განსაზღვროს კონცეფციის დამახასიათებელი თავისებურებები. კონცეფციის წვდომის მოდელის ღირსება ის არის, რომ მოსწავლეები სწავლობენ არა მხოლოდ კონცეფციებს, არამედ კონცეფციებს თავად აყალიბებენ მისი განმ-საზღვრელი ნიშნების საფუძველზე, სწავლობენ ლოგიკურ მსჯელობას და პატივს სცემენ სხვების განსხვავებულ, ზოგჯერ ალტერნატიულ შეხედულებებს. ეს მიიღწევა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობით და მასწავლებლის პრაქტიკული გამოცდილებით. ფაქტობრივად მოსწავლე ახალ ცოდნას აგებს მიზანმიმართული სწავლის გზით.

ინდუქციური აზროვნების მოდელი მოსწავლეებს საშუალებას აძლევს იმ მეცნიერთა მსგავსად დააგროვონ ცოდნა, რომლებიც შეიმეცნებენ არსებულ სინამდვილეს.

ლოგიკური პროცესით შექმნილი მოდელი მეტ-ნაკლებად განსაზღვრავს გარეგნულ ცოდნას, მაგრამ მასწავლებლისთვის უფრო მნიშვნელოვანია მოსწავლის აზროვნება: ლოგიკისადმი ყურადღება, ენისადმი ფაქიზი დამოკიდებულება, ცოდნის აგების და კონცეფციების ჩამოყალიბების უნარი, პროცესებში მოსწავლეთა თანამშრომლობა.

კვლევის უნარის წვრთნისას მოსწავლემ თავისი ცოდნა უნდა გამოიყენოს პრობლემის გადასაჭრელად. ამ პროცესში ის მეტ ცოდნას იძენს როგორც შინაარსის, ისე კვლევის უნარის თვალსაზრისით.

მასწავლებელი მოსწავლეების წინაშე სვამს კონკრეტულ ამოცანას. რის შემდგომ მათ ავალებს ჯგუფურად გამოიკვლიონ საკითხი, პასუხობს მათ კითხვებს, ეხმარება გაგებაში, უშვებს და ამოწმებს ვარაუდებს, ხელმძღვანელობს ჯგუფის აქტივობას.

კვლევის უნარის წვრთნის მოდელი უფრო ექსპერიმენტული ცოდნაა, რომელშიც სინთეზირებულია ცალკეული დისციპლინების შესახებ ორგანიზებული ცოდნა და მიმართულია პრობლემის გადაჭრაზე. ინსტრუქციის მიზანი უფრო მოსწავლის მიერ საკუთარი ცოდნის შემოწმებაა, ვიდრე ცოდნის შეძენა. ამას გარდა, მოსწავლეები კვლევის სტრატეგიებს საკუთარ ქცევაზე დაკვირვებით და საგნების, მოვლენების და პირობების შესახებ კითხვების დასმით სწავლობენ.

კვლევით სწავლაში გარკვეული ურთიერთდამოკიდებულებაც არის. მოსწავლეები სწავლობენ ყურადღებით მოსმენას და პრობლემის გადასაჭრელად სხვების შეხედულებების გამოყენებას. ისინი იძენენ ისეთ გამოცდილებას, რომელიც მათ ამზადებს რეალურ სიტუაციებში ცოდნის გამოყენებისთვის.

სინექტიკის მოდელი, ანუ ახალი იდეების ძიება ანალოგიის გამოყენებით, შემოქმედებითი აქტივობის მასტიმულირებელი მოდელია, ქმნის პრობლემის გადაჭრასთან დაკავშირებით მოულოდნელ და არასტერეოტიპულ ანალოგიებს და ასოციაციების გამოხატვის განსაკუთრებულ პირობებს. სინექტიკის კონკრეტულ ფაზაში, რომელსაც უცნობის ნაცნობად გადაქცევასაც უწოდებენ, მასწავლებელი ახალ მასალას ლექციის ან ფილმის დემონსტრირებით აცნობს. მასწავლებელი კომენტარის გარეშე მოსწავლეებს სთხოვს შესაძლო ანალოგიის მოძიებას და აღწერას. მეოთხე და მეხუთე ეტაპებისთვის მასწავლებელი ამზადებს დეტალებს, რაც ითვალისწინებს ანალოგიასა და ახალ მასალას შორის მსგავსების/განსხვავების ჩამოთვლას. ბოლოს მოსწავლეები უბრუნდებიან პირველწყაროს, ეცნობიან, განიხილავენ მას და ისეთ დეტალებზე მსჯელობენ, რომლებიც შესაძლებელია წინა აქტივობის დროს გამორჩათ.

მასწავლებელს ხშირად ყურადღების მიღმა რჩება სწავლების ჯგუფურ მუშაობაზე ორიენტირებული მოდელები მაშინ, როცა ჯგუფური მუშაობის უამრავი შესაძლებლობაა, რომლებიც ხელს უწყობს ინტერპერსონალური უნარების განვითარებას, ქმნის კოლექტიური კვლევისა და პრობლემის გადაჭრის სხვა შესაძლებლობებს. მოსწავლეები ერთმანეთს ეხმარებიან პრობლემის გადაჭრაში, რაც სასარგებლოა არა მხოლოდ სკოლის პერიოდში, არამედ სკოლის შემდეგ გუნდური მუშაობის დროსაც.

ჯგუფური კვლევა მოსწავლეთა ჯგუფისათვის განკუთვნილი პრობლემის გადაჭრის მოდელია. ჯგუფური კვლევა მოიცავს შემდეგ საფეხურებს: 1. მოსწავლეები აწყდებიან რთულ სიტუაციებს. 2. მოსწავლეები მსჯელობენ საკუთარ რეაქციებზე. 3. მოსწავლეები განსაზღვრავენ პრობლემას. 4. მოსწავლეები ადგენენ გეგმებს და მსჯელობენ როლებზე. 5. მოსწავლეები ახორციელებენ გეგმას. 6. მოსწავლეები იაზრებენ საკუთარ გამოცდილებას. ამ დროს მასწავლებელი უძღვება ჯგუფის აქტივობას.

მოსწავლეების მიერ პრობლემის გადასაჭრელად სტრატეგიების დაგეგმვასა და განხორციელებას პრაქტიკული შედეგიც აქვს და პრობლემის გადაჭრასაც უწყობს ხელს. მოსწავლეები პრობლემის ასპექტებს პრაქტიკულ ჭრილში იხილავენ, მისი გადაჭრით იძენენ გამოცდილებას და ახდენენ მიღებული გადაწყვეტილებების განზოგადებას.

ჯგუფური კვლევის მოდელით სწავლებისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს სასწავლო და აღმზრდელობითი შედეგები. რაც გულისხმობს სხვათა შეხედულებების და ცოდნის პატივისცემას, მოსწავლის დამოუკიდებლობას, ჯგუფის ეფექტიან მუშაობას, ჯგუფური კვლევისა და სოციალური აქტივობის ხელშეწყობას, დისციპლინას. ჯგუფური კვლევა წარმოადგენს ჩამოთვლილი ღირებულების სინთეზს.

საკვანძო სიტყვები: სწავლება, მოდელი, მასწავლებელი, მოსწავლე, მიზანი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჯონ საფიერი, რობერტ გოუერი-გამოცდილი მასწავლებელი, 2010: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 2010.

2. პიტერ გ. ნორთჰაუზი, 2001: ლიდერობა თეორია და პრაქტიკა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 2001

3. www. mastsavlebeli.ge

Irine Gogiberidze
Assistant Professor, Kutaisi Akaki Tsereteli State University
Tamar Dograshvili
Assistant Professor, Kutaisi Akaki Tsereteli State University

Some models of teaching and aspects of its practical Realization

Abstract

The teaching model is a set of execution of specific instructions / requirements in sequence. The new model of teaching is different from other ones. The model has specific values, goals, rationale and direction for how the training should be conducted. Each model of teaching is a certain set of specific components that are well-crafted and have different outcomes.

Mastering modern teaching models is very important when preparing a future teacher. The paper analyzes several specific models of teaching in many ways: induction teaching model, pre-activity model, logical process model, research skills training model, Synectics model, and group research model. Practical examples are given and appropriate conclusions are made.

Keywords: Teaching, model, teacher, student, purpose.

იმერი ბასილაძე
ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი

ტერმინების „მენტორისა“ და „ქოუჩის“ გაგების საკითხისათვის ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში

ოცდაათ წელზე მეტია საქართველოში მიმდინარეობს განათლების სისტემის რეფორმა. რეფორმამ კიდევ უფრო აქტუალური გახადა ბავშვზე ორიენტირებული სწავლება. ქართული განათლების სისტემაში შემოვიდა უამრავი უცხო ტერმინი, რომელთა არსის გარკვევა და ქართულ რეალობასთან შესაბამისობა, ჩვენი აზრით, აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. ტერმინების აღრევა იწვევს მასწავლებელთა დიდ ნაწილში დაბნეულობას და მნიშვნელოვნად ცვლის მათ წარმოდგენებს სასკოლო განათლებაში მიმდინარე რეფორმაზე. უფრო მეტიც _ ქართულ სალიტერატურო ენაში ადგილს იმკვიდრებს ბარბარიზმები. სასკოლო სახელმძღვანელოები და ნორმატიული დოკუმენტები სავსეა სწორედ ასეთი ბარბარიზმებით. საგანმანათლებლო სივრცეში შემოვიდა და ადგილს იმკვიდრებს ისეთი უცხოური ტერმინები, როგორებიცაა: მენტორი, ჩეკლისტი, ქოუჩინგი და სხვა.

კვლევის მიზანი

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში შემოსული, რამდენიმე უცხო ტერმინების შინაარსის და მნიშვნელობის გამოკვლევა და ქართულ რეალობასთან შესაბამისობის დადგენა. შესაბამისი ქართული ტერმინოლოგიის დამკვიდრება და რეკომენდაციების მიცემა.

კვლევის საგანი

ჩვენი კვლევის საგანს, ამჟამად, წარმოადგენს ტერმინები „მენტორი“ და „ქოუჩი“(ქოუჩინგი) გავაანალიზოთ მათი ქართულ ტერმინებთან შესაბამისობა და დავადგინოთ შესატყვისი ქართული ტერმინოლოგია.

კვლევის მეთოდოლოგია

შევისწავლეთ უცხოურ და ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში არსებული ლიტერატურა. გავაანალიზეთ ისინი. გამოვიყენეთ სტატისტიკური, შედარებითი და აღწერითი მეთოდი.

კვლევის სიახლე

შევისწავლეთ ტერმინები „მენტორი“ და „ქოუჩი“(ქოუჩინგი) წარმოშობის ისტორია და დავადგინეთ მისი შესატყვისი ქართული ტერმინები, რომელთა გამოყენებაც, ჩვენი აზრით, შესაძლებელია ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში.

კვლევის სტრატეგია. კვლევა მოიცავდა ხარისხობრივ და რაოდენობრივ კომპონენტებს. ხარისხობრივი კომპონენტის ფარგლებში ჩავატარეთ გამოკითხვა, რომელიც განხორციელდა საჯარო სკოლისა და უმაღლესი სკოლის მასწავლებლებთან. რაოდენობრივი კომპონენტის მიზანს კი წარმოადგენს ინფორმაციის შეგროვება სამიზნე ჯგუფებიდან.

შერჩევის მეთოდი

სამიზნე ჯგუფებად შერჩეული იქნა იმერეთის რეგიონის სკოლები.

გამოყენებული მიდგომა

სტატისტიკური მეთოდებით ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ მასწავლებლები ემხრობიან სწავლების პროცესში ახალი მეთოდოლოგიის შემოტანას, აქტიურ სწავლებაზე გადასვლას, მაგრამ მათთვის მისაღები არ არის ამდენი უცხოური ტერმინის შემოტანა და დამკვიდრება ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში.

კვლევის ეტაპები

კვლევა ჩავატარეთ სამ ეტაპად:

I ეტაპი - ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, კერძოდ საჯარო და უმაღლეს სკოლებში, შემოტანილ უცხოურ ტერმინოლოგიასთან დაკავშირებით არსებული სიტუაციების გამოკითხვა. სამოქმედო გეგმის შემუშავება.

II ეტაპი - სამოქმედო გეგმის განხორციელება. ტერმინოლოგიის შესწავლა. რა განსხვავებაა ამ ტერმინებს შორის? ქართული შესატყვისი ტერმინების მოძიება და დადგენა.

III ეტაპი - შედეგების შეფასება და რეკომენდაციების ჩამოყალიბება.

კვლევის პირველ ეტაპზე იმერეთის რეგიონის სკოლებში ჩავატარეთი გამოკითხვა მასწავ-ლებლებთან. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 280 - მდე მასწავლებელმა. ანკეტა - კითხვარში დავაფიქსირეთ ორ მთავარი კითხვა:

1. რამდენად იცით ტერმინების „მენტორი“-ის და „ქოუჩი“-ს არსი და დანიშნულება?
2. იცნობ, თუ არა ტერმინების „მენტორი“- ის და „ქოუჩი“- ს შესატყვის ქართულ ტერმი-ნოლოგიას?



გამოკითხულთა 43%-მა იცოდა ტერმინების „მენტორი“- ის და „ქოუჩი“- ს არსის მნიშვნელობა, ხოლო 57%-მა არ იცოდა. ხოლოა, რაც შეეხება მათ შესაბამის ქართულ ტერმინოლოგიას, მათ შესახებ გამოკითხულთაგან არავის ჰქონდა რაიმე ინფორმაცია.

ჩვენ მიერ განხორციელებული კვლევის საფუძველზე, შევიმუშავეთ სამოქმედო გეგმა. შევისწავლეთ „მენტორი“-ის და „ქოუჩი“-ს ეტიმოლოგია. დავადგინეთ, რომ ქართულ საგან-მანათლებლო სივრცეში „მენტორი“ წარმოდგენილია, როგორც ექსპერტი, რომელიც ზრუნავს შემსწავლელის არა მარტო პროფესიულ, არამედ პიროვნულ ზრდაზე. უფრო მეტიც, მენტორი ის პროფესიონალი პედაგოგია, რომელიც დამწყებ მასწავლებელს კვალიფიკაციურ დახმარებას უწევს კარიერის დასაწყისში, როცა მხარდაჭერა მნიშვნელოვანია (რატიანი 2021: 8).

Mentor - ოდისევსის შვილის, ტელემაქეს აღმზრდელის სახელია. სამოქალაქო განათლების ლექსიკონის მიხედვით კი მას ორი მნიშვნელობა აქვს (სამოქალაქო განათლების ლექსიკონი, nplg. gov.ge):

- ხელმძღვანელი, აღმზრდელი;
- დამრიგებლური (მენტორული ტონი);

სასურველად არის მიჩნეული, რომ მენტორი მასწავლებელი სპეციფიკურად იყოს მომზადებული, რათა მიზანმიმართულად შეძლოს ახალბედა მასწავლებლის დახმარება: კლასის სწავლება, სასწავლო გეგმის შედგენა, გაკვეთილის დაგეგმვა და კლასის მართვა, პროფესიული განვითარების ინდივიდუალური გეგმის შემუშავება, როგორ უნდა დაიგეგმოს, წარიმართოს და შეფასდეს სასწავლო პროცესი, ხოლო მეორე მხრივ, ახალბედა მასწავლებელს გადასცემს იმ ცოდნას და გამოცდილებას, რაც თავად დააგროვა:

- ფალსილიტაციას უწევს ახალბედა კოლეგას საჭიროებათა დადგენასა და უნარების გამოვლენაში;
- ეხმარება მას პროფესიული განვითარების ინდივიდუალური გეგმის შემუშავებაში, განხორციელებასა და შედეგების შეფასებაში;
- ფალსილიტაციას უწევს რეალურ, პოზიტიურ ცვლილებებს;
- აკვირდება, უსმენს და სვამს კითხვებს;
- არის პოზიტიური და აქვს განვითარებაზე ორიენტირებული უკუკავშირი;
- არწმუნებს ახალბედა მასწავლებელს, რომ ის ღია უნდა იყოს სიახლეებისადმი და პროფესიული განვითარებისათვის (რატიანი 2021: 8).

„ქოუჩი“ (ქოუჩინგი) ტერმინი არახალია. ის ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ორიათასიანი წლების დასაწყისიდან გავრცელდა, მაგრამ მისი აქტიური გამოყენება ბოლო ოთხი წელია ძალზედ პოპულარული გახდა. მას არაერთგვაროვანი მნიშვნელობით იყენებენ საგანმანათლებლო სივრცეში. ბევრმა ჯერ კიდევ არ იცის რა არის ქოუჩინგი.

ბუნებრივია მკითხველის წინაშე ისმის კითხვა: რაში მდგომარეობს ქოუჩინგის ფილოსოფია? საიდან წარმოდგება ეს ტერმინი? და როგორია მისი მნიშვნელობა? უცხოურ წყაროებში ქოუჩს მრავალი განმარტება აქვს (https://sendpulse.com):

- ინგლისურიდან „ქოუჩი“ ითარგმნება, როგორც „მენტორი“, ანუ ადამიანი, რომელსაც მივყავართ დაგეგმილი შედეგების მიღწევამდე.
- ინგლისურ თარგმანში ასევე ნიშნავს „დავალებას“, „გაწვრთვნას“, „სწავლას“, „შთაგონებას“.
- ქოუჩინგი, როგორც ჟარგონული სიტყვა წარმოიშვა დიდ ბრიტანეთში სტუდენტურ წრეებში და ნიშნავდა „კერძო დამრიგებელს“ (რეპეტიტორს).
- ინგლისურში სიტყვა მწვრთვნელი ადრეც არსებობდა და ნიშნავდა „ეტლს“, ან „ვაგონს“.
- ზოგი მას, როგორც კონსულტანტს და ტრენერს თვლის.

გზამკვლევში სკოლის დონეზე პროფესიული განვითარების მხარდასაჭერად (რატიანი 2021:6) აღნიშნულია, რომ ქოუჩი განსაკუთრებული კომპეტენციებისა და პიროვნული თვისებების მატარებელი ადამიანია, რომელსაც შეუძლია, რთული კომპლექსური ამოცანის დაძლევაში, უნარების გაწაფვაში დაეხმაროს მონაწილეს. ამავე გზამკვლევში სიტყვის „ქოუჩი“ განმარტება ასეა წარმოდგენილი: „მრჩეველი, დამრიგებელი დამკვალიანებელი“ (რატიანი 2021:7) როგორც ხედავთ ტერმინს ქოუჩი ერთი მნიშვნელობა არ გააჩნია და ის აშკარად, ამ მრავალმხრივობით, ჩვენი აზრით, შეუსაბამოა ქართულ საგანმანათლებლო სივრცესთან.

მკვლევრები მიიჩნევენ, რომ ტერმინ „ქოუჩის“ გამოყენება დაიწყო XIX საუკუნის მეორე ნახევრის ინგლისში, საუნივერსიტეტო წრეებში, რადგან კერძო დამრიგებლები ეხმარებოდნენ

სტუდენტებს უნივერსიტეტში „ა“ პუქტიდან „ბ“ პუნქტამდე მიყვანაში. ისევე, როგორც იმ ეპოქაში ადამიანები გადაჰყავდათ ეტლითა და ვაგონებით. ასე დამკვიდრდა ეს ტერმინი და მალე მისი გამოყენება დაიწყეს სპორტში, როგორც მწვრთვნელის სახელწოდებით (https://psehology.sredaobuchenia.ru).

მწვრთვნელი არის უნგრული სიტყვა და ნიშნავს „ვაგონს“, რომელიც როგორც აღვნიშნეთ XIX საუკუნის მეორე ნახევარში გავრცელდა ინგლისში.

XX საუკუნის 80-იან წლებში ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა ტიმოთი გალვეიმ, როგორც ჩონგბურთისა და გოლფის მთავარმა სპეციალისტმა დაწერა, წიგნი „ჩოგბურთის შიდა თამაში,“ ხოლო შემდეგ „გოლფის შიდა თამაში“. ტიმოთი გალვეი ამტკიცებს, რომ სპორტში გამარჯვება განისაზღვრება სპორტსმენის შინაგანი მდგომარეობით და მის გონებასთან მუშაობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ფიზიკური მომზადება. ეს არ არის მოთამაშის ტექნიკა, ეს არის მოთამაშის ფსიქოლოგიური მდგომარეობა. გალვეის იდეა XX საუკუნის 90-იან წლებში ბიზნესში განავრცო მსოფლიოში ცნობილმა კონსულტანტმა და მწვრთნელმა ჯონ უიტმორიმ. მან მწვრთნელის არსი ასე ჩამოაყალიბა: „მწვრთნელი არ ასწავლის ის დაგეხმარებათ, რომ ისწავლოთ (https://psehology.sredaobuchenia.ru).

ვინ არის მწვრთვნელი? მწვრთვნელი არის ადამიანი, რომელიც მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე ეხმარება თავის კლიენტს პირადი, ან პროფესიული მიზნების მიღწევაში. არ ახდენს გავლენას მის გადაწყვეტილებაზე. მწვრთნელის ამოცანაა კლიენტს მიუთითოს შეცდომები პირდაპირი რჩევების გარეშე. როგორ აკეთებს ამას? რა თქმა უნდა დიალოგის გზით. ამაში მდგომარეობს მწვრთნელის, ქოუჩის მუშაობის ფილოსოფია.

დავიწყეთ ფიქრი განსხვავებულ მიდგომებზე. რა განსხვავებაა მწვრთნელსა (ქოუჩს) და მენტორს შორის? რომელი არის მისი შესატყვისი ქართული ტერმინოლოგია.

მწვრთნელი (ქოუჩი) მენტორისაგან განსხვავებით არ არის ჩართული ახალბედა მასწავ-ლებლის ზოგად განვითარებაში. იგი მოსწავლეებში ავითარებს გარკვეულ უნარებს. მაგალი-თად კომუნიკაციის უნარი და სხვა. მენტორი კი გადასცემს იმ ცოდნას და გამოცდილებას, ახალბედა მასწავლებელს, რომელიც მან მთელი ცხოვრების განმავლობაში დააგროვა. მწვრთნელი (ქოუჩი) არ იძლევა კითხვებზე პასუხს, მაგრამ ეხმარება მოსწავლეს საკუთარი თავის პოვნაში. რაც ნიშნავს, რომ მან გააცნობიერა თავის პრობლემა. ყველაზე მნიშვნელოვანი უნარი, რომელსაც მოსწავლე იღებს, არის პრობლემის დამოუკიდებლად პოვნის და გადაჭრის უნარი. მოსწავლე ავლენს თავის პოტენციალს, იძულების გარეშე აღწევს მაღალ შედეგებს სწავ-ლაში. ქოუჩი ხელს უწყობს სასწავლო პროცესის აგებას მოსწავლის პიროვნული თვისებების გათვალისწინებით. ამრიგად, მენტორისგან განსხვავებით მწვრთნელი (ქოუჩი) არის დამხმარე ინსტრუმენტი მოსწავლისათვის, რომელიც ცვლის მის დამოკიდებულებას სწავლისადმი. „ქოუჩი ეხმარება პიროვნულ ზრდაში და საკუთარ თავში, შინაგანი ძალების აღმოჩენაში, რომ ახალი გამოწვევა დაძლიოს. ქოუჩი გამოიყენება, როგორც უწყვეტი პროფესიული ზრდის სტიმულატორი სწავლა-სწავლების პროცესში (რატიანი 2021:8). ამდენად „ქოუჩი“ შესაძლე-ბელია გარედან იყოს მოწვეული, ხოლო მენტორი სკოლის გამორჩეული და გამოცდილი კადრია, რომლის საქმიანობა და პედაგოგიური მოღვაწეობა მრავალ წელს მოითვლის.

დღეისათვის მწვრთნელის (ქოუჩი) მრავალი ტიპი არსებობს (https://sendpulse.com):

- აკადემიური მწვრთვნელი (ქოუჩი);
- სიცოცხლის მწვრთვნელი;

- ბიზნესს მწვრთნელი(ქოუჩი);
- კოორპორატიული მწვრთნელი(ქოუჩი);
- პირადი მწვრთნელი(ქოუჩი);
- ფინანსური მწვრთნელი(ქოუჩი);
- ორგანიზაციული მწვრთნელი (ქოუჩი);
- განათლების მწვრთნელი (ქოუჩი).

ქოუჩი(მწვრთნელი) მუშაობს დაახლოებით სოკრატეს პრინციპით: „თითოეულმა ადამიანმა იცის რა არის ჭეშმარიტება. მე გამოვდივარ ბებია ქალის როლში. ამ ჭეშმარიტებას ვაძლევ საშუალებას მოევლინოს სამყაროს“. ქოუჩინგს ოთხი ძირითადი ეტაპი აქვს (https://psehology.sredaobuchenia.ru):

- ცხოვრებისეული მიზნების დასახვა;
- მიმართულების რეალობის შემოწმება;
- მათი განხორციელების გზების აგება;
- შედეგის მიღწევა.

ტერმინთა წარმოშობისა და მნიშვნელობის შესწავლის შემდეგ დავიწყეთ შესწავლა და მოძებნა ტერმინ „მენტორი“-ს და „ქოუჩი“-ს შესატყვისი ქართული ტერმინების არსებობის შესახებ ქართულ პედაგოგიკური აზროვნების ისტორიაში. ქართული პედაგოგიკური აზროვნების ისტორიაში შემორჩენილია, თუ ვინ ასწავლიდა სკოლაში? და რა პედაგოგიური თანამდებობები არსებობდა საქართველოში. დაწყებითი სკოლის მოწაფეთა საერო აღმზრდელს ოსტატი, ანდა მასწავლელი (თავზიშვილი 1974:51), ხოლო სამონასტრო-საეკლესიო დაწყებითი სკოლის მასწავლებლად, ან კერძო აღმზრდელად ცნობილია მოძღვარი (თავზიშვილი 1974:51). ტერმინი მოძღვარი ყველაზე მეტად არის გავრცელებული და უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობდა საქართველოში. ამიტომ, როგორც პროფ. გ. თავზიშვილი წერს „ამის გამო „მოძღვარი“ ეწოდებოდა ყველა მასწავლებელს“ (თავზიშვილი 1974:52). ამასვე ამტკიცებს „ხელმწიფის კარის გარიგება“, სადაც აღნიშნულია, რომ „ძველად მოძღვარი მასწავლებელს ერქვა“ (თავზიშვილი 1974:52). ქართულ პედაგოგიკურ აზროვნებაში მოიხსენიება, აგრეთვე სწავლა-განათლების ხელმძღვანელის თანამდებობა, ან ხარისხი „მოძღვართ - მოძღვარი“. იგივე „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით მოძღვართ - მოძღვარი ნიშნავს მასწავლებელთა - მასწავლებელს“ (თავზიშვილი 1974:52). თავზიშვილის ვარაუდით მოძღვართ-მოძღვარი მოღვაწეობს ისეთ დაწესებულებაში, სადაც საქმიანობენ სწავლულები.

თუ ჩვენ პარალელს გავავლებთ ქართულში არსებულ მოძღვართ- მოძღვრის შინაარს - **მასწავლებელთა - მასწავლებელსა** და ჩვენს მიერ ზემოთ განმარტებულ „მენტორის“ ტერმინს შორის - **ცოდნისა და გამოცდილების გადამცემი, ახალბედა მასწავლებლის დამხმარე** შეიძლება დავასკვნათ, რომ თანამედროვე ქართულ პედაგოგიკურ აზროვნებაში „მენტორის“ ნაცვლად უნდა შემოვიტანოთ და დავამკვიდროთ ტერმინი „მასწავლებელთა - მასწავლებელი“.

რაც შეეხება ტერმინს „ქოუჩი“ მასაც მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს. ძირითადში ამ ტერმინის არსი დაკავშირებულია წვრთვნასთან. იგი ეხმარება მოსწავლეს საკუთარი თავის პოვნაში. ქართულად განათლების მწვრთნელი მისი ჟღერადობითაც და დანიშნულებითაც ვერ გამოითქმის კარგად. ამიტომაც ამჯობინებენ თანამედროვე განათლების რეფორმატორები ტერმინ „ქოუჩს“ ან „ქოუჩინგს“. ვფიქრობთ, რომ ის თავის არსითა და მნიშვნელობით, უფრო ახლოს დგას ტერმინ „გროსმაისტერთან“. რაც ქართულად ნიშნავს „დიდოსტატს“, იგი საჭადრაკო ტიტულია და მოჭადრაკეს ანიჭებენ. ის ამ ტიტულს მთელი სიცოცხლის მანძილზე

ატარებს. დიდოსტატი ეხმარება მოჭადრაკეს საკუთარი თავის პოვნაში, სწორად წარმართოს საჭადრაკო პარტია. მისი ქართული შინაარსი ასეთია: რაიმე საქმის საუკეთესო სპეციალისტი, რომელიც განათლებაში მოსწავლის უწყვეტი პროფესიული ზრდის სტიმულატორია.

მით უფრო რომ დღეს საქართველოში დამკვიდრებულია ტერმინები: მხატვრული კითხვის დიდოსტატი, ჭადრაკის დიდოსტატი, საჭადრაკო ამოცანების გადაჭრის დიდოსტატი, საჭადრაკო კომპოზიციის დიდოსტატი, სელექციის დიდოსტატი, ჭიდაობის დიდოსტატი, ურთიერთობების დიდოსტატი, კითხვის დასმის დიდოსტატი, რითმის დიდოსტატი, კვლევის დიდოსტატი, პროზის დიდოსტატი, ხეირის მაძიებელი დიდოსტატი, ღვინის დაყენების დიდოსტატი, ხის და ქვის დამუშავების დიდოსტატი და ა.შ.

მიგვაჩნია, რომ ტერმინ „ქოუჩის" ქრთული შინაარსი ტერმინ „დიდოსტატის" შესატყვისია და უპრიანი იქნებოდა მისი დამკვიდრება ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, **სწავლის დიდოსტატის** სახელწოდებით. ის შესაბამისი კითხვების დასმით ასწავლის მოსწავლეს, როგორ ისწავლოს დამოუკიდებლად, მივიდეს შესაბამის წიგნთან და, როგორ მოიძიოს საჭირო სასწავლო რესურსები.

დასკვნის სახით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ნუ ავავსებთ ქართულ ენას ბარბარიზმებით. განსაკუთრებით საგანმანათლებლო სივრცეს. ვიდრე, რაიმე ახალ ტერმინს შემოვიტანთ დავფიქრდეთ, იქნებ არსებობს მისი შესატყვისი ქართული ტერმინი? და მის შემდეგ დავამკვიდროთ, ესა თუ ის სიტყვა ქართულ სინამდვილეში. მიგვაჩნია, რომ ტერმინების „მენტორისა" და „ქოუჩის" ქართულ შესატყვის, შესაბამისად წარმოადგენს „მასწავლებელთა - მასწავლებელი" და „სწავლის დიდოსტატი".

საკვანძო სიტყვები: მენტორი, ქოუჩი, მასწავლებელთა-მასწავლებელი, მწვრთნელი, სწავლის დიდოსტატი.

Imeri Basiladze
Professor, Kutaisi Akaki Tsereteli State University

About the Terms "Mentor" and "Coach" in Georgian Educational Field

Abstract

The work studies and analyses the meaning and context of the terms 'mentor' and 'coach' in foreign and Georgian educational fields. The work introduces corresponding Georgian terminology for the terms. The term 'mentor' can be replaced in Georgian by a 'teachers' teacher' and the term 'coach' can be substituted by a 'master of study'.

Key words: mentor, coach, teachers' teacher, instructor/trainer, master of study.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რატიანი 2021: რატიანი მ., გზამკვლევი სკოლის დონეზე პროფესიული განვითარების მხარდასაჭერად, მომზადებულია კოალიციის „განათლება ყველასათვის - საქართველო" მიერ განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით, პროექტის ხელმძღვანელი, ირინა ხანთაძე, თბილისი, 2021.

2. ასათიანი 2013: ასათიანი ა., კოუჩინგის სახეები და სტრუქტურა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საერთაშორისო სამეცნიერო-პედაგოგიური ჟურნალი „განათლება“, №2 (8), გვ. 302-305. თბილისი, 2013.

3. ასათიანი 2013: ასათიანი ა., კოუჩინგი - ბიზნესის ახალი ტექნოლოგია, თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ბიზნესი და ეკონომიკა“, №3, გვ. 167-174, თბილისი, 2013.

4. ქურდაძე 1973: ქურდაძე შ., ძველი ქართული მეთოდიკური ცოდნა, თბილისი, 1973.
5. თავზიშვილი 1974: თავზიშვილი გ., რჩეული ნაწერები, ტომი I, თბილისი, 1974.
6. სამოქალაქო განათლება: სამოქალაქო განათლების ლექსიკონი, nplg.gov.ge
7. https://sendpulse.com
8. https://psehology.sredaobuchenia.ru

ლალი აბდალაძე - ზუგდიდის შოთა მესხიას სახელმწიფო
სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
მაია ახვლედიანი - ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
ნინო ორჯონიკიძე - ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის სამართლებრივი აქტებისა და სახელმძღვანელო დოკუმენტების ცნობადობის საკითხისათვის ქ. ქუთაისის სკოლამდელ დაწესებულებებში

საქართველოს განათლების სისტემის პოლიტიკის დოკუმენტებში სკოლამდელი განათლების ასპექტებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. გლობალიზაციის პირობებში მნიშვნელოვანია ახალი ადამიანის აღზრდა. საზოგადოებაში ცხოვრებისათვის მომზადებული მოქალაქის ჩამოყალიბება ადრეული განათლებით უნდა დაიწყოს.

ადრეული აღზრდა და განათლება დაბადებიდან ადრეული ასაკის ბავშვისა და მისი მშობლისათვის/კანონიერი წარმომადგენლისათვის მიწოდებული მომსახურებაა, რომელიც მოიცავს: მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განათლებასა და მხარდაჭერას, აღნიშნული ასაკის ბავშვზე ზრუნვის დაწესებულების, ჯანმრთელობის დაცვის, კვების, ჰიგიენის, სანიტარიული უსაფრთხოების, ბავშვთა ადრეული ინტერვენციისა და ინკლუზიური განათლების მომსახურებებს.

ადრეული და სკოლამდელი განათლება ბავშვის განვითარების უმნიშვნელოვანესი ეტაპი და უწყვეტი ხარისხიანი განათლების უმთავრესი ჯაჭვია. ამ ეტაპზე ხდება ბავშვის ემოციური, კოგნიტური, მოტორული და სოციალური უნარების განვითარება და შემდგომი ცხოვრებისათვის მომზადება. სკოლამდელი განათლების მიზანს ბავშვების აღზრდის, განათლების, განვითარებისა და სკოლისათვის მომზადების ხელშეწყობა წარმოადგენს. სკოლამდელი განათლების ძირეული და მასშტაბური რეფორმებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სკოლამდელი განათლების განვითარების სამმართველო საზღვრავს სტრატეგიულ ამოცანებს, ხელს უწყობს სკოლამდელ განათლებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის გაზრდას და სასკოლო ასაკის ბავშვების სკოლისათვის მომზადებას.

სტატიაში წარმოდგენილია ადრეული და სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტი, დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს დაბადებიდან სასკოლო მზაობის პროგრამის დაწყებამდე ბავშვის მრავალმხრივი განვითარებისთვის მისაღწევ შედეგებს და საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის მახასიათებლებს, ასევე - სასკოლო მზაობის პროგრამა, რომელიც სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის საფუძველზე მომზადებული საგანმანათლებლო დოკუმენტია და ხელს უწყობს ამ სტანდარტით დადგენილი შედეგების მიღწევას. განხილულია სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტი, დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის პირველ კლასში შესვლამდე ბავშვის მრავალმხრივი განვითარებისა და სასკოლო მზაობის ხელშეწყობისთვის მისაღწევ შედეგებს და საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის მახასიათებლებს. ასევე მოკლე ანოტაციებით ნაშრომში მოცემულია საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო

აქტები და სახელმძღვანელო დოკუმენტები ადრეული განათლების შესახებ, რომელთა ცნობადობის დონეც ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს.

ქვეყნის უზენაეს კანონში **საქართველოს კონსტიტუციაში** ვკითხულობთ, რომ იგი „იცავს ყველა მოქალაქის უფლებას, მიიღოს განათლება და აირჩიოს განათლების ფორმა“ [მუხლი 35. პუნქტი 1] . (1)

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ „განათლება მიმართული უნდა იყოს ადამიანის პიროვნების სრული განვითარებისა და ადამიანის უფლებათა, ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის გადიდებისაკენ. განათლებამ ხელი უნდა შეუწყოს ყველა ხალხის, ყველა რასობრივი თუ რელიგიური ჯგუფის ურთიერთგაგებას, შემწყნარებლობასა და მეგობრობას...“ [მუხლი 26.2]. (2)

საქართველოს ორგანულ კანონში „შრომის კოდექსი“ არეგულირებს რწმენის თავისუფლებას შრომით ურთიერთობებში. შრომის კოდექსის მიხედვით, აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში, მათ შორის, რელიგიურ ნიადაგზე [მუხლი 2].(4)

საქართველოს კანონის „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ მიზანია ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველყოფა საქართველოს კონსტიტუციის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმების და სახელმწიფოს მიერ აღიარებული სხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტების ეფექტური იმპლემენტაციის ხელშეწყობის გზით. კოდექსი არის საკანონმდებლო აქტი, რომლითაც ხელმძღვანელობენ სახელმწიფო ხელისუფლების და მუნიციპალიტეტის ორგანოები, სხვა ადმინისტრაციული ორგანოები, საერთო სასამართლოები, საჯარო და კერძო სამართლის სუბიექტები და ფიზიკური პირები ბავშვებთან და ბავშვთა საკითხებზე საქმიანობის და გადაწყვეტილებების მიღების დროს. (7)

საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ აწესრიგებს საქართველოში ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობის, განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამართლებრივ საფუძვლებს, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ორგანიზაციულ სტრუქტურას, ადგენს მათი დაფუძნების, საქმიანობისა და ანგარიშვალდებულების წესს, აგრეთვე მათი ავტორიზაციის სავალდებულობას. ეს კანონი განსაზღვრავს სახელმწიფო ორგანოების, მუნიციპალიტეტებისა და სხვა იურიდიული პირებისა და ფიზიკური პირების უფლებამოსილებებს, ვალდებულებებს, ფუნქციებსა და პასუხისმგებლობას, აგრეთვე სკოლამდელთა მშობლებს შორის შემწყნარებლობისა და ურთიერთპატივისცემის დამკვიდრებას“ [მუხლი 18., პუნქტი 1]. (8)

საქართველოს მთავრობამ 2017 წლის ოქტომბერში დაამტკიცა სკოლამდელ განათლებასთან დაკავშირებული სახელმწიფო სტანდარტები და ტექნიკური რეგლამენტები: ადრეული და სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტი; აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი; ადრეულ და სკოლამდელ დაწესებულებაში კვების ორგანიზების და კვებითი ღირებულების ნორმების განმსაზღვრელი ტექნიკური რეგლამენტი; ტექნიკური რეგლამენტი ადრეულ და სკოლამდელ დაწესებულებაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების შესახებ. (10)

„სკოლამდელი მზაობის პროგრამა. თამაში სწავლისა და განვითარებისთვის. აღმზრდელის სახელმძღვანელო“ შექმნილია იმ ბავშვებისათვის, რომლებსაც სასწავლო წლის დაწყებამდე შეუსრულდათ 5 წელი და მომდევნო სექტემბერს სკოლის პირველ კლასში მოუწევთ სწავლის დაწყება. სასკოლო მზაობის პროგრამა წარმოადგენს სახლისა და სკოლის უმნიშვნელოვანეს დამაკავშირებელ რგოლს, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ბავშვების წარმატებულ გადასვლას

ნაკლებად ფორმალური გარემოდან (ოჯახი, საბავშვო ბაღი) შედარებით ფორმალურ გარემოში. (11)

„ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტები“ დამხმარე სახელმძღვანელო მასალაა ადრეული ასაკისა და სკოლამდელი ბავშვის საკითხებით დაინტერესებულ პირთათვის. სტანდარტები ხელს შეუწყობს ბავშვის პიროვნულ ჩამოყალიბებას, მას მზაობას სკოლისა და მომავალი ცხოვრებისათვის, დაეხმარება ადრეულ ასაკში ბავშვის განვითარების საკითხებით დაინტერესებულ ორგანიზაციებს, პირებსა და პროფესიონალებს, სკოლამდელი ასაკის დაწესებულებების მასწავლებლებს სააღმზრდელო და სასწავლო პროცესის უკეთ დაგეგმვასა და ფართო საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაში. სტანდარტების შექმნა მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს იმ საქმეში, რომლის განხორციელებასაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ისახავს მიზნად სკოლამდელი განათლების მომსახურების გასაუმჯობესებლად დონორ და ადგილობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გზით. (12)

ადრეული განათლების კურიკულუმი (I-II ნაწილი) – შეიქმნა, როგორც თამაში, ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგიური მხარდაჭერის მიზნით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, სპორტისა და კულტურის სამინისტროსა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბავშვის განვითარების ინსტიტუტის თანამშრომლობით. კურიკულუმის მიზანია, დაეხმაროს 2–დან 5 წლამდე ასაკის ბავშვებთან მომუშავე პერსონალს საგანმანათლებლო პროგრამის შედგენაში, განხორციელებასა და შეფასებაში. სახელმძღვანელო ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი, მეთოდური სახელმძღვანელო 2–დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის, ადრეული განათლების მეთოდოლოგიას ეხება.

მეორე ნაწილში, პრაქტიკული სახელმძღვანელო/სცენარები 2–დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის – მოცემულია პრაქტიკული მაგალითები. რამდენიმედღიან სცენარებში თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი სახელმძღვანელოს პირველ ნაწილში მოცემული თეორიული საკითხების პრაქტიკული გადაწყვეტები. (13)

„ადრეული და სკოლამდელი განათლების ხარისხის სტანდარტის გზამკვლევი“ სახელმძღვანელოა, რომლის მიზანია სკოლამდელი განათლების სფეროში მომუშავე პრაქტიკოსებს ადრეულ და სკოლამდელ დაწესებულებაში ხარისხიანი განათლების დანერგვაში დაეხმაროს. სახელმძღვანელოში მოცემული რეკომენდაციები, რეალური მაგალითები ადრეული და სკოლამდელი დაწესებულებების დირექტორებს, მეთოდისტებს, საგანმანათლებლო პერსონალსა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს დაეხმარება თანამედროვე მიდგომების დანერგვაში. (!4)

ბასილაძე ი. ბალანჩივაძე ი., ბერუჩაშვილი მ., „ადრეული განათლების კურიკულუმები და მათი განვითარების სხვადასხვა ასპექტები“ სახელმძღვანელოა, რომელიც შედგენილი და შექმნილია მოდულური პროფესიული პროგრამის „ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგის“ სტუდენტებისათვის. იგი მოიცავს პროფესიული განათლების პროგრამის „ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგის ერთ-ერთ მოდულს – „ადრეული განათლების კურიკულუმი“ და პასუხობს მასში დასახულ სწავლის შედეგებს. წიგნში განხილულია ადრეული განათლების განვითარების საკითხები მისი ჩამოყალიბებიდან დღემდე. სახელმძღვანელოში განხილული და გაანალიზებული საკითხები, მსოფლიო ქვეყნების გამოცდილება ადრეული განათლების განვითარების საქმეში გარკვეულ დახმარებას გაუწევს როგორც პროფესიული პროგრამის სტუდენტებს, ასევე სკოლამდელი დაწესებულებების აღმზრდელ-მასწავლებლებს. (15)

„მშობლის უფლება-მოვალეობები სკოლამდელ დაწესებულებაში ბაღში“ საგანმანათლებლო დოკუმენტია, რომელიც მოკლედ გვიხსნის მშობლის უფლებებსა და მოვალეობებს.

საქართველოს კანონით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ, რეგულირდება საქართველოში ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიწოდების შესახებ პირობები. სკოლამდელი აღზრდა და განათლება ნიშნავს 2 წლის ასაკიდან ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის პირველ კლასში შესვლამდე პერიოდს(!.6)

„გარემო, რომელსაც უყვარს ბავშვი“ სახელმძღვანელოა, რომელიც ბავშვზე ორიენტირებული ადრეული და სკოლამდელი დაწესებულებების შექმნის გზამკვლევია, რომელიც მკითხველს ჩამოუყალიბებს ხედვასა და ცოდნას იმის შესახებ, თუ რა არის ბავშვზე ორიენტირებული გარემო და პრაქტიკული რჩევებით დაეხმარება ასეთი გარემოს ორგანიზებაში ადრეულ და სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებაში. (17)

და ბოლოს _ ადრეული ასაკი უმნიშვნელოვანესი ეტაპია ადამიანის ფიზიკურ, გონებრივ, სოციალურ და ემოციურ განვითარებაში. შესაბამისად, ამ ასაკში მიღებული გამოცდილება დიდ გავლენას ახდენს მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის პროცესსა და მიღწევებზე. ბავშვის სრულფასოვანი და მრავალმხრივი განვითარებისათვის საჭირო გარემოსა და პირობების შექმნა შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფოს, მშობლების, სასწავლო დაწესებულებებისა და თემის ერთობლივი მონდომებითა და ძალისხმევით. ადრეულ ასაკში ბავშვის სწავლისა და განვითარების სტანდარტების მთავარი დანიშნულებაა საფუძველი ჩაუყაროს ბავშვის ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ და ესთეტიკურ განვითარებას; ხელი შეუწყოს მოზარდის ჯანმრთელობის განმტკიცებას და მის სასკოლო მზაობას.

ზემოხსენებული აქტებისა და სახელმძღვანელო დოკუმენტების ცნობადობის საკითხი შევისწავლეთ ქ. ქუთაისის სკოლამდელი დაწესებულებების მაგალითზე, იმის გამოსავლენად, თუ რა დონეზეა აღნიშნული ინფორმირებულობის ხარისხი მოცემულ დაწესებულებებში და რამდენად ეხმარება სამართლებრივი აქტები, გზამკვლევები და საგანმანათლებლო ლიტერატურა პერსონალს პრაქტიკულ საქმიანობაში.

კვლევა დაიგეგმა და ჩატარდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის დეპარტამენტში, იმის გამოსავლენად, რომ მეთოდოლოგია მოიცავდა ქ. ქუთაისის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გამოკითხვას კითხვარის მიხედვით. ფოკუს ჯგუფს წარმოადგენდა სკოლამდელი დაწესებულებების 37 ფილიალი. გამოკითხვაში სულ მონაწილეობდა 234 პირი, მათ შორის: აიპ ქ. ქუთაისის ბაგა-ბაღების 73 წარმომადგენელი და მეთოდისტი, 132 აღმზრდელი, 29 აღმზრდელის თანაშემწე.

კვლევის მონაწილეებმა უპასუხეს კითხვარს, რომელიც მათ დაეგზავნათ ელექტრონულად, ფორმსის პროგრამით:

კვლევამ აჩვენა, რომ სკოლამდელ დაწესებულებებში საქართველოს განათლების სისტემის პოლიტიკის სკოლამდელი დაწესებულების დოკუმენტებს გამოკითხულთაგან 193 ყოველთვის ეცნობა, კონკრეტულ შემთხვევაში - 21, ზოგჯერ - 11 და იშვიათად - 3.



სკოლამდელი დაწესებულებების შესახებ სამართლებრივი აქტების თაობაზე ინფორმაციას გამოკითხულთა 206 იღებს ხელმძღვანელისგან, 24 - ინტერნეტით, დანარჩენი - კოლეგებისგან და სხვ.

მითითებული დოკუმენტებიდან პრაქტიკულ საქმიანობაში გამოკითხულთაგან 176-ს ეხმარება საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“, 80-ს - საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, 67-ს - სკოლამდელი აღზრდისა და ზოგადი განათლების სფეროში დეცენტრალიზაციის დონე და ტენდენციები“, 28-ს - საქართველოს შრომის კოდექსი, 15-ს - საქართველოს კონსტიტუცია, 12-ს - ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 4-ს - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.



საგანმანათლებლო სამართლებრივი აქტების სკოლამდელი დაწესებულებების პრაქტიკაში დანერგვის აუცილებლობას მხარს უჭერს გამოკითხულთა 100%.

გამოკითხულთაგან 145-ს მიაჩნია, რომ სასკოლო მზაობის პროგრამა შეესაბამება რეალურ სამყაროს, 46 თვლის, რომ მუდმივად გასაახლებელია, 38 თვლის, რომ გასაახლებელია, მხოლოდ ერთს მიაჩნია, რომ არ შესაბამება.

სახელმძღვანელო რესურსების შესახებ, როგორიცაა „ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტები“, „სკოლამდელი მზაობის პროგრამა, თამაში სწავლისა და განვითარებისთვის, „აღმზრდელის სახელმძღვანელო“, „ადრეული განათლების კურიკულუმი“, „ადრეული და სკოლამდელი განათლების ხარისხის სტანდარტის გზამკვლევი“, მშობლის უფლება-მოვალეობები სკოლამდელ დაწესებულებაში“, გამოკითხულთა 100% თვლის, რომ საჭირო და გამოსაყენებელია მათ პრაქტიკულ საქმიანობაში.

სკოლამდელი დაწესებულებების საგანმანათლებლო და საკანონმდებლო დოკუმენტების მიმართ 140 გამოკითხული იშვიათად იჩენს ინტერესს, 85 - ხშირად, 6 კი - არასდროს.

სკოლამდელ დაწესებულებებში საგანმანათებლო და საკანონმდებლო დოკუმენტების მიხედვით 195 გამოკითხული ხშირად აცნობს მშობლებს მათ უფლება-მოვალეობებს, 33 - იშვიათად და 1 - არასდროს.

გამოკითხულთა 100%-ს მიაჩნია, რომ სკოლამდელი დაწესებულებების სპეციალისტების კვალიფიციური კადრების მომზადებისთვის საბაკალავრო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა - სკოლამდელი განათლება დროული და მნიშვნელოვანია.

გამოკითხულთა ნაწილმა გამოხატა თავისი დამოკიდებულება, იდეა, რჩევა. ერთ-ერთი მონაწილის მოსაზრებით, „სასურველია გაიზარდოს ადრეული და სკოლამდელი დაწესებულებების დაფინანსება, რათა უზრუნველვყოთ ბაღების ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება და შევავსოთ დაწესებულება სამუშაო და განმავითარებელი რესურსებით.“ მიაჩნიათ, რომ რადგან თამაში აღზრდის წამყვანი ფორმაა საბავშვო ბაღში, აუცილებელია საგანმანათლებლო რესურსებით და სათამაშოებით უზრუნველყოფა და „ხარისხის სტანდარტების მიხედვით თამაშის სწავლებაზე ხაზგასმა, რადგან თამაშით სწავლება გულისხმობს ბავშვის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერას.“ ეს ყოველივე ხელს შეუწყობს, რომ სასწავლო პროცესი პატარებისთვის იყოს სახალისო, საინტერესო და მრავალფეროვანი.

ასევე მნიშვნელოვანია მონაწილეთა მიერ ტრენინგსა და პროფესიულ განვითარებაზე მოთხოვნის წარმოდგენა. როგორც ერთ-ერთი მათგანი აღნიშნავს: „აუცილებელია წელიწადში ერთხელ მაინც გადამზადდეს აღმზრდელები და გაეცნონ ადრეული და სკოლამდელი განათლების სტანდარტებს, მათ რეალიზაციას, აღზრდის პროგრამის რეალიზაციის სტრატეგიებს საბავშვო ბაღებში, დროსთან ერთად აღმზრდელებიც უნდა ეცნობოდნენ სიახლეებს.“ კვლევამ აჩვენა, რომ აღმზრდელები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ტრენინგსა და პროფესიულ განვითარებას, აკადემიური პერსონალის უწყვეტ განვითარებას და წარმოადგენენ ანგარიშგასაწევ მოსაზრებას პრაქტიკოსი პედაგოგების გამოცდილების ურთიერთგაზიარების, ცოდნის გადაცემის, პროფესიული განვითარების საფეხურების ეტაპების დანერგვის, მეტი პროფესიონალის დასაქმების შესახებ საბავშვო ბაღებში. ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მშობელთა ცნობიერების ამაღლებას ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით.

კვლევის შედეგების ანალიზისთვის მნიშვნელოვანი იყო მონაწილეთა მოსაზრებები და რეკომენდაციები, შეფასებები სისტემის მიმართ.

კვლევის განხორციელების შედეგად გამოვლინდა ძირითადი მიგნებები და ტენდენციები, კერძოდ, სამართლებრივი აქტებისა და სახელმძღვანელო დოკუმენტების ცნობადობის დონის თვალსაზრისით გამოიკვეთა შემდეგი მიმართულებები:

- სკოლამდელ დაწესებულებებში კვალიფიციური კადრის დეფიციტია. პრობლემაა აღმზრდელთა ტრენინგები და გადამზადება, სიახლეების დანერგვა.
- ბავშვის განვითარებისა და სწავლისთვის საჭირო რესურსების სიმწირეა, სათამაშოების, წიგნებისა და სხვა საგანმანათლებლო მასალისთვის ბიუჯეტი მწირია ან არ არსებობს. აუცილებელია ამ რესურსებზე რეალური თანხის განსაზღვრა ბიუჯეტში.
- მშობელთა ჩართულობა ნაკლებია საბავშვო ბაღში ბავშვების აღზრდის პროცესში.
- საბავშვო ბაღებს ხელი არ მიუწვდებათ რესურსებზე ბავშვთა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და მათი განვითარებისთვის შესაბამისი საქმიანობების დასაგეგმად. საგანმანათლებლო/სათამაშო რესურსებისთვის დაფინანსება თითქმის არც არსებობს ან ძალიან დაბალია.
- მნიშვნელოვანი პრობლემაა დაბალი ხელფასები, ასევე მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა და ინვენტარი.

კვლევის შედეგებით გამოვლინდა, რომ საჭირო და აუცილებელია სკოლამდელი დაწესებულებების კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა, პერსონალის უწყვეტი განათლება, გადამზადება, ტრენინგები, სკოლამდელი განათლების სფეროში უმაღლესი განათლების დონეზე როგორც საბაკალავრო, ასევე საგანმანათლებლო ტრენინგ-პროფილის პროგრამებისა

და მოდულების შექმნა. ამ კუთხით მნიშვნელოვანია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა „ადრეული (სკოლამდელი) განათლება“, რომლის ამოქმედებაც ხელს შეუწყობს სკოლამდელი დაწესებულებების კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფას, როგორც ახალი კადრების მომზადებას, ასევე არსებულის პროფესიულ განვითარებას.

მშობელთა ცნობიერების ამაღლებისა და ჩართულობის გაზრდის მიზნით, აუცილებელია მშობლებთან აქტიური კომუნიკაცია. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს მათ მონაწილეობას ბავშვების აღზრდის პროცესში, რაც მოითხოვს სისტემურ მიდგომას. საბავშვო ბაღები უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მეთოდური ლიტერატურის მიხედვით შესაბამისი თვალსაჩინო მასალის მიწოდებით, საგანმანათლებლო, მათ შორის, სათამაშო რესურსებით. მნიშვნელოვანია უკეთესი ფიზიკური და უსაფრთხო ბაღის შექმნა, ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და ახალი ინვენტარით აღჭურვა, დაფინანსების გაზრდა და ღირსეული სახელფასო ანაზღაურება, სისტემის ცენტრალიზება.

ჩვენ მიერ განხორციელებული კვლევის შედეგები ადასტურებს, თუ რა დიდი როლი აკისრია სამართლებრივ აქტებსა და სახელმძღვანელო დოკუმენტებში მოცემული წესებისა და მიდგომების ცოდნას და პრაქტიკულ ამოქმედებას სკოლამდელი დაწესებულებების განვითარებისა და მათი პრობლემების გადაჭრისათვის (აღნიშნული სამართლებრივი აქტები და სახელმძღვანელო დოკუმენტები ლიტერატურაში მითითებული ლინკებით შეიძლება გაიხსნას).

საკვანძო სიტყვები: სკოლამდელი, სამართლებრივი, მზაობა, სტანდარტი, კვლევა, დოკუმენტები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია http://www.parlament.ge/ge/kanonmdebloba.constitutionof.georgia-68
2. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948. http://www.parliament.ge/uploads/other/76/.
3. საქართველოს შრომის კოდექსი https://matsne.gov.ge/ka/document/view/1155567?publication=10
4. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948. http://www.parliament.ge/uploads/other/76/
5. საქართველოს კანონი ბავშვის უფლებათა კოდექსი https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=2.
6. საქართველოს კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ https://matsne.gov.ge/ka/document/view/3615893?publication=0
7. ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტები http://preschooleducation.ge/admin/uploads/1.%20standartebi.pdf
8. სკოლამდელი 2015: სკოლამდელი მზაობის პროგრამა. თამაში სწავლისა და განვითარებისთვის აღმზრდელის სახელმძღვანელო. საპილოტე ვერსია. თბილისი, 2015. shorturl.at/fhMOT
9. ადრეული განათლების კურიკულუმი (I – II ნაწილი) https://elfiles.emis.ge/uploads/55417/%

https://elfiles.emis.ge/uploads/55417/%E1%83%90%

10. ადრეული 2019: ადრეული და სკოლამდელი განათლების ხარისხის სტანდარტის გზამკვლევი. 2019. https://www.unicef.org/georgia/ka/%E1%83%

11. ბასილაძე 2018: ბასილაძე ი. ბალანჩივაძე ი., ბერუჩაშვილი მ. ადრეული განათლების კურიკულუმები და მათი განვითარების, სხვადასხვა ასპექტები, ქუთაისი. 2018 https://library.iliauni.edu.ge/ebooks/

12. მშობლის უფლება მოვალეობები სკოლამდელ დაწესებულებაში. https://advokontu.ge/news/9--.html

13. გარემო, რომელსაც უყვარს ბავშვი https://www.unicef.org/georgia/media/3031/file/garemo-romelsac-uyvars-bavshvi.pdf

Lali Abdaladze - Associate Professor, Shota Meskhia State Teaching University of Zugdidi,
Maia Akhvlediani – Associate Professor, Kutaisi Akaki Tsereteli State University,
Nino Orjonikidze – Associate Professor, Kutaisi Akaki Tsereteli State University

Georgian educational system's legal acts' and manual documentation's issue of notability in Kutaisi's pre-school facilities

Abstract

Aspects of pre-school education occupy an important place in the policy documents of the Georgian education system. Early and pre-school education is the most important stage of a child's development and the main chain of continuous quality education.

The article presents the state standard of early and preschool education. Legislative acts and guidelines in force in Georgia as well as guidelines on early education.

We think that the paper will provide practical assistance to specialists in the field of education and those interested in the issue.

Keywords: preschool, legal, readiness, standard, research, documents.

ლია მენთეშაშვილი
პედაგოგიკის დოქტორი, პროფესორი
ვაჟა გიგაური
პედაგოგიკის დოქტორი,პროფესორი
ნინო ჩახუნაშვილი
თბილისის ივანე ჯავახიშვილის
სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასისტენტ–პროფესორი

საშინაო დავალების ორგანიზაცია და მეთოდიკა

მომავალი თაობის აღზრდა, განათლება, სწავლება რთულ პროცესს წარმოადგენს. მასწავლებელი მას სხვადასხვა ორგანიზაციული ფორმის სახით წარმართავს. სახელდობრ: იგი აწარმოებს მეცადინეობას ან მოსწავლეთა განსაზღვრულ ცალკეულ ჯგუფთან (კლასი) მტკიცედ დადგენილი ცხრილის საფუძველზე (გაკვეთილი), ან შედარებით მოსწავლეთა პატარ–პატარა ჯგუფებთან წინასწარ შემუშავებულ სამუშაო გეგმის საფუძველზე (საწრეო მუშაობა), ანდა ცალკეულ მოსწავლეებთან, რამდენადაც ამის საჭიროებას თვითონ მასწავლებელი დაინახავს (ინდივიდუალური მუშაობა).

სასწავლო მუშაობის აღნიშნულ ფორმათა წარმართვაში მთავარსა და წამყვან როლს მასწავლებელი ასრულებს. იგი ამ მეცადინეობათა ხელმძღვანელი, ცენტრალური ფიგურაა და ცხადია, ამ საქმეში მოპოვებული წარმატებები ძირითადად თვითონ მასწავლებელზეა დამოკიდებული.

სასწავლო მუშაობის ზემოაღნიშნული ფორმების გარდა არსებობს კიდევ მოსწავლეთა მეცადინეობის ერთი ისეთი სახეც, რომელსაც მასწავლებელი ვერ ესწრება. ამ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში გვაქვს საშინაო დავალებაზე მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობა, რომელიც ერთი შეხედვით ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს მასთან მასწავლებელს არავითარი კავშირი არ ჰქონდეს და მთლიანად მოსწავლის ნება–სურვილით წარიმართებოდეს. სინამდვილეში კი მოსწავლე მაწავლებლის ხელმძღვანელობას გრძნობს არა მარტო კლასში, გაკვეთილზე ან საწრეო მუშაობის დროს, არამედ მაშინაც, როცა იგი მასწავლებლის მიერ მიცემული დავალების მოსამზადებლად მუშაობს. მათალია, ამ უკანასკნელ შემთხვევაში მასთან არაა მასწავლებელი და ამდენად მის უშუალო მეთვალყურეობას და მითითებებს მოწაფე მოკლებულია, მაგრამ იგი დავალებას აქაც მასწავლებლის მიერ მიცემული დარიგების საფუძველზე ასრულებს. მასწავლებლის მიერ კლასში მიცემული მითითება–დარიგება წარმოადგენს იმ ბაზისს, რაზედაც მოსწავლე ეყრდნობა საშინაო დავალებების დამოუკიდებლად შესრულებას.

აღსანიშნავია ისიც, რომ მოსწავლის წარმატება საშინაო დავალების მომზადების საქმეში მნიშვნელოვნად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იქნება მასწავლებლის მიერ შერჩეული ეს დავალება და რა სახით იქნება მიცემული ის გაკვეთილზე.

ცნობილია, რომ მასწავლებელი გაკვეთილის დამთავრებამდე მოსწავლეებს აძლევს ისეთ სხვადასხვა სახის დავალებას, როგორიცაა: ლექსების ზეპირად დასწავლა, ტექსტზე მუშაობა, გამოჩენილ მოღვაწეთა ბიოგრაფიების შესწავლა, ამოცანების ამოხსნა, წინადადებების გარჩევა მორფოლოგიურად ან სინტაქსურად, კონტურული რუკების გაკეთება, დიაგრამების შედგენა,

ცალკეული პარაგრაფების შესწავლა და სხვ. ყოველი ასეთი დავალება საშინაო დავალებად ითვლება. მოსწავლეები მიიღებენ რა რომელიმე მათგანს, ვალდებულნი არიან შეასრულონ. მაწსავლებელი კი შემდეგ გაკვეთილებზე ახდენს იმის შემოწმებას, თუ როგორაა შესრულებული ეს დავალება. შეიძლება გაჩნდეს კითხვები: რა მნიშვნელობა აქვს მოსწავლეებისათვის ზემოთ აღნიშნული ტიპის დავალებების მიცემას მოსწავლეებისათვის? რა დანიშნულებას ასრულებს იგი? როგორია მისი სასწავლო–სააღმზრდელო ღირებულება?

თუ საშინაო დავალება სწორად არის შერჩეული, თუ ის მოსწავლეებს მიეცათ შესაფერისი მეთოდიკით, რომ მისი შესრულება უზრუნველყოფილია, ასეთი საშინაო დავალება უდიდესი სასწავლო–სააღმზრდელო მნიშვნელობის მქონეა. საშინაო დავალების მთავარი დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ ის ხელს უწყობს იმ მასალის მტკიცედ ათვისებას, რომელიც გაკვეთილებზე დამუშავდა. ცოდნის განმტკიცება პირველ რიგში ვარჯიშის საშუალებით ხორციელდება, მაგრამ გაკვეთილზე არაა იმდენი დრო, რომ მოსწავლეები საკმაოდ ვავარჯიშოთ სათანადოდ ამოცანების ამოხსნაზე, მაგალითების გამოყვანაზე, კითხვაზე, წერაზე და სხვ. სამაგიეროდ შინ ამის შესაძლებლობა მათ გააჩნიათ. საშინაო დავალების სახით მოსწავლეებს ეძლევათ სხვადასხვა სავარჯიშოები და ამ უკანასკნელთა შესრულება კი ხელს უწყობს გაკვეთილზე მიღებული ცოდნის განმტკიცებას და მოწაფეთა გონებრივი ჰორიზონტის გაფართოებას.

საშინაო დავალება სრულიად მართებულად ითვლება სისტემატური მეცნიერული ცოდნის შეთვისების ერთ–ერთ უმნიშვნელოვანეს პირობად. იმისათვის, რომ მოსწავლეებმა შეავსონ ის მეცნიერული ცოდნა, რასაც ისინი გაკვეთილებზე იღებენ, მათ უხდებათ ძირითად სასწავლო ლიტერატურასთან ერთად მთელი რიგი დამატებითი ლიტერატურის გაცნობა და შესწავლა განსაკუთრებით მაღალ კლასებში. მოსწავლე ვერც შესძლებდა შეეთვისებინა ის, რაც კაცობრიობას ცოდნის სახით დაუგროვებია, რომ მას ენერგიულად არ ემუშავა არა მარტო გაკვეთილებზე, არამედ მის გარეშეც, შინ, სადაც მთელი რიგი დამატებითი ლიტერატურის გაცნობა ხდება.

საშინაო დავალება ხელს უწყობს სკოლაში მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების ჩვევის განვითარებას. სკოლის მიზანია მოსწავლეებს მიეცეთ არა მხოლოდ ფორმალური ცოდნა, არამედ ცოდნა ღრმად გააზრებული, რომლის გამოყენებასაც შესძლებენ ისინი ყველგან და ყოველი საჭიროების დროს.

საშინაო დავალების შესრულება გულისხმობს მოსწავლის გარკვეულ რეჟიმში მოქცევას. ეს იმას ნიშნავს, რომ მან ხელი უნდა აიღოს ზოგიერთ საკუთარ სურვილზე. აუცილებელია შეამციროს თამაშისთვის დრო და თავი დაანებოს ზედმეტ „უსაქმურობას“.

საშინაო დავალების ერთ–ერთი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ის ხელს უწყობს მოსწავლეში დისციპლინის აღზრდას და თვითკონტროლის უნარის განვითარებას. საშინაო დავალების მნიშვნელობა იმაშიც მდგომარეობს, რომ ის ავითარებს მთელ რიგ ფსიქიკურ ფუნქციებს. დავალების შესრულება მოქმედებს ნებისყოფაზე, იწვევს მის განმტკიცებას, დავალებათა შესრულება ავითარებს ყურადღებას, აზროვნებას და მეხსიერებას. დავალებათა შესრულების პროცესში ყალიბდება აგრეთვე მოსწავლეთა ინტერესები. საშინაო დავალების ერთ–ერთი უდიდესი მნიშვნელობა იმაშია, რომ მისი შესრულება მოითხოვს მოსწავლისაგან დამოუკიდებელი მუშაობის უნარს და, მაშასადამე აიძულებას მას, რომ მიეჩვიოს სამუშაოების დამოუკიდებლად შესრულებას.

საკითხი ისმის, როგორ უნდა შეირჩეს საშინაო დავალებანი? საჭიროა მისი რაიმე თვალსაზრისით შერჩევა თუ სულ ერთია რანაირ დავალებასაც მივცემთ მოსწავლეს?

ცხადია, მოსწავლეებისათვის ყოველი სამუშაო არ გადმოდგება დავალების მისაცემად. საშინაო დავალებასა და კლასში ახსნილ მასალას შორის აუცილებელია ორგანული კავშირი არსებობდეს.

საშინაო დავალებათა შერჩევა შემდეგი პრინციპების საფუძველზე უნდა მოხდეს:

საშინაო დავალების მისაცემად ისეთი მასალა უნდა შეირჩეს, რომლის ათვისება ან შესრულება ხელს შეუწყობს კლასში გაკვეთილზე ახსნილი მასალისაგან მიღებული ცოდნა–ჩვევის გაფართოებას.

დავალება აგრეთვე უნდა შეირჩეს მოსწავლის შესაძლებლობის გათვალისწინებით. ეს იმას ნიშნავს, რომ მოსწავლეს არ უნდა მივცეთ ისეთი დავალება, რომლის შესრულება მის ძალღონეს აღემატება. რთული სახის დავალება იწვევს მისი შესრულებისადმი ყოველგვარი ხალისის დაკარგვას და მოსწავლის გაზარმაცებას. მეორე მხრივ, არც ისეთი დავალებაა მისაღები, რომელიც ადვილი შესასრულებელია და რომელიც მოსწავლეში არავითარ ძალისხმევას არ გამოიწვევს. ასეთი დავალებაც მოსწავლეს უკარგავს მისი შესრულების ინტერესს და საერთოდ მუშაობის ხალისსაც.

მოსწავლისათვის საშინაო დავალების შერჩევა ნიშნავს, მივცეთ მას ისეთი დავალება, რომელიც მის მზაობაში მყოფ ძალებს აამოქმედებს და გამოიწვევს მისი ცოდნის გაფართოებას და ძალების განვითარებას.

საშინაო დავალების სწორი ორგანიზაცია გულისხმობს დავალების ისე მიცემას, რომ იგი სრულიად გასაგები იყოს მოსწავლეებისათვის. ამისათვის კი საჭიროა ზუსტად გამოვიყენოთ დავალების მიცემის დრო გაკვეთილის ბოლო წუთებში (2–5 წუთი).

მე–19 საუკუნის სკოლების პრაქტიკაში გავრცელებული იყო საშინაო დავალების მიცემის ისეთი წესი, როცა მასწავლებელი მოსწავლეებს არ უხსნიდა დავალების შესრულების ხერხებს. მასწავლებელი კმაყოფილდებოდა მხოლოდ დავალების მასალაზე მითითებით. მაგრამ მოსწავლეს, რომ არ ავუხსნათ საშინაო დავალების შესრულების აუცილებელი წესები და ხერხები, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი დატოვო საკუთარი შესაძლებლობის ამარა. საკითხავია, ასეთ გარემოებაში შესძლებს კი მოსწავლე ნაყოფიერ დამოუკიდებელ მუშაობას? აღსანიშნავია, რომ მოსწავლის ისეთი დამოუკიდებელი მუშაობა, რომელიც მასწავლებლის უშუალო ხელ-მძღვანელობისა და ზედამხედველობის გარეშე, ან წინასწარი მითითებების გარეშე სრულდება, მეტად დაბალი სასწავლო–საგანმანათლებლო მნიშვნელობის მქონეა.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მოსწავლეს არ გააჩნია საკმაო ცოდნა და უნარი იმისა, რომ მან საშინაო დავალებაში გაარჩიოს ძირითადი, მნიშვნელოვანი არა არსებითისა და უმნიშ-ვნელოსაგან. ამიტომ მოსალოდნელია, რომ მან ძირითადსა და არსებითი მნიშვნელობის მქონეს არავითარი ყურადღება არ მიაქციოს და უმნიშვნელოზე განსაკუთრებით შეჩერდეს. ასეთი დამოუკიდებელი მუშაობა, ცხადია სასწავლო–სააღმზრდელო მნიშვნელობას მოკლებული იქნება.

მიცემული საშინაო დავალება მოსწავლემ უნდა შეასრულოს დამოუკიდებლად მასწავ-ლებლის დახმარების გარეშე. აქედან გასაგებია, რომ მოსწავლეს დავალების შესრულებაში წარმატება მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება, თუ მას წინასწარ მაინც მივუთითებთ იმ გზებსა და ხერხებზე, რომლებიც საშინაო დავალების შესრულებისას გამოდგება. ვინ უნდა უჩვენოს

დავალების შესრულების გზები და ხერხები? ცხადია, მასწავლებელმა. მან დავალების მიცემასთან ერთად მოსწავლეებს მისი შესრულების გზებზეც უნდა მიუთითოს. უამისოდ მოსწავლეები რთული სახის ვერც ერთ საშინაო დავალებას ვერ შეასრულებენ, ხოლო მარტივი სახის დავალებათა შესრულებასაც ძლიერ დიდ დროს მოანდომებენ.

საშინაო დავალების შესრულებას, ცხადია, ყველა მოსწავლე ერთნაირი წესებით არ აწარმოებს, ისინი სხვადასხვა ხერხს მიმართავენ ამა თუ იმ დავალების შესრულების დროს. მაგრამ ამის მიუხედავად შეუძლებელია უარი ვთქვათ დავალების შესრულების სწორი გზის ჩვენებაზე. პირიქით, მოსწავლეებმა დავალების მიღებასთან ერთად მასწავლებლისგან უნდა გაიგონ როგორ წაიკითხონ წიგნიდან მოთხრობა, ან ლექსი, როგორ ამოხსნან ამოცანები, როგორ შეადგინონ კონსპექტები, რა წესები დასჭირდებათ მაგალითების გამოსაყვანად და სხვ.

გამოცდილი მასწავლებლები წინასწარ ითვალისწინებენ ყოველი დავალების სიძნელეს და ამისდა მიხედვით აძლევენ მოსწავლეებს რჩევა–დარიგებას: რა დასჭირდებათ, დავალების შესრულებისას, რა უნდა გამოიყენონ, როგორ უნდა გამოიყენონ, რას უნდა მიაქციონ ძირითადად ყურადღება და სხვ.

მოსწავლემ რომ საშინაო დავალება კარგად შეასრულოს, ცხადია, მას სახლში სათანადო მეცადინეობა დასჭირდება. მაგრამ საკითხავია: როდის იმეცადინოს? არის თუ არა საჭირო ამისათვის გარკვეული რეჟიმის შექმნა?

ყოველი სამუშაოს შესრულებისათვის საჭიროა რეჟიმი; სახლში მეცადინეობისთვისაც განსაკუთრებული წესების დაცვა აუცილებელია. სამწუხაროდ, ჩვენი მოსწავლეების მნიშვნელოვან ნაწილს არა აქვს შემუშავებული სახლში მუშაობის განსაზღვრული რეჟიმი და ამიტომ დავალებების შესრულებისათვის ხანდახან დროსაც კი ვერ პოულობენ. გარდა ამისა, ბევრმა მათგანმა არ იცის როდის იმუშაოს დავალების შესასრულებლად და როგორ. ზოგიერთი მოსწავლე როგორც კი ისადილებს, მაშინვე იწყებს გაკვეთილების მომზადებას; ზოგი სულ არ ჰკიდებს ხელს გაკვეთილებს, ვიდრე თამაშით არ მოიქანცება, ზოგიც ადვილ დავალებებს შეასრულებს, რთულს თავს ანებებს და სხვ. ვინ უნდა მისცეს რჩევა–დარიგება მოწაფეებს დავალების შესრულების რეჟიმის შესახებ თუ არა ისევ მასწავლებელმა.

დროდადრო მასწავლებელი უნდა მოაგონებდეს მოსწავლეებს, რომ საჭიროა განსაზღვრული დროის გამოყოფა გაკვეთილებისა და საერთოდ საშინაო დავალებების მოსამზადებლად. საშინაო დავალებებზე მუშაობა ყოველთვის უნდა ხდებოდეს გამოყოფილ საათებში.

მოსწავლეებს ისიც კი უნდა ვასწავლოთ, რომ სადილის შემდეგ აუცილებლად დაისვენონ. ამასთან ისინი უნდა შეეჩვივნენ მეცადინეობის დროს ყოველი 45 წუთის შემდეგ 10 წუთიანი დასვენების მოწყობას. ამის გარეშე მოწაფეები გადაიქანცებიან და მეცადინეობის უნარსაც დაკარგავენ.

მოსწავლეები საშინაო დავალებას უნდა ასრულებდნენ იმავე დღეს რა დღესაც მათ დავალება მიეცათ. უნდა განვუმარტოთ მათ, რომ დავალების იმ დღესვე შესრულება ხელსაყრელი და სასარგებლოა თვითონ მათთვის. ეს სარგებლიანობა გამოიხატება, ჯერ ერთი, იმაში, რომ დავალების მიღების პირველ დღეს მოსწავლეებს კარგად ახსოვთ მისი შინაარსი, არაფერი დავიწყებიათ მისგან და ამიტომ კარგად დამახსოვრებულ დავალებასაც კარგად შეასრულებენ. მეორეც, გადადებული დავალების შესრულება უფრო ძნელი ხდება. საშინაო დავალების პირველ დღესვე შესრულება საშუალებას აძლევს მოსწავლეს შემდეგ კვლავ გაიმეორონ და ამით განამტკიცონ ის ცოდნა, რაც მათ დავალების შესრულებით მიიღეს. ეს

გარემოებაც იმაზე მიგვითითებს, რომ საშინაო დავალების პირველ დღესვე შესრულება საერთოდ მრავალმხრივ ხელსაყრელია.

ზოგიერთი მოსწავლე პირველ რიგში იმ საშინაო დავალებების შესრულებით იწყებს მუშაობას, რომლებიც მას ძნელად წარმოუდგენია. მაგრამ არიან ისეთი მოსწავლეებიც, რომლებიც მუშაობას იწყებენ ე.წ. „ადვილი“ საშინაო დავალებების შესრულებით. სამწუხაროდ, ასეთი მოსწავლეები ძალიან ხშირად, მართლაც მხოლოდ მარტივ, ადვილ დავალებებს ასრულებენ და რთულს კი შეუსრულებელს სტოვებენ, ან ბოლოს ასრულებენ შეძლებისდაგვარად.

აუცილებელია მოსწავლეები თავიდანვე სათანადო ახსნა–განმარტებით მივაჩვიოთ პირველ რიგში რთული და ძნელი სამუშაოების შესრულებას. შემდეგ კი მარტივს უნდა მოჰკიდონ ხელი. მოსწავლეებს აგრეთვე უნდა ავუხსნათ, რომ საშინაო დავალებებიდან პირველ რიგში წერითი სამუშაოები შეასრულონ და შემდეგ ზეპირი. მაგრამ, თუ მათ რომელიმე სასწავლო დისციპლინაში ერთსა და იმავე დროს დავალებად წერითი სამუშაოც აქვთ და ზეპირიც, მაშინ უკეთესია ჯერ მთლიანად დავალება ამ დისციპლინაში შეასრულონ და შემდეგ შეუდგნენ სხვა დავალებების შესრულებას, თუგინდ იგი წერითი სახის იყოს.

საჭიროა, აგრეთვე, მოსწავლეებში შევიმუშაოთ თვითშემოწმების ანუ თვითკონტროლის უნარი მტკიცე საფუძვლიანი ცოდნის შეძენისათვის. არ კმარა მარტო შესასწავლი მასალის მრავალჯერ წაკითხვა, ან მრავალჯერ გამეორება. აუცილებელია ყოველი წაკითხულის გააზრება და გაცნობიერება. მოსწავლე უნდა მიეჩვიოს წაკითხულის თავისთვის მოყოლას. მას უნდა შეეძლოს გააზრება იმისა, რაც იცის და რაც არ იცის. მხოლოდ ასეთი თვითკონტროლის საფუძველზეა შესაძლებელი საშინაო დავალების მომზადება და საზოგადოდ ყოველგვარი მტკიცე ცოდნის შეძენა. აი რატომ არის საჭირო, დავალების მიცემის დროს მოსწავლეებს გავახსენოთ, რომ სანამ ისინი კლასში მოვიდოდნენ და აქ მოჰყვებოდნენ გაკვეთილს, მანამდე თვითონ შეამოწმონ მოყოლით, თუ რამდენად აქვთ შესწავლილი მასალა.

როცა მოსწავლეებს საშინაო დავალების გზებსა და ხერხებს გავაცნობთ, ცხადია, მათი ინდივიდუალური თავისებურებანიც უნდა გავითვალისწინოთ. მასწავლებელი კარგად უნდა იცნობდეს თავის აღსაზრდელებს, იცოდეს რომელ მოსწავლეს რა ტიპის ყურადღება, მეხსიერება გააჩნია და ამის მიხედვით ურჩევდეს როგორ დაისწავლოს მასალა, უფრო მეტად ხმამაღლა იკითხოს, უფრო მეტად წეროს, თუ ორივე ამ მოქმედებას თანაბრად ასრულებდეს. მოკლედ, მასწავლებელი, საშინაო დავალების ახსნის დროსაც მოწაფეებს ინდივიდუალურად უნდა მიუდგეს.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ მოსწავლეები ვერ შეგვისრულებენ საშინაო დავალებას, თუ მათ არ ვასწავლეთ წიგნზე მუშაობა. მასწავლებელი ვალდებულია ყოველნაირად შეაჩვიოს ბავშვები სახელმძღვანელოზე, საერთოდ წიგნზე მუშაობას. მართალია, არ არსებობს წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის ერთი შეუცვლელი წესი, მაგრამ მოგვეპოვება წიგნის კითხვის, მისი გამოყენებისა და მასზე მუშაობის ზოგადი პრინციპები. ეს პრინციპები აუცილებელია შევასწავლოთ მოსწავლეებს და ამით უნდა იხელმძღვანელონ ყველა საჭირო შემთხვევაში. წიგნი საშინაო დავალების შესრულებაში უდიდესი დამხმარე საშუალებას წარმოადგენს და, ცხადია, მისი გამოყენების პრინციპებს მოსწავლეები ძალიან კარგად უნდა იცნობდნენ.

მოსწავლეებს უნდა ავუხსნათ აგრეთვე, რომ წიგნის კითხვა და ამით წაკითხულში გარკვევა ადვილი არაა ყოველთვის და ამიტომ, შეიძლება ერთისა და იმავე წიგნის რამდენჯერმე წაკითხვა მოუხდეთ.

შეიძლება დაისვას საკითხი: ყველა სასწავლო დისციპლინიდან უნდა ეძლეოდეს მოსწავლეებს საშინაო დავალება თუ ე.წ. „ძირითად საგნებში“?

საშინაო დავალების მიცემა აუცილებელია ყველა სასწავლო დისციპლინაში. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყველა სასწავლო დისციპლინა ერთნაირად არ მოითხოვს საშინაო დავალებების შესრულებას. ისეთი საგნები, როგორიცაა ენა, მათემატიკა და სხვ., ფართოდ საჭიროებს საშინაო დავალებებს, ხოლო სხვა საგნებში ასეთი საჭიროება ნაკლებია. მათემატიკური საგნებისა და ენების შესწავლას უფრო მეტი ვარჯიში სჭირდება. ამიტომ გასაგებია, რომ ყველაზე მეტ დავალებებს მოსწავლეები სწორედ ამ საგნებში იღებენ და დამოუკიდებელი მუშაობის დიდ ნაწილსაც მის შესრულებას ანდომებენ.

საშინაო დავალება არა მარტო ყველა საგანში უნდა ეძლეოდეთ მოსწავლეებს, არამედ ყველა გაკვეთილზეც, თუ, რა თქმა უნდა, ერთ საგანში ერთსა და იმავე დღეს ორი გაკვეთილი არაა ცხრილით გათვალისწინებული. ასეთ შემთხვევაში მოსწავლეებს, მხოლოდ ერთ გაკვეთილზე მიეცემათ საშინაო დავალება.

საშინაო დავალების მიცემიდან კლასის არც ერთი მოსწავლე არ თავისუფლდება. თვით პირველ კლასშიც შესაძლებელია ისეთი მარტივი სახის დავალებათა მიცემა, რომელთაც მოსწავლეები სახლებში ხალისით შეასრულებენ. ცხადია, რაც უფრო მაღალი კლასის მოსწავლეებთან გვექნება საქმე, მით უფრო რთული დავალებები უნდა მიეცეთ.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ საშინაო დავალება მოსწავლეებს ყველა სასწავლო დისციპლინაში უნდა ეძლეოდეთ. ეს დავალებები ერთნაირი არაა, პირიქით ისინი ურთიერთისაგან მთელი რიგი თავისებურებებით განსხვავდებიან. განსაკუთრებით დიდი განსხვავებაა საშინაო წერით დავალებებსა და ზეპირ დავალებებს შორის. მაგრამ ამის მიუხედავად საჭიროა მოსწავლეებს ორივე სახის დავალებებს ვაძლევდეთ.

მაგრამ დგება საკითხი, რამდენი საათის სამუშაოს უნდა შეიცავდეს ასეთი დავალებანი? როგორი უნდა იყოს, თუ შეიძლება ასე ითქვას, დავალების დოზა?

მიუხედავად იმისა, რომ საშინაო დავალების დოზირების საკითხი ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესია, მაინც ამ საკითხს, ზოგჯერ სათანადო ყურადღებას არ აქცევენ. ცოტა როდია ისეთი შემთხვევები, როდესაც მოსწავლეები, კვირის ცალკეულ დღეებში ძლიერ გადატვირთულები არიან საშინაო დავალებებით, ხოლო ზოგიერთ დღეებში კი, ან სრულიად თავისუფალნი არიან, ან შედარებით ნაკლებად დატვირთულნი. მთელი კვირის დღეებზე დავალებათა თანაბრად განაწილების საკითხი რთულია, მაგრამ მისი მოგვარება მაინც შეიძლება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რთულია არა მარტო საშინაო დავალების სასწავლო დღეებზე განაწილების საკითხი, არამედ ისიც, თუ რა ხანგრძლივობის სამუშაო უნდა ეძლეოდეს მოსწავლეს დღეში დავალების სახით. საშინაო დავალების ორგანიზაციის ერთ–ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ის, თუ რომელ საგანს რამდენი დრო უნდა დაეთმოს საშინაო დავალებათა შესასრულებლად.

საშინაო დავალების არასწორი ორგანიზაცია მჭიდროდ არის დაკავშირებული მოსწავლეთა ჩამორჩენილობასთან და ხშირად ამ უკანასკნელის მიზეზს წარმოადგენს. მოსწავლემ თუ მიიღო ისეთი დავალება, რომელიც კარგად ვერ გაიგო, ანდა მასწავლებელმა ვერ მისცა დავალების შესრულების სათანადო მითითება, ცხადია, ასეთ შემთხვევებში მოსწავლე დავალებას ვერ ასრულებს და თანდათანობით იგი იწყებს ჩამორჩენას.

მაგრამ არსებობს დავალების შეუსრულებლობის სხვა მიზეზებიც. მათგან ერთ–ერთ მნიშვნელოვანს წარმოადგენს შეუმოწმებლობა მასწავლებლის მიერ. ასეთ შემთხვევაში მოსწავლე ფიქრობს: სულ ერთია ვისწავლი, თუ არ ვისწავლი, მასწავლებელი მაინც არ ამოწმებს

ჩემს ცოდნასო. რა თქმა უნდა, სულ ერთი არაა, მაგრამ მოსწავლე ამის გამო არასასურველ გზას ირჩევს, იგი ხელს იღებს დავალებათა შესრულებაზე და თანდათან ჩამორჩენილი ხდება. აქედან ნათელია, რომ დავალებათა შესრულების სისტემატური შემოწმება და ამ უკანასკნელის სწორი ორგანიზაცია ჩამორჩენილობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიებაა.

დავალების შესრულების შემოწმების მნიშვნელობა კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ ამით ირკვევა მისი შეუსრულებლობის მიზეზებიც. თვითონ მოსწავლეები დავალების შეუსრულებლობის მიზეზებად ასახელებენ: „ვერ ვიპოვე დავალება სახელმძღვანელოში“, „ვერ მოვასწარი, რომ რამდენიმეჯერ წამეკითხა“, „არ მეცალა, სხვა საქმეები მქონდა“, „ვერ გავიგე, რა უნდა გამეკეთებინა“, „ძნელი იყო და არც ვინმე დამეხმარა, როგორ გავაკეთებდი“, „მასწავლებელმა არ გვითხრა როგორ შეგვესრულებინა დავალება და მეც რა ვიცი“ და სხვ. ყოველივე ეს ანგარიშგასაწევია და მიგვითითებს იმაზე, რომ დავალების შეუსრულებლობის მრავალგვარი მიზეზი არსებობს. მათგან ჩვენ მაინც ძირითადად მიგვაჩნია: 1. დავალების შინაარსის გაუგებრობა; 2. დავალების შეუსრულებლობისათვის საჭირო ძალების უქონლობა (შეუფერებელი დავალება); 3. ოჯახის წევრთა უყურადღებობა მოსწავლის მიერ დავალების შეუსრულებლობისადმი; 4. მოსწავლის სიზარმაცე; 5. დავალების შესრულების სისტემური შეუმოწმებლობა და 6. დავალების შესრულების ჩვევის უქონლობა.

შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ მოსწავლეს არ უნდა მივცეთ ისეთი საშინაო დავალება, რომლის შესრულების შემოწმებასაც არ მოვახდენთ. დავალების შესრულების შეუმოწმებლობა მოსწავლეში უპასუხისმგებლობის გრძნობას ავითარებს და ამიტომ საჭიროა, რომ ასეთი შემოწმება სისტემატურად ვაწარმოოთ.

გამოცდილ მასწავლებლებს ისე აქვთ დაყენებული დავალების შესრულების შემოწმება, რომ მათ ამისთვის ძლიერ უმნიშვნელო დრო სჭირდებათ. საშინაო დავალების შესრულების შემოწმებამ ნათელი უნდა გახადოს პირველ რიგში ის გარემოება, თუ როგორ შეუსრულებია დავალება მთლიანად მთელ კლასს. რამდენად მტკიცედ აქვთ ათვისებული დავალების სახით მიცემული მასალა; დავალების რომელიმე ნაწილი სუსტად ხომ არაა შესრულებული და ამის გამო ხელმეორედ ახსნას ხომ არ მოითხოვს და სხვ. შემოწმებამ უნდა გამოამჟღავნოს აგრეთვე თითოეული მოსწავლის მუშაობაც – როგორ უმუშავიათ მათ დავალების შესასრულებლად, ესმით თუ არა შეგნებულად ის მასალა, რაც დავალების სახით ჰქონდათ, გააზრებულია მოსწავლეთა ცოდნა, თუ უბრალოდ გაზეპირებული და სხვ.

შემოწმების დროსვე უნდა გამომჟღავნდეს მოსწავლის მუშაობის ხასიათიც. სახელდობრ: თვითონ შეუსრულებია დავალება დამოუკიდებელი მუშაობით, თუ დახმარებიან მას ოჯახის წევრები, როგორი ყოფილა ეს დახმარება. ხომ არ ჰქონია ადგილი დავალების მთლიანად შესრულებას ოჯახის წევრთა მიერ და სხვ. მოკლედ, შემოწმებამ უნდა მისცეს მასწავლებელს ნათელი სურათი იმისა, თუ როგორ იქნა შესრულებული დავალება მთელი კლასისა და ცალკე მოსწავლეთა მიერ და რა ნაკლს ჰქონდა ადგილი დავალების შესრულების პროცესში.

აღსანიშნავა, რომ საშინაო დავალების შესრულების შემოწმებას ახდენენ გაკვეთილის დასაწყისში, გაკვეთილის შესავალ ნაწილში. როგორი ფორმებით უნდა მოხდეს საშინაო დავალების შესრულების შემოწმება, ეს პირველ რიგში დაკავშირებულია თვითონ დავალების ხასიათთან. თუ ის წერითი სახისაა, მისი შესრულების შესამოწმებლად შეიძლება გამოვიყენოთ შემოწმების როგორც კოლექტიური, ასევე ინდივიდუალური ხერხი (სახეები).

დავალების შემოწმების კოლექტიურ სახეში ჩვენ ვგულისხმობთ შემდეგი ფორმით შემოწმებას. მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს განკარგულებას ამოიღონ რვეულები, რომლებშიც წერითი დავალება აქვთ შესრულებული. შემდეგ ერთ მოსწავლეს სთხოვს წაიკითხოს დავალების ერთი ნაწილი (მაგალითად, პირველი ამოცანა, ან მაგალითი, ნაწერის პირველი თავი და სხვ.), ხოლო დანარჩენ მოსწავლეებს კი ეძლევათ გაფრთხილება თვალ–ყური ადევნონ თავიანთ რვეულებში შესრულებულ ნამუშევრებს. მასწავლებელი გზადაგზა სვამს კითხვებს: ვის აქვს სხვანაირად შესრულებული სამუშაო? ვის არა აქვს ასე დაწერილი, ან ასე გამოყვანილი და სხვა შეცდომები, რომლებიც ცალკეულ მოსწავლეთა ნამუშევრებში იქნება გამომჟღავნებული მაშინვე სწორდება და მხოლოდ ამის შემდეგ გრძელდება შემოწმების პროცესი. როცა დავალების ერთი ნაწილი ამრიგად შემოწმებული იქნება, შემდეგ მასწავლებელი სხვა მოსწავლეს ავალებს მეორე ნაწილის კითხვას. შემდეგ ნაწილს კიდევ მესამე მოსწავლე კითხულობს და ა.შ. ამასთან მთელი დავალება მოწმდება ისე, რომ ერთსა და იმავე დროს ხდება დავალების შესრულებაში დაშვებული შეცდომების გასწორება (ჩემი სკოლაში მუშაობის პერიოდში ამ მეთოდით ვამოწმებდი საშინაო დავალებას - ლ. მენთეშაშვილი).

ჩვეულებრივ პედაგოგიურ პრაქტიკაში წერითი დავალებების შესრულების შემოწმებისათვის ზოგიერთი მასწავლებელი ორივე ზემოაღნიშნულ ხერხს ერთდროულად იყენებს. ეს აუცილებელიც არის, თუ ჩვენ ნამდვილად გვსურს ზუსტი წარმოდგენა მივიღოთ არა მარტო იმაზე, თუ საერთოდ როგორ იქნა შესრულებული დავალება, არამედ იმაზედაც, თუ როგორ შეასრულა თითოეულმა მოსწავლემ ეს დავალება. კოლექტიური შემოწმება დავალების საერთო შესრულების სურათს იძლევა, ხოლო ინდივიდუალური – თითოეული მოსწავლის წარმატებას. ამიტომ საჭიროა, რომ წერითი დავალებების შესრულების შემოწმებისათვის ვიყენებდეთ ერთდროულად როგორც კოლექტიური, ისე ინდივიდუალური შემოწმების ფორმებს.

ზეპირი დავალების შესრულების შემოწმების ფორმა გამოკითხვაა. გამოკითხვა შესაძლებელია ვაწარმოოთ წინასწარ მოფიქრებულ კითხვებზე პასუხის გაცემის მოთხოვნით ე.წ. კითხვა–პასუხის მეთოდით და, შესაძლებელია, ცალკეულ მოსწავლეებს დავავალოთ შესრულებული დავალების მოყოლა.

ზეპირი დავალებების კითხვა–პასუხის მეთოდით შემოწმება შემდეგი სახით მიმდინარეობს: მასწავლებელი წინასწარ მოფიქრებულ კითხვებს ცალ–ცალკე სვამს მთელი კლასის წინაშე და მოითხოვს ყველა მოსწავლისაგან ამ კითხვებზე პასუხთა მოფიქრებას. შემდეგ თითოეულ საკითხზე მასწავლებელი ღებულობს პასუხებს ცალკეული მოსწავლეებისაგან. კითხვა–პასუხში მთელი კლასი უნდა იღებდეს მონაწილეობას. ეს იმას ნიშნავს, რომ მასწავლებელი უნდა თხოულობდეს პასუხებს არა მარტო იმ მოსწავლეებისაგან, რომლებიც ძალიან აქტიურობენ და ამით მასწავლებელს გამოკითხვის სურვილს უმჟღავნებენ, არამედ იმათგანაც, რომელნიც პასუხის გაცემისაგან თავს იკავებენ.

პედაგოგიურ პრაქტიკაში ძლიერ ფართოდ არის გამოყენებული აგრეთვე ზეპირი დავალების შესრულების შემოწმება ინდივიდუალური მოყოლის სახით. მასწავლებლის მიერ ცალკე გამოძახებული მოსწავლე ჰყვება საშინაო დავალების შინაარსს და ამით მოწმდება, თუ როგორ შეუსრულებია მას დავალება.

საკმაო წარმოდგენა რომ მივიღოთ კლასის მიერ დავალების შესრულებაზე, საჭიროა გამოკითხულ იქნეს არა ნაკლებ 3–5 მოსწავლისა. 3–5 მოსწავლის შემოწმებით ჩვენ შეგვეძლება დაახლოებით მაინც ვიქონიოთ წარმოდგენა იმაზე, თუ როგორ შეუსრულებია მასწავლებლის მიერ მოცემული დავალება მთელ კლასს.

რადგან მოსწავლე საშინაო დავალებას ოჯახში ასრულებს, ამიტომ ოჯახის გარემოების საკითხს ჩვენ გვერდს ვერ ავუვლით. მუშაობის როგორი პირობები აქვს მოსწავლეს ოჯახში? აი ძირითადი და მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც საშინაო დავალების მომზადებასთან არის დაკავშირებული.

მშობლების მოვალეობა, რასაც ამ შემთხვევაში ხაზი უნდა გაესვას, მდგომარეობს იმაში, რომ ისინი გაცნობილნი უნდა იყვნენ იმას, თუ რა საგნებს სწავლობენ მათი შვილები, რა გაკვეთილები აქვთ ყოველდღე და რა დავალებებით ბრუნდებიან სახლში. აი, რაც პირველ რიგში ყველა მშობელმა უნდა იცოდეს, თუ მათ სურთ გარკვეული დახმარება გაუწიონ სკოლას იმ დავალებათა შესრულებაში, რაც მათმა შვილებმა მიიღეს სხვადასხვა საგანში.

ბუნებრივად დგება საკითხი, როგორი უნდა იყოს კონკრეტულად სკოლისა და ოჯახის ურთიერთობა საშინაო დავალების შესრულების თვალსაზრისით? რა სახის პირობებს უნდა ქმნიდეს ოჯახი თავისი შვილისათვის, რომ მან სკოლაში მიღებული დავალება წარმატებით შეასრულოს? როგორი დახმარების გაწევა შეუძლია ოჯახს დავალების შესრულებაში?

იმისათვის, რომ მოსწავლემ სასკოლო დავალება შეასრულოს, ცხადია, მას სჭირდება პირველ რიგში სახელმძღვანელოები. სახელმძღვანელოების უქონლობა განსაკუთრებით მოქმედებს მოსწავლეზე და იწვევს მის ნერვიულობას.

გარდა სახელმძღვანელოებისა, მოსწავლეს სჭირდება აგრეთვე ისეთი „წვრილმანი“ სასწავლო ნივთები, როგორიცაა რვეულები, ფანქრები, კალმები, საშლელი და სხვ. ყველამ იცის, რომ ზოგიერთი მოსწავლე თავის სიზარმაცეს თუ დავალების შეუსრულებლობას ხანდახან იმით ხსნის, რომ მას კალამი არ ჰქონდა და ა.შ. ასეთი „ახსნანი“ შეიძლება ზოგჯერ ჭეშმარიტებას მოკლებული იყოს, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში კი დავალების შეუსრულებლობა თანდა-თანობით იწვევს მოსწავლის ჩამორჩენილობას და გაზარმაცებას.

მოსწავლეს ოჯახში უნდა ჰქონდეს მისთვის სამეცადინოდ გამოყოფილი ადგილი. მას უნდა გამოვუყოთ საკუთარი კუთხე და ჰქონდეს მისი ასაკის შესაფერისი საწერი მაგიდა და სკამი. საწერ მაგიდაზე უნდა ეწყოს მოსწავლის ნივთები და ამასთან არა ყველა, არამედ მხოლოდ ის მასალები, რაზეც მოსწავლე მუშაობს. ასე მაგ.: თუ იგი მშობლიურ ენაში მიცემულ წერით დავალების შესრულებაზე მუშაობს, მაგიდაზეც მხოლოდ ამისათვის საჭირო მასალები უნდა ეწყოს და არა სხვა რამ. სხვა ყველა სასწავლო ნივთი მოსწავლეს შენახული უნდა ჰქონდეს თავის კარადაში და ისინი მხოლოდ საჭიროების დროს გამოიყენოს.

ოჯახი ვალდებულია არა მარტო გამოუყოს ბავშვს სამეცადინო კუთხე, არამედ ის უნდა მიაჩვიოს კიდეც წესიერად დამოუკიდებელ მუშაობას. მშობლები და ოჯახის სხვა უფროსი წევრები თვალყურს უნდა ადევნებდნენ, რომ მოსწავლემ თავის ადგილას შეინახოს სასწავლო ნივთები, რომ მან დროულად და წესიერად იმუშაოს, დაიცვას მეცადინეობის რეჟიმი, წერისთვის და კითხვისთვის ჯდომის წესები.

დავალების შესრულება, ცხადია, შეუძლებელი იქნება, თუ ოჯახმა მოსწავლე საოჯახო საქმეებით დატვირთვა და დავალების შესრულებისათვის დრო აღარ დაუტოვა. მოსწავლე უნდა იზრდებოდეს ისე, რომ იგი ყოველთვის მონაწილეობდეს ოჯახის საქმიანობაში. მაგრამ არ ვარგა, როცა ამგვარი დავალებებით ისე იტვირთება მოსწავლე, რომ სასკოლო დავალების შესრულებისათვის ვეღარ მოუცლია.

თუ მოსწავლე დავალებებს სისტემატურად არ ასრულებს და რომელიმე საგანში ჩამორჩება, მაშინ ოჯახი ვალდებულია იზრუნოს მისთვის დამატებითი გაკვეთილების ჩასატარებლად. ოჯახმა არც უნდა მიიყვანოს საქმე იქამდე, რომ ბავშვი საგნებში ჩამორჩეს. თუ ოჯახი

დაინტერესდება, ადრევე შეიტყობს, როგორ მეცადინეობს ბავშვი და როდისაა მისადმი დახმარების გაძლიერება საჭირო.

სკოლიდან შინ დაბრუნებულ მოზარდებს მხარში უნდა ამოუდგნენ მშობლები სირთულეების დაძლევაში, რითაც ისინი საგნის მასწავლებლებსაც გაუწევენ მნიშვნელოვან დახმარებას.

მოსწავლის მიერ საშინაო დავალების შესრულებაში განუზომლად დიდია მშობლების როლი, მაგრამ მათ უნდა იცოდნენ, როგორ დაეხმარონ შვილებს. ზოგიერთ მშობელს დახმარება ჰგონია შვილთან ერთად გაკვეთილების სწავლა, ლიტერატურის თემების დაწერა, მაგალითების, ამოცანების ამოხსნა და ა.შ. მათ უნდა იცოდნენ, რომ შვილების სწავლა–განათლების, აღზრდის საქმეს ამით დიდ ზიანს აყენებენ და ასეთი ქმედება ანტიპედაგოგიურია.

მშობლების დახმარება ეპიზოდური ხასიათისა არ უნდა იყოს. მოზარდების დახმარება, კონტროლი საჭიროა სისტემატურად. მუდმივად მათ უნდა ადევნონ თვალყური მოზარდის მეცადინეობის რეჟიმის დაცვას.

ყველა მშობელმა კარგად უნდა იცოდეს, რომ შვილებისადმი მათი დახმარება სასწავლო მუშაობაში იცვლება მოზარდის ასაკობრივი განვითარების პერიოდების ცვალებადობასთან ერთად. უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეებს უფრო მეტი დახმარება, სისტემატური მეთვალყურეობა და კონტროლი სჭირდებათ. მშობლები დაწყებითი კლასებიდანვე უნდა დაეხმარონ ბავშვებს გამართული კითხვის უნარ–ჩვევების გამომუშავებაში, თხრობის კულტურის ამაღლებაში და ა.შ. მაგრამ, ამ შემთხვევაშიც განსაზღვრული უნდა იყოს მშობელთა დახმარების დოზა. არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიაჩვიონ მზამზარეულად დაწერილი საშინაო დავალების გადაწერას, ან იმას, რომ წაუკითხონ დასასწავლი მასალა ხმამაღლა (ამას ბევრი მშობელი აკეთებს). მოზარდის ასაკის მატებასთან ერთად დახმარება უნდა შემცირდეს და გაძლიერდეს კონტროლი, მეთვალყურეობა.

საკვანძო სიტყვები: საშინაო დავალება, მასწავლებელი, მოსწავლე, ოჯახი, საშინაო დავალების ორგანიზაცია და მეთოდიკა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვასაძე 2000: ვასაძე ნათელა, პედაგოგიკა, თბილისი.

2. მალაზონია 2001: მალაზონია შოთა, პედაგოგიკა, თბილისი.

3. მენთეშაშვილი 1996: მენთეშაშვილი ლია, აღზრდა ოჯახიდან იწყება, ჟურნ. „სკოლა და ცხოვრება“, თბილისი, N1–3.

4. ჟღენტი 1999: ჟღენტი თემური, ცუცქირიძე ზურაბი, ლექციების კურსი პედაგოგიკაში, II ნაწილი, თბილისი.

Lia Menteshashvili
Doctor of Pedagogics, Professor
Vazha Gigauri
Doctor of Pedagogics, Professor
Nino Chakhunashvili
Assistant-Professor, Tbilisi Ivane Javakhishvili State University

Organization and Methodics of Home work

Abstract

The article discusses the organization and methodics of home work, its importance in the developing of pupils, to get knowledge tirmly. Important part in the work takes discussing the forms of teacher's control of home work. In the article thoroughly is shown the teacher's role to prepare home work. It is discussed how to choose the principle of home work and so on.

Key words: home work, teacher, pupil, family, organization and methodics of home work.

ნოდარ ბასილაძე
საქართველოს საპატრიარქოს წმ. ტბელ აბუსერისძის
სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი,
პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი

ოჯახის როლი ბავშვთა ჰუმანიზმის სულისკვეთებით აღზრდაში

მომავალი ადამიანი, რომელსაც ჩვენ ვზრდით, სრულქმნილი და სრულყოფილი არ იქნება, თუ მისი გული სიკეთით სავსე და ბოროტებისადმი შეურიგებლობის გრძნობით არ არის დამუხტული; თუ მის ყოველ მოქმედებაში არ გამოსჭვივის სიკეთისადმი ლტოლვა, მისწრაფება, რომ თავისი არსებობით ბედნიერება და სიხარული მოუტანოს მის ირგვლივ მყოფ ადამიანებს, სამშობლოს, საზოგადოებას. „ბავშვი შეიძლება იყოს დისციპლინიანი, შემსრულებელი, წესიერი, შრომისმოყვარე, მაგრამ თუ მისი გული ამხანაგების მწუხარებას, შეშფოთებას ან საზრუნავს არ ეხმაურება, თუ იგი მზად არ არის თავისი კეთილდღეობა შესწიროს სხვა ადამიანს, სამშობლოს – მთელი მისი ღირსება გროშადაც არ ღირს“, – გვასწავლის დიდი უკრაინელი პედაგოგი ვასილ სუხომლინსკი (Либединская, 1970, №15).

ადამიანთა ურთიერთობის ამ რთულ სამყაროში ბავშვის შეყვანა, მისი გარკვევა ადამიანთა ცხოვრების საიდუმლოებათა ლაბირინთებში, ზნეობრივი აღზრდის ერთ-ერთი ძირითადი და ამავე დროს ურთულესი ამოცანაა. ბავშვმა ამქვეყნად მოვლენის პირველი დღეებიდანვე უნდა შეიგნოს, რომ გარემომცველ სამყაროში ყველაზე ძვირფასი კაპიტალია ადამიანი, რომელსაც ყველგან და ყოველთვის ყურადღება, დაფასება, პატივისცემა და დახმარება სჭირდება.

ჰუმანიზმის აღზრდას, ისევე როგორც ნებისმიერ აღზრდას, საფუძველი ეყრება ოჯახში, რადგან ბავშვი სკოლაში შესვლამდე და მის შემდეგაც დროის უმეტეს ნაწილს ოჯახში, მშობლებთან ატარებს. ოჯახი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ის „საამქროა“, სადაც ინასკვება მომავალი მამულიშვილის ხასიათის კონტურები, იჭედება ადამიანის სული. ამ საქმეში გადამწყვეტი როლი ენიჭება მშობლების პირად მაგალითს, მათ ურთიერთდამოკიდებულებას, მათ დამოკიდებულებას სხვა ადამიანებისადმი და, საერთოდ, საზოგადოების წევრებისადმი. ოჯახში სწავლობს ბავშვი სამყაროზე ცქერას მშობლების თვალით. აკვირდება რა უფროსების მოქმედებას, მათგან სწავლობს ყველაფერს – ავსაც და კარგსაც, სიკეთესაც და ბოპოტებასაც.

რაკი ადამიანი საზოგადოების წევრია, იგი ვალდებულია თავისი ცხოვრების მიზნად სხვა ადამიანებისადმი სამსახური გაიხადოს, იფიქროს არა მარტო საკუთარ თავზე, არამედ სხვებზეც, კერძოდ, იმაზე, თუ ვის რაში გამოადგეს, ვის რა სიკეთე უყოს. ეს მისი ადამიანური ვალია. სიკეთის ტვირთი, შეძლებისდაგვარად, ყველამ უნდა ზიდოს, ვისაც ღმერთმა ამ საწუთროში ცხოვრება არგუნა და ვინც ამქვეყნად ადამიანის საპატიო სახელს ატარებს.

ბავშვი ადამიანად გახდომის გარკვეული მონაცემებით იბადება. თვით მასშია მოცემული მისი პიროვნების საშენი მასალა. ესაა ადამიანის შინაგანი ბუნება, უმდიდრესი განძი, მაგრამ იგი ოდენ მადანია, რომელსაც მიკვლევა და დამუშავება სჭირდება. იგი დიდ ფასეულობათა მხოლოდ შესაძლებლობაა, რომელიც ოჯახმა, სკოლამ, საზოგადოებამ, თითოეულმა ჩვენგანმა უნდა აქციოს სინამდვილედ. ეს სინამდვილე კი, უწინარეს ყოვლისა, ბავშვში საზოგადოების ჭირ-ვარამის მოზიარე, გულკეთილი ადამიანის აღზრდა-ჩამოყალიბებაა, რაც ზნეობრივი აღზრდის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა.

ცნობილია, რომ ისეთი ბავშვისგან, რომელსაც არ გააჩნია მუსიკის, მხატვრობის ან

პოეტობის თანდაყოლილი ნიჭი, შეუძლებელია დიდი მუსიკოსის, მხატვრის ან პოეტის აღზრდა, მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ გულკეთილად აღიზრდება ნებისმიერი ბავშვი, თუ მის აღზრდას დროზე შევუდგებით. აღზრდას კი, როგორც აღვნიშნეთ, საფუძველი ეყრება ოჯახში. ბავშვის ზნეობრივი აღზრდის პირველი კერა, მისი ცხოვრების გზამკლევი ოჯახია.

ადამიანების სიბრალული ბავშვმა უნდა ისწავლოს იმ დღიდან, როცა თვალს გაახელს. კარლ მარქსის აზრით, ადამიანი თავის თავს ჯერ სხვა ადამიანში ხედავს როგორც სარკეში. პატარა ბავშვისთვის კი პირველ ასეთ სარკეს წარმოადგენენ მშობლები – დედა და მამა. ამიტომ ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მოზარდი მათში ხედავდეს საუკეთესო ადამიანური თვისებების ანარეკლს, რადგან ის თვისებები, რასაც ბავშვი ოჯახში მშობლების უშუალო ხელმძღვანელობით იძენს, ხშირ შემთხვევაში, საგზლად მიჰყვება მას მთელი მისი ცხოვრების მანძილზე. ამიტომაც არის ოჯახი სახელმწიფოს პირველადი უჯრედი და დასაყრდენი, მისი წინსვლა-განვითარების აუცილებელი პირობა. ოჯახის სიმტკიცე ნიშნავს საზოგადოების სიმტკიცეს, სიძლიერეს. როგორიცაა ოჯახი, ისეთივეა სოფელი, ქალაქი, ქვეყანა, საზოგადოება. თითოეული მოქალაქის, თითოეული მშობლის ავკარგიანობაზე მსჯელობენ იმის მიხედვით, თუ როგორი შვილი აღუზარდა მან სამშობლოს, რას წარმოადგენს მისი აღზრდილი ქვეყნისთვის, საზოგადოებისთვის.

ოჯახის გარდა მომავალი თაობის აღზრდას ემსახურება სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებების ფართო ქსელი, მაგრამ ყოველივე ეს არ ათავისუფლებს მშობლებს ბავშვთა აღზრდისათვის პასუხისმგებლობისგან, მათზე ზრუნვისა და აღზრდისაგან. ბავშვთა სწორი აღზრდა ყოველი მშობლის უპირველესი ვალია. არც საბავშვო ბაგასა და ბაღს, არც სკოლასა და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებას არ შეუძლია შეცვალოს ოჯახი, მშობლები. რა კუთხითაც არ უნდა მივუდგეთ საკითხს, დასკვნა ერთია: ოჯახის როლი ბავშვის აღზრდაში განუზომელია. პატარას, რაგინდ კარგ სააღმზრდელო დაწესებულებაში იზრდებოდეს, აუცილებლად სჭირდებო მშობლების მზრუნველობა, ალერსი და სიყვარული. მამისა და დედის ალერსს ბავშვისადმი ვერაფერი შეცვლის.

„...შვილის გაზრდა, შვილის კაცად გამოყვანა, – წერს ილია ჭავჭავაძე, – უწმინდესი და უდიდესი ვალია მშობლებისა... გაზრდა შვილისა... ისეთი მოვალეობაა, რომ სხვა ყველაფერი ამას უნდა შევწიროთ, ამას უნდა შევალიოთ... ტანთ მოიკელ, ფეხთ მოიკელ, მშიერ მწყურვალი იარე და ნუ ჩასდგები-კი ჯერ შვილისა და მერე ქვეყნის ცოდვაში, – აი, რა უნდა ეწეროს გულის ფიცარზედ იმ წმინდა საქმეს, რომელსაც მამა-შვილობას ეძახიან“ (ჭავჭავაძე, ტ. 4, 1987: 274).

როცა შვილის აღზრდაზე, მის „კაცად გამოყვანაზეა“ საუბარი, უწინარეს ყოვლისა, მხედველობაში აქვთ მისი ადამიანობა: გულკეთილობა, კაცთმოყვარეობა, ჰუმანიზმი, ერისა და ქვეყნისადმი სამსახური, რომლის აკვანიც ოჯახში ირწევა, რადგან ბავშვის ცხოვრების პირველი წლები უმთავრესად ოჯახში მიმდინარეობს. აქ სწავლობს ბავშვი მშობლებისგან ავსაც და კარგსაც, ითვისებს სიკეთესაც და ბოროტებასაც. უმრავლეს შემთხვევაში, ოჯახია დამნაშავე იმაში, რომ მოზარდი ცხოვრების არასწორ გზას ირჩევს. „სკოლამ გამიფუჭა“, „ცუდ ამხანაგებს ვერ ჩამოვაშორე“, „ყველაფერი ქუჩის ბიჭების ბრალია“ – სულ ტყუილი წუწუნი და თავის მართლებაა. თუკი რამ ღირსება აქვთ ჩვენ შვილებს, ჩვენგან მოსდგამთ, ჩვენგან მომდინარეობს. სკოლაშიც, ქუჩაშიც – ყველგან ჩვენ, უფროსები, მშობლები ვართ მაგალითის მიმცემი

მოზარდებისთვის და ის „ცუდი ამხანაგებიც“ ციდან არ ჩამოფრენილან, ცუდი მშობლების აღზრდილი არიან.

ყოველმა მშობელმა, აღმზრდელმა კარგად უნდა იცოდეს, რომ ბავშვები დამნაშავეებად არ იბადებიან, რომ ასეთებად ისინი არასწორი აღზრდის შედეგად ხდებიან.

„ადამიანში, ქვეყნად რომ ჩნდება, – წერს რობერტ ოუენი, – არ არის ნამდვილი არც ბოროტება და არც სიკეთე, არის მხოლოდ შესაძლებლობა და უნარი როგორც ერთის, ისე მეორისა. ყოველივე შემდგომ ვითარდება ოჯახსა და საზოგადოებაში მიღებული აღზრდით, იმ გარემოცვის მეშვეობვით, რომელშიც მას უხდება ცხოვრება“(დოღონაძე-შურღაია,1991: 10).

გულკეთილობის აღზრდა ბავშვებში ზნეობრივი აღზრდის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა, რადგან „კეთილი გრძნობები სინდისის ერთგული დარაჯია“ (ვ. სუხომლინსკი), სინდისი კი ადამიანობის, კაიკაცობის ძირითადი ნიშანია. სინდისიერ ადამიანს ყველგან და ყოველთვის, ყველა სიტუაციასა და ვითარებაში ძალუძს კრიტიკული თვალით შეხედოს თავის მოქმედებას, თვითვე შეაფასოს საკუთარი საქციელი, მოსთხოვოს თავის თავს მორალურ ვალდებულებათა შესრულება. ეს ვალდებულება, საზოგადოების მოთხოვნები მისთვის კანონადაა ქცეული. ასეთი ადამიანი ყოველთვის ზნეობრივად იქცევა, მაშინაც კი, როცა მარტოა და არავინ უთვალთვალებს.

ადამიანისადმი მხარდაჭერა, მისი პიროვნების აღიარება და დაფასება, საჭიროების შემთხვევაში კი მისთვის თავდადებაც, უნდა იყოს თითოეული ჩვენგანის მეგზური ცხოვრებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში არაფრის მაქნისი ვიქნებით ქვეყნისთვის, ხალხისთვის – ვერც ვერავის გავიტანთ და არც არავინ გაგვიტანს. „სხვა შენთვის და შენ სხვისთვის, აი, გზა ცხოვრებისა“, – წერს ილია. ვისაც ეს არ ესმის, ის ზნეობრივად უვიცი და საზოგადოებისთვის ზედმეტი ბარგია.

„ადამიანის ერთადერთი დანიშნულებაა... სიკეთის ქმნა, – გვმოძღვრავს საქართველოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე. – ყოველი კაცი სანთელს უნდა ჰგავდეს, ირგვლივ მყოფთ ერთდროულად უნდა უნათებდეს და ათბობდეს კიდეც. ყოველმა ჩვენგანმა თავისთავს უნდა ჰკითხოს: ანათებს თუ არა იგი და ათათბობს თუ არა ადამიანებს“ (ილია მეორე,1997: 164).

ვისაც ადამიანების სიკეთე სურს, იგი დაუნდობლად უნდა ებრძოდეს უსამართლობას, ბოროტებას, ადამიანებში ჯერ კიდევ შემორჩენილ მანკიერებებს, რამეთუ „ჭეშმარიტი კაცობა არქონა ცოდვისა კი არ არის, არამედ ქონაა მადლისა“ (ი. ჭავჭავაძე). ზოგიერთები კი თავს იმით ინუგეშებენ, რომ ცუდი არაფერი ჩაუდენიათ, ცოდვა არ აწევთ კისერზე. ეს, რა თქნა უნდა, კარგია, მაგრამ ზნეობრივად სრუ-ლყოფილი პიროვნებისთვის საკმარისი არ არის. ადამიანი, რომელიც არაფერს აშავებს, მაგრამ არც სასიკეთო საქმეს აკეთებს და მისი საქმიანობა მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნვით ამიწურება, ზნეობრივ პიროვნებად არ ჩაითვლება. ნამდვილი ზნეობრიობა მხოლოდ მოქმედებაში, ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლასა და სიკეთის დამკვიდრებაშია.

ეს აზრი საუცხოოდ გამოხატა დიდმა ილიამ მოთხრობაში „კაცია-ადამიანი?!“

ლუარსაბი ევედრება ღმერთს, შვილი მისცეს: „წირვა-ლოცვას მე არ ვაკლდები, კაცი მე არ მამიკლავს და კაცისათვის მე არ მამიპარავს, რაზედ ვარისხებ ღმერთსა?“– კითხულობს იგი.

ილია კი, ღმერთის პირით, პასუხობს: „მართალი ხარ, ჩემო ლუარსაბ, შენ კაცი არ მოგიკლავს, კაცისთვის არ მოგიპარავს, ერთის სიტყვით – რაც არ უნდა გექნა – არ გიქნია. – ესეც კარგია: უარარაობას ეგ სჯობია. მაგრამ ეხლა ეს უნდა გკითხო: რაც უნდა გექნა, ის კი

გიქნია?“ (ჭავჭავაძე, 1984: 308). შენ მხოლოდ საკუთარ კუჭზე ზრუნავდი. ეს იყო შენი მთავარი საზრუნავი და სადარდებელიო, მიანიშნა თავისი პასუხით ილია ჭავჭავაძემ

ლუარსაბსა და მისთანებს.

ანალოგიური აზრია გატარებული არაბულ ფილმში „სამოთხიდან გაძევებული“, რომელიც გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში გადიოდა კინოეკრანებზე.

გარდაიცვლება მდიდარი კაცი, რომელსაც სიცოცხლეში ცუდი არაფერი ჩაუდენია და, როგორც იტყვიან, ცოდვა არ აწევს კისერზე. იგი ღრმად არის დარწმუნებული, რომ სამოთხეში მოხვედრის ღირსია და მიადგება მის კარებს, მაგრამ კარები იკეტება, მაშინ როცა მის წინ სხვები დაუბრკოლებლად შედიოდნენ შიგ. იგი უბრახუნებს კარებზე, მაგრამ კარს არავინ უღებს. იდუმალი ხმა ჩასძახის, რომ შენ სიცოცხლეში არავითარი სასიკეთო საქმე არ გიკეთებია, სხვას არაფერში გამოდგომიხარ და ამიტომ სამოთხეში მიღების ღირსი არა ხარო. ამ სიტყვების შემდეგ იგი სუდარაში გახვეული ამოარღვევს საფლავს და იწყებს ახლებურად ცხოვრებას. ხედავს მიწაზე მჯდარ დავრდომილ კაცს, რომელსაც ქუდი დაუდვია და მოწყალებას ითხოვს. აქამდე რომ ასეთებს ის ყურადღებას არ აქცევდა, ახლა ჩაიყოფს ჯიბეში ხელს და ჩაუჩხრიალებს მათხოვარს ხურდა ფულს. ასე განაგრძობს იგი სიკეთის ქმნას და როცა რამდენიმე წლის შემდეგ გარდაიცვლება და ისევ მიადგება სამოთხეს, კარები იღება და დაუბრკოლებრივ შედის შიგ.

ამ ფილმის დედააზრი ისაა, რომ ვისაც სიცოცხლეში სიკეთე არ დაუთესია და მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნავდა, ის სამოთხეში მიღების ღირსი არ არის; სამოთხეში მხოლოდ გულკეთილი, სხვისი ჭირ-ვარამის მოზიარე, ქველმოქმედი ადამიანები ბინადრობენ.

ზნეობრივი გრძნობების, კერძოდ, გულკეთილობის, სიბრალულისა და თანაგრძნობის აღზრდის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ბავშვებში მოვალეობის გრძნობის ჩამოყალიბება და საზოგადოების საკეთილდღეო შრომა. ვ. სუხომლინსკიმ პედაგოგიკაში დაამკვიდრა მოვალეობის კატეგორია. დიდ პედაგოგს სიკეთე ვერ წარმოედგინა მოვალეობის გარეშე. „მოვალეობა და კიდევ მოვალეობა, – წერს იგი, – აი, ის ატმოსფერო, რომელშიც უნდა ვზრდიდეთ ადამიანის მიერ ნაშობ არსებას, რათა მას ღირსეულად ერქვას ადამიანის დიდი სახელი“ (სუხომლინსკი, 1981: 11), ჩარლზ დარვინი კი წერდა: „ყველაზე მთავარ განმასხვავებელ ნიშანს ადამიანსა და ცხოველს შორის წარმოადგენს ზნეობრივი გრძნობა ანუ სინდისი... მისი მბრძანებლობა კი გამოიხატება მოკლე, მაგრამ ძლიერი და უაღრესად ტევადი სიტყვით – მევალება“ (Дарвин, 1907, №4: 113). ჟან-ჟაკ რუსოს აზრით, ბავშვებს უნდა ვასწავლოთ მხოლოდ ერთადერთი მეცნიერება, მოვალეობის მეცნიერება. ამიტომ ოდითგანვე ორი სიტყვა – ადამიანი და მოვალეობა – ისეა ერთმანეთში ჩაწნულ-ჩახლართული, რომ უერთმანეთოდ არცერთი არ ფასობს. ამიტომაცაა ალბათ, რომ „წესები მოსწავლეთათვის“ იწყება სიტყვებით: „ყოველი მოსწავლე ვალდებულია“...

თუ ოჯახის წევრები ყურადღებიანი, გულისხმიერი და ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლი ადამიანები არიან, ბავშვიც ასეთი იქნება, ხოლო თუ ისინი მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნავენ და მათთვის უცხოა მაღალი იდეალები, ასეთ ოჯახში გაზრდილი კაცისგან სიკეთეს ნუ მოელი.

ბავშვმა პატარაობიდანვე უნდა იგრძნოს, რომ ის ამქვეყნად მარტო არ არის, რომ მის გვერდით არიან ადამიანები, რომელთა წინაში იგი ვალშია და დაბადებიდან არა მარტო უფლებები დაჰყვა, არამედ მოვალეობებიც დაეკისრა. ესაა მოვალეობა ერის, ქვეყნისა და მშობელი ხალხის წინაში.

იმისათვის, რომ ბავშვი აღვზარდოთ მოვალეობის სულისკვეთებით, გვირჩევს ვ. სუხომლინსკი, უნდა დავივიწყოთ მის უზრუნველ ბავშვობაზე ფიქრი და ყოველდღიურ ცხოვრებაში შევიტანოთ სიძნელე, დაბრკოლებათა, წინააღმდეგობათა გადალახვა, რამეთუ

სულიერი კეთილშობილება ყალიბდება მხოლოდ შრომითი ძალისხმევის, დაძაბული შრომის პირობებში, სხვათა სიკეთისთვის ზრუნვის დროს. სულიერი და ფიზიკური ძალების დაძაბვა, წინააღმდეგობების გადალახვა, სიძნელეთა დაძლევა ზნეობრივად ამაღლებს, აკეთილშობილებს ადამიანს.

ეს იდეა შესანიშნავად აქვს გამოხატული ვ. სუხომლინსკის თავის მინიატურულ მოთხრობაში „იმიტომ, რომ მე ადამიანი ვარ". თავისი დედააზრით ეს ნაწარმოები ენათესავება ი. გოგებაშვილის მოთხრობას „ბერიკაცი და ნამყენი". მასში მომავალი ადამიანის ბედზე ფიქრი და ზრუნვაა გამოხატული. ამ მოთხრობის შინაარსი ასეთია:

სამი დღის განმავლობაში მამა და შვიდი წლის ვაჟიშვილი ერთი და იმავე გზით დადიან. საღამოს შინ დაბრუნებისას მამა პირველ ორ დღეს ეჯახება შუა გზაზე დაგდებულ ლოდს. მესამე დღეს ის არიგებს შვილს: „ყურადღებით იყავი, ლოდს არ დაეჯახი, გვერდი აუარე". მაგრამ ლოდი ძველ ადგილზე არ აღმოჩნდა. გზის პირას იჯდა ჭაღარა მოხუცი.

– ბაბუ, – მიმართა ბიჭმა, – აქ რომ ლოდი ეგდო, სად გაქრა?

– მე იგი გზიდან გადავაგდე.

– თქვენც დაეჯახეთ და ფეხი იტკინეთ?

– არა, მე ლოდს არ დავჯახებივარ.

– მაშ, რატომ გადააგდეთ იგი გზიდან?

– იმიტომ, რომ მე ადამიანი ვარ.

ბიჭი მცირე ხნით ჩაფიქრდა და მამას ჰკითხა:

– მამი, შენ ადამიანი არა ხარ? (სუხომლინსკი, 2020: 7).

საჭიროა მშობლებმა სკოლამდელ ასაკში შეაჩვიონ ბავშვი საზოგადოების საკეთილდღეო შრომას, რომლის პროცესში მას უმტკიცდება ნებისყოფა და უყალიბდება ზნეობრივი თვისებები, ამასთან, რაც მთავარია, იგი სწავლობს შრომასა და მშრომელი ადამიანების, პატივისცემას.

ბავშვს პატარაობიდანვე უნდა ვასწავლოთ ადამიანთა შორის ცხოვრება, მათდამი გულისხმიერერი, ყურადღებიანი დამოკიდებულება, მათი ჭირ-ვარამის თვალებში ამოკითხვა. სხვისი სამსახური, სხვათა სიკეთისთვის ზრუნვა პატარას ყოველდღიურ მოთხოვნილებად უნდა ექცეს. მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთი მშობელი ამაზე თავს არ იწუხებს. ვთქვათ, გოგონას დაბადების დღეზე აჩუქეს რამდენიმე ფილა შოკოლადი. უფროსები მაშინვე მიაძახებენ: – აი, დეიდამ რა მოგიტანა! აბა, გასინჯე, რა გემრიელია! და ბავშვიც იქვე სხვების თანდასწრებით იწყებს ჭამას და აზრადაც არ მოსდის, რომ სხვასაც მიაწოდოს და მათდამი საკუთარი გულის სითბო გამოხატოს.

ექიმი –პედიატრი ნ. ანდრეევი სამამულო ომის მძიმე წლებში მშობლებს არიგებდა: „...აი, თქვენ გაქვთ ერთი ვაშლი... მხოლოდ ერთი. და თქვენ კარგად გესმით, რომ ბავშვის მოზარდ ორგანიზმს იგი უფრო სჭირდება, ვიდრე თქვენ. და მაინც ნუ მისცემთ მთლიან ვაშლს ბავშვს, ნუ შეუქმნით პრივილეგიას. არ შეიძლება! გახსოვდეთ, რომ თქვენს ბავშვს, სხეულის გარდა, აქვს ფსიქიკა, ხასიათი, რომელიც ეს-ესაა უყალიბდება. თქვენი მოქმედებით კი,გამაჯანმრთელებელ ვიტამინთან ერთად, მის სხეულში შეგყავთ საშინელი ვირუსი, ვირუსი უზნეობისა" (Королева, 1966: 9).

ავადმყოფი ბავშვის მიმართ, რა თქმა უნდა, შეიძლება დავუშვათ გამონაკლისი, მაგრამ ამ შემთხვევაშიც, სასურველია, ვაშლი თანაბრად განაწილდეს ოჯახის ყველა წევრზე, შემდეგ კი ზოგიერთმა თავიანთი წილი დაუთმოს ავადმყოფ ბავშვს. ეს გაცილებით უკეთესია, ვიდრე თავიდანვე მთლიანი ვაშლის მიცემა. არის სხვა გზაც: მშობელმა შეიძლება უთხრას

ბავშვს, რომ მან ერთი ცალი ვაშლი უკვე მიირთვა და ეს მისი წილია.

მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვის ფსიქიკა, ისე როგორც კანი, არის ნაზი და შეიძლება ადვილად დაზიანდეს, ოღონდ ერთი განსხვავებით, კანი შეიძლება ადვილად მოშუშდეს, ბავშვის შეგნება კი ზოგჯერ სამუდამოდ დამახინჯებული რჩება.

ჰუმანიზმი გულისხმობს არა მარტო ადამიანის პატივისცემას, დაფასებასა და ზრუნვას მისდამი, არამედ ასევე ბრძოლას ყოველგვარი უსამართლობისა და ბოროტების წინააღმდეგ. თითოეული ზრდადასრულებული ადამიანი დაუნდობლად უნდა ებრძოდეს უსამართლობას, ბოროტებას, ადამიანებში ჯერ კიდევ შემორჩენილ მანკიერებებს, რამეთუ „ჭეშმარიტი კაცობა არქონა ცოდვისა კი არ არის, არამედ ქონაა მადლისა“ (ი. ჭავჭავაძე). ადამიანი, რომელიც ბოროტებას არ სჩადის, მაგრამ არც ებრძვის მას, ზნეობრივ პიროვნებად არ ჩაითვლება. ნამდვილი ზნეობრივობა ვლინდება მხოლოდ მოქმედებაში, ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლასა და სიკეთის დამკვიდრებაში.

ვ. სუხომლინსკი თავის ვაჟიშვილსა და მასთან ერთად მთელ ახალგაზრდობას არიგებს: „ადამიანისათვის ყველაზე საშინელია, იქცეს თვალღია მძინარედ – იცქირებოდეს და ვერაფერს ხედავდეს, სიკეთესა და ბოროტებას შესცქეროდეს განურჩევლად, მშვიდად უვლიდეს გვერდს ბოროტებასა და სიცრუეს. უფრთხილდი ამას, შვილო, სიკვდილზე მეტად, ყველაზე უფრო დიდ საფრთხეზე მეტად. (სუხომლინსკი, 1996: 8-9).

ბავშვი ოჯახში ფეხის ადგმისთანავე უნდა შევაჩვიოთ შრომას, თვითმომსახურებას, მშობლებისადმი დახმარებას, დამჯერებლობას, პატივისცემას, სხვებისადმი ანგარიშის გაწევას; უნდა გავუღვივოთ კეთილი გრძნობები – სხვისი სამსახურის შინაგანი მოთხოვნილება, სხვათა სიკეთისთვის ზრუნვა; უნდა ვასწავლოთ სხვის თვალებში ურვის, შეშფოთების, წყენის, მარტოობის ამოკითხვის უნარი. „ადამიანს თვალებში შეხედე – ეს სულის სარკეა, – არიგებდა ვ. სუხომლინსკი თავის აღსაზრდელებს. – შეიძელ იგრძნო, თუ რით ცხოვრობს ადამიანი, რა ახარებს და რა აწუხებს მას“ (სუხომლინსკი, 1981: 45). წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი აღსაზრდელები გაიზრდებიან „დაჟანგული სულით“ (სუხომლინსკი), მათთვის უცხო იქნება სიკეთე, ქველმოქმედება, და თუ მაინც ჩაიდენენ ასეთ რამეს, ისიც გამორჩენის მიზნით, საკუთარი კეთილდღეობისთვის.

გულკეთილად აღიზრდება ნებისმიერი ბავშვი, თუ მის აღზრდას დროზე შევუდგებით. აღზრდას კი, როგორც აღვნიშნეთ, საფუძველი ოჯახში ეყრება. ბავშვი ოჯახში უფროსი წევრების ურთიერთდამოკიდებულებით სწავლობს სიკეთეს, ადამიანთა სიყვარულსა და პატივისცემას. მშობელთა პირადი მაგალითი საუკეთესო საშუალებაა ბავშვის გულის გაკეთილშობილების, მასში ჭეშმარიტი ადამიანური თვისებების ჩამოყალიბებისა.

ადამიანი მხოლოდ მაშინ იქცა ადამიანად, როცა სხვისი ტკივილი საკუთარ ტკივილად მიიჩნია და გაჭირვებულისადმი მხარდაჭერა, მხარში ამოდგომა მის პირად მოთხოვნილებად და მოვალეობად იქცა. ამის საუკეთესო მაგალითია გაზეთ „თბილისში“ ამ სამი ათეული წლის წინ გამოქვეყნებული ერთ-ერთი წერილი, რომელშიც ნათქვამია: 1987 წლის იანვრის ბოლოს კოლხეთის დაბლობზე სტიქიური უბედურების დროს გვიჩიების სახლში წყალი მეორე სართულამდე ავიდა. ვერტმფრენი სახურავის ზემოთ „დაეკიდა“ და თოკის კიბე ჩამოუშვა. ოჯახის ფეხმძიმე რძალმა ვერ შეძლო თოკის კიბეზე ასვლა. მაშინ ოჯახის შვიდივე წევრმა უარი თქვა ევაკუაციაზე, სხვენზე ავიდნენ და თავი საფრთხეში ჩაიგდეს.

საბედნიეროდ, სახლი სტიქიას გადაურჩა და ისინი მეორე დღეს კატარღით გადაიყვანეს

„დიდ მიწაზე“, მაგრამ ხომ შეიძლება უბედურება დატრიალებულიყო? („თბილისი“, 1987, 11 თებერვალი).

ბავშვს პატარაობიდანვე უნდა ვასწავლოთ სიკეთე, სხვებზე ზრუნვა, სხვათათვის სიხარულის მინიჭება და ამით საკუთარი სიხარულის განცდა, რასაც ვერავითარი სხვა სიხარული ვერ შეედრება.

კეთილი გრძნობები ბავშვს პირველად უნდა გაუჩნდეს ახლობლების, თავისი ოჯახის წევრების, განსაკუთრებით კი, დედის მიმართ. ბავშვისთვის კი ყველაზე ახლობელ, ძვირფას ადამიანს წარმოადგენს დედა. „თუ ადამიანი ცხოვრების დასაწყისშივე არ ისწავლის დედის პატივისცემას, – წერს ცნობილი რუსი მწერალი სერგეი მიხალკოვი, – მაშინ მისთვის სამყაროს ცენტრი ყოველთვის საკუთარი პიროვნება იქნება, ის, ვისთვისაც ყველაფერი შეიძლება, რომლის წინაშე ყველა მოვალეა. ყველამ უნდა ასიამოვნოს მას“ (მიხალკოვი, 1970: 50).

ამიტომ ასე გულდასმით არიგებს ცნობილი იტალიელი მწერლის ედმონდო დე ამიჩისის ნაწარმოების „გული“ ერთ-ერთი პერსონაჟი – მამა საკუთარ შვილს, ენრიკოს:

„ეჰ, ენრიკო, გაფრთხილდი! დედის სიყვარული ყველაზე წმინდაა ადამიანისათვის. ვაი მას, ვინც გაბედავს და ამ სიყვარულს ფეხით გათელავს... ყველაზე ზნედაცემული ის არის, ვინც დედას გულს ატკენს და შეურაცყოფს. ასეთი ადამიანი პირუტყვის მსგავსია“ (ედმონდო დე ამიჩისი, 1986: 34).

ამ თვისებების აღზრდა კი სულ მცირე ასაკიდან იწყება. პირველი გრძნობა, რასაც ბავშვი ამ მიმართულებით შეიძენს, უნდა იყოს მშობლების, და-ძმებისა და სხვა ახლობელი ადამიანების სიყვარული. „ვინც სიყვარული არ იცის, – წერს ვ. სუხომლინსკი... – ის ადამიანად დაბადებული არსებაა, მაგრამ ისეთი არსება, რომელიც ჯერ კიდევ ადამიანად არ ქცეულა“ (სუხომლინსკი, 1981: 87). სიყვარულის მასწავლებელი კი ოჯახში, უწინარეს ყოვლისა, დედაა, რადგან დედა ბავშვისთვის ყველაზე ძვირფასი და სათნო არსებაა, მის სიტყვასა და მაგალითს დიდი ძალა აქვს.

დედისადმი სიყვარული ბავშვმა უნდა გამოხატოს არა ცარიელი, ლიტონი სიტყვებით, არამედ საქმით და მხოლოდ საქმით. ეს აზრი ძალზე კარგად გამოხატა ვ. სუხომლინსკიმ თავის მინიატურულ იგავში „მეშვიდე ქალიშვილი“, რომლის ლაიტმოტივი ასეთია: ექვსი გოგონა შორი გზიდან დაბრუნებულ დედას უყვება, როგორ მძიმედ განიცდიდნენ უმისობას. გოგონები ერთმანეთს ეჯიბრებიან ლამაზსიტყვაობაში და აზრადაც არ მოსდით, რომ დაღლილ-დაქანცულ დედას ყურადღება და დასვენება სჭირდება.

„მეშვიდემ არაფერი უთხრა, – აღნიშნავს მწერალი, – თუმცა სათქმელი მასაც ძალზე ბევრი ჰქონდა. მან დედას ფეხსაცმელები გახადა და ტაშტით წყალი მოუტანა ფეხების დასაბანად“ (სუხომლინსკი, 2020: 7-8).

ბავშვები პატარაობიდან უნდა ეხმარებოდნენ დედას საოჯახო საქმეების შესრულებაში, როგორიცაა: ოთახის დაგვა-დასუფთავება, სუფრისა და ლოგინის გაშლა-ალაგება, საცვლების გარეცხვა, თეთრეულის გაუთავება, სოფლად სადილისთვის წყაროს წყლის მოტანა, ჭურჭლის დარეცხვა-დასუფთავება, ყვავილების მორწყვა, მათი მზეზე გატანა, ფანჯრის რაფებიდან მტვრის გადაწმენდა, სიმინდისა და ლობიოს გარჩევა, დაფშვნა, ბოსატანში კვლების გაყვანა, ჩითილების გადარგვა, ნათესების სარეველა ბალახებისგან გაწმენდა-გასუფთავება, ფრინველე-ბისა და შინაური ცხოველების გამოკვება და სხვა. საამისოდ მშობლებმა წინასწარ უნდა იზრუ-ნონ, პატარაობიდანვე უნდა შეაჩვიონ ისინი თვითმომსახურებას, საკუთარი თავის მოვლას, შემდეგ კი სხვათა სამსახურს.

ერთმა ჩემმა ყოფილმა სტუდენტმა მიამბო: ორი ბიჭი მყავს – მეორე და მეოთხეკლასელი. ერთხელ გვიან მომიხდა შინ დაბრუნება. უმცროს ბიჭს უკვე ეძინა, მისი წიგნები კი იქვე მაგიდაზე უწესრიგოდ ეყარა. ერთი პირობა დამენანა მისი გაღვიძება და გადავწყვიტე, თავად ჩამელაგებინა წიგნები ჩანთაში, მაგრამ შემდეგ გადავიფიქრე, რადგან დღეს ჩაულაგებ, ხვალ ჩაულაგებ და ასე შეეჩვევა იგი სხვის მომსახურებას, შემდეგ კი მუდამ სხვისი ხელის შემყურე იქნება. ბოლოს დავძლიე მშობლიური სიყვარულის გრძნობა და მძინარე ბიჭი გავაღვიძე. იგი ბუზღუნით წამოდგა და როცა მის არეულ-დარეულ წიგნებზე მივუთითე, მიხვდა, რაშიც იყო საქმე და შეუდგა მათ ჩანთაში ჩალაგებას. როცა ყველაფერი წესრიგში მოიყვანა, ერთი შემო-მიბღვირა და შეგორდა ლოგინში...

ამის შემდეგ ზაზა სასკოლო ნივთებს ყოველთვის ჩაალაგებს ჩანთაში და ისე წვება დასაძინებლად, ჩემი დახმარება არასდროს დაჭირვებია.

ახლა შევხედოთ დედის მოქმედებას პედაგოგის თვალით. ბევრი ალბათ გაამტყუნებს დედას ასეთი საქციელისთვის – რა მოხდებოდა, თვითონ რომ ჩაელაგებინა წიგნები ჩანთაში და მძინარე ბავშვი არ გაეღვიძებინაო. მაგრამ ვინც მის მოქმედებას მომავლის თვალით შეხედავს, დამეთანხმება, რომ დედა სწორად მოიქცა.

ზოგიერთ ოჯახში, შვილების თანდასწრებით, ადგილი აქვს ჩხუბს, აყალმაყალს, ლანძღვა-გინებას, ურთიერთშეურაცხყოფას, ლოთობას, აზარტულ თამაშობებს და ა.შ. რაც უმახინჯებს მოზარდს სულს, უკარგავს მშობლისადმი და, საერთოდ, ადამიანებისადმი პატივისცემას, ნდობასა და რწმენას.

ნოდარ დუმბაძე თავის იუმორისტულ მოთხრობაში „გენერალური რეპეტიცია“ ნათლად გვიხატავს ერთ-ერთ ასეთ ოჯახში არსებულ ვითარებას.

სკოლის დამთავრებიდან რამდენიმე წლის შემდეგ მწერალი ეწვია თანაკლასელ მეგობარს, მაგრამ შინ მხოლოდ ბავშვები დაუხვდა – 7-8 წლის გოგონა და 6-7 წლის ბიჭი, რომლებიც თამაშით იყვნენ გართული. ბავშვებმა უთხრეს, მამა და დედა მალე მოვლენო და თამაში განაგ-რძეს.

„ – სახლობანას ვთამაშობთ, მე მამა ვარ, მზია კი – დედა, – ამიხსნა მამუკამ, – დასძენს ავტორი.

– რა გაქვს, ქალო, დღეს სადილად? – დაბოხებული ხმით კითხულობს მამუკა.

– ბუს კვერცხები! რა დამიტოვე და რას მთხოვ? – იყო მზიას პასუხი.

– არ მოიშალე მწარე ლაპარაკი?!

– შენ რა გენაღვლება, შეხვალ რესტორანში და გასკდები, ჩვენ თუ გვინდა ჭამა, არ კითხუ-ლობ!..

– წუხელ ვისთან ეგდე? – დაიწყო ახლა მზიამ და პატარა ხელებით დოინჯი გაიკეთა.

– არ არის შენი საქმე!

– არ არის, ხომ? მე შენ გიჩვენებ, როგორ უნდა საყვარლებში სიარული!

– რაო, რამ გაგაგიჟა?!

– აღარ შემიძლია მეტი, წავალ ჩემს სახლში... – აზლუქუნდა მზია, თოჯინებს ხელი სტაცა და კარისაკენ წავიდა...

– სად მიდიხარ, ქალო! – შეკრა წარბი მამუკამ, – თქვი, ქალო, თორემ გავგიჟდები და დავამტრევ ყველაფერს!

– რაღა დაგრჩა დასამტრევი?!

– ბავშვები დატოვე და შენ სადაც გინდა წაეთრიე.

– შენი თავის გახეთქამ!..

– დაწყნარდით! – ვიღრიალე. ბავშვები შეკრთნენ. სული რომ მოვითქვი, ორივეს დედა დავაფიცე – სახლობანა არასოდეს ითამაშოთ-მეთქი და გარეთ მთვრალივით გამოვედი.

„ო, რა საათივით აუწყვია საქმე ჩემს ძმაკაცს, რა ტკიბილი ცხოვრება ჰქონია?“ – ვფიქრობდი გზადაგზა და მამუკა და მზია მაგონდებოდა, რომლებიც, ვინ იცის, ოჯახური დრამის რომელი მოქმედების გენერალურ რეპეტიციას გადიან ახლა“ (დუმბაძე, 1990: 437).

ფართო გაგებით, ჰუმანიზმი გულისხმობს არა მარტო ადამიანების, არამედ ნებისმიერი ცოცხალი არსების სიყვარულს. ხე, ბალახი, ყვავილი, მზის ამოსვლა და ჩასვლა, ფრინველების ჭიკჭიკი, ფუტკრების ზუზუნი, კალიების ჭრიჭინი – ყოველივე ეს უნდა აღიბეჭდოს ბავშვის სულში, თუ გვინდა, რომ იგი გაიზარდოს კეთილი და მისი გული უხვად იყოს გადაშლილი ადამიანთა წინაშე. ეს კი ხანგრძლივი და რთული საქმეა. „ინჟინერი შეიძლება გახდე 5 წელიწადში, – წერს ვ. სუხომლინსკი, – ადამიანობის სწავლას კი მთელი სიცოცხლე სჭირდება“ (სუხომლინსკი, 1996: 33). ძნელია პატარას ჩაუნერგო, რომ ყვავილი უნდა უყვარდეს, არ გათელოს, არ მოწყვიტოს, „იმიტომ რომ მასაც ტკივა“, მაგრამ სავსებით შესაძლებელია, აღ-ზარდო მასში გულკეთილობის გრძნობა, თუ ბავშვს პატარაობიდანვე, ადამიანებთან ერთად, შევაყვარებთ შინაურ ცხოველებს, ფრინველებსა და ყვავილებს, – ჩვენს ფლორასა და ფაუნას.

მშობლებმა ოჯახში ადრეული ასაკიდან უნდა შეაჩვიონ ბავშვები შინაური ფრინველებისა და ცხოველების მოვლას, მცენარეების, ყვავილების მოშენებას და მათდამი გულისხმიერ, სათუთ დამოკიდებულებას.

ბავშვებში ცოცხალი არსებისადმი სიყვარულის გამომუშავებას ხელს უწყობს ექსკურსიები ზოოლოგიურ პარკებსა და სახელმწიფო ნაკრძალებში, ტელევიზორში და ინტერნეტში ცხოვე-ლებსა და ფრინველებზე გადაცემების ნახვა, სადაც მოზარდები საკუთარი თვალით იხილავენ, თუ როგორი მზრუნველობით უვლიან და უფრთხილდებიან ადამიანები მათ.

არცერთ მშობელს არ უნდა, რომ მისი შვილი ეგოისტად გაიზარდოს და საკუთარი თავის გარდა არავინ და არაფერი ახსოვდეს, მაგრამ პედაგოგიურ განათლებას მოკლებული მშობლები, ნებსით თუ უნებლიეთ, ასეთებად აქცევენ თავიანთ შვილებს.

ბევრჯერ ვყოფილვართ ოჯახში ასეთი შემთხვევის მოწმე: ბავშვი ჭირვეულობს, უარს ამბობს ჭამაზე, დედა კი ყოველგვარ ოინებს იგონებს, რათა დაიყოლიოს იგი.

– კატავ, წადი, ჩემს თამაზს საჭმელი არ შეუჭამო! – იძახის იგი და ფაფიანი კოვზით ხელში თითქოს გაბრაზებული კატას ემუქრება. შემდეგ სწრაფად ბავშვისკენ ბრუნდება და კოვზს პირში ჩრის.

– არა, არა, კატავ, შენ არ გაჭმევ, მე მხოლოდ ჩემს თამაზს უნდა ვაჭამო. ეს თამაზის ფაფაა!

თამაზიც გამარჯვებულის იერით აღებს პირს და ფაფას ყლაპავს. დედა ისევ უნერგავს შვილს თავკერძობას, საკუთარი თავის სიყვარულსა და სხვისი ჭირის არად ჩაგდებას. შემდეგ კი დაიწყებს წუწუნს: – რატომაა ჩემი თამაზი ასეთი ეგოისტი? ნეტავ ვის დაემსგავსა?

ყველა მშობელმა კარგად უნდა იცოდეს, რომ ნამდვილი, კეთილშობილური ადამიანის აღზრდა შესაძლებელია მხოლოდ ჯანსაღ კოლექტივში, სიყვარულის ატმოსფეროში. იქ, სადაც ოჯახის უფროსი წევრები ერთმანეთს პატივისცემით ეპყრობიან, თანაბრად ინაწილებენ შრომას, კეთილი სიტყვებით იხსენიებენ ახლობლებსა და მეზობლებს, შეუძლებელია ბავშვის ფსიქიკაში უსულგულობამ, ეგოიზმმა დაისადგუროს.

საკვანძო სიტყვები: ჰუმანიზმის სულისკვეთებით აღზრდა, სიკეთის ქმნა, მშობელთა პირადი მაგალითი, დედისადმი სიყვარულის აღზრდა, ბოროტებისა და უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლა, ცოცხალი არსებისადმი სათუთი დამოკიდებულება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაზეთი „თბილისი“ 1987: გაზეთი „თბილისი“, 1987 წლის 11 თებერვალი.

2. დოღონაძე-შურღაია 1991: დოღონაძე-შურღაია ი., დედავ, ისმინე!.. „მერანი“, 1991. თბილისი.

3. დუმბაძე 1990: დუმბაძე ნ., თხზულებანი ოთხ წიგნად, წიგნი III„ 1990. თბილისი.

4. ედმონდო 1986: ედმონდო დე ამიჩისი, გული, „ნაკადული“, 1986. თბილისი.

5. ილია მეორე 1987: ილია მეორე, ქადაგებანი, ტ. II, თბ., 1997. თბილისი.

6. მიხალკოვი 1970: მიხალკოვი ს.,ყველაფერი ბავშვობაში იწყება, „ნაკადული“, 1970. თბილისი.

7. სუხომლინსკი 1981: სუხომლინსკი ვ., მშობელთა პედაგოგიკა. „ცოდნა“, 1981. თბილისი.

8. სუხომლინსკი 1996: სუხომლინსკი ვ., წერილები ვაჟიშვილს, „ალიონი“, 1996. ბათუმი.

9. სუხომლინსკი 2020: სუხომლინსკი ვ., ეთიკის ქრესტომათია, 2020. ბათუმი.

10. ჭავჭავაძე 1987: ჭავჭავაძე ი., რჩეული ნაწერები 5 ტომად, ტ. IV,1987. . თბილისი.

11. ჭავჭავაძე 1984: ჭავჭავაძე ი., თხზულებანი, „საბჭოთა საქართველო“, 1984. . თბილისი.

12. Дарвин 1907: Дарвин Ч. Мое миросозерсание (окончание) – Библиотека для самообразния,1907, №4.

13. Королева 1966: Королева В. Не шутите с детским эгоизмом. Семя и школа, 1966, №12.

14. Либединская 1970: Либединская Л., Педагогический диалог, – Лит. Россия, 1970, №15.

.

Nodar Basilaladze

Professor, the Holy Tbel Abuseridze

University of the Patriarchate of Georgia

Raising children with the spirit of humanism

Abstract

The upbringing of humanism, like any upbringing, is based on the family. It is well known that from a child who does not have an innate talent for music, painting or poetry, it is impossible to raise a great musician, artist or poet, but any child will be kindly brought up if we approach his upbringing in time. Favorable conditions for this are created in a large family, and monogamy creates a fertile ground for disrespect for others.

It should be noted here that a child is raised as a humanist only if the parents themselves are humanists, because nothing is so valuable in upbringing as a personal example of a caregiver.

Keywords: upbringing with the spirit of humanism, creating kindness, personal example of parents, nurturing love for mother, fighting against evil and injustice, gentle attitude towards living beings.

თამარ დოგრაშვილი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ირინე გოგიბერიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი

სწავლის პრინციპები

რაც უფრო შინაარსიანი და რელევანტურია მოსწავლეთათვის დავალება ან ინფორმაცია, მით უფრო ადვილად სწავლობენ. მასწავლებლები, რომლებიც ამ პრინციპით ხელმძღვანელობენ, სწავლებას მოსწავლის პირად გამოცდილებას, ცხოვრებას უკავშირებენ და ახალ შინაარსს მოსწავლისთვის ნაცნობ სტრუქტურას აძლევენ.

გარემოსთან მსგავსება მოსწავლის შესასრულებელი სამუშაოს საფუძველია. ეს ნიშნავს, რომ როდესაც გარემოს გარკვეული თვისებები, რეგულარულად ასოცირდება სწავლის სახესთან ან პერიოდთან, რომლის დროსაც მოსალოდნელია მოსწავლეთა აზროვნება გაკვეთილის ან აქტივობის კონკრეტული ტიპის შესაბამისად „გადაეწყოს“.

მასწავლებელს შეუძლია სწავლის გარკვეული ფორმებისთვის რეგულარულად გამოიყენოს მსგავსი ფორმატები (გარემოს მისცეს გარკვეული სივრცის და დროის თვისებები), რათა მოსწავლეებში კონკრეტული სამუშაოს შესასრულებლად შექმნას მოლოდინები. მაგალითად, ბუნებისმეტყველების მასწავლებელს ლაბორატორიაში გაკვეთილის ჩატარებისას ყველა მოსწავლემ უნდა ჩაიცვას თეთრი სამუშაო ხალათი. ლაბორა-ტორიის ხალათი გარკვეული მინიშნებაა, რომ ისინი მეცნიერებად უნდა „გადაიქცნენ“.

ერთმანეთთან ახლოს მყოფი მოვლენები, ობიექტები, მოქმედებები და ემოციები უფრო ადვილად და მყარად ასოცირდება მოსწავლის გონებაში. ძნელია პირველი ასოციაციის დავიწყება, მაგალითად, თუ ორნიშნა რიცხვების შეკრებისას ჯერ ათეულებს კრებ და შემდეგ _ ერთეულებს. ძნელია ამ ჩვევის მოშლა.

მოსწავლეებს არ უნდა მივცეთ შეცდომებისა და არასწორი ასოციაციების ჩამოყალიბების საშუალება. სწავლის პროცესში, მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეთა სავარაუდო შეცდომები და თავიდან აიცილოს ისინი.

მასწავლებელი ფხიზლად უნდა იყოს პოტენციური უარყოფითი ემოციური ასოციაციების მიმართ, რომლებიც შეიძლება მოსწავლეებს ჩამოუყალიბდეთ. კარგი იქნება, თუ კონკრეტული თემის შეთავაზებამდე მასწავლებელი მოკლე აქტივობას წაუმძღვარებს, რომელიც დადებით განწყობას აღძრავს მოსწავლეებში.

დამაბნევლების გაცნობამდე მოსწავლეებს უნდა გავაცნოთ სწავლის შესაბამისი შე-სავალი. მასწავლებლები, რომლებიც ამ პრინციპით ხელმძღვანელობენ, ფრთხილობენ, რომ არ დააბნიონ მოსწავლეები ან არ შეასუსტონ უკვე ნასწავლი ერთეულები, მაგალითად, ასო-ბგერა „წ“ ისეთი ახალი ერთეულის შეტანით, როგორიცაა „შ“, რადგან შესაძლოა მოსწავლეებს ეს ორი ასო-ბგერა ერთმანეთში აერიოთ. ამ შემთხვევაში დაწყებითი სკოლის მასწავლებელმა უნდა ახსნას ასო-ბგერა „შ“, შემდეგ რომელიმე სხვა ასო-ბგერა/ბგერები და იმავდროულად გაიმეოროს „წ“. როცა დარწმუნდება, რომ მოსწავლეებმა „შ“ საფუძვლიანად დაისწავლეს, ახსნის ახალ ასო-ბგერა „წ“-ს. ამრიგად, მან არ უნდა მოსთხოვოს მოსწავლეებს უმნიშვნელო განსხვავებების მოძებნა ორ მონათესავე ერთეულს შორის, ვიდრე არ ახსნის ისეთ მასალას, სადაც უფრო

მკვეთრად იქნება გამიჯნული განსხვავებული ერთეულები. მასწავლებელს მხოლოდ მაშინ შეუძლია მოთხოვოს მოსწავლეს მონათესავე ერთეულების განსხვავება, როდესაც შინაარსობრივი წყვილის, სულ მცირე, ერთი ერთეული მაინც იქნება სათანადოდ გაგებული (სახელმძღვანელოებში ხშირად ერთდროულად არის მოცემული მონათესავე დამაბ-ნევლები. მაგალითად, დედამიწის ბრუნვა ღერძის და მზის გარშემო). ანალოგიურად, წესების დასწავლამდე არ უნდა გავაცნოთ წესიდან გამონაკლისების მაგალითები.

- **სწავლება ტრანსფერისთვის**

ეს პრინციპი ერევათ „გარემოში გამოყენების“ პრინციპში, რომლის მიხედვით აბსტრაქტულ გარემოში ნასწავლი უნდა გამოიყენონ რეალურ გარემოში. მასწავლებლები, რომლებიც ცოდნის ტრანსფერისთვის სწავლების პრინციპს მიმართავენ, დავალებათა ისეთ სერიას ქმნიან, სადაც მიღებული ცოდნის და უნარ-ჩვევების გამოყენება განსხვავებულია უშუალო სასწავლო გარემოსგან. ზოგჯერ ტრანსფერისთვის დამატებითი ზრუნვა საჭირო არ არის, ის თავისთავად ხდება. მაგალითად, თუ მოსწავლეები გამოკლების შესწავლისას მას დაუკავშირებენ ფულის სესხებას და კარგად შეისწავლიან მას, მაშინ ისინი ამ ცოდნის გამოყენებას შეძლებენ სუპერმარკეტში პროდუქტების შეძენისას. მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ცოდნის ტრანსფერი სპონტანურად არ ხდება და საჭიროა ხელოვნურად შევქმნათ მასტიმულირებელ მოვლენათა სერია. ამ ჯაჭვის დასკვნითი მოვლენაა მოსწავლეების მიერ ახალ კონტექსტში ცოდნის დამოუკიდებლად განხორციელებული ტრანსფერი. სწორედ ეს ართულებს ამ პრინციპის გაგებას. მაგალითად, თუ მოსწავლე, რომელმაც შეისწავლა რომელიმე მხატვრული ნაწარმოები, ჩაწვდა რა დამოკიდებულება აქვს გმირის მიმართ ავტორს. მიღებულ ცოდნას ის იყენებს და ითვალისწინებს სხვა დროსაც, მაშინ ცოდნის ტრანსფერი რეალურად მიღწეულია. მასწავლებელი ამ სახის ტრანსფერს დავალებების შესაბამისი თანამიმდევრობით და ნასწავლის მრავალმხრივი გამოყენების წახალისებით აღწევს.

- **გარემოში გამოყენება**

მოსწავლეებმა ახალი ქცევები ან უნარ-ჩვევები ახალ გარემოში ისევე უნდა გადაიტანონ, როგორც რეალურ ცხოვრებაში გადააქვთ: მაგალითად, მართლწერის ცოდნის ტრანსფერი კარნახით წერისას და მოსმენის უნარის ტრანსფერი კლასის რეალური დისკუსიების და კონფლიქტის მოგვარებისას.

- **აქტიური მონაწილეობა**

ეს პრინციპი სწავლების პროცესში მოსწავლეთა აქტივობას გულისხმობს. პასიურობა და მხოლოდ მოსმენა ამ პრინციპს გამორიცხავს. ყველა მოსწავლის აქტიური მონაწილეობა მხოლოდ ფიზიკურ მოძრაობებს ან სხვა მანიპულიაციებს არ გულისხმობს. ის შესაძლოა მოიცავდეს წერილობით მონაწილეობას, როდესაც ყოველი მოსწავლე პასუხობს დასმულ კითხვას, ან ვერბალური მონაწილეობა იყოს იმგვარად ორგანიზებული, რომ რამდენიმე მოსწავლეს ერთდროულად შეეძლოს საუბარი (წყვილებში ან ჯგუფებში საკამათო საკითხზე შეთანხმების მიღწევა).

- **ემოციის ხასიათი**

ემოციის ხასიათი სწავლების ხარისხის პირდაპირპროპორციულია. ამ პრინციპის მიხედვით სწავლის სიღრმე და სისწრაფე აღძრული ემოციის (დადებითის თუ უარყოფითის) პროპორციულია. თუმცა, გარკვეულ ზღვრამდე. ერთი მხრივ, რაც უფრო სასიამოვნოა სწავლა, მით უფრო ეფექტიანია, თუმცა რაღაც მომენტში სიამოვნება უპირატესი ხდება და შეიძლება, სწავლა ჩაანაცვლოს. დგება კლებადი უკუგების მომენტი. მოსწავლეებზე გაძლიერებული ზრუნვა

სწავლას ხელს უწყობს, მაგრამ გარკვეულ მომენტამდე. გადაჭარბებული ზრუნვა მღელვარებაში გადადის, რაც აბრკოლებს და ხელს უშლის სწავლას. დგება კლებადი უკუგების მომენტი.

- **თანამიმდევრობა და უკუსვლა**

ჩვეულებრივ, მასალის პირველი და ბოლო ნაწილების შესწავლა ყველაზე ადვილია, ხოლო შუა ნაწილის-ყველაზე რთული. სწავლის ხელშეწყობა შეიძლება მასალის ბოლო ნაწილიდან დაწყებით ან მასალის მცირე ნაწილებად დაყოფით. მასწავლებელს შეუძლია მასალის თანამიმდევრობა დაარღვიოს და ჯერ რთული ნაწილის სწავლა შესთავაზოს. შესაძლებელია თვით რთული ნაწილი დაიყოს მცირე ნაწილებად და მათ მეტი ყურადღება დაეთმოს სხვადასხვა საშუალებით (მუქი შრიფტი, სხვადასხვა ფერი, ხაზგასმა), ტექსტის რთული ნაწილების გამოყოფა და სხვ.

თანამიმდევრობის ამ პრინციპისა და მასალის პირველი და ბოლო ნაწილების მნიშვ-ნელობის მიხედვით სწავლებისას შესაძლებელია საგაკვეთილო დროის გადანაწილებაც. დღის, კვირის ან სემესტრის დასაწყისში გაკვეთილებზე განვითარებული მოვლე-ნები მოსწავლეებს უკეთესად ამახსოვრდებათ, ამიტომ დროის ეს მონაკვეთები მაქსი-მალურად სასარგებლოდ უნდა გამოვიყენოთ.

- **შედეგების ცოდნა**

შედეგები კონკრეტულად და დროულად უნდა ვაცნობოთ. მასწავლებლები, რომლებიც ამ პრინციპს მიმართავენ, მოსწავლეებს სავარჯიშოს დასრულებისთანავე თავაზობენ დეტალურ უკუკავშირს. პრინციპის მიხედვით, რაც უფრო ჩართულია მოსწავლე მასალაში, მით ოპტიმა-ლურია სწორი შედეგების მაკორექტირებელი გავლენა და მაქსიმალური ეფექტის მომტანია სრულყოფილი და კონკრეტული უკუკავშირი. სრულყოფილი უკუკავშირი მოსწავლეების პატივისცემის ფორმაა, მისი საშუალებით მასწავლებელი ამჟღავნებს, რამდენად მნიშვნელოვანია შესრულებული დავალების დეტალური განხილვა. მასწავლებელი შედეგების ცოდნის პრინციპს მაშინ იყენებს, თუ დავალების დასრულებისთანავე უკუკავშირთან ერთად მოსწავლეებს თვითშემოწმების ან სულ მცირე, დაშვებული შეცდომის გამოსწორების საშუალებებს სთავაზობს.

- **განმტკიცება**

ქცევის განმამტკიცებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი რამ. იშვიათია მისი ოსტატურად გამოყენება. ამ მძლავრი სტიმულის გამოყენების მრავალი საშუალება არსებობს. პედაგოგიური ცოდნის ბაზის მიხედვით განმტკიცება ზუსტი, შესატყვისი და საჭიროების მიხედვით უწყვეტი ან წყვეტი შეიძლება იყოს.

- **ხელმძღვანელობის ხარისხი**

ახალი დავალების შესრულებისას მოსწავლეებს მეტად სჭირდებათ გზის გაკვალვა, თუმცა შემდგომ ხელმძღვანელობის მოცულობა უნდა შემცირდეს.

- **რთული დავალებების დაყოფა მარტივ ნაწილებად**

ამ პრინციპს მაშინ ვიყენებთ, როდესაც მასწავლებელი ისეთ მასალას ხსნის, რომე-ლიც მოსწავლეებმა ვერ დაძლიეს. დავალებას ყოფენ უფრო პატარა ნაწილებად და ყურადღებას ამახვილებენ თითოეულ ნაწილზე. მაგალითად, თუ მოსწავლეებმა ამოცანის ამოხსნის ძიებისას ვერ მიაგნეს სწორ გზას, მასწავლებელი ახდენს ამოცანის დაყოფას მარტივ ქვეამოცანებად, ამოხსნის ამ ქვეამოცანებს და ამის შემდეგ უპასუხებს ამოცანის მთავარ კითხვას.

- **ვარჯიში**

მოსწავლეები ბევრი უნდა ვავარჯიშოთ ახალი უნარების ან ოპერაციის სწავლის დაწყებისას (ხშირი, დროის მოკლე ინტერვალებში ჩატარებული ვარჯიში), ხოლო შემდეგ დროის

ინტერვალები გავზარდოთ. ახალი ინფორმაციის მნიშვნელოვანი ერთეულები უნდა გავამეორებინოთ ყოველ ჯერზე, რომ მოსწავლე მასალის კონკრეტული ნაწილის დასწავლაში დარწმუნდეს. აკადემიურ უნარების ხანგრძლივი ვარჯიში სწრაფად აღწევს კლებადი უკუგების (მობეზრების) წერტილს.

პრაქტიკული სამუშაოები ხანმოკლე (2-5 და არა 20 წუთიანი) უნდა იყოს. ეს მნიშვნელოვნად განსხვავდება მოსწავლეთა დამოუკიდებლად მუშაობის განრიგისგან.

- **მიზნის დასახვა**

ამ პრინციპის მიზანია, მოსწავლეებს მიზნის დასახვა ვასწავლოთ. მოსწავლის ჩართვა სასწავლო მიზნების დასახვაში ხელს უწყობს სწავლას. მიზნის დასახვაში მოსწავლეთა მონაწილეობა ზრდის მათი მიღწევის მოტივაციას და თვითშეფასების უნარს.

მასწავლებელმა უნდა შეხვდეს მოსწავლეებს და ჩამოაწერინოს მისაღწევი მიზნები. მოგვიანებით მასწავლებელმა მოსწავლეებს მათი მიღწევის შეფასება უნდა თხოვოს. მიზნების დასახვაში მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს, გამიჯნონ ადვილი და არარეალისტური მიზნები. მოკლევადიანი მიზნები უკეთესია, ვიდრე გრძელვადიანი. ეს არ ნიშნავს, რომ გრძელვადიანი მიზნები აღარ დავსახოთ, უბრალოდ ისინი მოკლევადიან გეგმებად ან ქვემიზნებად უნდა დავყოთ, რომ მოსწავლემ ეფექტიანად შეძლოს მათი მიღწევა. მიზნების დასახვასთან ერთად მასწავლებლები მოსწავლეებს დავალებებსაც აძლევენ. ისინი მოსწავლეებს ვადებთან, ხარისხთან და რაოდენობას-თან დაკავშირებული პასუხისმგებლობების ჩამოყალიბებას უწყობენ ხელს. ზოგჯერ შესაძლოა მოსწავლეს სასწავლო შინაარსის არჩევის საშუალებაც მივცეთ.

- **მოდელირება**

ნასწავლის განმტკიცება შესაძლებელია ახალი უნარ-ჩვევების და ოპერაციების მოდელირებით. მასწავლებელი დაფაზე წერს მოდელს ისეთი დავალებისთვის, რომელსაც პროცედურები ჭირდება. მოსწავლეები მოდელს იყენებენ დამოუკიდებლად ვარჯიშისას. მოდელები მოსწავლეებს ახსენებს ნასწავლიდან საჭირო ცოდნას. მოდელის თავისებურებია: 1. მოდელი წარმოადგენს რეალური სიტუაციის ანალოგს. 2. იქმნება მყისიერი მიზნისთვის. 3. ხაზგასმულია მნიშვნელოვანი თავისებურებები. 4. შესასწავლი სიტუაცია დაყვანილია კონკრეტულ მაგალითამდე.

- **გამეორება**

ადამიანი ადვილად ივიწყებს ნებისმიერ ინფორმაციას ან უნარ-ჩვევას, რომელსაც აქტიურად არ იყენებს. ახალი მასალა ყოველთვის უნდა მოიცავდეს გავლილის გამეორებას და ვარჯიშს. ახალი უნარ-ჩვევების დაუფლებასთან ერთად იზრდება ნასწავლის გამეორების შესაძლებლობაც და დროთა განმავლობაში პრაქტიკული სავარჯიშოები სულ უფრო მეტი ნასწავლი უნარ-ჩვევების გამოყენებას ითხოვს მოსწავლისაგან.

- **დასასრული დასკვნის გარეშე**

მასწავლებლის კლასში აკეთებს ასეთ განცხადებას: მოიფიქრეთ ამ საკითხის გადაჭრის სამი ვარიანტი და მოემზადეთ მათ გასაზიარებლად. ზოგჯერ მოსწავლეთათვის ასეთი დავალების მიცემა, რომელზე ფიქრიც მათ მოსვენებას დაუკარგავს უფრო შედეგიანია, ვიდრე გაკვეთილის დასრულება მზამზარეული, ამომწურავი პასუხით.

- **მოსწავლის წახალისება მისსავე პასუხებზე რეაქციით**

მასწავლებლის რეაქცია მოსწავლის პასუხზე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თვით დასმული შეკითხვა. მოსწავლის ნებისმიერ პასუხს მასწავლებლის მხრიდან რეაქცია მოჰყვება.

იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მოსწავლეს არ აქვს პასუხი ან ნელა ფიქრობს მასწავლებელი რეაგირებს-მინიშნებას სთავაზობს, სხვა მოსწავლეს ეკითხება ან ეხმარება. მასწავლებლის რეაქციები, რომლებიც დღის განმავლობაში მრავალჯერ მეორდება, გაკვეთილის კლიმატს განსაზღვრავს. სწორედ მასწავლებლის რეაქცია შეიძლება გახდეს მოსწავლის სითამამის და აზროვნების სტიმული ან, პირიქით, შეაფერხოს აზროვნება და რისკის გაწევის სურვილი.

მოსწავლის პასუხებზე რეაქციით მასწავლებელი მას მოლოდინთან დაკავშირებულ სამ მნიშვნელოვან შეტყობინებას უგზავნის:

- ეს მნიშვნელოვანია;
- შენ შეგიძლია ამის გაკეთება;
- ხელის ჩაქნევის საშუალებას არ მოგცემ.

საკვანძო სიტყვები: სწავლა, მოსწავლე, პრინციპი, აზროვნება, მასწავლებელი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჯონ საფიერი, რობერტ გოუერი 2010: ჯონ საფიერი, რობერტ გოუერი. გამოცდილი მასწავლებელი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი.

2. პიტერ გ. ნორთჰაუზი 2001: პიტერ გ. ნორთჰაუზი. ლიდერობა თეორია და პრაქტიკა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი.

3. www. mastsavlebeli.ge

Tamar Dograshvili
Associate Professor, Kutaisi Akaki Tsereteli State University,
Irine Gogiberidze
Assistant Professor, Kutaisi Akaki Tsereteli State University

Principles of learning

Abstract

The more meaningful and relevant the assignment or information is for students, the easier it is to learn, for which teachers relate the teaching to the student's personal experience, real life, and give new content — a structure familiar to the learner. When certain features of the environment are associated with the type or period of learning, students' thinking is tailored to a particular type of activity. The teacher can regularly use similar formats for certain forms of learning (give the environment certain space and time properties) to create expectations in students for a particular task. Students understand the content of teaching better, when the use of teaching principles in practice is scientifically substantiated and adapted to the topic under discussion. To do this, the agenda is to study the principles of teaching and fulfill them with new ones.

The paper discusses the principles of teaching in detail: teaching for transfer, use in the environment, the nature of emotion, sequence and reversal, knowledge of results, reinforcement, quality of leadership, division of complex tasks into simple parts, exercise, goal setting, modeling, repetition, ending without conclusion and encourage the student to respond to his / her own answers, practical examples are given and appropriate conclusions are made.

Keywords: Learning, student, principle, thinking, teacher.

მელანია ჩხიტუნიძე
სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ორღულის
საჯარო სკოლის დირექტორი, მათემატიკის მასწავლებელი.
ია დარბაიძე
სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ორღულის
საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

სკოლისა და ოჯახის როლი მოსწავლეთა უნარებისა და შესაძლებლობების განვითარების პროცესში

(სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ორღულის
საჯარო სკოლის მაგალითზე)

მრავალი წელია შეიქმნა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები და მის მისაღწევად მუდმივად მიმდინარეობს დაუღალავი შრომა სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სწავლა-სწავლების მეთოდების დამუშავებაზე. სკოლის დირექტორებს და მასწავლებლებს უტარდებათ ტრენინგები, ვებინარები და ა.შ. აუარებელ თანხებს ხარჯავს სახელმწიფო. მასწავ-ლებლები შეუფასებელ შრომას დებენ თავიანთ საქმეში, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, განათლების სისტემაში სწავლების ხარისხი ისევ დაბალია. მოსწავლეთა უდიდესი ნაწილი სასკოლო საგნობრივ დისციპლინებში შედეგებს რეპეტიტორების დახმარებით აღწევენ, რასაც ეწირება მათი ბავშვობის საუკეთესო დრო. ეს დრო მათ მიერ ბევრად საინტერესოდ შეიძლება იქნას გამოყენებული, რაც საბოლოოდ მათ ფსიქიკაზე უარყოფითად აისახება.

მტკივნეულად განვიცდით საზოგადოებაში არსებულ ნეგატიურ მოვლენებს. გამოგვრჩა და არ გვაფიქრდება, რომ საზოგადოების წევრები ოჯახებიდან მოდიან, რომ სწორედ ოჯახში ყალიბდება მათი ფსიქიკა და გონებრივი შესაძლებლობები.

ძალიან მნიშვნელოვანია აღზრდის თემატიკა და მის მიმართ სახელმწიფოს სწორი ორიენტაცია.

ქვეყნის უკეთესი მდგომარეობის სურვილით, განათლების სისტემაში უკეთესი შედეგების მოლოდინით წლები გაილია. ვფიქრობთ, რომ აქ, ყველამ თავისი წილი აგური უნდა დადოს, თავისი მოკრძალებული მოსაზრება გამოთქვას, იქნებ კი რამე უკეთესად გამოვიდეს.

უდაოა, რომ ნიჭიერი თაობა გვყავს, მაგრამ ნიჭს განვითარება და სწორი მიმართულება ესაჭიროება, ამაზე ფიქრით გაგვიჩნდა იდეა, გვეკვლია „ რა როლი ენიჭება სკოლასა და ოჯახს მოსწავლეთა უნარებისა და შესაძლებლობების განვითარებაში“.

კვლევის მიზანი

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს, ვიკვლიოთ, რა იწვევს ორღულის საჯარო სკოლის მოსწავლეებში გონებრივი შესაძლებლობების გამოუყენებლობას. ვიპოვოთ მიზეზები და გავცეთ რეკომენდაციები, როგორ განვავითაროთ მოსწავლეთა უნარები და შესაძლებლობები.

კვლევის საგანი

ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს ორღულის საჯარო სკოლის მოსწავლეთა არსებული უნარები და შესაძლებლობები და დავადგინოთ მისი განვითარების გზები/საჭიროებები.

კვლევის მეთოდოლოგია

შევისწავლეთ ორღულის საჯარო სკოლის მოსწავლეთა არსებული უნარები/შესაძლებლობები და გავაანალიზეთ ისინი. რისთვისაც გამოვიყენეთ შედარებითი და აღწერითი მეთოდები

კვლევის სიახლე

შევისწავლეთ ორღულის საჯარო სკოლის მოსწავლეთა უნარებისა და შესაძლებლობების ხელისშემშლელი გარემოებები და დავადგინეთ მათი განვითარების გზები. ჩვენი აზრით სადამრიგებლო პროგრამა აგებული უნდა იყოს 21-ე საუკუნის გამჭოლი უნარებისა და ღირებულებების მიზნებზე დაყრდნობით. ეროვნულ სასწავლო გეგმა უნდა მოიცავდეს ბავშვის პიროვნულად აღზრდის ასაკობრივ სტანდარტს, რაც ბავშვის აღზრდაში დაეხმარებოდა მასწავლებელსაც და მშობელსაც; მშობლები ზედმეტად თავდაჯერებული არიან თავიანთ აღმზრდელობით მეთოდებში. მშობლებს ესაჭიროებათ სათანადო საღმზრდელო ლიტერატურა, რომელიც დაეხმარებოდა მათ აღზრდის სწორი მიმართულებით განხორციელებაში. ბავშვის არასწორი აღზრდა საზოგადოებაში არსებული ყველა პრობლემის საწყისია და სახელმწიფოებრივ საჭიროებას წარმოადგენს;

კვლევის სტრატეგია.

კვლევა მოიცავდა ხარისხობრივ და რაოდენობრივ კომპონენტებს. ხარისხობრივი კომპონენტის ფარგლებში ჩავატარეთ გამოკითხვა, რომელიც განხორციელდა სოფელ ორღულის საჯარო სკოლის მასწავლებლებთან და მშობლებთან. რაოდენობრივი კომპონენტის მიზანს კი წარმოადგენს ინფორმაციის შეგროვება სამიზნე ჯგუფებიდან.

შერჩევის მეთოდი

სამიზნე ჯგუფებად შერჩეულ იქნა სოფელ ორღულის საჯარო სკოლის მოსწავლეთა კლასები, მათი მშობლები და მასწავლებლები.

გამოყენებული მიდგომა

მასწავლებლების მიერ განვლილი ტრენინგების შესახებ სკოლის მონაცემებითა და კვლევის პროცესში დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ მასწავლებლებს სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად აქვთ ჩართული ახალი მეთოდები და მიდგომები, მაგრამ სწავლა განმტკიცებას პოულობს ოჯახში, რაც, მასწავლებელთა აზრით, სათანადოდ ვერ ხორციელდება ოჯახებში. ყველა მშობელს აქვს აღზრდის ინდივიდუალური მიდგომა და დარწმუნებულია, რომ სწორად ახდენს ბავშვის აღზრდას. მხოლოდ მცირე ნაწილი ფიქრობს, რომ საჭიროა სანდო საღმზრდელო ლიტერატურა. მასწავლებლები ფიქრობენ, რომ შვილებს სჭირდებათ სწორი აღზრდა და მასწავლებელი არ არის ყოვლისშემძლე. ეროვნულ სასწავლო გეგმაში საორიენტაციოდ უნდა იყოს ადამიანის 21-ე საუკუნის უნარებსა და ღირებულებებზე აშენებული სრულყოფილი ზოგადი სადამრიგებლო პროგრამა და ბავშვის პიროვნული განვითარების სტანდარტი.

კვლევის ეტაპები

კვლევა ჩავატარეთ სამ ეტაპად:

I ეტაპი - შევაფასეთ სოფელ ორღულის საჯარო სკოლის მოსწავლეთა შედეგები, გავაანალიზეთ ისინი და შევადარეთ მოსწავლეთა გონებრივი შესაძლებლობების შესახებ მიღებულ ინფორმაციებს, რაც მოვიპოვეთ გაკვეთილებზე დასწრებით, მასწავლებლებთან და მშობლებთან ინდივიდუალური გასაუბრებით.

მასწავლებლებისა და მშობლების მიერ შევსებული კითხვარების საფუძველზე მოვახდინეთ პრობლემების იდენტიფიცირება და შევიმუშავეთ სამოქმედო გეგმა.

II ეტაპი - სამოქმედო გეგმის განხორციელება დავიწყეთ ორ მიმართულებაზე მუშაობით: 1. როგორ მიმდინარეობს სკოლაში მოსწავლეთა სწავლა-სწავლების საკითხი? და მეორე: 2. როგორი მზაობა აქვს ასაკობრივად მოსწავლეებს სწავლა-სწავლებისთვის?

ვეძიეთ მიზეზები, რაც ხელს უშლის მოსწავლეებს გონებრივი შესაძლებლობების განვითარებაში. დავამუშავეთ სააღმზრდელო პედაგოგიური ლიტერატურა, რაც დაგვეხმარებოდა მიზეზების პოვნასა და რეკომენდაციების შექმნაში ორივე მიმართულებით.

III ეტაპი - შედეგების შეფასება და რეკომენდაციების ჩამოყალიბება.

ადამიანის ქცევა/ქმედება გარემოებაზეა დამოკიდებული, მაგრამ ერთიდაიგივე გარემოში სხვადასხვა ადამიანი სხვადასხვანაირად რეაგირებს. ადამიანის ნებისმიერი ქმედება მის უნარებზეა დამოკიდებული, რაც მას აღზრდის გავლენით უყალიბდება. ჩვენი პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდში მუდმივად ვაკვირდებოდით მოზარდთა უნარებსა და გონებრივ შესაძლებლობებს. ჩვენს პროფესიულ მოსაზრებებს ვუზიარებდით კოლეგებს, ვაანალიზებდით გარემოებებს, ვმსჯელობდით საკითხის ირგვლივ და ვფიქრობდით, თუ რა გავლენას ახდენს აღზრდა ბავშვის გონებრივი შესაძლებლობის ფორმირებაზე. მოგვყავდა კონკრეტული მაგალითები, რაც მრავლად გვაქვს. მეტი სიზუსტით, რომ ვთქვათ, ისეთი მოსწავლეები, რომელთა მშობლები მეტად გამოირჩევიან გონიერებით, მაღალი მორალითა და ზნეობით, შვილებიც მეტად არიან გაწონასწორებული. მათი გონებრივი განვითარებაც ასაკობრივად შესაბამისობაშია. დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ასეთ ბავშვებს მოწესრიგებული აქვთ დღის რეჟიმი და ხასიათდებიან სისტემატიურობით, რაც მათ აკადემიურ შედეგებსა და პასუხისმგებლობის გრძნობაზე აისახება.

სკოლის, თითოეული მასწავლებლისა და, ვფიქრობთ, მთლიანად განათლების სისტემის ფუნდამენტურ საზრუნავს წარმოადგენს, თუ როგორ განვავითაროთ მოსწავლეთა უნარები და შესაძლებლობები, რაც გამოიკვეთა მასწავლებელთა და მშობელთა კითხვარებიდან და კვლევის თემაც, სწორედ გამოკვეთილი პრობლემების იდენტიფიცირების ფონზე შევარჩიეთ და შევიმუშავეთ სამოქმედო გეგმა.

კვლევის პირველ ეტაპზე შემაჯამებლების გაანალიზებითა და გაკვეთილებზე დასწრებით განვახორციელეთ ჩვენი სკოლის მოსწავლეთა უნარებსა და გონებრივ შესაძლებლობებზე დაკვირვება/შედარება. აგრეთვე მოვუსმინეთ ინდივიდუალურად სხვადასხვა საგნობრივი დისციპლინის მასწავლებლებს.

წარმოგიდგენთ რამდენიმე კითხვის ანალიზს:

კითხვა მასწავლებლებს:

1. როგორ ფიქრობთ, მაქსიმალურად იყენებენ თუ არა მოსწავლეები თავიანთ გონებრივ შესაძლებლობებს (უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, დაასახელოთ მიზეზი)? დიახ უპასუხა - 2; არა უპასუხა -17



2. თქვენი აზრით, საკმარისია თუ არა ჩვენი სკოლის მოსწავლეთა მშობლების ჩართულობა სასწავლო ცხოვრებაში (უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, ახსნათ სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა არასაკმარისი ჩართულობის მიზეზი)? **დიახ უპასუხა - 5; არა უპასუხა - 14.**



მასწავლებლები ფიქრობენ, რომ მოსწავლეები არ მოდიან გაკვეთილებზე სისტემატი-ურად მომზადებული; სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობა არ არის საკმარისი და ასახელებენ მიზეზებს.

მშობლებთან ინდივიდუალური გასაუბრებით იკვეთება მნიშვნელოვანი პრობლემები, რომ მოსწავლეები არ უჯერებენ მშობლებს და მოსწავლეები არამიზნობრივად იყენებენ ტელეფონებს და კომპიუტერებს. მარტივი მისახვედრია, რომ, შესაბამისად, მოსწავლეები ვერ ასრულებენ დღის რეჟიმს, რაც „ჯანსაღი ცხოვრების წესის“ პრიორიტეტული მიმართლებით

განხორციელებულ სასკოლო პროექტის - „ვიცხოვროთ ჯანსაღად“ ფარგლებში შექმნეს მოსწავ-ლეებმა. ეს ყველაფერი უკავშირდება ოჯახში არასწორი აღზრდის შედეგს.

აგრეთვე იკვეთება მშობელთა ერთი ფრიად მნიშვნელოვანი პრობლემა, რომ მშობლები ერთმანეთთან გაუცხოებულები არიან. მათ აკლიათ გულწრფელობა და გაურბიან პრობლემის აღიარებას, რაც მათთან შეხვედრისას მარტივად ჩანს. შეხვედრაზე მხოლოდ ერთეული მშობ-ლები აქტიურობენ. საამისოდ მშობლების ნებით, სკოლაში კლასებიდან სამ-სამი მშობლის წარდგინებით შეიქმნა „მშობელთა სამეგობრო“, აირჩიეს თავმჯდომარე. მასწავლებელთა შემადგენლობით შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი, რომელთა დახმარებით „მშობელთა სამეგობრომ“ შექმნა დებულება. აქ კვლევის მიმდინარეობა გაიყო ორი მიმართულებით:

1. როგორ მიმდინარეობს სკოლაში მოსწავლეთა სწავლა-სწავლების საკითხი?

და მეორე:

2. როგორი მზაობა აქვს ასაკობრივად მოსწავლეებს სწავლა-სწავლებისთვის?

პირველი მიმართულებით კვლევამ გვიჩვენა, რომ მასწავლებლებს უტარდებათ ტრენინგები, რაშიც ჩვენი სკოლის პედაგოგები აქტიურად არიან ჩართულები და ცდილობენ სიახლეების პრაქტიკაში დანერგვას, ამასთან, მასწავლებლები პროფესიული განვითარების მიზნით ახდენენ ურთიერთდასწრებას და ერთმანეთს კრიტიკული მეგობრის თვალით აფა-სებენ. მართალია, მნიშვნელოვანი პრობლემაა სკოლაში კომპიუტერული ტექნიკის გაუმართა-ობა, რაც მასწავლებლებს სიახლეების დანერგვაზე პრობლემებს გვექმნის, მაგრამ ეს სულაც არ გვაძლევს იმის საფუძველს, რომ სწავლა-სწავლების მიმართულებით ხარვეზები მხოლოდ ტექნიკის გაუმართაობას დააბრალოს ვინმემ და თავი შევიკავოთ სხვა მიზეზების ძებნასა და აღმოფხვრაზე.

სკოლაში სასწავლო პროცესი შეუფერხებლად მიმდინარეობს, მასწავლებლები დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან თავიანთ ვალდებულებებს და მათ მიერ გაკვეთილების გაცდენას ადგილი არ აქვს. ჩვენთან ყველა სტატუსის მქონე მასწავლებელია, მათგან 6 წამყვანი და 12 უფროსი. სკოლაში წარმატებით ხორციელდება საკლასო და სასკოლო პროექტები, მოსწავლეები ჩართული არიან საწრეო და საკლუბო მუშაობაში. სიამაყით შეგვიძლია ვთქვათ, რომ არაფორმალურ განათლებას სკოლაში ჯეროვანი ყურადღება ექცევა. სწავლებაში მნიშვნე-ლოვანია ინტეგრირებული გაკვეთილები და პროექტები, რასც აქტიურად ხორციელდება. მასწავლებლები აღიარებენ, რომ სკოლა მასწავლებლის პროფესიული განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილია და ისინი გამოცდილების გაზიარების მიზნით, მუდმივად ახორ-ციელებენ ურთიერთდასწრებებს. დაუღალავი შრომის მიუხედავად შედეგების კმაყოფილებას ვერ განვიცდით: 93 მოსწავლიდან 13 მოსწავლე გვყავს წარჩინებული აკადემიური მოსწრებით და არც მოსწავლეთა მიმდინარე შემაჯამებლების ანალიზია სახარბიელო. გაკვეთილებზე ინტესიური დასწრებით, მასწავლებელთა და მშობელთა გამოკითხვის საფუძველზე გამოიკ-ვეთა, რომ მოსწავლეებს საგაკვეთილო მასალა ამომწურავად მიეწოდებათ, მაგრამ სახლიდან მოუმზადებელი ბრუნდებიან, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ სახლში ცოდნის განმტკიცებას ვერ ახდენენ.

აქ, მნიშვნელოვნად ჩავთვალეთ გადაგვეხედა ეროვნულ სასწავლო გეგმაში სადამ-რიგებლო პროგრამისთვის და ის შეგვექმნა 21-ე საუკუნის უნარებისა და ღირებულებების მიზნების შესაბამისად, სადამრიგებლო პროგრამაში მეტი აქტივობები გაჩნდა მშობელთა ჩართულობით, მშობლები ესწრებიან გაკვეთილებს. დამრიგებელი სიტემატიურად აკვირდება თავის მოსწავლეებს ყველა საგნობრივ დისციპლინაში, მაგრამ, სამწუხაროდ მასწავლებელს

მეტი უფლებები არა აქვს, ის მხოლოდ ზედაპირულად ამბების მომკითხავია მისი ოჯახური გარემოსი, რომელიც ესოდენ მნიშვნელოვანია ბავშვისთვის.

უდავოა, რომ მოსწავლეებს მეტი გონებრივი შესაძლებლობები აქვთ! რა ვქნათ, როგორ განვავითაროთ ის?! ვის მეტი ვალდებულებები აქვს მოსწავლეთა მიმართ, მშობელს, თუ მასწავ-ლებელს? „მშობელთა სამეგობროსთან“ შეხვედრაზე მრავალი მიმართულებით და მრავალი კუთხით დაისვა კითხვები, რამაც გამოკვეთა მნიშვნელოვანი საკითხი, რაც გაჟღერდა „მშო-ბელთა სამეგობროს“ თავმჯდომარისგან:

კითხვა: ვინ ვზრდით სწორად ბავშვს და ვინ არასწორად?

პასუხი: ყველას ჰგონია რომ სწორად ზრდის შვილს!

მთავარი და მნიშვნელოვანი, რაც მოსწავლისთვის სწავლების პროცესს აადვილებს, საამისოდ მისი მზაობაა. სწორედ ეს წარმოადგენს ჩვენი კვლევის მეორე მიმართულებას.

კითხვა: როგორი მზაობა აქვთ ასაკობრივად მოსწავლეებს სწავლა-სწავლებისთვის? ამ კითხვაზე პასუხს ცალსახად თუ გავცემთ მხოლოდ, საგნობრივ სტანდარტთან შესაბამისობით. მაგრამ ასაკობრივად აქვს შესაბამისი აღზრდა, რომ სწავლა-სწავლებისთვის ჰქონდეს მზაობა? ეს საკმაოდ დასაფიქრებელია და მოითხოვს პედაგოგიკის საკითხების მყარ გააზრებას. აქ შეცდომა დაუშვებელია, საქმე ბავშვის აღზრდას ეხება, რადგან აღზრდა უქმნის ბავშვს მზაობას სწავლა-სწავლებისთვის. ბავშვის აღზრდის, მისი მორალური და ზნეობრივი ფორმირების წყარო ძირითადად ოჯახია.

კითხვა: როგორ აღზრდას ღებულობს ოჯახში ბავშვი?

პასუხი: ყველა ოჯახში ბავშვი იზრდება მშობლების შეხედულებისამებრ!

კითხვა: როგორია სწორი აღზრდა და როგორია არასწორი აღზრდა?

ამ კითხვაზე პასუხები ინდივიდუალურია!

კითხვა: როგორ აღზრდას ვახორციელებთ ჩვენ?

საკითხი დგას ასე: გვაქვს სადმე მოცემულობა, როგორ აღვზარდოთ ბავშვები? ან არის სადმე ბავშვის აღზრდის ასაკობრივი სტანდარტი? თუ არ არის, უსათუოდ გამოგვრჩა, რაც ხელს გვიშლის, და, თანაც ძლიერ ხელისშემშლელია, როგორც მშობლებისთვის, ასევე მასწავლებ-ლებისთვის. ყველა მშობელს სურს კარგი შვილი აღზარდოს და საამისოდ ძალ-ღონეს არ იშურებს. ასევეა მასწავლებელიც. გვაქვს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, რის მისაღწევად დაუღალავად ვშრომობთ, მაგრამ, სამწუხაროდ ჩვენი შრომის საპირწონე შედეგს ვერ ვიღებთ. მთავარი ხომ ადამიანის პიროვნული აღზრდაა, რაც სულიერებას, ზნეობას და მორალს მოიცავს, განათლება კი ავსებს მას. პედაგოგებს და მშობლებს საერთო საქმე გვაერთიანებს - მოსწავლის აღზრდა და ღირსეულ ადამიანად ჩამოყალიბება! აღზრდაში დაშ-ვებული შეცდომები საზოგადოებისთვის საფრთხეს ქმნის და საბოლოოდ, სახელმწიფოებ-რიობასაც საფრთხეში აგდებს. თემა აქტუალურია. უდაოა, რომ ბავშვი იზრდება ოჯახში, სკოლასა და საზოგადოებაში, მაგრამ მათგან ვის აკისრია მეტი ვალდებულება, ოჯახს, სკოლას, თუ საზოგადოებას?

საგნობრივი სტანდარტი რომ არ არსებობდეს, ყველა საგნის სპეციალისტი ხომ თავისი შეხედულებისამებრ ასწავლიდა საგანს და როგორ ფიქრობთ, არ იქნებოდა ქაოსი საგნობრივი სწავლების მიმართულებით? ჩვენ ვფიქრობთ, რომ იქნებოდა!

მიმდინარე კვლევა საკმაოდ პრიორიტეტულ საკითხს მიადგა, ეს მოზარდის აღზრდის საკითხია. ყველა მშობელი ბავშვს ზრდის თავისი შეხედულბისამებრ! ეს პრობლემა სკოლაში მშობელთა სათათბიროს ჩართულობით გამოიკვეთა. ვფიქრობთ, რომ აღნიშნული პრობლემა

მხოლოდ ჩვენს სკოლაში არ დგას. ადამიანის აღზრდა და მისი პიროვნული ფორმირება მსოფლიოს წინაშე პრიორიტეტული თემაა. ჩვენ, ჩვენი ვიწუხოთ. ქართველებს მრავალსაუკუნოვანი წარსული გაგვაჩნია და არ გვეპატიება მისი დავიწყება. ილია თავიდან რომ არ მოვკლათ და ჩვენი ყველა წინაპარი ცხონდეს, ნუ დავივიწყებთ, რა ძალა აქვს აღზრდის ფენომენს. იდიალური არაფერი არ არსებობს, მაგრამ საუკეთესოდ მაინც გამოგვივა, თუ ჭკვიან, გონიერ და აზრიან ადამიანებს აღვზრდით, მაშინ ისინი საკუთარ თავსაც გამოადგებიან და ქვეყანასაც მეტად: „როგორც ურემი სწორედ ვერ გაივლის, თუ ცალ-მხრივ გააწევინე ხარსა, ისეც ძიება და კვლევა ჭეშმარიტებისა, ცალ-კერძ ტარებული და განზიდული". დიდი სიბრძნეა ილიას ამ სიტყვებში ჩადებული და ვფიქრობთ, რომ შეესატყვისება დღევანდელ გარემოებას. მოსწავლის აღზრდა მართალია ოჯახში, სკოლაში და საზოგადოებაში უნდა ხორციელდებოდეს. რათქმაუნდა ასეა, მაგრამ ოჯახი და სკოლა მთავარი რგოლია, მათგან კი ოჯახი უდიდესი. ნათელი მიზანი, რასაც ბავშვის აღზრდის, პიროვნული განვითარების ასაკობრივი სტანდარტი მეტად ბედნიერ, შრომისმოყვარე თაობას გაზრდის.

კვლევაში დიდი ინტერესით ჩაერთნენ სკოლის მასწავლებლები. საამისოდ განვიხილეთ ეროვნული სასწავლო გეგმა, სადაც აღზრდის საკითხები მხოლოდ სადამრიგებლო პროგრამაში აღმოვაჩინეთ, მაგრამ ისიც მცირეა და არასაკმარისი დღევანდელ გამოწვევებთან. ვფიქრობთ, რომ ორღულის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი სადამრიგებლო პროგრამა მარტივი აღსაქმელია, საინტერესოა, პასუხობს დღევანდელ გამოწვევებს და საყურადღებოა.

სკოლაში შექმნილია საინიციატივო ჯგუფი, რომლის ინიციატივით გაჟღერდა, რომ ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში მშობელთა ჩართულობის გაუმჯობესების მიზნით სამომავლოდ, როცა სკოლას კომპიუტერები ექნება, განვახორციელოთ პროექტი „მშობელი და სკოლა", რომლის ფარგლებშიც მსურველ მშობლებს შევასწავლით საოფისე პროგრამებს, რაც კიდევ მეტად დააახლოებს მშობლებს სკოლასთან. საოფისე პროგრამების შესწავლით მეტად მოხერხდება მათი სკოლაში დაგეგმილ პროექტებსა და აქტივობებში ჩართულობა.

მიმდინარე პერიოდში „მშობელთა სამეგობროს" შეხვედრაზე დავგეგმეთ, რომ მშობლებს წაეკითხათ წიგნი „როგორ გავხდე კარგი მშობელი"(დოქტორი: თომას გორდონი mastsavlebeli.ge). მნიშვნელოვანი ნაბიჯია სასკოლო ცხოვრებაში, რომ წიგნის პრეზენტაცია „მშობელთა სამეგობროს თავმჯდომარემ" თავისი ინიციატივით გააკეთა სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის ჩართულობით დაგეგმილ მშობელთა შეხვედრაზე, სადაც განვიხილეთ საკითხი „ოჯახის როლი ბავშვის აღზრდაში". „მაგრამ არსებობს „გამარჯვება დამარცხების" ალტერნატივა, კომფლიქტის მოგვარების „უდანაკარგო" მეთოდი, არც სასწაულმოქმედი და არც სწრაფი გზაა, მის შესასწავლად გარკვეული დროა საჭირო". შეხვედრაში მონაწილეობდა რესურცენტრის იურისტი საკითხის გაშუქებით - „ბავშვის აღზრდაზე მშობლის სამართლებრივი ვალდებულებები" და პასუხი გაეცა მნიშვნელოვან კითხვებს:

1. რა პრობლემები გამოიკვეთა 21-ე საუკუნეში ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებით და, როგორ ფიქრობთ, რამ გამოიწვია იგი?
2. რას ნიშნავს სწორი და არასწორი აღზრდა?
3. როგორ მიხვდეს მშობელი, სწორ აღზრდას ეწევა, თუ არასწორს?
4. რას ნიშნავს თვითმართვა და როგორ ჩამოვუყალიბოთ მოზარდს თვითმართვის უნარი?
5. ვინ უნდა აღზარდოს მოზარდი?

6. არ ვემიჯნებით, ვაღიარებთ, რომ ბავშვი იზრდება სკოლაში, ოჯახსა და საზოგადოებაში და სამივე ფაქტორი ახდენს მასზე გავლენას. როგორ ფიქრობთ, მეტი გავლენა ბავშვის აღზრდაზე ვის აქვს: მშობელს, მასწავლებელს თუ საზოგადოებას?

7. ვის ეკისრება პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდაზე: მშობელს, სკოლას თუ საზოგადოებას?

8. ასაკის შეუსაბამო ტელეგადაცემები და ინტერნეტით მოპოვებული ინფორმაციები რა ნეგატიურ გავლენას ახდენს ბავშვის ფსიქიკაზე?

9. ზოგი მშობელი შრომით აღზრდას პატარაობიდანვე აჩვევს ბავშვს, ზოგი ზედმეტად თავისუფლებას აძლევს და არ რთავს არანაირ საოჯახო საქმიანობაში. ამ დროს იკვეთება პრობლემები ბავშვებსა და მშობლებს შორის. როგორ მოვაგვაროთ ეს პრობლემები?

10. ბავშვების მიერ უფლებების არასწორი აღქმა იწვევს მათ ზედმეტად თავდაჯერებულობას. რა როლი ეკისრება მშობელს ბავშვის რეალური თვითშეფასების ჩამოყალიბებაში?

11. დღეს ყველამ ვიცით და აღარ ვდაობთ იმაზე, რომ ადამიანის სულიერ ფორმირებაზე უდიდეს გავლენას ახდენს აღზრდა. როგორ ფიქრობთ, აღზრდის რა მეთოდებს უნდა მიმართოს აღმზრდელმა, რომ აღზრდილი სულიერად ძლიერი ადამიანი იყოს?

12. გაუგებრობები და კომფლიქტური გარემოებები ადამიანში იწვევს უარყოფით ემოციებს. როგორ ფიქრობთ, სტრესი და უარყოფითი ემოციები არის თუ არა ადამიანში მრავალი სულიერი და ფიზიკური დაავადებების წარმოშობის საბაბი?

13. როცა ბავშვი რაღაცას გააფუჭებს, რა რეაგირება უნდა მოახდინოს მშობელმა?

14. როგორ მოქმედებს შექება ბავშვზე?

მშობელთა შეხვედრისთვის დაიგეგმა ბიოლოგიის მასწავლებლის მიერ პრეზენტაცია: „სტრესისა და უარყოფითი ემოციების გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე“, რაც მშობლებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ადამიანებს უარყოფითი იმპულსები არასწორი აღზრდით უყალიბდებათ. თუ ჯეროვანი ყურადღება მიექცევა აღზრდის კულტურას, ეს საზოგადოებაში ჯანსაღი დამოკიდებულებების უდიდესი პრევენცია იქნება.

ძალიან მნიშვნელოვანი იყო ეს შეხვედრა მშობლებისთვისაც და მასწავლებლებისთვისაც. მრავალ გამოთქმულ და გამოუთქმელ კითხვებს გაეცა პასუხი, ამ შეხვედრაზე პროფესიონალი ფსიქოლოგის, სოციალური მუშაკისა და რესურცენტრის იურისტის მიერ. მეტად დავრწმუნდით, რომ ბავშვის აღზრდის ფუნდამენტი ოჯახში დგება და მშობლები დახმარებას საჭიროებენ, რათა თაობები სულიერად ძლიერი, შემდგარი, ჯანსაღი, შრომისმოყვარე, ზნეობით და მორალით სავსე ადამიანებად ჩამოყალიბდნენ. მათი ძლიერი გასაღები მშობელთა ხელშია მეტად, ამას ვერ ვუარყოფთ:

„...თუ საძრკველი დანგრეულია,
მაშინ კედლების აშენებისთვის
ყოველი შრომა დაკარგულია“
/გიორგი ჭალადიდელი/

სწორედ ეს საძირკველია ოჯახი ადამიანისთვის, რომელსაც ვფიქრობთ, რომ დახმარება სჭირდება სახელმწიფოსგან, რომ არ გახდეს ნეგატიური ფაქტორების წაქეზების მსხვერპლი, რაც მის სიმტკიცეს არღვევს. ძლიერი ოჯახი ძლიერი სახელმწიფოა.

ისეთი შეგრძნება გვაქვს მასწავლებლებს, რომ ბავშვების აღზრდაზე პასუხისმგებლობა მხოლოდ მასწავლებლებზეა დამოკიდებული. საზოგადოებიდანაც შეიგრძნობა ამის გამოხატულება. ეს არ მოგვიტანს სასურველ შედეგს. მასწავლებლები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოჯახებში გარემოებების მოკვლევაზე უუფლებონი ვართ, ბევრი რამ ჩვენს შესაძლებლობებს აღემატება. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რაც ჩვენს მიერ განხორციელებულმა კვლევამ საკმაოდ დიდი გამოცდილების პედაგოგებს თვალნათლივ დაგვანახა.

მიგვაჩნია, რომ სახელმწიფომ შვილების მიმართ მშობელთა მოვალეობა და პასუხისმგებლობა მათ აღზრდაზე მეტად წამოწიოს. სასურველია ქვეყანაში არსებობდეს „მშობელთა სწავლების კურსი“ და ყველა მშობელი უნდა იყოს ვალდებული დახელოვნდეს მშობლისთვის საჭირო უნარებში და ეს არ უნდა იყოს მათ სურვილზე დამოკიდებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც ჩვენმა კვლევამ აჩვენა, მხოლოდ მშობლების შეგნებული ნაწილი თუ გამოხატავს, რომ შვილების აღსაზრდელად სასურველია მშობლებისთვის საჭირო და სანდო ლიტერატურის არსებობა.

მაშასადამე, კვლევიდან გამომდინარე:

- წინამდებარე კვლევამ ცხადად გვიჩვენა, რომ მოსწავლის გონებრივი შესაძლებლობის განვითარება დამოკიდებულია როგორც სასკოლო, ასევე ოჯახურ გარემოზე და მშობლები უნდა გრძნობდნენ საამისოდ პასუხისმგებლობას, რომ ფლობდნენ მშობლობის უნარებს, რაც სახელმწიფოს მხრიდანაც საჭიროებს წახალისებას.
- ეროვნულ სასწავლო გეგმაში სასურველია დაემატოს სააღმზრდელო საკითხები სადამრიგებლო პროგრამისა და ბავშვის პიროვნული განვითარების სტანდარტის სახით, რაც ჩამოუყალიბებს მოზარდებს ქცევის თვითმართვის უნარებს და მშობლებს შემატებს ხედვას, და შესაბამისად, მეტი პასუხისმგებლობის გრძნობას.
- სასურველი იქნება, თუ საგანმანათლებლო სივრცეში განვიხილავთ მოსწავლის ქცევის დამაკმაყოფილებელ და არადამაკმაყოფილებელ შეფასებას, რასაც განმავითარებელი კომენტარით გამოვხატავთ, რათქმაუნდა ბავშვის პიროვნული განვითარების შემუშავებული სტანდარტის შესაბამისად.

საკვანძო სიტყვები: სკოლა, ოჯახი, აღზრდა, უნარი, მოსწავლე, განვითარება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ეროვნული 2018: ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024.

2. გორდონი 2017: გორდონი თომას., „როგორ გავხდე კარგი მშობელი“, 2017 წლის 6 იანვარი, mastsavlebeli.ge

3. ზოგადი განათლების 2004: ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, საქართველოს მთავრობის დადგენილება,№ 84, 2004.

4. ჭავჭავაძე 1938: პედაგოგიური თხზულებანი, რედაქტორი პროფ. გ. თავზიშვილი, გამომცემლობა სახელგამი, თბილისი, 1938.

Melania Chkhitunidze
Principal of Public School of Orghuli, Sachkhere Municipality
A teacher of mathematics
Ia Darbaidze
A teacher of Georgian language and literature at
Public School of Orghuli, Sachkhere Municipality

The Role of School and Family in the Process of Developing Students' Skills and Abilities

(At the example of Public School of Orghuli, Sachkhere Municipality)

Abstract

Based on the research conducted in Public School of Orghuli, it is shown that the development of the students' mental ability depends on both the school and family environment; Parents should feel responsible for having parenting skills, which needs to be encouraged by the government. It is desirable to add educational issues to the national curriculum in the form of a tutorial program and a standard for the child's personal development. That will build behavioral self-management skills in adolescents; it will give parents a vision, and therefore, a greater sense of responsibility.

Key Words: School, family, bringing up, pupil, development.

სკოლამდელი აღზრდა

იმერი ბასილაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
მანონი ბერუჩაშვილი
ქუთაისის ბაღების გაერთიანება №31
ბაგა-ბაღის აღმზრდელ-მასწავლებელი

ტყის ბაღები ადრეულ განათლებაში

ბოლო 100 წლის განვალობაში ურბანიზაციისა და ბინებიდან ტყის მოშორების შედეგად ხდება ბუნების გაუცხოება. ტყის ბაღებში მაქსიმალურად ცდილობენ აღადგინონ ბავშვების ბუნებასთან კავშირი სხვადასხვა სასწავლო-განმავითარებელი აქტივობებით. 1914 წელს რეიჩარ და მარგარეტ მაკმილაების აქტიურობით შეიქმნა „ბაგა-ბაღი სუფთა ჰაერზე", სამწუხარო დღემდე ვერ მოაღწია ამ ისტორიის დეტალებმა, გარდა იმ ფაქტისა, რომ გააუმჯობესდა ბავშვთა ჯანმრთელობა.

მეოცე საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან შვედეთში ადრეული განათლების სისტემაში გამოჩნდა ახალი ტიპის პროგრამა, რომელიც განსხვავებული ხერხით ასწავლიდა ბავშვებს ბუნებრივი გარემოს შესახებ. ამ იდეამ ფესვები გაიდგა დანიაში, სადაც დღეს ტყის სკოლის მოდელი ადრეული განათლების ინტეგრირებული ნაწილია. 1995 წლიდან ეს მოდელი ბრიტანელებმა წაიღეს თავიანთ ქვეყანაში, სადაც დღემდე ხვეწენ და ავითარებენ. სთავაზობენ მსურველებს სპეციალიზებულ ტრენინგ პაკეტებს. დღეს ძალიან ბევრ განვითარებულ ქვეყანაში გვხვდება ტყის სკოლის მოდელის ბაღები. იგი ადრეული განათლების უამრავი სპეციალისტისთვის ღირებული მოდელია, რომლის ფილოსოფიაც დიდ ინტერეს იწვევს.

ტყის სკოლის თეორიული საფუძველი ზუსტად იმ გავრცელებულ აზრშია, რომ ეზო არის საუკეთესო ადგილი ბავშვის განვითარებისა და სწავლებისთვის. იგი პირდაპირ აკავშირებს ბავშვს ბუნებასთან, იძლევა თავისუფლების განცდას. ამ გარემოში ბავშვი ბუნებრივად გამოიმუშავებს პასუხისმგებლობის გრძნობას და თავდაჯერებულობას, რაც საფუძვლად ედება მის განვითარებას და ჩამოყალიბებას.

„პრაქტიკაში საკმაოდ განსხვავებულ ტყის ბაღებს ვხვდებით. ზოგიერთს შენობა საერთოდ არ აქვს, ზოგს კი დიდი შენობა აქვს და პატარა ეზო, მათ ბავშვები მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ტყეში ან ნაკრძალში გაყავთ. ზოგ ჯგუფში მაქსიმუმ 6 ბავშვია, ზოგან კი ვხვდებით 150 ბავშვს ბაღში, რომლებიც ჯგუფებად იყოფა. თუმცა რაც ყველა ტყის სკოლას საერთო აქვს არის ის, რომ ბავშვები, თუ სრულ დღეს არა, მის უმეტეს ნაწილს ბუნებაში ატარებენ. ტყის სკოლის ფილოსოფიის მიხედვით, არ არსებობს ცუდი ამინდი, არსებობს შეუსაბამო ტანისამოსი. შესაბამისად, მხოლოდ შტორმის და -10 გრადუსი ან ნაკლები ტემპერატურის შემთხვევაში არ გაყავთ ბავშვები ბუნებაში"(3).

ტყის ბაღებში სასწავლო სააღმზრდელო პროცესი ისეა მოწყობილი, რომ თითოეულმა ბავშვმა თავისი შესაძლებლობების ფარგლებში მაქსიმალურად მიაღწიოს განსაზღვრულ სტანდარ-

ტებს. ამ ტიპის ბაღების კურიკულუმის მიზანია ბავშვის ჰოლისტური/მთლიანობითი განვითარება, შესაბამისად ითვალისწინებს როგორც ბავშვის ფიზიკურ განვითარებას, ასევე მეტყველების და წიგნიერების, კოგნიტური, შემოქმედებითი უნარების განვითარებას.

„ტყის ბაღი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს უსაფრთოხებას, ამისთვის გულმოდგინედ შემუშავებულია რუტინა და უსაფრთოხების წესები. ტყის სკოლის აღმზრდელები გადიან სერტიფიცირებულ კურსებს, რათა გახდნენ ტყის სკოლის აღმზრდელები. შესაბამისად მათ იციან, როგორ უზრუნველყონ უსაფრთოხება თავისუფალ გარემოში, სადაც ბავშვისთვის ყველაფერი ხელმისაწვდომია. პროგრამა ასევე ითვალისწინებს მშობლების მაღალ ჩართულობას ბაღის ყოველდღიურ ცხოვრებაში“(3).

ტყის საბავშვო ბაღი - ეს არის სკოლამდელი განათლების ფორმატი სამიდან ექვს წლამდე ასაკის ბავშვებისათვის, რომელშიც ბავშვები თავისი დროის უმეტეს ნაწილს ატარებენ გარეთ. როგორი ამინდიც არ უნდა იყოს, ბავშვები და აღმზდელ-პედაგოგები თამაშობენ, იკვლევენ სამყაროს, შეისწავლიან ტყეს და სხვა ბუნებრივ ლანდშაფტს. მასწავლებელი მოქმედებს, როგორც დამხმარე და არა ჯგუფის ლიდერი. სხვადასხვა ქვეყანაში ამ ბაღებს ასე მოიხსენიებენ: ტყის საბავშვო ბაღი, საბავშვო ბაღი გარეთ, საბავშვო ბაღი ბუნებაში, საბავშვო ბაღი სუფთა ჰაერზე.

ტყის ბაღი - ეს არის საბავშვო ბაღი „კედლებისა და ჭერის გარეშე“. აღმზრდელ-პედაგოგი და ბავშვები თითქმის მთელ დროს ატარებენ გარეთ, ჩვეულებრივად ტყეში. ტყის ბაღების განმასხვავებელი შტრიხი არის ის, რომ გართობა და თამაშები მიმდინარეობს ბუნებრივი ობიექტების (ხეები, მთები, გორები, წყალსაცავები, ჩანჩქერები) გარშემო. ბავშვები თამაშობენ ერთად ფიჭვის გირჩებით, ჯოხებით, ფრინველის ბუმბულით, წყლით და თიხით და არა ქარხანაში

დამზადებული სათამაშოებით. მიუხედავად ამ განსხვავებებისა, ტყის ბაღები აგვარებენ იგივე პრობლემებს, როგორც სხვა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები, კერძოდ ბავშვებზე ზრუნვა, ასწავლონ და ხელი შეუწყოს მათ განვითარებას. ტყის ბაღები ერთმანეთისგან განსხვავდება, რადგან ძირითადად შექმნილი არის დამოუკიდებელი საზოგადოების მიერ და არ დგანან ოფიციალური სკოლამდელი განათლების სისტემის მხარეს.

საქმიანობის განაწილება და ტყის ბაღების მიზნები:

აქტივობა	**სარგებელი ბავშვის განვითარების თვალსაზრისით**
თამაშები ფანტაზიისა და გარემოს ყველა რესურსის აქტიური გამოყენებით	ეხმარება ბავშვებს საკუთარი აზრებისა და იდეების შესასწავლად, სათამაშოების შემქნელების რაიმე მიმართულების მიცემის გარეშე
როლური თამაშები	ანვითარებს ფანტაზიას, დრამატულ უნარებს, გუნდურ მუშაობას, ეხმარება საკუთარ თავზე გამოცადოს ქცევის სხვადასხვა მოდელები.
თავშესაფრისა და სხვა სტრუქტურების მშენებლობა ჯოხებისაგან, სხვა ბავშვებისა და უფროსების დახმარებით	მოითხოვს მიზნის დასახვის უნარს, დაგეგმარების უნარს, კონსტრუირებას, გუნდურ მუშაობას და შეუპოვრობას
ობიექტების დათვლა და მათემატიკური კანონზომირეების მოძებნა	ავითარებს მათემატიკურ უნარებს და ვიზუალური აზროვნების
ბუნებრივი ობიექტებით მეხსიერების განვითარების თამაშები	ანითარებს მეხსიერებას და ლექსიკურ მარაგს
ისტორიების მოყოლა, სიმღერის შესრულება, ლექსების შესწავლა	ავითარებს დრამატულ უნარებს, ყურადღებას, კონცენტრაციის უნარს
პატრა ობიექტების სურათების შეგროვება, ხელთნაკეთებისა და სათამაშოების დამზადება	შემოქმედებისა და ხალხური რეწვის შექმნის უნარები
ბაღის ცხოვრების ჩანახატების უნარი	შემოქმედებისა და ხალხური რეწვის შექმნის უნარები, გამომგონებლობა, ყველა დეტალზე ყურაღების გამახვილება და მისი რეპროდუქციურობის უნარი
ხეებზე ასვლა და ტყის კვლევა	აუმჯობესებს ძალას, სისწრაფესა და წონასწორობას
დამოლობანა და სხვა ჯგუფური თამაშები	ავითარებს აზროვნებას, სხვა ადამიანების ქმედებებისა და აზრების ზუსტ პროგნოზირებას
ტყეში გასეირნება და ლაშქრობები	ზრდის ძალას და გამძლეობას, ასწავლის მარშრუტების შექმნას, უვითარებს დაგეგმარებისა და კომინიკაციის უნარს
ბუნებასთან მარტო დარჩენა	აძლევს გამოცდილებას და უვითარებს ხასიათს
დასვენება	ეხმარება ნანახის-განცდილის გააზრებაში და ემზადება შემდგომი აქტივობისათვის

გარემო და სივრცის მოწყობა

ტყის საბავშვო ბაღები ყველაზე ხშირად გვხვდება ტყესთან ახლოს, ან გარემოს სხვა ადგილებში, როგორიცაა მდელო ან სანაპირო, რომელებიც ასევე კარგად შეეფერება მათ. ტყის ბაღის ტერიტორიაზე უნდა იყოს რაიმე ნაგებობა/ნაგებობები განლაგებული, სადაც ბავშვებს შეეძლებათ თავის შეფარება ექსტრემალური ამინდის პირობებში. ზოგიერთი ბაღის ჯგუფები დღის გარკვეულ ნაწილს ატარებენ ოთახში, ხშირად ორგანიზაციული მიზნების გამო (ბავშვების შეგროვება დღის დასაწყისა და დასასრულის დროს).

ბაღის ტერიტორია, როგორც წესი არ არის შემოღობილი და შეიძლება იყოს საკმაოდ ჩვეულებრივი, ბუნებრივი. „წამყვანები“ ასეთ ბაღებში არის ავტოსადგომები და მოედნები, რომლებსაც აღმზრდელები და ბავშვები არქმევენ სახელებს: „მოგესალმებათ ტყე“, „სალამანდრის ტყე“, „შოკოლადის გორა“, „პიტნის მდელო“ და ა. შ. მოედანზე შეიძლება იყოს თვითნაკეთი საქანელები, ბუხარი, ჯოხებისა და ფიჩხების შესაგროვებელი ადგილი, უბრალო ავეჯი (მაგიდები, სკამები) და სხვა აუცილებელი მასალები.

ბავშვები ჩაცმული არიან ამინდის შესაბამისად, უფრო მეტად საჭირო არის წყალგაუმტარი სპეციალური თერმული ტანსაცმელი.

რა უპირატესობები გააჩნია ტყის ბაღებს? ტყის საბავშვო ბაღების უმრავლესობა არ იყენებს ქარხნული წარმოების სათამაშოებს, ამ ფაქტის აზრი და მნიშვნელობა ის არის, რომ ხელს უწყობს ბავშვების მეტყველების უნარების განვითარებას, იმდენად რამდენადაც ისინი ხმამაღლა საუბრობენ ბუნების ობიექტებზე და იყენებენ თამაშების დროს. ტყის ბაღები, როგორც წესი ნაკლებად ხმაურიანი არის, ვიდრე ბაღები შენობაში. ხმაური კი არის ბავშვებისა და აღმზრდელების ემოციების, სტრესის ფაქტორების დადასტურება. ჩვეულებრივი ბუნებაში ყოფნა და ბუნების პეიზაჟების დანახვაც კი აუმჯობესებს აღსაზრდელთა თვითდისციპლინას. სუფთა ჰაერზე ხანგრძლივი თამაში დადებითად აისახება ბავშვის განვითარებაზე, განსაკუთრებით ავითარებს სისწრაფესა და წონასწორობის დაცვას, ასევე მოქნილობას, ხელის მოტორიკას, კოორდინაციას, შეგრძნებასა და სიღრმისეულ აღქმას. კვლევის თანახმად, ტყის ბაღების ბავშვებში ნაკლებად გვაქვს დაზიანებების გამო უბედური შემთხვევები და კიდევ ნაკლებად სავარაუდოა, რომ დაიმტვრევიან დაცემისას. ბავშვებს გაზრდილი აქვთ რისკების დამოუკიდებლად შეფასების უნარი, მაგალითად, ცეცხლთან და სახიფათო ინსტრუმენტებთან ქცევა. სხვა კვლევებმა აჩვენა, რომ ბუნებაში გატარებული დრო, აუმჯობესებს ყურადღებას და სამედიცინო პროგნოზებს, ბუნებაში გასეირნება ასევე აძლიერებს ბავშვებისა და აღმზრდელ-პედაგოგების იმუნურ სისტემას.

როლად გორდჯესმა (13) აღმოაჩინა, რომ ბავშვებს, რომლებიც დადიოდნენ ტყის საბავშვო ბაღებში, იმ ბავშვებთან შედარებით, რომლებიც დადიან ჩვეულებრივ საბავშვო ბაღებში, აქვთ საშუალოზე მაღალი შესაძლებლობები ყველა სფეროში, რომლებიც იქნა შესწავლილი. ქვემოთ რანჟირებულად არის ჩამოთვლილი, უფრო მეტად გამოხატული სფეროებიდან, უფრო ნაკლებად გამოხატულისაკენ:

კონკრეტული საკითხების ცოდნა
კითხვა
მათემატიკა
საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში კონსტრუქტივისტული მონაწილეობა
შეკითხვების დასმის უნარი და შემეცებით დაინტერესდება
მოტივაცია
სპორტი
მუსიკა
ხელოვნება და შემოქმედება
დადებითი სოციალური ქცევა
რელიგიურობა
კონცენტრაცია
ხატვისა და საწერი აქსესუარების გამოყენების უნარი

ბავშვები, რომლებიც დაკავებულნი იყვნენ მხოლოდ საბავშვო თამაშებით, უკეთესად ითვისებდნენ მათემატიკას და კითხვას, უკეთ ითვისებდნენ ახალ მეთოდებს, ახალ მასალას და იყვნენ ემოციურად სტაბილურები. გარდა ამისა, ისინი გამოირჩევიან სწავლისადმი ინტერესით და შემეცნებისადმი შემოქმედებითი მიდგომით.

მიგვაჩნია, რომ ასეთი კურიკულუმები უნდა დაინერგოს საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში.

ჩვენ დავინტერესდით, ამ კუთხით თუ რა მდგომარეობაა საქართველოში. აღმოჩნდა, რომ ასეთი ბაღი არსებობს ქალაქ თბილისში. შემდეგ ჩვენი კვლევის საგნად იქცა ქ. ქუთაისის ადრეული საგანმანათლებლო დაწესებულებების აღმზრდელ-პედაგოგებისა და მშობლების დამოკიდებულების კვლევა. ჩვენ გარკვეული ინფორმაცია მივაწოდეთ ტყის ბაღებთან დაკავშირებით. შემდეგ შევადგინეთ სპეციალური კითხვარი, თუ რამდენად ეთანხმებოდნენ ისინი ასეთი ბაღების გახსნას ქალაქ ქუთაისში?.

კვლევის შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა ეწინააღმდეგება ასეთი ტიპის ბაღების გახსანას. მიზეზად სახელდება:

- ქვეყანაში შექმნილი კოვიდ სიტაუაცია;
- ბავშვების არაკომფორტული სასწავლო გარემო;
- რამდენად იქნება აღჭურვილი ასეთი ბაღების სპეციალური ტანისამოსით;
- რამდენად იქნებიან დაცული ბავშვები ვირუსებისგან და სხვა.
- რამდენად იქნება დაცული მათი უსაფრთხოება.

ამრიგად, ამ ბაღების კურიკულუმის მიზანია ბავშვის ჰოლისტური/მთლიანობითი განვითარება. შესაბამისად ის ითვალისწინებს როგორც ბავშვის ფიზიკურ, ასევე მეტყველების და წიგნიერების, კოგნიტური, შემოქმედებითი უნარების განვითარებას. თამაშის პროცესში ბავშვები იყენებენ მრავალფეროვან ხელსაწყოებს. აქ ყველა ტიპის აქტივობაში გამოიყენება უმეტესად ბუნებრივი რესურსი. ტყის ბაღის კურუკულუმი ასევე ითვალისწინებს მშობლების ჩართულობის მაღალ დონეს ბაღის ყოველდღიურ ცხოვრებაში.

საკვანძო სიტყვები: ტყის ბაღი, თამაში, სასწავლო გარემო, ჰოლისტური განვითარება, ბუნებრივი რესურსი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგის სახელმძღვანელო, თბილისი, 2015.
2. ბასილაძე 2018: ბასილაძე ი., ბალანჩივაძე ი., ბერუჩაშვილი მ., ადრეული განათლების კურიკულუმები და მათი განვითარების პერსპექტივები, ქუთაისი, 2018.
3. А вы слышали о лесных детсадиках? Это новый подход в воспитании, https://www.adme.ru/.../a-vy-slyshali-o-lesnyh-detsadikah-eto-novy..
4. Детский сад в Японии, Германии, Дании: никаких занятий, только игры, www.7ya.ru › До школы › Детский сад.
5. http://www.wildflowers-kindergartens.co.uk/
6. Waldkindergarten - лесные детские сады из Германии, **Экологическое воспитание, осознанное родительство**, rodovid.me/.../waldkindergarten---lesnye-detskie-sady-iz-germanii.

Imeri Basiladze
Professor, Kutaisi Akaki Tsereteli State University
Manoni Beruchashvili
Kutaisi Day Nursery Union №31
Kindergarten Educator-Teacher

Forest Gardens in Early Education

Abstract

The educational process in the forest garden is organized in such a way that every child can reach the maximum of the standards set within their abilities. The purpose of the curriculum of this type of kindergartens is to promote children's holistic development. Accordingly, it takes into account both the physical development of the child, as well as developing communication, literacy, cognitive and creative skills. Mostly natural resources are used here in all types of activities. The curriculum of forest garden also provides a high level of parental involvement in the day-to-day life of the kindergarten.

Key words: forest garden, game, learning environment, holistic development, natural resource.

დაწყებითი სკოლა

ნატო გიორგაძე
ქუთაისის IX საჯარო სკოლის
დაწყებითი კლასების მასწავლებელი

პროექტის მეთოდით სწავლება დაწყებითი საფეხურის მე-4 კლასში

დღევანდელ რეალობაში სულ უფრო მეტად ფართოვდება ნაპრალი ტრადიციული განათლების პირობებში ათვისებულ უნარებსა და იმ უნარებს შორის, რომელიც აუცილებლად ესაჭიროება XXI საუკუნის მოსწავლეს სწავლის პროცესში წარმატების მისაღწევად. თანამედროვე ეპოქა სიახლეებს მოითხოვს განათლების სფეროში, რომელიც ახალი თაობის ახლებულური ხედვის შედეგია. განვითარებული თაობის აღზრდა/სწავლება კი, თანამედროვე მეთოდების გამოყენებით მიიღწევა. უახლოესმა ტექნოლოგიურმა პროგრესმა მნიშვნელოვნად შეცვალა სწავლა-სწავლების მიდგომები, ამიტომაც მნიშვნელოვანია გაკვეთილის დაგეგმვა მოსწავლის ინტერესებიდან გამომდინარე, სადაც თითოეული მათგანის შესაძლებლობა და საჭიროება იქნება გათვალისწინებული. „არ არსებობს იმაზე უფრო რთული საქმე, ვიდრე პიროვნების აღზრდაა, არ შეიძლება ამ სირთულეების შეუფასებლობა, რადგან პიროვნებაში ყოველთვის რჩება რაღაც ამოუცნობი, ასევეა დღესაც, მოზარდი თაობის აღზრდა და განათლება საქვეყნო საქმე და სოციალური მოვლენაა. მას თავისი კანონზომიერებები გააჩნია და შესაბამის მეცნიერულ კვლევა-ძიებას მოითხოვს“ (ბასილაძე 2021:48-50).

დღევანდელი სასწავლო პროცესი ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლეზე. ისინი მაქსიმალურად იქნებიან ჩართულნი საგაკვეთილო პროცესში, სადაც მასწავლებლის დახმარებითა და თანამედროვე მიდგომების საშუალებით შეიძენენ ფუნდამენტურ ცოდნას. დღეისათვის სწავლა-სწავლების უამრავი მეთოდი არსებობს, თუმცა მათი ეფექტიანობა დამოკიდებულია იმაზე, რა დროს და როგორ გამოვიყენებთ მას. თითოეული მეთოდის გამოყენების დროს პედაგოგმა უნდა გაითვალისწინოს სწავლების შინაარსი, მოსწავლეთა განვითარების დონე და მისაღწევი შედეგი. მეთოდი ორიენტირებული უნდა იყოს შესასწავლი საკითხის და ინფორმაციის სწორად მიწოდება/დამახსოვრებაზე, რაც გულისხმობს მყარ, დინამიურ, ფუნქციურ ცოდნად გარდაქმნას.

„სწავლების მეთოდი არის მასწავლებლის მიერ მოსწავლეთათვის ცოდნა/ჩვევის გადაცემისა და გადაცემულის მოსწავლეთა მიერ შეთვისების გზა, ხერხი, საშუალება, რომელსაც ვიყენებთ დასახული მიზნის მისაღწევად, რამდენადაც ის სწავლა აღზრდის ძირითადი გზაა“ (ბასილაძე 2016:13).

სწავლა/სწავლების პროცესში მრავალი მეთოდი არსებობს. მათ შორის უნდა აღვნიშნოთ პროექტით სწავლების მეთოდი. ეს მეთოდი აღმოცენდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ამერიკის შეერთებულ შტატებში. მე-20 საუკუნის ოციანი წლებისთვის სრულად იყო ჩამოყალიბებული და პრობლემური მეთოდიც ეწოდა. საქართველოში აღნიშნული მეთოდით დაინტერესება 1926 წლიდან დაიწყო. იმავე წელს რუსულ ენაზე რამდენიმე წიგნიც გამოვიდა, კერძოდ ითარგმნა პროექტული მეთოდით სწავლება. პროექტული მეთოდის თეორიული პრინციპი წარმოდგენილი იყო შემდეგნაირად: „გამოვიდეთ თვით ბავშვის ინტერესებიდან. არა შორეული მომავალი, სადაც გარედან წინასწარ გაპირობებული ყოველგვარი პედაგოგიური

სინკლიტები, რაც მოზრდილთა მიერ შედგენილი სასწავლო გეგმებსა და პროგრამებში არის ფიქსირებული, არამედ ბავშვთა დღევანდელი დღის ინტერესები, დაკავშირებული უშუალოდ თვით ბავშვების მიმდინარე პრაქტიკულ დაა სულიერ მოთხოვნილებებთან, ერთი სიტყვით, უშუალოდ დაკავშირებული ბავშვთა ცხოვრების გაუმჯობესებასთან" (ბასილაძე 2016: 31). 1931 წელს ქართულ ენაზე გამოვიდა ე. მბრიულენის წიგნი „პროექტების მეთოდი", რომელსაც მიაჩნდა, რომ სკოლა გაითქვიფოს ცხოვრებაში და აღზრდას უნდა ვუყუროთ, როგორც ცხოვრებას და არა ცხოვრებისათვის მომზადებას. მისი აზრით, მოსწავლე სკოლაში იმავე მეთოდებით უნდა იზრდებოდეს, როგორც ცხოვრებაში იზრდება" (ბასილაძე 2016: 32). როგორც კვლევები ცხადყოფს, აღნიშნულ მეთოდზე დაშენებულმა ცოდნა-ჩვევებმა მთლიანობაში დადებითი როლი შეასრულა საქართველოში დაწყებითი განათლების ისტორიაში, კერძოდ მათ გარკვეული სამსახური გაუწიეს საგნობრივი პროგრამების შემუშავებას. ჯონ დიუი წერდა: „სკოლა უპირველეს ყოვლისა სოციალური ინსტიტუციაა. აღზრდა არის სოციალური პროცესი, ხოლო სკოლა არის უბრალოდ საზოგადოებრივი ცხოვრების ის ფორმა, სადაც გაერთიანებულია ყველა მისი ფაქტორი, ბავშვის მიერ წინა თაობების დანატოვარის გაზიარებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი, ასევე საკუთარი ძალების საზოგადოებრივი მიზნების გამოყენების პირობები" (ყანჩელი 2018: 71

პროექტების მეთოდმა დროთა განმავლობაში ევოლუცია განიცადა, აღმოცენდა თავისუფალი აღზრდის იდეიდან და ის გახდა ინტეგრირებული კომპონენტი სტრუქტურირებულ და განვითარებული განათლების სისტემაში. მეოცე საუკუნის ოციანი წლების ბოლოსთვის ქართველ მასწავლებელთა უმრავლესობას მიაჩნდა, რომ პროექტის მეთოდის მექანიკური გადმოტანა ჩვენს სკოლაში არ შეიძლება, საჭიროა ავიღოთ მხოლოდ დადებითი და გამოვიყენოთ სკოლასა და ცხოვრების კავშირის განსამტკიცებლად. პროექტებით სწავლება არის პედაგოგიური ტექნოლოგია, რომელიც ორიენტირებულია არა ფაქტობრივი ცოდნის ინტეგრირებაზე, არამედ მათ გამოყენებაზე და ახლის შეძენაზე. ჯ. დიუის მიაჩნდა, რომ ბავშვის ბავშვობა არ არის მომზადების პერიოდი. მომავალი ცხოვრება, მაგრამ სრული ცხოვრება და შესაბამისად, განათლება უნდა ეფუძნებოდეს არა ცოდნას, რომელიც მას ოდესმე მომავალში გამოადგება, არამედ იმას, რაც ბავშვს დღეს სასწრაფოდ სჭირდება, მისი რეალური ცხოვრების პრობლემებს. მოსწავლეებმა დამოუკიდებლად და ასევე ერთობლივი მუშაობით, სხვადასხვა სფეროდან სათანადო ცოდნის გამოყენებით უნდა გადაჭრან რეალური პრობლემა და მიიღონ შედეგი. მან მოიპოვა ფართო გამოყენება და დაიკავა ღირებული ადგილი სწავლების თანამედროვე მეთოდებს შორის, რომელიც გულისხმობს თეორიული ცოდნის რაციონალურ შერწყმას და მათ პრაქტიკულ გამოყენებას (ბასილაძე 2016).

ჩვენი კვლევიდან გამომდინარე გვინდა აღვნიშნოთ, რომ დაწყებითი კლასის მოსწავლეთათვის პროექტზე მუშაობა საკმაოდ შრომატევადი და რთული პროცესია, რადგან იგი გულისხმობს მოსწავლეებში დაკვირვებისა და ლოგიკური აზროვნების უნარების განვითარებას. ამ დროს მოსწავლეები შეისწავლიან პრობლემის განსაზღვრას და მიზნების ჩამოყალიბებას, მიეჩვევიან ინფორმაციის ანალიზს, ცოდნის შემოქმედებითად გამოყენებას, რასაც ხელს უწყობს ასევე ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება. სასწავლო პროცესი უფრო საინტერესო ხდება ამ ასაკის ბავშვებისათვის და უვითარდებათ კომუნიკაციის, სოციალური, გუნდური მუშაობის, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების, შეფასებისა და თვითშეფასების უნარები. სწავლობენ დროის მენეჯმენტს. მოსწავლეები კვლევის გზით იძენენ მნიშვნელოვან ცოდნას და გამოცდილებას მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, რაც მათ მომავალში გამოადგებათ

წარმატების მისაღწევად. განვიხილოთ რამდენიმე ძირითადი მოთხოვნა თავად პროექტის მეთოდის განხორციელებისას:

1. **წამოიჭრას** მნიშვნელოვანი და შესასწავლი პრობლემა ან დავალება, რომელიც მოითხოვს განზოგადებულ ცოდნას, მისი შესაძლო გადაჭრის გაფართოებულ ძიებას;

2. **მოსწავლეებმა განიხილონ** შედეგების პრაქტიკული, შემეცნებითი, თეორიული მნიშვნელობა, რომელიც მოიაზრება პროექტის კვლევისას;

3. **შეაჯამონ** და წარმოადგინონ მოსწავლეებმა დამოუკიდებელი (წყვილური, ჯგუფური, ინდივიდუალური) აქტივობები.

4. **დასკვნის სახით** წარმოადგინონ, პროექტის ძირითადი შინაარსის სტრუქტურირება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თვალსაჩინო მაგალითისთვის მოკლედ განვიხილავთ ჩემ მიერ მე-4 კლასის მოსწავლეებთან განხორციელებული პროექტის ზოგად მიმოხილვას, რომლის სახელწოდება გახლდათ „მწვანე ოთახი“.

მოსწავლეებს დავავალე ეზრუნათ საკლასო ოთახის გამწვანებაზე, რომელიც კიდევ უფრო გაალამაზებდა სასკოლო გარემოს. პროექტი მიზნად ისახავდა მოსწავლეთა ჩართულობას გარემოსდაცვით ღონისძიებებში და ბავშვებში ბუნების დაცვის თვითშეგნების ამაღლებას. მოიძიეს ინფორმაცია დეკორატიული მცენარეების მოვლა-პატრონობის შესახებ. პროექტი დავგეგმეთ ერთობლივად. პირველ რიგში კვლევის სამიზნე ჯგუფი ჩამოვაყალიბე, გავმართე საინფორმაციო შეხვედრა: მოსწავლეებს გავაცანი სხვადასხვა ყვავილების, მცენარის შესახებ ინფორმაცია, ყურადღება გავამახვილე უსაფრთხოების წესებზე, მივუთითე საჭირო ლიტერატურა და ინტერნეტ რესურსები; შემდეგ ერთობლივად შევიმუშავეთ სამოქმედო გეგმა. მეტად საინტერესო აღმოჩნდა მათთვის ფილმის: „ადამიანი, რომელიც ხეებს რგავდა“ და ანიმაციური ფილმების: „ბოცო და გვანცა“, „მოვუფრთხილდეთ გარემოს“ ჩვენება და განხილვა. გავმაეთე დისკუსია თემაზე: „მნიშვნელოვანია თუ არა მწვანე ნარგავები“. მოსწავლეებმა სათითაოდ დააფიქსირეს საკუთარი აზრი, უსმენდნენ ერთმანეთს და ამომწურავ პასუხებს სცემდნენ; წარმოიშვა კითხვები, რომელზეც ცდილობდნენ ერთობლივად ეპასუხათ. მიღებული ინფორმაციის, დამატებითი რესურსების განხილვისა და მსჯელობის შემდეგ მოვაწყვეთ პრეზენტაცია, მოვიწვიეთ ქ. ქუთაისის IX, XII საჯარო სკოლის პედაგოგები, საბაზო საფეხურის მოსწავლეები. ერთობლივად შევაგროვეთ და გავაშენეთ მწვანე ნარგავები. პროექტის დასრულების შემდეგ მოსწავლეები ფლობდნენ ინფორმაციას მცენარეების შესახებ. გაიზარდა მათი ინტერესი მწვანე ნარგავების მოვლისა და დაცვის შესახებ; გამწვანდა საკლასო ოთახი. მოსწავლეები მოუწოდებდნენ სხვებსაც იცხოვრონ ლამაზ, ჯანსაღ, მწვანე გარემოში, რადგან ყველა ადამიანისათვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ჯანმრთელობა და კეთილდღეობა, რომელსაც გვაძლევს მწვანე ბუნება.

აღნიშნული აქტივობა მიმდინარეობდა საინტერესოდ და სახალისოდ. მოსწავლეებს განუვითარდათ ის უნარები და კომპეტენციები, რომლებიც XXI საუკუნის უნარებად მოიაზრება. კერძოდ: კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, კომუნიკაცია, ჯგუფური თანამშრომლობა(ფირჩხაძე 2019:1), რაც გულისხმობს მუშაობის პროცესში საკუთარი მოსაზრებებისა და შეხედულებების გადმოცემას. ინფორმაციის ზუსტი და შემოქმედებითი გამოყენება, დროისა და სამუშაო დატვირთვის ეფექტური განკარგვა.

მიგვაჩნია, რომ მსგავსი პროექტები ხელს უწყობს დაწყებითი კლასების მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას სასწავლო პროცესში. ამიტომაც პროექტის მეთოდით სწავლების მთავარი ამოცანაა ბავშვების მიერ მასწავლებელთან თანამშრომლობით გარემომცველი ცხოვრების

შესწავლა, რადგანაც ნებისმიერი აქტივობა მოსწავლეებთან, უნდა კონსტრუირებული იქნას მათი ინტერესების, საჭიროებების გათვალისწინებით, ბავშვის პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე.

საკვანძო სიტყვები: პროექტის მეთოდი, მწვანე ოთახი, მოსწავლეზე ორიენტირებული, სასკოლო პროექტი, მოსწავლეზე ორიენტირებული.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბასილაძე 2021: ბასილაძე ი., ძოწენიძე ქ., ჭოხონელიძე ნ., ,,განათლების სწავლა/სწავლებისა და აღზრდის საკითხები" (შესავალი თანამედროვე პედაგოგიურ აზროვნებაში), ნაწილი I, ქუთაისი 2021.

2. მანგოშვილი 2021: მანგოშვილი ლელა., ,,მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის გამოწვევები, ინტერნეტგაზეთი მასწავლებელი"., http://mastsavlebeli.ge/?p=31184 (უკანასკნ.ნანახია 11.08.2022)

3. მირიანაშვილი 2010: მირიანაშვილი მ., ჩხენკელი გ., ბლიაძე მ. „დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მეთოდური გზამკვლევი", 2010.

4. ყანჩელი 2018: ყანჩელი ნ., ,,ჯონ დიუის პედაგოგიკური შეხედულებები 03.01-განათლების თეორია და ისტორია", დისერტაცია, ქუთაისი 2018.

5. ბასილაძე 2016: ბასილაძე ი., ჭოხონელიძე ნ., კოსტავა ნინო., ქობულაძე ნატო., ,,სწავლების მეთოდები, სტრატეგიები, პედაგოგიური ტექნოლოგიები და ცოდნის შემოწმება-შეფასების საკითხები", ქუთაისი, 2016.

6. ანდღულაძე 2015: ანდღულაძე შ., ანდღულაძე ნ., ანდღულაძე ლ., „ეკოლოგია", 2015.

7. ლობჟანიძე 2012: ლობჟანიძე ს., „სწავლების მეთოდები და სწავლის სტრატეგიები"., ინტერნეტგაზეთი „მასწავლებელი",. 2012, http://mastsavlebeli.ge/?p=2536 (უკანასკნ.ნანახია. 14.08.2022).

8. „ინტელის სასწავლო კურსი - პროექტებით სწავლება" http://intelis-kursi.blogspot.com/ (უკანასკნ. ნანახია 12.08.2022)

9. ეროვნული სასწავლო გეგმა 2011: ეროვნული სასწავლო გეგმა - 2011-2016 http://ncp.ge/ge/curriculum/satesto-seqtsia/mimdinare-esg-2011-2016 (უკანასკნ. ნანახია 15.08.2022).

Nato Giorgadze
Kutaisi IX Public School
Elementary school teacher

Teaching by the project method in the 4 th grade of the primary level

Abstract

Project-based learning is an effective approach in elementary grades, which is a student-centered learning/teaching model. This method enables the learner to acquire knowledge and skills through in-depth tasks that require active inquiry and demonstration of real learning outcomes, created through learning products and activities in which learners acquire fundamental knowledge, research, think critically, evaluate, analyze, make decisions, collaborate , which is enhanced by allowing students to organize their work environment in groups. Speaking about the advantages, it is also necessary to consider the disadvantages of teaching with this method, as it is a rather time-consuming process and requires good classroom management skills (from the availability of equipment to the organization and control of its use), and students without group work experience may find it difficult to adapt roles and negotiate a compromise.

Keywords: project method, green room, student-centered, school project, school oriented.

საგანთა სწავლების მეთოდიკა

ნათელა მაღლაკელიძე,
განათლების მეცნიერებათა დოქტორი,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სკოლა

რეფორმიდან რეფორმამდე
(თუ კარგად დავიწყებული ძველი?)

ამჯერად ჩვენ შევეხებით გასული საუკუნის 20-იან წლებში დანერგილ ე.წ. „ახალი სკოლის“ გამოცდილებას, კომპლექსებითა და პროექტებით სწავლებას, დაახლოებით იმავე პერიოდში გამოცემულ ქართული ანბანის სახელმძღვანელოებს. პარალელების გავლება კი დღევანდელობასა და 100 წლის წინანდელ რეალობას შორის მკითხველისათვის მიგვინდვია.

გასული საუკუნის 20-30-იან წლებში გაუქმდა ქართველი განმანათლებლების მიერ დიდი რუდუნებითა და ძალისხმევით შექმნილი ეროვნული დაწყებითი სკოლა, ხოლო ახალი - საბჭოური - ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ პერიოდის (1920-1930-იანი წლების) სასწავლო პროგრამებსა და ანბანის სახელმძღვანელოებზე ბევრი არაფერია ცნობილი. ვიცით მხოლოდ ის, რომ ი. გოგებაშვილის “დედა ენას” მაინცდამაინც აღარ სწყალობდნენ - ის მხოლოდ 1925 წლამდე გამოიცემოდა. უფრო მეტიც - **განათლების რეფორმა პირველ კლასში დაიწყო საანბანო წიგნების, სახელმძღვანელოების უარყოფით**. 1922-1926 წლებში ანბანის სახელმძღვანელო განსახკომის მიერ შეთავაზებულმა პლაკატებმა და მასწავლებლის მიერ შექმნილმა სასწავლო რესურსებმა ჩაანაცვლა. „მიზეზი ამისა გახლავთ ის, რომ სასწავლო პროგრამები ახალია, **საანბანო წიგნები კი „გაცვეთილი წესით“ გახლავთ შედგენილი.“** (წერაკითხვის 1925: 3). აქ ალბათ იგულისხმება ი. გოგებაშვილისეული ანალიზურ-სინთეზური მეთოდი, რომელიც უკვე დამკვიდრებული და მიღებული იყო ქართული სკოლის მიერ. მეორე მიზეზი კი საანბანო წიგნების უარყოფისა, გახლდათ შემდეგი: „ცხოვრებით და ბუნებით მრავალფეროვან საბჭოთა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გარემო სულ სხვადასხვაგვარია, ამიტომ შეუძლებელია არსებობა ერთი საერთო სახელმძღვანელოსი, რომელიც გამოსადეგი იქნება ყველა კუთხისათვის.“ (ახალი1923: 7).

ამ მხრივ ძალზე საყურადღებოა 1925 წელს სახალხო განათლების კომისარიატის მიერ გამოცემული მეთოდური მითითებები სახელწოდებით „წერაკითხვის სწავლება პლაკატებით - ძირითადი დებულებანი“. ეს კრებული ფაქტიურად წარმოადგენს იმ სიახლეების განხილვას, რაც განათლების მაშინდელმა რეფორმამ მოიტანა და დანერგა სკოლაში. პირველად აქ ვხვდებით ტერმინებს „ახალი სკოლა“, კომპლექსური დავალებები, პროექტებით სწავლება... „ახალი სკოლის“ პრინციპების ძიებასთან დაკავშირებით მოხდა ცვლილებები სწავლების სისტემასა და მეთოდებშიც. შემოღებულ იქნა ე.წ. სწავლების კომპლექსური სისტემა, რომელიც ყველა საგნის სწავლებას ერთ თემას _ **„ბუნებას, შრომასა და საზოგადოებას“** _ უკავშირებდა. კომპლექსურმა სისტემამ განსაზღვრა ჯერ ანბანის სახელმძღვანელოთა არსებობა/არარსებობა, ცოტა მოგვიანებით კი - საანბანო წიგნების აგების საკითხი.

რაც შეეხება ე.წ. „კომპლექსურ დავალებებს“ წერა-კითხვის შესწავლის პროცესში - აი, რას წერენ ამის შესახებ მაშინდელი რეფორმატორები: „კომპლექსურ პროგრამებში წერაკითხვის სწავლება ბუნებრივად შეირწყმება ჩვეულებრივ მასალასთან... მაგალითად, **შემოდგომაზე (თემა)** ვამუშავებთ **ქვეთემას „მუშაობა ბაღში“** და ამ ქვეთემაში უნდა გავაცნოთ **ღ** და **შ.** მუშაობა სკოლის ბაღში გადაგვაქვს; თუ ასეთი არა გვაქვს, ვახდენთ ექსკურსიას ბაღში, სადაც მუშაობენ, ხილს კრეფენ. ბავშვები აკვირდებიან, მუშაობაში მონაწილეობას იღებენ, აგროვებენ სხვადასხვა ხილს და მოაქვთ სკოლაში. ხატავენ და ძერწავენ ბაღს, ვაშლს, კომშს... ბავშვების წინ მოვათავსებთ **ბაღის** სურათს, ქვემოთ მივაკრავთ პლაკატს დიდრონი ასოებით დაბეჭდილს - **ბაღი.**

ბავშვები პლაკატს კითხულობენ, აკვირდებიან **ასო ღ**-ს, ადარებენ **ლ**-სა და **დ**-ს, სწერენ, სჭრიან, ძერწავენ ახალ ასოს...“ (წერაკითხვის 1925: 5).

წერა-კითხვის სწავლების მეთოდებიდან ავტორები ასახელებენ შემდეგს:

ა) **ბგერითი მეთოდი,**

ბ) მთელი სიტყვების მეთოდი,

გ) მთლიანი წარმოდგენების მეთოდი,

გ) რუსულ-ამერიკული მეთოდი...

„საკითხს მეთოდების არჩევის შესახებ ღიად ვტოვებთ: ვინ რომელს იცნობს კარგად და რომელი ეხერხება, იმას იყენებს... მასწავლებელს უნდა დავეხმაროთ შესაფერისი ლიტერატურის შექმნითა და მიწოდებით“ (წერაკითხვის 1925: 14).

თითქოს განსახკომი უფლებას აძლევს მასწავლებელს, მეთოდი თავად შეარჩიოს, მაგრამ **“ბგერითი მეთოდი”** ფაქტიურად უკუაგდეს, როგორც მოძველებული და „გაცვეთილი“; უფრო მეტიც - ამ მეთოდით შედგენილი ი.გოგებაშვილის სახელმძღვანელოები საერთოდ გააძევეს სკოლიდან, თუმცა მის ეფექტურობაში ეჭვი რევოლუციამდე და „კომპლექსებით“ სწავლებამდე არავის შეუტანია, არადა ამ მეთოდის უპირატესობა პირველ რიგში ჩვენს ენასთან მისმა სრულმა შესაბამისობამ განაპირობა. თანამედროვე ქართულში 33 ბგერაა და თითოეულ ასოს თავისი საკუთარი წერითი ნიშანი - ასო - აქვს. ყოველი ბგერა სიტყვაში ძირითადად ერთგვარად წამოითქმის და წერაშიც ერთი გრაფიკული ნიშანი აქვს. ეს ფაქტი „... დიდი ღირსებაა ჩვენი ანბანისა და ამ მხრივ იგი მრავალ უცხო ენაზე მაღლა დგას“ (შანიძე 1973: 8). როგორც პროფ. ლ. კვაჭაძე აღნიშნავს, „ქართული ანბანი ერთ-ერთი სრულყოფილი ანბანთაგანია, რომელიც საკმაოდ ზუსტად ასახავს ქართული ენის ბგერით შედგენილობას... ქართულში ყოველ ასოს ჩვეულებრივ ერთი ბგერითი მნიშვნელობა აქვს... თითო ბგერას თითო ასო გამოხატავს, რაც აადვილებს ქართული წერა-კითხვის შესწავლას“ (კვაჭაძე 1981: 88). ჩვენი ენის ეს თავისებურება ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ შეამჩნიეს ჩვენმა მკვლევარებმა და ცდილობდნენ, იგი წარმატებით გამოეყენებინათ ქართული ქართული წერა-კითხვის სწავლებისას. ჯერ კიდევ 1878 წელს წერდა „ივერია“, რომ „ქართული ანბანი სათითაოდ შეიცავს ყველა იმ ხმას, რომელთა წარმოთქმაც კი შეუძლია ქართველს და ყოველ შემთხვევაში ერთი ხმის გამოსახატავად აქვს ერთი და იგივე ნიშანია“. (ივერია 1878: 7). ამავე კუთხით აფასებს ქართულ ანბანს ცნობილი მკვლევარი პ. უსლარი, რომელიც მიუთითებს, რომ ქართული ანბანის ეს თავისებურება დიდად ამარტივებს ქართული ორთოგრაფიის შესწავლას: „ყოველ ევროპულ ენაში არსებობს დაბრკოლება - ორთოგრაფია. ქართველებისათვის მათი ანბანის სისრულის მეოხებით, ეს სიძნელე თითქმის არ არსებობს“ (Услар 1887: 48). მართლაც, ქართულში არ გვაქვს ისეთი დაცილება წარმოთქმასა და წერას შორის, როგორც ეს სხვა ენებშია.

„რეფორმირებული სკოლისთვის“ ახალი მეთოდებით შედგენილი საანბანო წიგნების გამოცემა დაიწყო მხოლოდ 1926 წლიდან. ეს ახალი მეთოდი კი გახლდათ ე.წ. **„მთლიან სიტყვათა“,** იგივე **„ამერიკული“** მეთოდი.

ეს მეთოდი საოცრად პოპულარული გახლდათ იმდროინდელ საბჭოთა რესპუბლიკებში. ჩვენ ვერ მივაკვლიეთ სპეციალურ საკავშირო-სამთავრობო დადგენილებას ამ მეთოდის გამოყენების შესახებ, თუმცა იგი ალბათ არსებობდა, რადგანაც ამ მეთოდს პოპულარიზაციას უწევდნენ მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით, განურჩევლად იმისა, მართლწერის რომელ პრინციპებს ეყრდნობოდა ამ რესპუბლიკების ენა. ეს იყო საბჭოეთში ამ მეთოდის აყვავების წლები. იგი მეცნიერული შესწავლისა და დასაბუთების გარეშე დანერგეს ქართულ საბჭოთა სკოლაშიც.

ამ მეთოდს საკმაო ხნის ისტორია აქვს ჩვენში. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ფონეტიკური დაწერილობის ენაა და არ გვჭირდება მთლიანი სიტყვის დამახსოვრება, დაზეპირება, როგორც ეს ინგლისურშია, მაინც იყო და დღესაც არის გატაცება ამ მეთოდით.

ჯერ კიდევ 1914 წელს გამოცემულ ი. როსტომაშვილის მეთოდურ სახელმძღვანელოში „როგორ უნდა ვასწავლიდეთ ქართულ წერა-კითხვას სოფლებსა და ოჯახებში“ წერა-კითხვის სწავლების საუკეთესო მეთოდად მთლიან სიტყვათა მეთოდი იყო მიჩნეული. თუმცა ეს მეთოდი მაშინ არ გამოიყენა ქართულმა სკოლამ და ბოლოს თვით ავტორმაც უარყო იგი.

მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კვლავ მიუბრუნდნენ ამ მეთოდს. 1926 წელს გამოიცა ვ. ძიძიგურისა და ალ. გვახარიას „პირველი წიგნი“, შედგენილი ე.წ. „მთლიან სიტყვათა“ მეთოდით. ეს წიგნი ფაქტიურად ერთადერთი სასკოლო სახელმძღვანელო იყო. მისი ღირსება მხოლოდ ის გახლდათ, რომ ისევ დაიწყო წერა-კითხვის სწავლების დაფუძნება სახელმძღვანელოზე და არა პლაკატებსა და ცალკეული მასწავლებლების მიერ შექმნილ საეჭვო რესურსებზე. მასწავლებელთა დიდი ნაწილი კმაყოფილებით შეხვდა ამ წიგნის გამოსვლას, თუმცა აღნიშნავდნენ იმ ნაკლოვანებებსაც, რომლებიც „მთლიან სიტყვათა“ მეთოდიდან და კომპლექსური სწავლებიდან გამომდინარეობდა.

ამავე პერიოდში (1927-1933 წ.წ.) გამოიცემოდა ამავე მეთოდით შედგენილი სხვა სახელ-მძღვანელოებიც: ნ. ბოცვაძის, რ. ჩიხლაძის, ე. ბურჯანაძის „ახალი წიგნი“; ტ. ზაალიშვილის „ვისწავლოთ“; პ. ჭანიშვილის „შრომა და ცოდნა“. „მთლიან სიტყვათა“ მეთოდით შედგენილი სასკოლო სახელმძღვანელოები გვხვდება 1935 წლამდე. ამ მეთოდს ქართული პედაგოგიური საზოგადოება თავიდანვე მიუღებლად თვლიდა და სწავლების პროცესში ისევ ბგერით-ანალიზურ-სინთეზურ მეთოდს იყენებდა (ქართული 1957 : 62).

მთლიან სიტყვათა მეთოდი დღესაც გამოიყენება ზოგიერთი ავტორის მიერ. ამისი მთავარი და არსებითი მიზეზი გახლავთ ის გარემოება, რომ დღეს ამ მეთოდს წარმატებით იყენებენ ამერიკაში ინგლისური ენის სწავლებისას. ინგლისურში კი მოგეხსენებათ, რომ ორთოგრაფიის განსხვავებული პრინციპებია წამყვანი. რამდენად მოხერხებული და მისაღებია ეს მეთოდი ფონეტიკური დაწერილობის ენისათვის, რამდენად ამოკლებს და ამარტივებს იგი ქართული წერა-კითხვის შესწავლას, ამის შესახებ სპეციალური კვლევები არც ადრე გამოქვეყნებულა და არც ახლა არ არსებობს.

რაც შეეხება ანბანის სახელმძღვანელოების შედგენისას სხვა ქვეყნებისა თუ სხვა ენების გამოცდილებას, მხოლოდ იმას დავამატებდით, რომ შეუძლებელია ანბანის სახელმძღვანე-ლოთა სრული მსგავსება ამ მხრივ. „როდესაც ამ ერთი წლის წინათ ერთმა ჩვენმა ახალგაზრდამ გერმანიიდან მოიტანა ნემეცურს ენაზე რამდენიმე სახელმძღვანელო წიგნი და ჩვენ ისინი გადავსინჯეთ, განცვიფრებულნი დავრჩით: **ჩვენ წიგნსა და ამ სახელმძღვანელოს შორის ვიპოვეთ სრული მსგავსება**“ (გოგებაშვილი 1881:166). მაგრამ აქვე დიდი პედაგოგი იმასაც აღნიშნავს, რომ **მსგავსების გარდა ამ წიგნებს შორის დიდი განსხვავებაც იყო:** „ჩვენს წიგნში პირველივე ნორმალური სიტყვის ანალიზის შემდეგ ბავშვი შესწავლილი ორი ასოდან ადგენს და კითხულობს სიტყვებსა. ფრაზას ნემეცურს სახელმძღვანელოებში კიდევ უფრო გვიანა ვხედავთ. „დედა ენაში“ კი პირველსავე გაკვეთილში, პირველსავე დღეს ბავშვი კითხულობს ფრაზას. ნემეცურს წიგნში უაზრო მარცვლები ვერ აუცილებიათ, ჩვენს წიგნში კი არც ამ ნაკლულოვანებასა აქვს ადგილი. მარცვლების მაგიერ ჩვენ მოვძებნეთ და ჩავრთეთ ორასოიანი სიტყვები, რომლებიც მარცვლებივით ადვილნი არიან საკითხავად და ამასთან უაზრობას მოკლებულნი, რადგანაც თითოეული მათგანი რაიმე ნივთს, საგანს აღნიშნავს და წარმოუდგენს გონებაში ბავშვსა“ (გოგებაშვილი:167). ი. გოგებაშვილი წერდა, რომ „დედა ენის“ შედგენისას იგი მისდევდა „საკუთარ მოსაზრებასა, საკუთარ აზრსა“, რაც საბოლოოდ წერა-კითხვის სწავლების პროცესში ქართული ენისათვის მისაღები და მორგებული მეთოდის შერჩევას გულისხმობდა.

კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც ასევე აუცილებლად უნდა შევეხოთ ამჟამად რეფორმირე-ბულ ქართულ სკოლაში ქართული წერა-კითხვის სწავლებისას. მშობლიური და უცხო/მეორე ენების სწავლების მეთოდიკა რომ არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან, დღეს ამაზე არ უნდა გვიხდებოდეს წერა. ასე რომ, წინასაანბანო პერიოდის გაზრდა 6 თვემდე, კითხვისა და წერის ერთმანეთისაგან დაცილება, „ამერიკული“ მეთოდით სწავლება, რასაც დღეს განათლების ზოგიერთი ექსპერტი თუ რეფორმატორი მოითხოვს, არ მიგვაჩნია სწორად.

მიზანშეუწონლად მიგვაჩნია სხვა ენებიდან ენის სწავლების მეთოდთა ბრმად კოპირება. ენის სწავლებისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ორი ფაქტორი: რომელი ენაა (მშობლიური, მეორე, უცხო) და შესასწავლი ენის ორთოგრაფიის პრინციპები. **დღეს „სიახლეებით“ ხშირად გახლავთ შეფუთული ქართული სკოლის მიერ დიდი ხნის წინ განვლილი გზა; მეთოდები, რომლებიც ერთხელ უკვე მოსინჯა ჩვენმა სკოლამ და თავადვე უარყო იგი.**

საკვანძო სიტყვები: წერა-კითხვის სწავლების მეთოდები, საანბანო წიგნები, შესასწავლი ენა, ორთოგრაფიის პრინციპები, განათლების რეფორმა

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ახალი 1923: „ახალი სკოლისაკენ“, განსახკომი, 1923.
2. გოგებაშვილი 1881: ი. გოგებაშვილი, უმეცრების ამაყობა, „ივერია“, 1881, # 6,
3. კვაჭაძე 1981: ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენა, თბ. 1981.
4. ივერია 1878: რამდენიმე სიტყვა რიგიანის საწერი დედნის უქონლობაზე, „ივერია“, 1878, #7
5. ქართული 1957: ქართული საანბანო წიგნის ბიბლიოგრაფია, საქართველოს განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტი, თბ. 1957 .
6. შანიძე 1973: ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, ტ. 1, თბ. 1973.
7. წერაკითხვის 1925: წერაკითხვის სწავლება პლაკატებით, განსახკომი, ტფილისი, 1925.
8. Услар 1887: П. Услар, Этнография Кавказа, Абхазский Язык, 1887.

Natela Maglakelidze,
I. Chavchavadze St. University, Educational Department

About Modern Methods of Georgian Literacy Teaching

(Summary)

The 20s of the previous century for Georgian school were the era of great novelty. This was the period of fascination and overstated with **foreign** methods. This was the only reason why in the process of language teaching wasn't taken into consideration the specificity of target languages. We do not consider it inappropriate to blindly copy language teaching methods from other languages. When teaching a language, we must take into account two factors: which language it is (native, second, foreign) and the principles of orthography of target language. Today, the path traveled by the Georgian school a long time ago is often covered with "modern methods"; Methods that our school has already tried and rejected.

Key vords: Teaching methods, Alphabet books, Target language, Principles of orthography, Reform of the edycational system

გიორგი ბრეგაძე,
ქუთაისის ანდრია რაზმაძის სახელობის №41 ფიზიკა-მათემატიკური სკოლის
მათემატიკის მენტორი მასწავლებელი, განათლების დოქტორი,
ბაკურ ბაკურაძე,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
გიორგი ბერძულიშვილი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ვექტორები კომპლექსურ სიბრტყეზე

ვთქვათ, კომპლექსურ სიბრტყეზე მოცემულია O წერტილისაგან განსხვავებული $A(a)$ და $B(b)$ წერტილები $\overrightarrow{OA}$ და $\overrightarrow{OB}$ ვექტორები თანამიმართულია, მაშინ და მხო-ლოდ მაშინ, როცა $arg\, a = arg\, b.$ ანუ,

$$arg\, a - arg\, b = arg\, \frac{a}{b} = 0.$$

ცხადია, რომ ეს ვექტორები საწინააღმდეგოდ მიმართულია მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა

$$arg\, a - arg\, b = arg\, \frac{a}{b} = \pm\pi.$$

ამრიგად, იმისათვის, რომ $A(a)$ და $B(b)$ წერტილები კოორდინატთა სათავის კოლინეარული იყოს, აუცილებელია და საკმარისი, რომ $\frac{a}{b}$ ფარდობა იყოს ნამდვი-ლი რიცხვი. რაც ნიშნავს, რომ $\frac{a}{b} = \frac{\bar{a}}{\bar{b}}$, ანუ,

$$a\bar{b} = b\bar{a}$$

არის სამი O, A, B წერტილის კოლინეარულობის პირობა. ეს კრიტერიუმი სამართ-ლიანია მაშინაც, როცა $a = 0$ ან $b = 0$.

რადგან $\frac{a}{b} = k, (k \neq 0)$ ნამდვილი რიცხვია, ამიტომ სამი წერტილის კოლინეარუ-ლობის პირობა ტოლფასია პირობისა:

$$a = kb, (k \neq 0), \bar{k} = k$$

- **ვექტორების კოლინეარულობის და მართობულობის პირობები**

განვიხილოთ წერტილები $A(a)$, $B(b)$, $C(c)$ და $D(d)$. ვექტორები $\overrightarrow{BA}$ და $\overrightarrow{DC}$ კოლი-ნეარულია მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა $a - b$, $c - d$ და 0 წერტილები კოლინეა-რულია. ე.ი.

$$\overrightarrow{AB} \parallel \overrightarrow{CD} \Leftrightarrow (a-b)(\bar{c}-\bar{d}) = (\bar{a}-\bar{b})(c-d). \qquad (1)$$

კერძოდ, თუ $A(a)$, $B(b)$, $C(c)$ და $D(d)$ წერტილები ეკუთვნის ერთეულოვან $z\bar{z} = 1$ წრეწირს, მაშინ

$$\bar{a} = \frac{1}{a}, \bar{b} = \frac{1}{b}, \bar{c} = \frac{1}{c}, \bar{d} = \frac{1}{d}.$$

ამიტომ (1) პირობა მიიღებს სახეს:

$$\overrightarrow{AB} \parallel \overrightarrow{CD} \Leftrightarrow ab = cd.$$

(1) პირობა შეიძლება ჩავწეროთ სახით:

$$\frac{a-b}{c-d}=\frac{\bar{a}-\bar{b}}{\bar{c}-\bar{d}}.$$

AB და CD მონაკვეთები პარალელურია მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა რიცხვი $\frac{a-b}{c-d}$ ნამდვილია.

$\overrightarrow{OA}$ და $\overrightarrow{OB}$ ვექტორები პერპენდიკულარულია

$$\overrightarrow{OA}\perp\overrightarrow{OB}\Leftrightarrow arg\,a-arg\,b=arg\,\frac{a}{b}=\pm\frac{\pi}{2}.$$

ანუ , რაც იგივეა,

$$\overrightarrow{OA}\perp\overrightarrow{OB}\Leftrightarrow\frac{a}{b}=-\frac{\bar{a}}{\bar{b}}.$$

ანუ,

$$\overrightarrow{OA}\perp\overrightarrow{OB}\Leftrightarrow a\bar{b}+\bar{a}b=0. \qquad (2)$$

AB და CD მონაკვეთები პერპენდიკულარულია მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა ვექტორები აფიქსებით $a-b$ და $c-d$ პერპენდიკულარულია. (2) დამოკიდებულე-ბების ძალით შეგვიძლია დავწეროთ:

$$\overrightarrow{OA}\perp\overrightarrow{OB}\Leftrightarrow(a-b)(c-d)=(\bar{a}-\bar{b})(\bar{c}-\bar{d}). \quad (3)$$

თუ $A(a)$, $B(b)$, $C(c)$ და $D(d)$ წერტილები ეკუთვნის ერთეულოვან $z\bar{z}=1$ წრეწირს, მაშინ ეს დამო-კიდებულებები მარტივდება და მიიღებს სახეს:

$$\overrightarrow{OA}\perp\overrightarrow{OB}\Leftrightarrow ab+cd=0.$$

(3) დამოკიდებულება შეიძლება ჩავწეროთ სახით:

$$\frac{a-b}{c-d}=-\frac{\bar{a}-\bar{b}}{\bar{c}-\bar{d}}.$$

ეს ნიშნავს, რომ AB და CD მონაკვეთები პერპენდიკულარულია მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა რიცხვი $\frac{a-b}{c-d}$ წარმოსახვითი კომპლექსური რიცხვია.

მოცემულია $A(a)$ და $B(b)$ წერტილებზე გამავალი წრფე და $M(m)$ წერტილი. ვიპოვოთ $M(m)$ წერტი-ლის ორთოგონალური პროექცია $A(a)$ და $B(b)$ წერტილებზე გამავალ წრფეზე.

$A(a)$ და $B(b)$ წერტილებზე გამავალ წრფის განტოლებაა:

$$\frac{z-b}{a-b}=\frac{\bar{z}-\bar{b}}{\bar{a}-\bar{b}}.$$

ანუ,

$$z(\bar{a}-\bar{b})+a(\bar{b}-\bar{z})+b(\bar{z}-\bar{a})=0.$$

ამ წრფის მართობული წრფის განტოლებას, რომელიც გადის $M(m)$ წერტილზე აქვს სახე:

$$(\bar{a}-\bar{b})(\bar{m}-\bar{z})+(\bar{a}-\bar{b})(m-z)=0.$$

რომ გამოვთვალოთ საძებნი კოორდინატი, უნდა ამოვხსნათ სისტემა:

$$\begin{cases} z\left(\bar{a}-\bar{b}\right)+a\left(\bar{b}-\bar{z}\right)+b\left(\bar{z}-\bar{a}\right)=0, \\ \left(\bar{a}-\bar{b}\right)\left(\bar{m}-\bar{z}\right)+\left(\bar{a}-\bar{b}\right)\left(m-z\right)=0. \end{cases}$$

საიდანაც,

$$z=\frac{a\left(\bar{m}-\bar{b}\right)-b\left(\bar{m}-\bar{a}\right)}{2\left(\bar{a}-\bar{b}\right)}+\frac{m}{2}.$$

იმ შემთხვევაში, როცა A და B წერტილები $z\bar{z}=1$ წრეწირის, წერტილებია მაშინ მიღებული ფორმულები საგრძნობლად მარტივდება და მიიღებს სახეს:

$$z=\frac{a+b+m-ab\bar{m}}{2}.$$

თუ $m=0,$ მაშინ M წერტილის $P(p)$ პროექცია AB წრფეზე გამოითვლება ფორ-მულით:

$$p=\frac{\bar{a}b-a\bar{b}}{2\left(\bar{a}-\bar{b}\right)}.$$

გამოვთვალოთ $M\left(m\right)$ წერტილის მართობის ფუძის აფიქსი $\bar{p}z+p\bar{z}=2p\bar{p}.$ წრფეზე. თუ $N(z)$ –საძებნი ფუძეა, მაშინ $OP \parallel MN$, ამიტომ

$$\begin{cases} \left(z-m\right)\bar{p}=\left(\bar{z}-\bar{m}\right)p, \\ \bar{p}z+p\bar{z}=2p\bar{p}. \end{cases}$$

საიდანაც,

$$\bar{z}=p+\frac{m}{2}-\frac{p\bar{m}}{2\bar{p}}.$$

ერთეულოვან საბაზისო ვექტორებად ჩათვლილია ვექტორები $\overrightarrow{e_1}=\left(z_1\right)$ და $\overrightarrow{e_2}=\left(z_2\right)$ სადაც

$$\left|\overrightarrow{e_1}\right|=\left|\overrightarrow{e_2}\right|=1,\ Arge_1=0\left(mod\,2\pi\right),\ Arge_2=\frac{\pi}{2}\left(mod\,2\pi\right);$$

ყოველი $\vec{a}$ ვექტორისათვის $\left(\overrightarrow{e_1},\overrightarrow{e_2}\right)$ ბაზისში არსებობს დაშლა, ამასთან ეს დაშლა ერთადერთია შემდეგი სახით:

$$\vec{a}=x\cdot\overrightarrow{e_1}+y\cdot\overrightarrow{e_2}.$$

სადაც $z=x+iy$ არის $\vec{a}=\left(z\right)$ ვექტორის აფიქსი.

- **ორი ვექტორის სკალარული და ვექტორული ნამრავლი კომპლექსურ სიბრტყეზე**

ვთქვათ, კომპლექსურ სიბრტყეზე გამოსახულია $a\left(z_1\right)$ და $b\left(z_2\right)$ ვექტორები, სადაც $z_1=x_1+iy_1$ და $z_2=x_2+iy_2$.

განვიხილოთ $\overline{z_1}=x_1-iy_1$ და $z_2=x_2+iy_2$. კომპლექსურ რიცხვთა ნამრავლი.

$$\overline{z_1}\cdot z_2=\left(x_1-iy_1\right)\left(x_2+iy_2\right)=\left(x_1x_2+y_1y_2\right)+i\left(x_1y_2-x_2y_1\right) \qquad (1)$$

ნამრავლის ნამდვილი ნაწილი წარმოადგენს $a\left(z_1\right)$ და $b\left(z_2\right)$ ვექტორების სკალარულ ნამრავლს:

$$Re\left(\overline{z_1}\cdot z_2\right)=a\cdot b=x_1x_2+y_1y_2.$$

$a\left(z_1\right)$ და $b\left(z_2\right)$ ვექტორებს შორის φ კუთხის კოსინუსი ტოლია:

$$\cos\varphi = \frac{Re\left(\overline{z_1}\cdot z_2\right)}{|z_1|\cdot|z_2|}. \qquad (2)$$

(1) ნამრავლის წარმოსახვითი ნაწილი წარმოადგენს ისეთი მეორე რიგის დეტერმინანტის რიცხვით მნიშვნელობას, რომელიც ჩაწერილია $a(z_1)$ და $b(z_2)$ ვექტორების კოორდინატებით

$$Im\left(\overline{z_1}\cdot z_2\right) = \begin{vmatrix} x_1 & y_1 \\ x_2 & y_2 \end{vmatrix}. \qquad (3)$$

რადგან $a(z_1)$ და $b(z_2)$ ვექტორები *xOy* სიბრტყეშია, ამიტომ ამ ვექტორების ვექტორული ნამრავლის აბსოლუტური მნიშვნელობა ნიშნამდე სიზუსტით ემთ-ხვევა (3) დეტერმინანტს:

$$a\times b = \begin{vmatrix} i & j & k \\ a_x & a_y & 0 \\ b_x & b_y & 0 \end{vmatrix} = k\begin{vmatrix} a_x & a_y \\ b_x & b_y \end{vmatrix} \qquad (4)$$

თავის მხრივ, ამ დეტერმინანტის მნიშვნელობა ნიშნამდე სიზუსტით ემთხვევა $a(z_1)$ და $b(z_2)$ ვექტო-რების ვექტორულ ნამრავლს, რომელიც თავის მხრივ ტოლია ამ ვექტორებზე აგებული პარალელოგრამის ფართობისა, ანუ ნახ.1-ზე გამოსახული სამკუთხედის ფართობის გაორკეცებული ფართობისა.



ნახ. 1.



ნახ. 2.

ამრიგად, იმ სამკუთხედის ფართობის გამოსათვლელად, რომლის აფიქსებია 0, z_1 და z_2, ანუ წვეროები მოთავსებულია კომპლექსური სიბრტყის $(0,0), (x_1, y_1)$ და (x_2, y_2) წერტილებში, სამართლიანია ფორმულა:

$$S = \frac{1}{2}\left|Im\left(\overline{z_1}\cdot z_2\right)\right| = \frac{1}{2}\left|\vec{a}\times\vec{b}\right| \qquad (5)$$

შესაძლებელია (2) და (5) ფორმულების განზოგადება ნებისმიერი სამკუთხე-დისათვის, რომლის წვეროების აფიქსებია $A(z_1)$, $B(z_2)$ და $C(z_3)$, ანუ სამკუთხედის წვეროები მოთავსებულია კომპლექსური სიბრტყის $A(x_1, y_1)$, $B(x_2, y_2)$ და $C(x_3, y_3)$ წერტილებში. ნახ.2-ზე გამოსახულია a და b ვექტორებზე აგებუ-ლი სამკუთხედი.

ამ შემთხვევაში ერთი წერტილი, მაგალითად, წერტილი C უნდა განვიხილოთ a და b ვექტორების სათავედ. მაშინ

$$a(x_1 - x_3, y_1 - y_3),\ b(x_2 - x_3, y_2 - y_3),$$

$$\cos\varphi = \frac{\vec{a}\cdot\vec{b}}{|\vec{a}|\cdot|\vec{b}|} = \frac{Re\left[\overline{(z_1 - z_3)}(z_2 - z_3)\right]}{|z_1 - z_3||z_2 - z_3|}.$$

$$S=\frac{1}{2}(a\times b)=\pm\frac{1}{2}Im\left[\overline{(z_1-z_3)}(z_2-z_3)\right]$$

საკვანძო სიტყვები: მონაკვეთი, კომპლექსური რიცხვი, აფიქსი, ვექტორი, წერტილი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გიორგი ბერძულიშვილი, გიორგი ბრეგაძე 2018: წარმოსახვითი რიცხვებით გეომეტრიის სწავლების მეთოდიკური თავისებურებები. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. ქუთაისი. 2018.

2. გიორგი ბერძულიშვილი, გიორგი ბრეგაძე, ბაკურ ბაკურაძე 2018: კომპლექსურ რიც-ხვთა გამოყენება პლანიმეტრიის ზოგიერთი თეორემის დამტკიცებისას (I ნაწილი). ჟურნალი „ინტელექტი“, №1 (60), გვ. 26-29. 2018.

3. გიორგი ბერძულიშვილი, გიორგი ბრეგაძე, ბაკურ ბაკურაძე 2018: კომპლექსურ რიცხვთა გამოყენება პლანიმეტრიის ზოგიერთი თეორემის დამტკიცებისას (II ნაწილი). ჟურნალი „ინტელექტი“. №1 (60). გვ. 30-34. 2018.

Giorgi Bregadze
Mathematics mentor teacher of Andria Razmadze Physics-Mathematics School No 41 in Kutaisi,
Doctor of Education,
Bakur Bakuradze
Associate Professor, Akaki Tsereteli State University,
Giorgi Berdzulishvili
Professor, Akaki Tsereteli State University

Vectors on complex planes

Abstract

Vectors on complex planes are introduced. It is determine in which cases the two vectors are co-directed or directed in the opposite direction. The collinearity condition of the three points is derived. Based on them, the conditions of collinearity and perpendicularity of vectors are determined. It is discussed how to find the orthographic projection of a given point on a line passing through two given points. It is established that for each vector, there is a decomposition in the unit base on a complex plane and this decomposition is unique. Scalar and vector multiplications of two vectors on a complex plane are introduced. The formula for calculating the angle between two vectors on a complex plane and the formulas for calculating the area of a parallelogram/triangle constructed on these vectors using the vector multiplication of two vectors are defined.

Keywords: Stretch, Complex number, Affix, Vector, Point

ბაკურ ბაკურაძე,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
გიორგი ბერძულიშვილი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
გიორგი ბრეგაძე,
სსიპ ქუთაისის ანდრია რაზმაძის სახელობის №41 ფიზიკა-მათემატიკური სკოლის
მათემატიკის მენტორი მასწავლებელი, განათლების დოქტორი

კომპლექსურ სიბრტყეზე მონაკვეთის გაყოფა λ ფარდობით და მისი გამოყენება საძიებო პლანიმეტრიული ამოცანების ამოხსნისას

თუ C წერტილი AB წრფის წერტილია და $\overrightarrow{AC}=\lambda\cdot\overrightarrow{CB},\ (\lambda\neq-1)$, მაშინ ამბობენ, რომ C წერტილი AB მონაკვეთს ყოფს λ ფარდობით, $(\lambda=\overline{\lambda})$. ვიპოვოთ C წერტილის აფიქსი, თუ A და B წერტილების აფიქსებია შესაბამისად a და b. ტოლობა, $\overrightarrow{AC}=\lambda\cdot\overrightarrow{CB}$ ეკვივალენტურია ტოლობის

$$\overrightarrow{OC}-\overrightarrow{OA}=\lambda\cdot\left(\overrightarrow{OB}-\overrightarrow{OC}\right).$$

თუ გადავალთ A,B,C წერტილების a,b,c აფიქსებზე, გვექნება: $c-a=\lambda\cdot(b-c)$, საიდანაც,

$$c=\frac{a+\lambda b}{1+\lambda},\quad \lambda=\overline{\lambda}. \qquad (1)$$

როცა $\lambda=1$, მაშინ C წერტილი AB მონაკვეთის შუაწერტილია და გვაქვს: $c=\frac{a+b}{2}$. ე.ი. მონაკვეთის შუაწერტილის აფიქსი სათავის და ბოლო წერტილების აფიქსების ნახევარჯამის ტოლია. თუ შემოვიღებთ აღნიშვნებს:

$$\alpha=\frac{1}{1+\lambda},\quad \beta=\frac{\lambda}{1+\lambda},$$

მაშინ (1) ტოლობა მიიღებს სახეს:

$$c=\alpha a+\beta b,\ \alpha+\beta=1,\ \alpha=\overline{\alpha},\ \beta=\overline{\beta}. \qquad (2)$$

ადვილი საჩვენებელია, რომ (2) დამოკიდებულებები წარმოადგენს აუცილებელ პირობას, რომ სამი $A(a),B(b),C(c)$ წერტილი ერთი წრფის წერტილები იყოს.

ამოცანა 1. დაამტკიცეთ, რომ სამკუთხედის მედიანების გადაკვეთის წერტილი-დან სამკუთხედის წვეროებამდე მანძილების ჯამი სამკუთხედის გვერდების კვად-რატების ჯამის $\frac{1}{3}$–ის ტოლია.

ვთქვათ, სამკუთხედის A,B,C წვეროების აფიქსებია $A(a),B(b),C(c)$.

კოორდინატთა სისტემა ისე შევარჩიოთ, რომ ABC სამკუთხედის მედიანების გადაკვეთის წერტილი ემთხვეოდეს კოორდინატთა სათავის O წერტილს.

დავამტკიცოთ, რომ $a+b+c=0.$ მართლაც, BC გვერდის A_1 შუაწერტილის აფიქსია $\frac{b+c}{2}$. როგორც ვიცით $AO=\frac{2}{3}AA_1$. მონაკვეთის λ გაყოფის ფორმულის თანახმად $\lambda=2$. გვაქვს,

$$\frac{a+2\cdot\frac{b+c}{2}}{1+2}=\frac{a+b+c}{3}=0\Rightarrow a+b+c=0.$$

ცხადია, რომ $(a+b+c)\left(\bar{a}+\bar{b}+\bar{c}\right)=\left(a\bar{a}+b\bar{b}+c\bar{c}\right)+\left(a\bar{b}+\bar{a}b+a\bar{c}+\bar{c}b+c\bar{b}+\bar{c}b\right)=0.$

საიდანაც,

$$a\bar{b}+\bar{a}b+a\bar{c}+\bar{c}b+c\bar{b}+\bar{c}b=-\left(a\bar{a}+b\bar{b}+c\bar{c}\right). \qquad (3)$$

მეორეს მხრივ, $OA^2=a\cdot\bar{a},\ OB^2=b\cdot\bar{b},\ OC^2=c\cdot\bar{c}.$ საიდანაც,

$$OA^2+OB^2+OC^2=a\cdot\bar{a}+b\cdot\bar{b}+c\cdot\bar{c}. \quad (4)$$

სამკუთხედის გვერდების სიგრძეთა კვადრატები გამოითვლება ტოლობებით:

$$AB^2=(a-b)\left(\bar{a}-\bar{b}\right)=a\bar{a}-a\bar{b}-\bar{a}b+b\bar{b},$$

$$BC^2=(b-c)\left(\bar{b}-\bar{c}\right)=b\bar{b}-b\bar{c}-\bar{b}c+c\bar{c},$$

$$AC^2=(c-a)\left(\bar{c}-\bar{a}\right)=c\bar{c}-c\bar{a}-\bar{c}a+a\bar{a}.$$

თუ ამ ტოლობებს წევრ–წევრად შევკრებთ და მიღებულ ტოლობაში გათვალის-წინებით (3), გვექნება:

$$AB^2+AC^2+BC^2=2\left(a\bar{a}+b\bar{b}+c\bar{c}\right)-\left(a\bar{b}+\bar{a}b+a\bar{c}+\bar{c}a+c\bar{b}+\bar{c}b\right)=3\left(a\bar{a}+b\bar{b}+c\bar{c}\right).$$

საიდანაც, $a\bar{a}+b\bar{b}+c\bar{c}=\frac{1}{3}\left(AB^2+AC^2+BC^2\right)$. თუ მიღებულ ტოლობას შევადა-რებთ (4) ტოლობას, მივიღებთ:

$$OA^2+OB^2+OC^2=\frac{1}{3}\left(AB^2+AC^2+BC^2\right).$$

რაც უნდა დაგვემტკიცებინა.

ამოცანა 2. A და B წერტილები წრეწირის ცენტრის მიმართ სიმეტრიული წერ-ტილებია. დაამტკიცეთ, რომ ამ წრეწირის ნებისმიერი M წერტილისათვის მუდმი-ვია MA^2+MB^2 ჯამი.

ვთქვათ, M წერტილის აფიქსია m. კოორდინატთა სისტემა ისე შევარჩიოთ, რომ აბსცისათა ღერძი დაემთხვეს წრეწირის AB დიამეტრს, ხოლო ორდინატთა ღერძი გადიოდეს წრეწირის ცენტრზე აბსცისათა ღერძის მართობულად. ცხადია, რომ თუ A და B წერტილების აფიქსებია a და b, მაშინ $a=-b.$

$$MA^2=(m-a)\left(\bar{m}-\bar{a}\right)=m\bar{m}-m\bar{a}-\bar{m}a+a\bar{a}=m\bar{m}-ma-\bar{m}a+a^2.$$

რადგან $\bar{a}=a$ და $a\bar{a}=a\cdot a=a^2$. ანალოგიურად, $\bar{b}=b$ და $b\bar{b}=b\cdot b=b^2$. ამიტომ,

$$MB^2=(m-b)\left(\bar{m}-\bar{b}\right)=m\bar{m}-m\bar{b}-\bar{m}b+b\bar{b}=m\bar{m}-mb-\bar{m}b+b^2.$$

შევკრიბოთ მიღებული ტოლობები და გავითვალისწინოთ, რომ $m\cdot\bar{m}=OM^2=R^2$, სადაც R მოცემული წრეწირის რადიუსია. გვაქვს:

$$MA^2+MB^2=2m\bar{m}-m(a+b)-\bar{m}(a+b)+a^2+b^2.$$

რადგან $a+b=0$, $m\cdot\bar{m}=R^2, a=b\Rightarrow a^2=b^2=R^2$, ამიტომ გვაქვს,

$$MA^2+MB^2=2R^2+R^2+R^2=4R^2.$$

რადგან AB დიამეტრია, ამიტომ $AB = 2R$ და ჩვენ დავამტკიცეთ თეორემა:

წრეწირის დიამეტრზე დაყრდნობილი კუთხე მართია. მართლაც, რადგან სრულ-დება ტოლობა $MA^2 + MB^2 = AB^2$, ამიტომ AMB სამკუთხედი მართია. რადგან M წრე-წირის ნებისმიერი წერტილია, ამით თეორემა დამტკიცებულია.

ამოცანა 3. O წერტილის გარშემო 90^0–იანი კუთხით მობრუნების დროს AB მონაკვეთი გადადის A_1B_1 მონაკვეთში. დაამტკიცეთ, რომ OA_1B სამკუთხედის OM მედიანა A_1B წრფის პერპენდიკულარულია. (ნახ.1).

ვთქვათ, O, A, B წერტილების აფიქსებია შესაბამისად $1, 0, b$. მაშინ A_1 და B_1 წერტილების აფიქსებია შესაბამისად $a_1 = i$ და $b_1 = bi$, ხოლო A_1B_1 მონაკვეთის M შუაწერტილის აფიქსია $m = \frac{1}{2}(1+bi)$. გვაქვს:

$$\frac{a_1 - b}{m - 0} = \frac{i - b}{\frac{1}{2}(1+bi)} = \frac{2i(i-b)}{i-b} = 2i.$$

ეს სუფთად წარმოსახვითი კომპლექსური რიცხვია. მონაკვეთთა მართობულო-ბის კრიტერიუმიდან გამომდინარე OM და A_1B წრფეები პერპენდიკულარულია.

ამოცანა 4. მართკუთხა ABC სამკუთხედის AB ჰიპოტენუზაზე სამკუთხედის გარეთ აგებულია კვად-რატი (ნახ.2). იპოვეთ მანძილი C მართი კუთხის წვეროდან Q ცენტრამდე, თუ BC და AC კათეტების სიგრძეებია a და b–ს ტოლია.

C წერტილი ჩავთვალოთ კოორდინატთა სათავედ, ხოლო CA და CB წრფეები შესაბამისად ნამდ-ვილ და წარმოსახვით ღერძებად. მაშინ A და B წერტილების აფიქსები შესაბამისად იქნება b და ai, ამასთან $b = \bar{b}$ და $a = \bar{a}$.

90^0–იანი კუთხით მობრუნების დროს $\overrightarrow{QB}$ ვექტორი გადადის $\overrightarrow{QA}$ ვექტორში. ამიტომ გვაქვს ტოლობა:

$$(ai - q)i = b - q,$$

სადაც q არის Q წერტილის აფიქსი. ბოლო ტოლობიდან გვაქვს: $q = \frac{a+b}{1-i}$.

გამოვთვალოთ

$$CQ^2 = q\bar{q} = \frac{a+b}{1-i} \cdot \frac{a+b}{1+i} = \frac{1}{2}(a+b)^2.$$

საიდანაც,

$$CQ = \frac{1}{\sqrt{2}}(a+b).$$

ამოცანა 5. ABC სამკუთხედის ორთოცენტრია H. AB გვერდის შუაწერტილია M დაამტკიცეთ, რომ

$$\overrightarrow{MC} \cdot \overrightarrow{MH} = \frac{1}{4} AB^2.$$

ვთქვათ, O არის ABC სამკუთხედზე შემოხაზული ერთეულოვანი წრეწირის ცენტრი, რომლის განტოლებაა $z\bar{z} = 1$. ვთქვათ, ABC სამკუთხედის წვეროთა აფი-ქსებია

შესაბამისად a, b და c. მაშინ H ორთოცენტრის h აფიქსი ტოლია $h = a + b + c$. M წერტილის m აფიქსი კი - $m = \frac{1}{2}(a+b)$.

თუ გამოვთვლით ვექტორთა სკალარულ ნამრავლის, გვაქნება:

$$\overrightarrow{MC} \cdot \overrightarrow{MH} = \frac{1}{2}\left[\left(c - \frac{a+b}{2}\right)\left(\frac{\bar{a}+\bar{b}}{2} + \bar{c}\right)\left(\frac{a+b}{2} + c\right)\left(\bar{c} - \frac{\bar{a}+\bar{b}}{2}\right)\right] = \frac{1}{4}\left[4c\bar{c} - a\bar{a} - a\bar{b} - b\bar{a} - b\bar{b}\right].$$

რადგან $A(a), B(b), C(c)$ ერთეულოვანი წრეწირის წერტილებია, ამიტომ

$$OA = OB = OC = a\bar{a} = b\bar{b} = c\bar{c} = 1.$$

გვაქვს:

$$\overrightarrow{MC} \cdot \overrightarrow{MH} = \frac{1}{4}\left[4c\bar{c} - a\bar{a} - a\bar{b} - b\bar{a} - b\bar{b}\right] = \frac{1}{4}\left[4 - 1 - a\bar{b} - b\bar{a} - 1\right] =$$

$$= \frac{1}{4}\left[2 - a\bar{b} - b\bar{a}\right] = \frac{1}{4}\left[a\bar{a} - a\bar{b} - b\bar{a} + b\bar{b}\right] = \frac{1}{4}(a-b)\left(\bar{a} - \bar{b}\right) = \frac{1}{4}AB^2.$$

რაც უნდა დაგვემტკიცებინა.

ამოცანა 6. სამკუთხედის სიმაღლის ფუძიდან დანარჩენ ორ გვერდზე დაშვებუ-ლია სიმაღლეები. დაამტკიცეთ, რომ ამ პერპენდიკულარების ფუძეებს შორის მან-ძილი დამოკიდებული არ არის სამკუთხედის სიმაღლის არჩევაზე (ნახ.3).









ნახ.1. ნახ.2. ნახ.3. ნახ. 4.

ვთქვათ, მოცემულია ABC სამკუთხედი. მასზე შემოხაზული წრეწირი ჩავთვა-ლოთ ერთეულოვან წრეწირად და მისი განტოლებაა $z\bar{z} = 1$. თუ CD–სამკუთხედის სიმაღლეა, მაშინ D წერტილის d აფიქსი გამოითვლება ფორმულით:

$$d = \frac{1}{2}\left(a + b + c - \frac{ab}{c}\right).$$

D წერტილიდან AC და BC დაშვებული სიმაღლეების M და N წერტილების m და n აფიქსები შესაბამისად ტოლია: $m = \frac{1}{2}\left(a + c + d - ac\bar{d}\right)$, $n = \frac{1}{2}\left(b + c + d - bc\bar{d}\right)$. ამიტომ,

$$m - n = \frac{(a-b)\left(1 - \frac{1}{2}c\left(\bar{a} + \bar{b} + \bar{c} - \frac{\bar{a}\bar{b}}{\bar{c}}\right)\right)}{2}.$$

A, B, C წერტილები ერთეულოვანი წრეწირის წერტილებია, ვწერთ:

$$\bar{a}=\frac{1}{a},\bar{b}=\frac{1}{b},\bar{c}=\frac{1}{c}.$$

გვაქვს,

$$m-n=\frac{(a-b)(a-c)(b-c)}{4ab}.$$

რადგან $|a|=|b|=1$, ამიტომ $|m-n|=\frac{|a-b||a-c||b-c|}{4|a||b|}=\frac{|a-b||a-c||b-c|}{4}$. ამიტომ ეს მანძილი სიმეტრი-ულია a,b და c –ს მიმართ. ე.ი. MN მანძილი დამოკიდებული არ არის სიმაღლის არჩევაზე.

ამოცანა 7. A_1,B_1,C_1 წერტილები წარმოადგენენ ABC სამკუთხედის A,B და C წვეროების ორთოგო-ნალურ პროექციებს რაიმე l წრფის მიმართ. დაამტკიცეთ, რომ A_1,B_1,C_1 წერტილებზე გამავალი წრფეები, რომლებიც შესაბამისად BC,CA,AB წრფეების პერპენდიკულარულია, გადაიკვეთება ერთ წერტილში, რომელსაც l წრფის ორთოპოლუსი ეწოდება. (ნახ. 4).

ვთქვათ, ABC სამკუთხედზე შემოხაზული წრეწირის განტოლებაა $z\bar{z}=1$, ხოლო მოცემული l წრფის განტოლებაა $\bar{p}z+p\bar{z}=2p\bar{p}$. მაშინ,

$$a_1=p+\frac{a}{2}-\frac{p\bar{a}}{2\bar{p}}.$$

იმისათვის, რომ წერტილი z კოორდინატით ეკუთვნოდეს BC წრფის მართობულ წრფეს, რომელიც A წერტილზე გადის, აუცილებელია და საკმარისი, რომ რიცხვი

$$\frac{z-a_1}{b-a}=\frac{2\bar{p}z-2p\bar{p}-a\bar{p}+p\bar{a}}{2\bar{p}(b-c)}$$

იყოს სუფთა წარმოსახვითი კომპლექსური რიცხვი. შემოწმებით დავადგენთ, რომ ეს რიცხვი ასეთია, კერძოდ, როცა

$$z=z_0=\frac{1}{2}\left(a+b+c+2p+\frac{abc\bar{p}}{p}\right) \qquad (1)$$

$$\frac{z_0-a_1}{b-c}=\frac{\left(p+ab\bar{p}\right)\left(p+ac\bar{p}\right)}{2ap\bar{p}(b-c)}=\frac{\bar{z}_0-\bar{a}_1}{\bar{b}-\bar{c}}.$$

ცხადია, რომ $S(z_0)$ ეკუთვნის მითითებულ პერპენდიკულარს. (1) დამოკიდე-ბულებაში ABC სამკუთხედის წვეროთა a,b,c აფიქსები სიმეტრიულად არიან განლაგებული, ამიტომ $S(z_0)$ წერტილი ასევე ეკუთვნის დანარჩენ ორ მართობსაც.

საკვანძო სიტყვები: მონაკვეთი, კომპლექსური რიცხვი, აფიქსი, ვექტორი, წერტილი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გიორგი ბერძულიშვილი, გიორგი ბრეგაძე 2018: წარმოსახვითი რიცხვებით გეომეტ-რიის სწავლების მეთოდიკური თავისებურებები. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. ქუთაისი, 2018.

2. გიორგი ბერძულიშვილი, გიორგი ბრეგაძე, ბაკურ ბაკურაძე 2018: კომპლექსურ რიცხვთა გამოყენება პლანიმეტრიის ზოგიერთი თეორემის დამტკიცებისას (I ნაწი-ლი). ჟურნალი „ინტელექტი“, №1 (60). გვ. 26-29, 2018.

3. გიორგი ბერძულიშვილი, გიორგი ბრეგაძე, ბაკურ ბაკურაძე 2018: კომპლექსურ რიცხვთა გამოყენება პლანიმეტრიის ზოგიერთი თეორემის დამტკიცებისას (II ნაწი-ლი). ჟურნალი „ინტელექტი“. №1 (60). გვ. 30-34. 2018.

Bakur Bakuradze
Associate Professor, Akaki Tsereteli State University,
Giorgi Berdzulishvili
Professor, Akaki Tsereteli State University,
Giorgi Bregadze
Mathematics mentor teacher of Andria Razmadze Physics-Mathematics School No. 41 in Kutaisi,
Doctor of Education,

Divide a line on a complex plane by λ area and its use to solve search planimetric tasks

Abstract

The λ area division of a line on a complex plane is discussed, formulas are established to determine the affixes of the division points. Relevant search planimetric problem-solving tasks are discussed, which are solved by dividing a line on a complex plane by the λ area, vectors, rotation, orthocenter of a triangle, orthopole, scalar and vector multiplications of vectors and their formulas. Some theorems of planimetry are discussed as a task and proved using complex numbers. The discussed search planimetric problem-solving tasks give a clear idea of how effective an approach based on the use of complex numbers is in solving such tasks.

Keywords: Stretch, Complex number, Affix, Vector, Point

ჯამბუ ავალიანი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სწავლების მეთოდიკათა კათედრის ასოც. პროფესორი
მაია მელუავა
თერჯოლის მუნიციპალიტეტის ნახშირღელის საჯარო სკოლის
ქართული ენისა და ლიტერატურის წამყვანი მასწავლებელი

ლირიკული ნაწარმოების სწავლების ფსიქოლოგიურ-მეთოდიკური ასპექტები

ლექსი მხატვრული მეტყველების ორგანიზაციის ისეთი სახეა, რომელშიც პოეტი ფართოდ იყენებს ენის გამომსახველობით საშუალებებს და ამით ემოციურ ზემოქმედებას ახდენს მკითხველზე.

ლირიკაში თითოეული სიტყვა და მისი ორგანიზაცია (ლექსიკა, სინტაქსი, ინტონაცია, რიტმი) მკაცრად რეგლამენტირებულია, დაქვემდებარებულია განცდის სიმძაფრეს, ექს-პრესიულობას და კომპოზიციურ მთლიანობას. ლირიკაში ენობრივი ნორმების გარკვეული დარღვევაც გამართლებულია, თუკი ის მოტივირებულია განცდის გამოსახვით.

ლექსის ძირითადი საფუძველია რიტმი. ლექსის ენა რიტმულია, ამით განსხვავდება ის პროზისაგან. მოკლედ რომ ვთქვათ, პოეზია ლიტერატურის განსაკუთრებული ფორმაა, ის ემოციებისა და განწყობების მრავალფეროვნებით გამოირჩევა, ფიგურალურად რომ ვთქვათ, პოეზია სამეფო ხილია, რომელიც ყველასათვის ერთნაირად მისაწვდომი არაა. წარმოიდგინეთ, არც საინტერესოა, უმრავლესობას ხელოვნების ეს დარგი დიდად არ ხიბლავს! ასეთი ადამიანთა რიცხვი, სამწუხაროდ, ძალიან ბევრია, მათ შორისაა მოსწავლე-ახალგაზრდობა.

პოეზიის მიმართ მოსწავლეთა უარყოფითი განწყობის შეცვლის მცდელობა უშედეგო იქნება თუ კარგად არ გავაცნობიერებთ პოეზიის, კერძოდ ლირიკული ლექსის სპეციფიკა – ენის, სტილის, ფორმის თავისებურებანი. როცა მხატვრული ტექსტის შინაარსსა და ფორმაზე ვმსჯელობთ, უნდა გვახსოვდეს, **რომ ესთეტიკურ გრძნობებს იწვევს როგორც შინაარსი, ისე ფორმა, მაგრამ არა პირდაპირ, არამედ მხატვრული სახის საშუალებით.**

პრაქტიკაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ, ხშირ შემთხვევაში, ლექსზე მუშაობა მისი ზეპირ-რად დასწავლით ამოიწურება და მიუღწეველი რჩება მთავარი მიზანი – მოსწავლეებმა გაიგონ და განიცადონ პოეტური ნაწარმოების, როგორც ხელოვნებას ნიმუშის, მშვენიერება, აზრი, იდეა.

ხელოვნების დარგებიდან სკოლაში ყველაზე დიდხანს, ვრცლად საფუძვლიანად მხატვ-რული ლიტერატურა ისწავლება. ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი პროგრამა ითვალისწინებს სხვადასხვა ეპოქის შემოქმედის მრავალი ლირიკული ლექსის შესწავლას, მაგრამ გვავიწყდება, რომ ლიტერატურული ჟანრებიდან ლირიკული ნაწარმოების სწავლება ყველაზე რთულია, რომ მისი შესწავლა-დამუშავება სპეციფიკურ ხერხებსა და მიდგომას მოითხოვს.

ლირიკული ნაწარმოების სწავლება ლიტერატურის მეთოდიკის აქტუალურ პრობ-ლემას წარმოადგენს. ეს საკითხი არაერთი მეცნიერ-მეთოდისტის კვლევის საგანი გამხდარა წარსულში და უფრო აქტუალური გახდა დღეს – ინფორმაციის მოზღვავებისა და სწავლების ტექნოლოგიების ბუმის პირობებში. ეს სირთულე და განსაკუთრებულობა კარგად აისახა

ეროვნულ სასწავლო გეგმასა და ქართული ენის და ლიტერატურის საგნობრივ პროგრამაში. ამავე დროს, არაერთი საინტერესო მეთოდური ხასიათის წერილი გამოქვეყნდა საგანმანათლებლო საიტებსა და ინტერნეტგაზეთებში (1).

ლექსის სწავლების შესაბამისობა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები, სიტყვიერების მასწავლებელისა და მოსწავლისაგან მოითხოვს:

- მოსწავლეთა გათვითცნობიერებას ლექსის, როგორც მხატვრული ნაწარმოების, სპეციფიკაში;
- მსჯელობა-განწყობაზე, მხატვრული ხერხებისა და მიის ფუნქციების ამოცნობა.
- პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა;
- მხატვრული ტექსტის ესთეტიკური შეფასება;
- საკუთარი ემოციებისა და შთაბეჭდილებების გამოხატვა;
- პოეტის ენაზე დაკვირვება და მხატვრული ხერხების (ეპითეტი, შედარება, ჰიპერ-ბოლა, გაპიროვნება...) ამოცნობა (2).

ამ მცირე ამონარიდიდანაც კარგად ჩანს, რაოდენ მრავალ ასპექტს მოიცავს ლირიკული ნაწარმოების სწავლება, რამდენად მჭიდროდაა დაკავშირებული ის მოსწავლეთა ფსიქო-ლოგიურ თავისებურებებთან. რომლის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა – **გამოვუმუშაოთ მოსწავლეებს ლირიკის აღქმის უნარი,** რაც რთული შემოქმედებითი პროცესია და მიმდინარეობს დიდხანს, მოსწავლეთა ასაკისა და უნარის შესაბამისად. ყოველივე კი, მასწავლებლისგან მოითხოვს იმ ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური თავისებურებების ცოდნას, რომელიც უკავშირდება **მხატვრული ტექსტის, როგორც სიტყვის ხელოვნების კითხვას და აღქმას, განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზე, როცა მოზარდებში კითხვის, მხატვრული ტექსტის გაგებისა და თვითდაკვირვების უნარების ჩამოყალიბება ხდება.**

მხატვრული ლიტერატურა მოსწავლეთა კოგნიტური განვითარებისა და ესთეტიკური აღქმის უნარის სრულყოფის ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაცაა. ყოველივე ეს მოითხოვს, შემეცნებითი აქტივობის განვითარებასთან ერთად, მაქსიმალურად ავამაღლოთ თითოეული მოსწავლის გრძნობადი დამოკიდებულება ნაწარმოების მიმართ, რადგანაც აღქმითი შემეცნების საფეხურზე ადამიანს აქვს სინამდვილის შესახებ ცხადი და უეჭველი ცოდნა. აღქმის ზოგად კატეგორიებს ემყარება ესთეტიკური აღქმა, რომლის ძირითადი არსია, - მოზარდმა შეძლოს საკუთარი ესთეტიკური საგნის შექმნა, ნაწარმოების აღქმა და ამ გზით დახვეწოს გემოვნება, შეიმეცნოს ჩვენი ცხოვრების მშვენიერება.

ასეთი მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტა შეუძლებელია თუ მასწავლებელი კარგად არ ერკვევა ისეთ ცნებებსა და ტერმინებში, როგორიცაა: **ესთეტიკური აღქმა, ესთეტიკური გრძნობა, ესთეტიკური შეფასება, მხატვრული გემოვნება და სხვ.**, რაც მთავარია, მხატვრული ლიტერატურის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, მასწავლებელი კარგად უნდა იცნობდეს იმ პედაგოგიურ-ფსიქოლოგიურ თავისებურებებს, რომელთა გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია ლიტერატურის სწავლება, კერძოდ: **მხატვრული ტექსტის აღქმა და გააზრება, ლიტერატურული ნაწარმოების ესთეტიკური თვალსაზრისით შეფასება, ტექსტის ფორმასა და შინაარსში წვდომა, პერსონაჟთა ხასიათების, ავტორის მიზანდასახულობის, იდეასა და მსოფლმხედველობითი ნიუანსებში გარკვევა...**

მ. რუბინშტეინი წერდა: „ლიტერატურა, პოეზია იწვევს არა მარტო ესთეტიკურ ტკბობას, არამედ აშკარად აღვიძებს აზრს, ჩაგვაფიქრებს ცხოვრებაზე, მაშინ, როცა მუსიკისა და მხატვრობის გაურკვეველ ემოციურ სფეროში ადვილია დაბნევა“.

მოზარდის შემეცნებითი აზროვნების ევოლუციის შესახებ საინტერესო მოსაზრებებს გვიზიარებს **პროფ. რ. ნათაძე.** იგი აღნიშნავს, რომ 9 წლის ასაკში უკვე თავს იჩენს ცნებითი აზროვნების ელემენტები, ხოლო „თერთმეტი წლის ასაკი, როგორც თვალსაჩინოებიდან ემანსიპირებული ვერბალური აზროვნების, ისე ცნებათა ნამდვილი განზოგადების და ფორმალური აზროვნების პირველ დასაწყის ეტაპს წარმოადგენს“. მართალია, 11 წელი ვერ ჩაითვლება ცნებითი აზროვნების სრული დაუფლების ასაკად, მაგრამ მისი განვითარების ტემპი გრძელდება და „თოთხმეტი წელი მთელი სასკოლო პერიოდის გასწვრივ მეორე და უკანასკნელ ნახტომს იძლევა ცნებითი აზროვნების განვითარებაში, რის შედეგადაც მიიღწევა ცნებითი აზროვნების განვითარების სასკოლო პერიოდისათვის უკანასკნელი ეტაპი“ **(3. 198).**

პიაჟეს კოგნიტური განვითარების სტადიების მიხედვით, ბავშვის ზრდასთან ერთად იხვეწება მისი უნარი, ამოიცნოს სხვა ადამიანების აზრები. ბავშვებს უყალიბდებათ **გონების თეორია,** რომელიც მოიცავს სხვა ადამიანის გონებრივი და ფსიქოლოგიური მდგომარეობის (აზრების, შეხედულებების, გრძნობების, მოტივების და ა.შ.) უფრო და უფრო კარგად გაგების უნარს. გონების თეორია ბავშვებს შესაძლებლობას აძლევს, გაიგონ, ახსნან და იწინასწარმეტყველონ მათთვის მნიშვნელოვანი ადამიანების მოქმედებები და, ამის შედეგად, ეფექტური ურთიერთობა დაამყარონ მათთან **(4.).**

უმცროსი სასკოლო ასაკის, დაწყებითი სკოლის ბავშვის ესთეტიკური აღქმის თავისებურება, ლიტერატურულ მასალაზე დაყრდნობით, ექსპერიმენტულად შეისწავლა და გამოიკვლია **დ. რამიშვილმა,** რომელსაც საყურადღებო დასკვნები გამოაქვს დაწყებითი სკოლის საფეხურზე ბავშვის ესთეტიკური აღქმის შესაძლებლობათა შესახებ. კერძოდ, ა) უმცროს სასკოლო ასაკში ბავშვის აზრი შინაარსის ესთეტიკური მხარისკენ არის მიმართული, მაგრამ სწორედ **„ძლიერი და ემოციური შინაარსობრივი სახე არის ის სფერო, სადაც ბავშვი ესთეტიკური გემოვნების დაკმაყოფილებას ეძებს“;** ბავშვს მოსწონს ესთეტიკურად მაღალ დონეზე შესრულებული შინაარსი; იგი უპირატესობას აძლევს ლიტერატურული ნაწარმოების შინაარსობრივ-ესთეტიკურ მომენტებს სხვა მომენტებთან შედარებით, სახელდობრ, ძლიერ, სურათოვან, მკვეთრ სახეებს თავისთავად და არა ლიტერატურულ მოვარაყებას. ინდივიდუალური ცდების ჩატარებით მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ დაწყებითი სკოლის საფეხურზე **„მოწაფეებს შეუძლიათ არა თუ ესთეტიკურად განიცადონ ლექსის ან მხატვრული შრომის სილამაზე, არამედ ხშირად სჯობნიან კიდეც მოზრდილებს, მაგალითად, სხვადასხვა მწერლის „პოეტური მანერის სწორად წვდომაში“**, მეცნიერი შენიშნავს, თუ უმცროს კლასებში ესთეტიკური აღქმა შინაარსიდან გამომდინარეობს, განვითარების შემდგომ საფეხურზე ბავშვის ლიტერატურულ-ესთეტიკური აღქმის საგანს შეადგენს **სიტყვა.** „შინაარსის გარკვეულად აგება და გარკვეული შინაარსისეული მომენტები წარმოადგენს პირველ მხატვრულ ფორმას, ხოლო შემდეგში ეს მხატვრული ფორმა სწორედ ამგვარად თქმას, ამ სიტყვებით მოცემულობას გულისხმობს“**(5 : 205).**

ლირიკის აღქმაზე როცა ვლაპარაკობთ, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ნ. დ. მოლდავსაკაიას საყურადღებო გამოკვლევებს სასკოლო ასაკის მოსწავლეებში ლირიკის აღქმის თავისებურებებისა და დონეების თაობაზე.

ნ. დ. მოლდავსკაიას ექსპერიმენტით დასტურდება, რომ ლირიკის აღქმის დონე განსხვავებულია სხვადასხვა ასაკობრივ საფეხურზე. ეს ბუნებრივიცაა, რადგანაც აღქმა თავისთავად რთული პროცესია და მითუმეტეს ლირიკისა, რომელიც შემოქმედების სუბიექტური სახეა და მასში წამყვანია თვით ავტორის განცდა, განცდის გაცნობიერება კი არა თუ მოზარდებს, ზრდასრულ გათვითცნობიერებულ პიროვნებებსაც უჭირთ.

ლექსის აღქმა მჭიდრო კავშირშია ასაკობრივ ფაქტორთან. ამ თვალსაზრისით ყველაზე „ძნელია" საშუალო ასაკი. აღსანიშნავია, რომ ამ ასაკში მოსწავლეთა ინტერესი ლექსისადმი ნელდება, მათ სიუჟეტიანი ნაწარმოებები(მოთხრობა, ნოველა, სათავგადასავლო ან ისტორიული ხასიათის რომანები) უფრო იტაცებთ. შემდგომ კლასებში კი კვლავ ჩნდება ლირიკისადმი ინტერესი.

საშუალო ასაკის მოსწავლეები ვერ აცნობიერებენ რთულ პოეტურ კონსტრუქციებს, ისინი ინტელექტუალურად ვერ არიან ამისათვის მომზადებული, ღრმად ვერ წვდებიან ლექსის აზრს და გულგრილი რჩებიან პოეზიისადმი.

ამ ასაკის მოსწავლეებთან მუშაობა მასწავლებლისაგან დიდ ოსტატობას და გამო-ცდილებას მოითხოვს, როგორც ნ.დ. მოლდოვსკაია შენიშნავს, ლიტერატურულ ნაწარმოების აღქმა რთული და შემოქმედებითი პროცესია, რომელიც არ მიმდინარეობს ერთნაირად ერთი ასაკის და ერთი კლასის ბავშვებშიც კი. მოსწავლეების ლიტერატურული განვითარების სხვადასხვა დონე მჟღავნდება სწორედ აღქმის უნარის სხვაობაში (6.).

ლირიკული ტექსტის აღქმასა და გააზრებაში დაგვეხმარება მთელი რიგი სტრატეგიები და აქტივობები, რომელთაგანაც რამდენიმეს აქვე დავასახელებთ.

- **ერთ-ერთია წარმოსახვის მოშველიება.**

მწერალი მხატვრული სახის შექმნისას, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი გრძნობის ორგანოებს მიმართავს, ანუ ცდილობს დაგვანახოს, მოგვასმენინოს, გვაგრძნობინოს, ჩვენც, პირველ რიგში, ჩვენი შეგრძნებები უნდა მოვიშველიოთ ანუ დავინახოთ, მოვისმინოთ, ვიგრძნოთ.

ამისათვის საჭიროა:

- დავაკვირდეთ აღწერითი შინაარსის სიტყვებს;
- წარმოვიდგინოთ საკუთარი თავი ლირიკული გმირის ადგილას და განვიცადოთ ის, რასაც პოეტი გვთავაზობს;
- წარმოიდგინეთ ის, რასაც კითხულობთ, ანუ გონებაში გააცოცხლეთ პოეტის მიერ დახატული სურათები;
- თუ ნაწარმოებებში დახატული სურათების წარმოდგენა გიჭირთ, დააკავშირეთ ისინი თქვენს ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან(ანუ იმასთან, რაც ცხოვრებაში გინახავთ);
- მოუსმინეთ:ხმამაღლა წაიკითხეთ ლექსი და ყური მიუგდეთ მის ჟღერადობას. ხშირად აზრი და განცდა ჟღერადობის (რიტმისა დ რითმის) საშუალებით გადმოიცემა;
- დავსვით კითხვები: რატომ გამოიყენა პოეტმა ესა თუ ის კონკრეტული სახე? რისი თქმა სურდა მას? რა ქმნის ამ ლექსით გამოწვეულ განწყობას? (7)

ლირიკული ლექსის კითხვისას მნიშვნელოვანია მსჯელობა **ლექსით გამოწვეულ ემოციაზე.**

აქტივობა ასე წარიმართება:

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ყურადღებით მოუსმინონ და თავად კითხულობს ტექსტს გამომეტყველებით. მერე სთხოვს მოსწავლეებს, აღწერონ, რა ემოცია დაუტოვა ლექსმა და რომელი სიტყვა, ფრაზა, ემოცია დაამახსოვრდათ. მოსწავლეები ასახელებენ სხვადასხვა

სიტყვასა თუ ემოციას, იმას, რაც მოსმენისას გაუჩნდათ ან დაამახოვრდათ. მასწავლებელი ახსენებს მოსწავლეებს, რომ ლექსში მთავარი სწორედ ემოციებია, განწყობაა, რომელსაც ავტორი ხშირად პატარ-პატარა სურათების, ემოციური ფრაზების, რითმისა და რიტმის მეშვეობით ქმნის. ლექსში თითოეული სიტყვა ემოციით არის დატვირთული.

- როგორ გავიგოთ სტრატეგია:

ლექსის მუსიკის მოსმენა.

ლექსის მუსიკა რომ შევიგრძნოთ, ის ხმამაღლა უნდა წავიკითხოთ და ყური მივუგდოთ მის რიტმსა და ჟღერადობას .

რას ნიშნავს ლექსის ხმამაღლა კითხვა–პოეტური სპექტაკლი?

კლასი უნდა დაიყოს ჯგუფებად. თითოეული ჯგუფი არჩევს რომელიმე პოეტს და ჯგუფის წევრები დაინაწილებენ შერჩეული პოეტის თითო ლექსს. თითოეული ჯგუფის „რეჟისორი“ შეარჩევს, რა მიმდევრობით უნდა წაიკითხონ ჯგუფის წევრებმა ლექსები. იგი გადაწყვეტს ასევე, როგორც უნდა განლაგდნენ სცენაზე; საჭიროა თუ არა ფონად მუსიკა;

ჯგუფების თითოეული წევრი ჯერ ყურადღებით გაეცნობა ლექსს; ჩუმად წაიკითხავს; მოინიშნავს იმ ადგილებს, რომლებიც მნიშვნელოვანია; მოიფიქრებს, როგორი ინტონაციით წაიკითხოს. ყურადღება უნდა მიექცეს: ინტონაციას, რიტმს, ხმის სიმაღლეს და ჟესტებს.

ამის შემდეგ, თავის მოსაზრებებს გააცნობს „რეჟისორს“ და ჯგუფის სხვა წევრებს და მოისმენს მათგან შენიშვნებს, რომლებიც უნდა გაითვალისწინოს.

მას შემდეგ, რაც თითოეული ჯგუფი მოემზადება, იწყება „წარმოდგენა“, რომლის დამთავ-რებისთანავე გაიმართება დებატები თითოეული ჯგუფის ნამუშევარზე.

მუსიკალური ეფექტი ლექსში გარკვეული ბგერების, სიტყვების ან ფრაზების გამეორებით ლექსის მუსიკალურობის აღქმაში დაგეხმარებათ შემდეგი გეგმა:

- წაიკითხეთ ლექსი ხმამაღლა და ყური მიუგდეთ მის რიტმს;
- შეეცადეთ ამოიცნოთ, რა ქმნის მუსიკალურ ეფექტს (ბგერების, სიტყვებისა თუ ფრაზების გამეორება);
- შეეცადეთ, დააკავშირეთ ეს ეფექტი გარკვეულ ემოციასთან ან განწყობასთან.

ამგვარად, ლირიკა, ლირიკული ლექსის სწავლება, აღქმა, გააზრება, განცდა, ასოციაცია სხვა ფენომენია – რთული, თავისებური და ჯადოსნური! ლირიკის მთლიანობაში ახსნა და გააზრება რთული ფსიქოლოგიური პროცესია, რაც ლირიკის, როგორც განსხვავებული მხატვრული ტექსტის მრავალმხრივ შესწავლა-გააზრებას მოითხოვს, მის ღირებულებასა და მნიშვნელობაზე ლაპარაკობს ის ზემოქმედების ძალა, რასაც მკითხველში იწვევს მისი წაკითხვა თუ მოსმენა.

საკვანძო სიტყვები: სწავლების სტრატეგია, ლირიკული ლექსი, მხატვრული ტექსტი, აღქმა, გააზრება, განცდა, ასოციაცია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მენაბდე 2017: მენაბდე მ; როგორ ვასწავლოთ ლექსები, ინტერნეტგაზეთი (23.06.2017);
2. ლომიძე 2015: ლომიძე ნ. მხატვრული ნაწარმოების ანალიზი - მეთოდიკური მითი-თებები მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის, ინტერნეტგაზეთი (13.11.2015);
3. სახურია 2018: სახურია მ; ლირიკული ტექსტების ანალიზი საბაზო და საშუალო საფეხურზე, ინტერნეტგაზეთი (7.03.2018).
4. ეროვნული სასწავლო გეგმა-2018-2024: საგანმანათლებლო პორტალი.

5. ნათაძე 1968: ნათაძე რ., აზროვნების განვითარება სასკოლო პერიოდში, მწიგნში: ბავშვის ფსიქოლოგია (პროფ. ვ. ნორაკიძის რედაქციით), თბილისი, 1968.

6. განვითარებისა 2008: განვითარებისა და სწავლების თეორიები (ნ. ჯანაშია, ნ. იმედაძე, ს. გორგოძე), მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008.

7. რამიშვილი 1963: რამიშვილი დ., მეტყველების განსხვავებულ სახეთა ფსიქოლოგიური ბუნებისათვის, თბილისი, 1963.

8. Молдавская 1976: Молдавская И.Д. Особенности восприятия лирики у уровни воспрятия лирики в кн: литературное развитие школьников в процесе обучения, м. 1976.

9. მეთოდური 1991: მეთოდური რეკომენდაციები V-VI კლასებში მშობლიური ლიტერატურის სწავლებაზე/ ავტორები: ლალი ვაშაკიძე, ლია თუშური, ლეილა მანჯგალაძე), თბილისი, 1991.

Jambu Avaliani
Associate Professor, Teaching Methods
Department of Kutaisi Akaki Tsereteli State University
Maia Meluava
Leading Teacher of Georgian Language and Literature at
Nakhshirghele Public School of Terjola Municipality

Psychological-methodical aspects of teaching a lyric work

Resume

Poems and poetry are not equally accessible to everyone. Imagine, it is not even interesting, most people are not very interested in this field of art! Unfortunately, the number of such people is very large, among them are the student youth.

Attempts to change the negative attitude of students towards poetry will be futile if we do not fully understand the specifics of poetry, in particular the lyric poem - the peculiarities of language, style, form. When we discuss the content and form of an artistic text, we must remember that aesthetic feelings are evoked by both content and form, but not directly, but through the artistic form.

A number of strategies and activities will help us perceive and understand the lyrical text, in particular: Discussing the emotion evoked by the poem; listening to the music of the poem and more.

Key words: Teaching strategy, lyric poem, artistic text, perception, comprehension, feeling, association.

აკაკი ზოიძე
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ
აბუსერისძის
სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

შემოქმედებითი სახის სავარჯიშოები მოსწავლეთა შემოქმედების განსავითარებლად

სწავლების დაწყებით საფეხურზე ბავშვები დიდ ინტერესს ამჟღავნებენ ლიტერატურული შემოქმედებისადმი. ზეპირი მეტყველების განვითარების პროცესში წერითი მეტყველების საფუძვლების მომზადება, აზრის შეგნებულად გადმოცემის უნარის ჩამოყალიბება ხელს უწყობს და განაპირობებს მოსწავლეთა მიერ წინადადებების მოფიქრებას, შედგენას, გააზრებას და ჩაწერას. ამ მიზნით ეფექტურია ისეთ სავარჯიშოთა გამოყენება,რომლებიც ითვალისწინებენ წერითი მეტყველების სხვადასხვა უნართა ფორმირებას (გადმოსაცემი მასალის შინაარსის წინასწარი გაცნობიერება, გააზრება, სიტყვის შერჩევა, აზრის ლოგიკურად გადმოცემა, დასრულება და ა.შ.) აგრეთვე სხვადასხვა ხასიათის წერითი დავალებები - შთაბეჭდილებათა გადმოცემა, სურათის აღწერა, მოთხრობის შედგენა, დეფორმირებული ტექსტის აღდგენა, საგნების განსულიერება, ტექსტის მხატვრული დამუშავება და სხვ.

როგორც აღნიშნულიდან ჩანს, წერითი ჩვევების ფორმირებისა და წერითი მეტყველების განვითარების მთლიანი და ერთდროული პროცესის პირობებში დაწყებით კლასებში მიიღწევა წერითი მეტყველების გარკვეულ დონე, იქმნება პირობები უმცროსკლასელთა ლიტერატურული შემოქმედების განვითარებისათვის. ბავშვები თხზავენ ლექსებს, ზღაპრებს, მოთხრობებს. რა კრიტერიუმებით მივუდგეთ მათ? როგორ ვსწავლოთ თავიანთი ნაშრომების, თხზულების სრულქმნა, როგორ განვუვითაროთ მათ მდიდარი შემოქმედებითი წარმოსახვა, მხატვრული აზროვნების უნარი, სინამდვილის მხატვრული აღქმა და და მისი ხატივნად, სახოვნად და ემოციურად გადმოცემა? საამისოდ საჭიროა მოსწავლეები აქტიურად ჩავრთოთ დამოუკიდებელ შემოქმედებით მუშაობაში, ვიზრუნოთ ლიტერატურული შემოქმედებისათვის აუცილებელი და არსებითი უნარების გამოვლენისა და ამოქმედებისათვის.

ეს უნარებია: სააზროვნო უნარები - აღქმა-დამახსოვრება, შედარების გაკეთება, დაკავშირება ფანტაზირება, ანალიზის, სინთეზის, შეფასების გაკეთება, დასკვნის გამოტანა.

კვლევითი უნარები - დაგეგმვა, რესურსების მოძიება, დაკვირვება, მონაცემთა შეგროვება-ჩაწერა, ლექსიკონზე მუშაობა, კვლევის შედეგების პრეზენტაცია.

შემოქმედებითი უნარები - საკუთარი აზრის წარმოჩინება, პრობლემის ორიგინალური გზით გადაწყვეტა, საგნის, მოვლენის ორიგინალური ფორმით შეფასება, სხვისი ზრის ინტერპრეტირება, ორიგინალური პროდუქტის (წერილი, ჩანახახატი, ნაზრევი, საგნის განსულიერება...) შექმნა, საინტერესო შეკითხვის დასმა, შეკითხვაზე საინტერესო პასუხი და ა.შ.

წარმოდგენილი თითოეული უნარი ფასეული და მნიშვნელოვანია. თუმცა საწყის ეტაპზე ჯეროვანი ყურადღება მაინც მხატვრული აღქმის განვითარებაზე მუშაობას უნდა დაეთმოს სასურველია მხატვრული ნაწარმოების სისტემატიური განხილვა-ანალიზი, როცა მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, ერთი მხრივ, შემოქმედებთად იაზროვნონ, გააანალიზონ მოქმედ პირთა ქცევა, შეადარონ ისინი ერთმანეთს, გამოყონ ადამიანისა თუ საგნის ერთი თვისება მეორისაგან

და ა.ს. მეორე მხრივ, შენიშნონ, აღიქვან და მთელი სისრულით განიცადონ მხატვრული სიტყვა, მხატვრულობის თვალსაზრისით საინტერესო მასალა დაუკავშირონ მუსიკის, სახვითი ხელოვნების შესატყვის ნიმუშებს.

საამისოდ მუშაობის საინტერესო ფორმაა ხატოვნი სიტყვებისა და ფრაზების ლექსიკონის შედგენა, რაც ეხმარება მოსწავლეს მხატვრული სიტყვის შინაარსის გაცნობიერებაში, იწვევს მის დაინტერესებას ლამაზი, მოხდენილი გამოთქმით მოგვაქვს სავარჯიშოთა ნიმუშები, რომლებიც ითვალისწინებენ სიტყვის შერჩევის ძლიერი ტენდენციის აღვრას და ამასთანავე შინაარსის განვითარებაზეც არის ორიენტირებული. მასწავლებლის შემოქმედებით მიდგომას შეუძლია უფრო მდიდარი და მრავალფეროვანი გახადოს ამგვარ სავარჯიშოთა შინაარსი და, რა თქმა უნდა შესაძლებლობებიც.

სიტყვებისა და წინადადებების დალაგება

ამ სახის სავარჯიშოები რამდენიმე სახისაა:

- მოცემულია სიტყვათა ჯგუფი, რომლებიც განკუთვნილია წინადადებების შესადგენად. მოსწავლეს ევალება დაალაგოს სიტყვები ისე, რომ მიიღოს წინადადება.

- მოცემულია სიტყვათა ჯგუფი, თითოეული მათგანი განკუთვნილია ერთი წინადადების შესადგენად. მოსწავლეს ევალება დაალაგოს წინადადებები ისე, რომ მიიღოს მოთხრობა, შემდეგ კი დაასათაუროს კიდეც.

გამოტოვებული სიტყვების აღდგენა

ამ სახის სავარჯიშოთა მიზანია აქტიური ლექსიკური მრაგის გამდიდრება და, ამასთან ერთად, სიტყვის შერჩევის ძლიერი ტენდენციის აღძვრა, რათა მოსწავლე კრიტიკულად მიუდ-გეს სიტყვის შეფასებას, განუწყვეტივ ეძებოს და აირჩიოს სიტყვები, რომლებიც აზრს უკეთ, ხატოვნად გადმოსცემენ. ამ სახის სახის სავარჯიშოებიც რამდენიმე სახისაა:

- წინადადებებში გამოტოვებულია სიტყვა (სიტყვები). მოსწავლეს ევალება აღადგინოს იგი. ზოგჯერ წინადადების გასწრივ მოცემულია სიტყვათა ჯგუფი, მოსწავლემ უნდა შეარჩიოს მხატვრულობის ან შინაარსის თვალსაზრისით შესატყვისი სიტყვა და ჩასვას სათანადო ადგილზე.

- მოცემულია მოთხრობა, რომელიც, დანაწევრებულია სტრიქონებად, თითოეულ წინადადებაში გამოტოვებულია სიტყვა (სიტყვები). მოსწავლეს ევალება აღადგინოს და შეავსოს მოთხრობა დამოუკიდებლად, ან შესარჩევ სიტყვათაგან. ამასთან დაასათაუროს იგი.

მოცემული წინადადებების შინაარსის გაფართოება

ამ ტიპის სავრჯიშოები ძირითადად ორი სახისაა:

- მოსწავლეს ეძლევა ერთსიტყვიანი წინადადება და ევალება თანდათანობით გააფართოოს მისი შინაარსი სიტყვათა განსაზღვრული რაოდენობით.

- მოსწავლეს ევლება მოცემული წინადადებების შინაარსის გაფართოება. ამასთან არ არის შეზღუდული სიტყვათა რაოდენობით.

მოთხრობის შევსება

- მოსწავლეს ეძლევა მოთხრობის დასაწყისი და დასასრული ან მხოლოდ სათაური და დასაწყისი, ან სათაური და დასასრული. მას ევალება შეადგინოს მოთხრობა.

- მოთხრობის შედგენისას, ხშირ შემთხვევაში მოცემულია სიტყვებისა და გამოთქმების ჯგუფიც, რომელიც მოსწავლემ უნდა გამოიყენოს მოთხრობის შედგენისას, ხშირ შემთხვევაში დაასათაუროს კიდეც.

-

ტექსტის მხატვრული დამუშავება

მოსწავლეს ეძლევა გარკვეული შინაარსის მქონე ტექსტი, რომელსაც აკლია ლიტერატურული დამუშავება და სრულყოფა. მას ევალება გადაამუშაოს იგი და მიცეს სათანადო მხატვრული დონე.

აღნიშნულ სავარჯიშოებზე გეგმაზომიერი, სისტემატური და მიზანმიმართული მუშაობა ქმნის პირობებს ლიტერატურული შემოქმედებისათვის არსებით უნართა ასამოქმედებლად.

როგორც ცნობილია ლიტერატურულ ჟანრთაგან (მოთხრობა, ლექსი, ზღაპარი, იგავ-არაკი) უმცროსკლასელი უპირატესობას ანიჭებს ზღაპარს, რომელიც სავსებით შეესატყვისება მის ბუნებრივ მოთხოვნილებას და უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობაც აქვს.

ხომ არაფერი შეედრება ბავშვობის ასაკში ლამაზი ზღაპრით გამოწვეულ განცდებს, რა ულევი ფანტაზია იშლება, რამდენი მომენტი შიძლება გამოვიყენოთ იმისათვის, რათა ბავშვებმა თვითონ განაგრძონ, თავადაც შექმნან ზღაპრები. პატარებს განსაკუთრებით იტაცებთ ზღაპრები ცხოველებზე, ფრინველებზე. რა შეედრება მოლაპარაკე მელას, დათვს, აქლემს, ლომს, კურდღელს, მგელს, კრავს, შვლის ნუკრს, ფრთოსან მგალობლებს. ნათქვამის დასტურად ბუნების უბადლო მტვრის ვაჟა-ფშაველას „ჩხიკვთა ქორწილიც იკმარებდა, მოზარდებს იტაცებს ჩიტუნების, კერძოდ, ქერონების, წიპრიების, ნიბლიების, კაკბების, გნოლების, ღობემძვრალების, ბოლოცეცხლების, ჭივჭავების და სხვების ზეიმი. ყვავი „მშვენივრად“ მღერის, წრუწუნას თხილის გული თვალის სინათლეს ურჩევნია, აქ ღვინოს აძალებენ, სასაცილოდაც თვრება, „ყვავილები კი სიცილით იხოცებოდნენ“. მხიარულ სურათთან ერთად უტკბესია ბულბულის გალობა, რომელშიც ბუნების, ტყისა და დედამიწის მადლი იხატება. ყოველივე ეს წარუშლელ შთაბეჭდილებას ქმნის.

ზღაპრების კითხვა-განხილვა და ანალიზი, ზღაპრების ილუსტრაციების განხილვა-ილუსტრირება, მუსიკალური ზღაპრების მოსმენა, ზღაპრების ინსცენირებები - ყოველივე ეს ქმნის საფუძველს უმცროსკლსელთა მეზღაპრეობის განვითარებისათვის.

მოსწავლეებს შეიძლება შევთავაზოთ შეთხზან ზღაპრები მოცემული ანდაზის, სურათის, მიხედვით განყენებულ თემაზე, შეაფასონ, განაგრძონ და დაასრულონ ზღაპარი.

მოსწავლეთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ზღაპრის შეთხზვა სურათის მიხედვით. შეიძლება გამოვყოთ დავალებათა რამდენიმე სახე:

მოსწავლეს ევალება შეთხზას ზღაპარი სურათის მიხედვით, რომელიც ასახავს დასაწყისს ან დასკვნით ეპიზოდს, ან მხოლოდ შუა ეპიზოდს (სათაურით და მის გარეშე) და ა.ს. მოსწავლეს ეძლევა ერთი კონკრეტული ეპიზოდის ამსახველი სურათი სთაურისა და დამატებითი სიტყვების გარეშე. ამასთან, ხშირდ ისეთი სურათიც, რომელშიც არც პერსონაჟებია გამოკვეთილი და არც სიუჟეტური განვითარების მიმართულება ჩანს.

განსაკუთრებით რთული სახის დავალებაა ზღაპრის შეთხზვა განყენებულ თემაზე, რაც შედეგით გამოიხატება: მოსწავლემ დამოუკიდებლად უნდა შეარჩიოს პერონაჟები, იზრუნოს სიუჟეტის განვითარების მთლიან ხაზზე, კონკრეტულ ეპიზოდებზე, ზღაპრის დასაწყისისა და დასასრულის სპეციფიკაზე, აღწერით მომენტებზე, ტექსტის მხატვრულ მხარეებზე და ა.შ.

მოსწავლეთა ნამუშევრების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მეზღაპრეობა არ არის მხოლოდ ბავშვური ფანტაზიის თამაში. აქ აზროვნების მხატვრული ელემენტიცა. ზღაპრულ სახეებში ბავშვი ხედავს რაღაც განსაკუთრებულს, აქსოვს მათში აღქმის, წარმოსახვის, აზროვნების ინდი-

ვიდუალურ ნიშნებს. გარდ ამისა, უმცროსკლსელთა ზღაპრები მკვეთრი, ემოციური შეფერილობითაც გამოირჩევა. აღქმის ემოციური დატვირთვა კი ბავშვთა მხატვრული შემოქმედების სულიერი საზრდოა.

ზღაპარსა და მოთხრობაზე მუშაობის პროცესში მოსწავლის ესთეტიკური აღქმა შინაარსთან არის დაკავშირებული, ხოლო ლექსში იგი ნაწარმოების გარეგან მხარეს, სიტყვების მხატვრულ ეფექტს უკავშირდება. ლექსის გარეგანი მხარე კი უფრო ძლიერია, ვიდრე აზრისა. ლექსში განსაკუთრებული ძალით იჩენს თავს სიტყვის შერჩევის ტენდენცია, რომელიც თავის მრივ ერთგვარად ექვემდებრება ლექსის შინაარსობრივ მხარეს და ყოველივე ეს, საბოლოო ჯამში, გარკვეულ მთლიანობად წარმოგვიდგება.

ამგვარად, სიტყვას ლექსში განსაკუთრებით ძლიერი აზრობრივი და ემოციური ძალა ენიჭება, სიტყვის ფორმის თავისებურების გაგებას კი მომზადების გრკვეული დონე სჭირდება. ლექსთა წყობის პრაქტიკულ ჩვევათა დასაუფლებლად შეიძლება გამოვიყენოთ სავარჯიშოთა შემდეგი ნიმუშები:

- ლექსის სტროფში გადაადგილებულია სტრიქონები. მოსწავლეს ევალება ამ სტრიქონთა ურთიერთშესატყვისი განლაგება.
- ლექსში გამოტოვებულია ცალკეული სიტვები. აქვე წარმოდგენილია სიტყვათა ჯგუფი. მოსწავლეს ევალება მათი როგორც, შინაარსობრივი, ისე მხატვრულობის თვალსაზრისით შერჩევა და ჩასმა.
- მოცემულია ლექსის სტროფი შერეული სახით. მოსწავლეს ევალება შეავსოს იგი.

უმცროსკლასელთა ლიტერატურული შემოქმედების განვითარების მეთოდიკამ, რომელიც შემოქმედ პედაგოგთა მიერ ინერგება სკოლებში, მოსწავლეებზე უშუალო დაკვირვებებმა, მათი ნამუშევრების ანალიზმა ცხადყო, რომ უმცროსკლასელთა ორიენტირება ბავშვთა ლიტერატურული შემოქმედების უმთავრეს პირობებზე საშუალებას გვაძლევს მივიღოთ მათი სრულიად განსხვავებული სტილი, მხატვრული დონე და ფსიქოლოგიური ხასიათი, რამდენადაც, სწორედ, ერთი მხრივ, განვითარებული მეტყველების, კერძოდ სიტყვის შერჩევის ძლიერი ტენდენცია და, მეორეს მხრივ, შინაარსის გაფართოების შესაძლებლობების ერთიანობა განაპირობებს ლიტერატურული შემოქმედებისათვის აუცილებელი და არსებითი უნარების და კონკრეტულ ფსიქიურ თვისებათა მთლიანობაში ფორმირებას. ბავშვები თავიანთ ნაშრომებში ავლენენ მდიდრ შემოქმედებით წარმოსხვას, სინამდვილის მხატვრულ აღქმას, ხატოვანი აზროვნების უნარს. მათ უმუშავდებათ სიტყვის ობიექტივიზირებული შერჩევის საკმაოდ მაღალი დონე, რაც მოიცავს ტექსტის მთლიან შინაარსში სიტყვის როგორც შინაარობრივი და ლოგიკური, ასევე მხატვრულ-ემოციური ღირებულებების კრიტიკულ შეფასებას. ამასთან არნიშნული მუშაობა ხელს უწყობს მისწავლეთა მეტყველების კულტურის საგრძნობ ამაღლებას. კითხვისადმი ინტერესის აღძვრას, მთელ რიგ ფსიქიკურ თვისებათა ფორმირებას, რაც ცხადია იწვევს არსებით ხარისხოვან ძვრებს მოსწავლეთა საერთო განვითარებაში.

ბათუმის სკოლა-პანსიონის დამსხურებული პედაგოგი ჟუჟუნა ცირეკიძე შემომედებით სავარჯიშოებს ეფექტურად იყენებდა როგორც მოსწავლეთა მეტყველების გასაუმჯობესებლად, ისე მათში შემოქმედებითი საწყისების განსავითარებლდ. მას დიდ სიკეთედ მიაჩნდა საკუთარი ნააზრევის გამართულად, სწორი ლიტერატურული ენით, ლოგიკურად, მხატვრულად გადმოცემა როგორც ზეპირდ, ისე წერილობით. ეს სიკეთე მოსწავლეებში მასწავლებელმა უნდა გამოიმუშაოს. ამის მისაღწევად კი საუკეთესო საშუალებაა გრამატიკული წესების, განმარტებების, დებულებების ისე დაყვანა მოსწავლეებამდე, რომ მათ იგრძნონ მშობლიური ენის

სიდიადე და სიმდიდრე, სილამაზე და სიტკბო, დიდი გმომსახველობითი უნარი. გრამატიკული წესი ბავშვებს უნდა მივცეთ არა როგორც მზა რეცეპტი, არამედ შემოქმედებითად. ეს წესები მოსწავლეთათვის უნდა ვაქციოთ უტყუარ, მგრძნობ გარე შუქნიშნებად, რომლებიც ადამიანის მეტყველების რთულ ლაბირინთში მართებულ გეზს აჩვენებენ.

შემოქმედი პედაგოგი ბავშვებთან მეტყველების კულტურაზე მუშაობის პროცესში განსაკუთრებით, კატეგორიულად უკრძალავს ზედმეტი სიტყვების ხმარებას, სიტყვების გამეორებას, ბუნდოვნ გამოთქმებს, ჩქარა სხაპასხუპით ლაპარკს, უგულო, სათანადო ინტონციის გრეშე თხრობას. პირველ ხანებში (მე-5, მე-6 კლასები) ერიდებოდა რთული კონსტრუქციის წინადადებებსაც. როგორც წესი, გაკვეთილზე ლექსის კითხვის დროს აუცილებელია მისი გამომეტყველებით, განცდით წაკითხვა. რასაც ვლაპრაკობთ და ვკითხულობთ გულსა და გონებს უნდა მოხვდეს. ამბობს ღვაწლმოსილი პედაგოგი, რომელსაც ყურადღებიდან არასოდს არ რჩებოდა ბავშვის სუნთქვა, დიქცია, სახის გამომეტყველება. მასწავლებელი ყოველდღიურად, გაკვეთილზე, წრის მეცადინეობაზე, მასობრივ ღონისძიებებზე, პირად საუბარშიც ბავშვებისაგან ითხოვდა გამართული მეტყველების წესების დაცვას. არ უნდა დავუშვათ „საშინაო“ და „საგარეო“ სასაუბრო ან, „საგარეო“ მასწავლებლისათვის გკვეთილზე, „საშინაო“ - ყველა სხვა შემთხვევისათვის, როცა ნიშანს არ წერენ, შენიშნავდა იგი (3.68).

ხელოვნების პედაგოგს, ენის სიწმინდისთვის ბრძოლაში აქტიურად ჰყავდა ჩაბმული მოსწავლეები. დაწესებული ჰქონდა შეჯიბრება, თვითკონტროლი - ვინ უფრო გამართულად, ლიტერატურული ენით საუბრობს თანაკლსელებთან, ოჯახში, ქუჩაში? ბავშვებს სახალისო თამაშად ეჩვენებოდათ ეს დავალებები. ხუმრობა-სიცილში ისინი ერთმანეთს უთითებდნენ შეცდომებზე. მეტ დაკვირვებას იჩენდნენ საუბარში. მართალია ამით მთლიანად არ სწორდებოდა დამახინჯებანი, მაგრამ სასიკეთო საქმე იყო წამოწყებული და დროთა განმავლობაში შეუნელებელი ყურადღებით მიაღწიეს სასურველ შედეგს. ბავშვების შეჯიბრება, თვითკონტროლი და დაკვირვება, მხოლოდ ერთ-ერთ საშუალებას წარმოდგენდა მეტყველების კულტურის გასაუმჯობესებლად.

ხშირად მოიკოჭლებს მოსწავლეთა მეტყველება, - ამბობს ამაგდარი პედაგოგი, - უკეთეს შემთხვევაში მოსწავლეები დამაკმაყოფილებლად ფლობენ პროგრამულ მასალას. გაზეპირებული აქვთ ცალკეული ეპიზოდები, თავგადასავალი თუ შინაარსი, მაგრამ თავს ვერ აბამენ შემოქმედებითი ხასიათის თემებს, თხზულებებს. უბრალო წინადადებების მოფიქრების დროსაც კი ფერხდებიან. სწორედ აქ იჩენს თეორიულად მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის უქონლობა, ბავშვს გონების ვიწრო, შეზღუდული ჰორიზონტი, ნაკლები წიგნიერება, ლექსიკური მარაგის სიღარიბე. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, მთელ მუშაობას წარმართავდა ბავშვთა ზეპირი მეტყველების გასამართავად, გულმოდგინედ, ყოველი წვრილმანის გათვალისწინებით ჩარხავდა სასაუბრო თემას, იმეორებდა, ამტკიცებდა მათ გონებაში. როცა სწორი გამოთქმები და წინადადებები მოსწავლის მეტყველებაში დამკვიდრდებოდა, მხოლოდ ამის შემდეგ აძლევდა ბავშვს თემას დასაწერა. ქართულად უმეტესად ისე იწერება, როგორც ვამბობთ, მაშასადამე თუ სწორად ვილაპარაკებთ, სწორადაც დავწერთ, - ასე სწამდა ქალბატონ ჟუჟუნას, რომელიც დასაწყისში დიდ ყურადღებას უთმობდა ამ მუშაობას. ხშირად მოსაბეზრებელიც კი ხდებოდა იგი, მაგრამ ამ „შავი“ სამუშაოს გარეშე არ შეიძლებოდა სასურველი შედეგის მიღწევა. მისი მოსწავლეები ფლობდნენ ორთოგრაფიისა და პუნქტუაციის საკითხებს. სწორად იცოდნენ სიტყვის ბგერითი შედგენილობა. წინადადებაში ყოველი სიტყვა იდგა თავის ადგილზე. მიზნობრივად იყო გამოყენებული კავშირები, ზმნები, ნაცვალსახელები.

ყოველთვის სასიამოვნო მოსასმენი და ადვილი წასაკითხავი იყო მათი ნამუშევრებბი. სტილის დსახვეწად ჩატარებულმა რუდუნებითმა შრომამ ბავშვებს ასწავლა ლიტერატურული ენით მეტყველება. მოსწავლეებმა კარგად იცოდნენ სად იწყებოდა და სად მთავრდებოდა წინადადება, როგორ აეგოთ დასათანადო ინტონაციის დაცვით როგორ წაეკითხათ იგი.

რა სახის შემოქმედებით სავარჯიშოებს ატარებდა მასწავლებელი აღსაზრდელებთან?

როგორც ცნობილია შემოქმედებითი სახის სავარჯიშოებში მთავარია თხზვა, მოფიქრება მიგნება. ამ გარემოებას კარგად ითვალისწინებდა შემოქმედი პედაგოგი. თხზვას იწყებდა სულ მარტივიდან და საფეხურების გავლით ღებულობდა საკუთარ, ორიგინალურ ამბებს, ეპიზოდებს. მოთხრობებს, ლექსებს მოსწვლეთა მომზადების მიხედვით ეს სავარჯიშოები ასე იყო დაჯგუფებული:

1.მარცვლისაგან სიტყვების მიღება. ბავშვს ეძლევა დავალება, ერთი მარცვლის მიხედვით მოიფიქროს სიტყვები. მაგალითად, ვინ უფრო სწრაფად იტყვის ხუთ სიტყვას, რომელთა პირველი მარცვალი იქნება დე,, პირველი მოსწავლე ამბობს: დედა, დედამიწა, დერეფანი, დედოფალი, მეორე მოსწავლემ პირველის ნათქვამიდან სიტყვა არ უნდა გაიმეოროს, ისე უნდა მოიფიქროს თავისი ხუთი სიტყვა, მესამემ კიდევ თავისი ხუთი სიტყვა და ა.შ.

2. ერთი და იმავე ბგერით დაწყებული სიტყვების ბგერითი რაოდენობით ზრდა. ვთქვათ, საწყისი სიტყვაა „ყვავილები“. ბავშვებმა თითო სიტყვა უნდა უმატონ. მეორე ამბობს, ყვავილებმა გაიღვიძეს, მესამე ბავშვი - ბაღში ყვავილებმა გაიღვიძეს, შემდეგ - პანსიონის ბაღში ყვავილებმა გაიღვიძეს და ა.შ. ეს ზეპირი სავარჯიშო, ერთი შეხედვით, მეტად უბრალოა, მაგრამ აქ არა მარტო სიტყვათა დახასიათებაა, არამედ იმასაც ექცევა ყურადღება თუ ვინ როგორ სიტყვას დაასახელებს, ვინ სწორად მოიფიქრებს, ვინ ზეპირად დაიმახსოვრებს. ეს სავარჯიშო გაკვეთილზე დაწყებული, შემდეგ გამოიყენება დასვენების დროს, ლაშქრობაში, კოცონთან, კარნავალზე.

3. ნათქვამი წინდადება გაიმეოროს, დაუმატოს საკუთარი წინადადება ისე, რომ აზრი განაგრძოს. მაგალითად, ეძლევა წინადადება: „ვანო მოვიდა ჩვენთან“, ბავშვი იმეორებს ამ წინადადებას და უმატებს: მან მოიტანა საინტერესო წიგნი, მესამე მოსწავლე იმეორებს ორივე წინადადებას: და განაგრძობს: „დავიწყეთ ერთად კითხვა“(5.47).

ამ დავალების შესრულების დროს 10-15 მოსწავლის ნაამბობით პატარა ამბავი შდგება. დავალება პირველად მთელ კლასს ეძლევა. სურვილისამებრ მონაწილეობენ ბავშვები. შემდეგ შეიძლება გაიმართის შეჯიბრება რიგებს შორის, გოგონებსა და ბიჭებს შორის. თითოეული რიგი იწყებს და ამთავრებს ერთ ამბავს. გამონახავს სათაურს. ყურადღება ექცევა, ვინ უკეთეს წინადადებას იტყვის, ვინ უფრო ლამაზ ამბავს მოიფიქრებს. ცალკეულის ინდივიდუალურად აღნიშვნასთან ერთად ამ დროს გამოვლინდება მტკიცე მეგობრული კოლექტივიც. პირველმა რიგმა კარგად უნდა დაიწყოს, ბოლომ მოხერხებულად მოუყაროს თავი და დაამთავროს, მაშასადამე „ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის.“

4. თხზვის უკვე მაღალი საფეხურია თხზულება, თავისუფალი თემები. თემები შეიძლება ავიღოთ სასკოლო ცხოვრებიან: “ჩვენი სკოლა“, „ჩვენი კლასი,“ „ჩემი საყვარელი საგანი,“ (გაკვეთილი), „სკოლის ბიბლიოთეკაში“, „ჩემი საკლასო ოთახი,“ „ჩემი სკოლის ეზო,“ „პირველი სექტემბრის დილა,“ გზა ჩემი სახლიდან სკოლამდე“, „ჩემი საყვარელი წიგნი, “რას იტყოდა ჩემი წიგნი,“ „ჩემი საყვარელი საქმიანობა,“ „ჩემი საყვარელი ცხოველი, ფრინველი „რას იტყოდა ჩემი მერხი“, საშლელი, ჩანთა, პასტა, წერილი ახლობელ ადამიანს, კორეპონდიციები კედლის გაზეთისთვის და ა.შ.

თემები ოჯახური ცხოვრებიდან: „ჩემი დედა," „ჩემი მამა," „ ჩემი ბაბუა და ბებია," „ლხინი ჩვენს ოჯახში," „დილა სახლში," „სამახსოვრო ეპიზოდი ჩემი ცხოვრებიდან"...

წლის ყველა დრო შესანიშნავ მასალას იძლევა შემოქმედებითი ხასიათის თემებისათვის. ზამთარი, პირველი თოვლი, ზამთრის არდადეგები, საახალწლო ნაძვის ხე, ზამთარი მიდის, სოფელი ზამთარში, თოვლი ჩემს ქალაქში, ჯადოქარი ზამთარი...

გაზაფხული, პირველი ყვავილები, ტყემ გაიღვიძა, მაისის დილა, რას ამბობენ ყვავილები, მიყვარს მშვენიერი გაზაფხული, სოფელი გაზაფხულზე.

ზაფხული, ზაფხულის ერთი დღე, ჩემი საზაფხულო არდადეგები, ზაფხულობით სოფელში, ზაფხულის მთვარიანი ღამე, მშვიდობით ზაფხულო.

შემოდგომა, შემოდგომა დადგა, ოქროს შემოდგომა, ბარაქიანი შემოდგომა, გვიანი შემოდგომა, შემოდგომის ცა, სოფელი შემოდგოაზე, ბაღი შემოდგომაზე რთველი, პარკი შემოდგომაზე...

საჭიროა ბავშვები შევაჩვიოთ ეძიონ და იპოვნონ ის სიტყვები, რომლებითაც უფრო ზუსტად გადმოსცემენ თავიანთ გრძნობებს, მაგალითად, როცა მასწავლებელი მოსწავლისაგან გაიგონებს, რომ ცა დღეს მტრედისფერია, მან აუცილებლად უნდა მოუთხროს ცის სხვადასხვა ფერზე, რომ ცა ასევე შეიძლება იყოს რუხი, ლურჯი, ნარინჯისფერი, წითელი, ფირუზისფერი, უღრუბლო, კამკამა, სუფთა, მოწმენდილი, ნათელი, ღრუბლიანი, მოქუფრული, მოღრუბლული, მოშავბნელებული, მოქუშული, ჯანღიანი, არეული, დაწყნარებული და ა.ს.

მზე - კაშკაშა, ბრწყინვალე, ალერსიანი, მომღიმარი, მოცინარი, ცხრათვალა, თვალისმომჭრელი, მწველი...

გაზაფხულის სიო - ნაზი, ალერსინი, სუსტი, ნეტარი, დამატკბობელი, საამური, ცელქი მოუსვენრი, სასიამოვნო... ჰაერი - თბილი, გამჭვირვალე, სურნელოვანი... გაზაფხული - ლამაზი, კოხტა, კეკლუცი, ტურფა, მშვენიერი, უმშვენიერესი, კარგი, მოკაზმული,, კალმით ნახატი, საუცხოო, ნარნარი, საამო, ნაირფერებით მოქარგული და ა.შ.

ანალოგიურად ჩატარდება მუშაობა თხზულების „პირველი თოვლის" შეთხზვის დროსაც. ბუნებაზე დაკვირვების პარალელურად მუშაობა წარმოებს მხატვრულ გამოთქმებზე, შედარებებზე, ეპითეტებზე, ბუნების ამა თუ იმ სურათის აღწერისათვის საჭირო სიტყვებზე, მაგალითად, ზამთარი - მომხიბლავი, თვალწარმტაცი, მშვენიერი, გრძნეული, ჯადოქარი, მომაჯადოებელი...

თოვლი - რბილი, ფაფუკი, ფხვიერი, სველი, მშრალი, ბრჭყიალა...ღრუბელი - თეთრი, შავი, ტყვიისფერი, ნაცრისფერი, ლეგა, რუხი.. .ცა- დაბალი, მაღალი, ღრუბლიანი, ჯანღიანი...

ფანტელები - მსუბუქი, ლამაზი, ცივი, ჯადოსნური...ისნი ტრიალებენ, ფრენენ, ეცემიან, ცვივიან, იფრქვევიან, ედებიან, იყრებიან...მდინარე - ჩქარი, აქაფებული, ანკარა, გიჟმაჟი, მოდუდუნე, ტყვიისფერი, მოშავო, ცივი, ყინულოვანი და ა.შ.

პიროვნების გარეგნული სახის აღწერას დიდად შეუწყობს ხელს"პორტრეტულ" ლექსიკაზე მუშაობა. აქაც ისე როგორც ბუნების აღწერის დროს საჭირო სიტყვების შესარჩევდ ბავშვებს მდიდარი ლექსიკური მარაგი ესაჭიროებათ. საამისოდ კოლექტიური ვარჯიშის შემდეგ სალექსიკონო რვეულებში მოსწავლეებმა შეიძლება ჩაწერონ:

თვალები - შავი, თაფლისფერი, ცისფერი, რუხი, მწვანე, მორუხო, სხივიანი, პატარა, დიდი, ვიწრო, კეთილი, მსხვილი, მოსიყვარულე, მიუწვდომელი, ნათელი, ცოცხალი, მოელვარე, მოუსვენარი, მოციმციმე, ზღვისფერი, მეტყველი...თმა - შავი, ღია ფერის, ქერა, ჭაღარა, ხშირი, ფაფუკი, მბრწყინავი, მოკლე, გრძელი, სწორი, ტალღისებური, ხუჭუჭა... შუბლი - მაღალი,

დაბალი, ნათელი, ჩაზნექილი... ცხვირი - სწორი, კეხიანი, ფართო, ვიწრო, მოკლე, აჭყლეტილი, არწივისებური... ხელები - თბილი, ძლიერი, სუსტი, ნაზი, ფერმკრთალი, გამრჯე, დაკოჟრილი, უხეში, ლამაზი, შიშველი, ბეჭდებასხმული, ჩამოსხმული.

ზარმც ადამიანს ხელკუტს ეძახიან, კარგ ოსტატს - ხელმარჯვე ოსტატს, ქურდს - ხელმრუდს, კეთილ ადამიანს - ხელგაშლილს... სიარული - სწრაფი, აჩქარებული, დინჯი, მოზომილი, დარბისლური.

ასეთ მუშაობას აქვს თავისი შედეგი. მოსწავლეთა ნამუშევრები არაერთფეროვანია. ისინი თავიანთი განცდების, შთაბეჭდილებების გადმოსაცემად ნახულობენ საჭირო სიტყვებს, მხატვრულ გამოთქმებს, შედარებებს. აღნიშნულ გარემოებას კარგად ითვალისწინებს პედაგოგი. იგი წერს: მე-5 კლასში ისწავლება "ალაზნის ველი მთვარიან ღამეში". ამ ნაწყვეტს ზეპირდ სწავლობენ, თხრობით მისი გადმოცემა უჭირთ, კიდევ უფრო ნკლებდ შეუძლიათ ბუნების ამ ულამაზესი სურათის განცდა. ბავშვების ლექსიკაში შედის ახალი სიტყვები: ბადრი, მდუმარი, ცელქი, დაუდეგრი, მეფური, ბუტბუტი, სიო, საამური, ბრწყინავენ, კამკამებენ, ჩურჩულებენ.

ღვაწლმოსილმა პედაგოგმა ერთ მთვარიან ღამეს თავისი აღსაზრდელები გაასეირნა პანსიონის ბაღში. ბავშვები გაახარა ახალმა ღონისძიებამ - გასეირნებამ მთვარიან ღამეში. მოსწავლეებმა ნაკლებად იცოდნენ, ნაკლებად იტაცებდათ ბუნების სილამაზე. ლამაზმა ღამემ მოხიბლა ისინი.. ბავშვები აკვირდებოდნენ გაზონებს, ხეივნებს, ცას, მთას, ყურს უგდებდნენ ცელქ ნიავს. ხელისგულივით დაჰყურებდნენ ლამპიონებით გაჩახჩახებულ ბათუმს, მოლივ-ლივე ზღვას, ამბობდნენ წინადადებებს, ეჯიბრებოდნენ ვინ უკეთესად გამოხატავდა თავის შთაბეჭდილებას. დასაწყიშში თხზავდნენ ცალკეულ წინადადებებს, არავინ დარჩენილა გულგრილი. მასწავლებელი ისეთ კითხვებს აძლევდა, რომ თემის ირგვლივ ეპასუხნათ. აკაციის ხეივნით გაემართნენ საძინებელ კორპუსისაკენ. ქარი ტოტებს არხევდა, ლანდები მათ წინ თამაშობდა. რას შვრებიან ტოტები? რას გვეუბნებიან? - სვამს კითხვებს პედაგოგი, ბავშვები ამბობენ: ხეები ხელებს გვიქნევენ, გვეთამაშებიან, გვემშვიდობებიან, ძილი ნებისაო, - გვისურვებენ.

თემის მთლიანი ჩამოყალიბება, მისი სრული გაფორმება მეორე დღეს გაკვეთილზე მოხდა. საზეპირო თემის შემდეგ ბავშვებმა გადმოსცეს შთაბეჭდილებები. საუბარში იყენებდნენ ეპიზოდებს, შედარებებს, ყურადღებას ამახვილებდნენ გრამატიკულ კატეგორიებზე.

პირველ ხანებში ასეთი თემები მხოლოდ აღწერილობითი ხასიათისაა ამბობს პედაგოგი, მოსწავლეების საუბარი ერთმანეთისას წააგავს, მაგრამ თანდათანობით მიეჩვევიან და ორიგი-ნალობასაც გამოიჩენენ. აქა იქ გამოჩნდება დამოკიდებულება ფაქტისადმი. მაგალითად, ერთ-ერთმა მოსწავლემ თხზულების ბოლოში მიაწერა: „არასდროს დავკვირვებივარ მთვარიან ღამეს, თუმცა რა ლამაზი ყოფილა. ეს საღამო არასოდეს დამავიწყდება. გმადლობთ მასწავლე-ბელო მთვარიანი ღამისთვის".

აღნიშნული ღამე უფრო ვრცლად აღწერა მეორე მოსწავლემ: ლამაზია ჩვენი სკოლა-პანსიონის ეზო. ბუნების სილამაზემ გაგვიტაცა და გავემართეთ ჭიშკრისკენ, თან გვახლდა მასწავლებელი. ჩვენ გავხედეთ ცისკარს. მას უკვე ეძინა, საბნის მაგიერ ნისლი ეფარა. ირგლივ სიჩუმე სუფევდა, მხოლოდ ნიავი ცელქობდა ფოთლებთან. გავხედეთ მთვარე ამაყი იყო, ვარსკვლავები ციმციმებდნენ. ცოტა ღრუბლიანი ცა იყო. მთვარე ზოგჯერ დაიმალებოდა, ზოგჯერ გამოჩნდებოდა, ხეების ლანდები ხელს გვიქნევდნენ, თითქოს გვეუბნებოდნენ: ძილი ნებისაო, წამოვედით. მთვარე მოგვაცილებდა.

ხელოვანმა პედაგოგმა აღსაზრდელთა პოეტურობაზეც იზრუნა. ბავშვებმა პოეზიაშიც სცადეს ბედი. მან ბავშვებს მიაშველა რითმები: მთვარე-არემარე, ბარი-ქარი. ბავშვებმა შეთხზეს ლექსები:

„ამოვიდა ცაზე მშვიდი,
მოკაშკაშე, ბადრი მთვარე,
გადახედა საქართველოს
გაანათა არემარე.“
„მიყვარს, მიყვარს საქართველო
გადაშლილი მთა და ბარი,
როცა ბინდი ჩამოწვება,
დაუქროლებს თბილი ქარი.

ან კიდევ:

„ამოვიდა ცაზე მთვარე,
გაანათა ირგლივ ბარი,
პანსიონში სიჩუმეა,
ფოთლებს არხევს ცელქი ქარი.“

ბავშვებს ეს სამუშაო ისე მოეწონათ, რომ მასწავლებელს სთხოვეს, კიდევ ეფიქრა რამე. თქვეს - ახლა უმთვარო ღამე ვნახოთო.

ანალოგიური მაგალითების,ნიმუშების მოტანა მრავლად შეიძლება. თუმცა ვფიქრობთ, არ არის ამის აუცილებლობა. დასკვნის სახით კი შეიძლება აღვნიშნოთ, რომ შემოქმედებითი ხასიათის სავარჯიშოების კარგად შესრულება მოსწავლისაგან მოითხოვს დამოუკიდებელ აზროვნებას, წინასწარ დასახული ამოცანების სწორად გადაწყვეტას, თემისადმი თავისებურ მიდგომას. ამ მუშაობაში ვითარდება ბავშვის გონება, საზრდო ეძლევა ბავშვის სულს, გულს, ჭკუას ფანტზიას, წარმოსახვას. იდევნება უაზრო დაზეპირება, ვიწრო ფორმალიზმი, საჭირო აღარ არის შპარგალკა. ყველაზე მთავარი კი ,ვფიქრობთ ისაა, რომ ასეთი მუშაობით მასწავლებელ ამზადებს ადამიანებს, რომლებიც უბრალოდ, ჩვეულებრივ კი არ უყურებენ ადამიანებს, მზეს მთვარესს, ზღვას, მთას, მიწას, წყალს, ფრთოსან მგალობლებს, ყვავილებს, არამედ ხედავენ რაღაც ლამაზს, ამაღლებულს, მშვენიერს, ხედავენ გაფაქიზებული შინაგანი ხედვით, თავადაც გაფაქიზებულნი და გაკეთილშობილებულნი.

საკვანძო სიტყვები: ლიტერატურული შემოქმედება, შემოქმედებითი სავარჯიშოები, სიტყვის შერჩევა, სააზროვნო უნარები, მხატვრული აღქმა, მთვარიანი ღამე, აღსაზრდელთა პოეტურობა, გრამატიკული კატეგორიები...

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაბედავა 1975: გაბედავა გრ. მოსწავლეთა შემოქმედებითი აქტივიზაცია ქართული ენის გკვეთილებზე, თბილისი, 1975.
2. ესაკია 1983: ესაკია დ. თხზულების შედგენა დაწყებით კლასებში, თბილისი, 1983.
3. ზოიძე 2005: ზოიძე აკაკი, თხზულების სწავლება 1-6 კლასებში, ბათუმი, 2005.
4. მაღლაკელიძე 2003: მაღლაკელიძე ნათელა, ქართული ენის სწავლების მეთოდიკა, თბილისი, 2003.

5. ლიპარტელიანი 1983: ლიპარტელიანი რუსუდან, შემოქმედებითი წერითი სამუშაოები დაწყებით კლასებში,თბილისი, 1983.

6. უსტიაშვილი 1998: უსტიაშვილი ნ. მოსწავლეთა წერით თხზულებაზე მუშაობა დაწყებით კლასებში, გაზ. „განათლება“ 26.11.1998.

7. უსტიაშვილი 1983: უსტიაშვილი ნ, თხზულება მე-4 - მე-5 კლასებში, თბილისი, 1983.

8. უგულავა 1973: უგულავა დ. მხატვრულ-შემოქმედებითი აქტივობის შესახებ, ჟურნ. „დაწყებითი სკოლა და სკოლამდელი აღზრდა,“ 1973, N1.

Akaki Zoidze

Professor, the Holy Tbel Abuserisdze Educational University of the Patriarchate of Georgia

Creative Exercises for the Development of Students' Creativity

At the primary level of education, children show a great interest in literary creativity. In the process of intelligently thought out, purposeful and planned work, in the conditions of the formation of writing habits, the development of oral and written speech, a certain level of written speech is achieved in primary classes, conditions are created for the development of literary creativity of students. Children write poems, fairy tales, stories. With what criteria should we approach them? How should we teach them how to perfect their works, how to develop their rich creative imagination, artistic thinking ability, artistic perception of reality and conveying it figuratively, vividly and emotionally?

The paper serves to solve the mentioned problems. Various exercises are presented in it to engage students in independent creative work and to identify and activate the necessary and essential skills for literary creation.

Key words: literary creativity, artistic thinking, thinking skills, research skills, creative skills, figurative words, making up a fairy tale...

უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა

იანინა გიგიბერია
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი (სეუ) მოწვეული პროფესორი,
ლია ქურხული
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ) პროფესორი

განმავითარებელი შეფასება და სტუდენტის წარმატება

ახალგაზრდა თაობის კონკურენტუნარიანობისა და ქვეყნის განვითარებაში წარმატებით მონაწილეობისათვის უმაღლეს სასწავლებლებში აუცილებელი მოთხოვნა გახდა შედეგზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესის დანერგვა, რაც გულისხმობს თითოეული სტუდენტის სწავლის პროცესზე დაკვირვებას, მისი შესაძლებლობის მაქსიმალურ განვითარებას, მიღწეული შედეგის კონტროლს და სასწავლო პროცესის მოდიფიცირებას.

სწავლის შედეგების ხარისხი განისაზღვრება შეფასების საშუალებით. როდესაც სტუდენტის შეფასებაში ქულა იწერება, მის მიერ მიღწეული ცოდნის დონის ფორმალური შეფასება ხდება. მაგ., შუალედური შეფასება ადგენს სტუდენტის წარმატებას სწავლის კონკრეტულ ეტაპზე. აღნიშნულ შეფასებაში გამოყენებული ინსტრუმენტების დანიშნულებაა სტუდენტის მიერ მიღწეული შედეგის გაზომვა და სილაბუსით გათვალისწინებულ შედეგებთან შედარება. მიღებული ქულები სტუდენტის წარმატება-წარუმატებლობას აღნიშნავს, თუმცა, შუალედური შეფასება სწავლა-სწავლების პროცესში გამოვლენილი პრობლემების დიაგნოსტირების საშუალებას არ იძლევა [1].

სასწავლო პროცესში სტუდენტის განვითარების დინამიკის გასაკონტროლებლად კარგი იქნება განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს სწავლის პროცესის შეფასებას, რაც სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. სწავლის პროცესის შეფასება ლექტორს საკუთარი ყოველდღიური საქმიანობის რეფლექსიის შესაძლებლობას მისცემს, დასახული მიზნის მიღწევის ხარისხის კონტროლი კი მას საკუთარი პრაქტიკის გაანალიზებასა და უკეთესი შედეგის მისაღწევად, სწავლების პროცესის მოდიფიცირებაში დაეხმარება.

უმაღლეს სასწავლებლებში, სწავლების პროცესის წარმატებით წარმართვისთვის, ლექტორის მიერ სემინარზე თუ პრაქტიკულ მეცადინეობაზე სტუდენტის გაგება-გააზრების პროცესზე მუდმივი დაკვირვებაა საჭირო.

მიმდინარე შეფასება, რომელიც მხოლოდ ქულებით არ გამოისახება, ემსახურება და მიზნად ისახავს სტუდენტის პოტენციალის რეალიზებას და სწავლების პროცესის მუდმივ გაუმჯობესებას. ასეთი მიმდინარე შეფასება იძლევა სტუდენტის მრავალმხრივი ასპექტით შესწავლის შესაძლებლობას: რაში აქვს მას წინსვლა, რა არის მისი წარუმატებლობის მიზეზი, რა გზითა და საშუალებებით არის შესაძლებელი კონკრეტული სტუდენტის მიერ უკეთესი შედეგის მიღწევა, ანუ ფაქტობრივად, გამოვლინდება სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. [5].

სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია ლექტორის მხრიდან თითოეული სტუდენტისათვის მუდმივი უკუკავშირის მიწოდება: რა გამოსდის მას კარგად, რისი გაკეთება შეუძლია უკეთ და როგორ/რა გზით შეიძლება გაუმჯობესოს სტუდენტმა მიღებული შედეგი.

შესაძლებელია განმავითარებელი შეფასების განსხვავებული ხერხების გამოყენება, რომლებიც ზოგჯერ ერთმანეთს გადაფარავენ: სიტყვიერი კომენტარი, რჩევა-დარიგება, თვითშეფასება და ურთიერთშეფასება - რუბრიკაზე დაყრდნობით და სხვა.

შესაძლოა განმავითარებელი შეფასების სტრატეგიების სხვადასხვა ფორმით გამოყენებაც. მაგ., ლექტორი სტუდენტებს უსვამს კითხვებს და პასუხებს აანალიზებს; ატარებს დისკუსიებს და აკვირდება; აძლევს კონკრეტულ დავალებებს და ნამუშევრებს აფასებს; რთავს სტუდენტებს პროექტების შესრულების პროცესში და შედეგებს განიხილავს და სხვ. თანამედროვეობა განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს პედაგოგს. იგი უნდა ფლობდეს სწავლების შესახებ უახლოეს მონაცემებს და მუდმივად ეფექტური სტრატეგიების ძიებით იყოს დაკავებული. მორგებული სწავლების სტრატეგიების გამოყენება სტუდენტთა სწავლის პროცესს მკვეთრად აუმჯობესებს [4].

განათლების სპეციალისტები განმავითარებელ შეფასებას განმარტავენ, როგორც პროცესს, რომელშიც პედაგოგიც და სტუდენტიც მაქსიმალურად არიან ჩართულნი, ხოლო შეფასებით მიღებული უკუკავშირი, სტუდენტთა მიერ მიღწეული შედეგების გაუმჯობესების მიზნით, სასწავლო პროცესის გადახედვის შესაძლებლობას ქმნის [6].

განმავითარებელი შეფასება ცოცხალი და უწყვეტი პროცესია. სასწავლო პროცესზე მუდმივი დაკვირვება და შედეგების უკუკავშირისათვის გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესის მუდმივად ცვლილებისა და განახლების შესაძლებლობას იძლევა (სტუდენტთა საჭიროებებზე მორგებულად და შესაბამისად). განმავითარებელი შეფასებისას განხორციელებული ცვლილებები სტუდენტის მიერ მიღწეულ შედეგსა (შეძენილი ცოდნა, გამომუშავებული უნარ-ჩვევა და დამოკიდებულება) და მისაღწევ მიზანს შორის „მანძილს“ ამცირებს. ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრებით, ამგვარი შეფასება პედაგოგის იარაღია და იმის დასადგენად გამოიყენება, თუ რამდენად მოახერხა სტუდენტმა კონკრეტული საკითხის წვდომა, უნარის განვითარება და დამოკიდებულების ჩამოყალიბება. (Stuart Kahl) [3].

განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობის საყოველთაო აღიარებას ხელი შეუწყო პოლ ბლეკისა და დილან უილიამის (Paul Black & Dylan Wiliam) მიერ ჩატარებულმა კვლევებმა. კვლევის შედეგებში განმავითარებელი შეფასების უპირატესობები და მისი უფრო ფართო მასშტაბით დანერგვის საჭიროება იყო წარმოდგენილი. ნაშრომის მიხედვით, პედაგოგი ყოველდღიურ შეფასებას იმისთვის იყენებს, რომ შეამოწმოს, სტუდენტმა რამდენად სწორად გაიაზრა მასალა, რა არის ბუნდოვანი, ან რა არასწორი წარმოდგენა შეექმნა. ყოველივეს შეჯერებით იგი ცვლის ინსტრუქციას/აქტივობებს, სწავლის პროცესი კი უფრო ხარისხიანი ხდება და სტუდენტიც მაღალი დონის შედეგებს აღწევს.

განმავითარებელი შეფასება წარმატებულია, თუ სასწავლო კურსის მიზანი, შინაარსი, სწავლება, შეფასების პროცედურები და შედეგები ერთმანეთთანაა დაკავშირებული. აქედან გამომდინარე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ლექტორმა ისეთი უკუკავშირი უნდა შეიმუშაოს, რომელიც შეფასების შედეგებს სწავლებასა და სწავლასთან დააკავშირებს. ბოლო პერიოდში ჩატარებული კვლევებით დგინდება, რომ მიზნების დასახვაში სისტემატურად ჩართული სტუდენტები კარგად აცნობიერებენ ამ მიზნების მიღწევის საშუალებებსა და შეფასების კრიტერიუმებს [1].

განმავითარებელი შეფასება, ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაცაა მნიშვნელოვანი. იგი სტუდენტისათვის მაღალი სამოტივაციო საშუალებაა. ყოველგვარ აქტივობას დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიის მიხედვით, განწყობა უდევს საფუძვლად, რომელიც აღმოცენდება

მოთხოვნილებისა და მისი შესატყვისი სიტუაციის ურთიერთდამთხვევის შემთხვევაში და ქცევაც ამ განწყობის ნიადაგზე ხორციელდება.

უზნაძის განმარტებით, სწორედ მოტივაციაა ქცევის მამოძრავებელი საფუძველი. იგი განსაზღვრულ საქმიანობაზე შიდაპიროვნული და გარეფაქტორების საფუძველზე ადამიანის წაქეზებაა. მოტივაციას წარმოადგენს: ადამიანის ცნობისმოყვარეობა, სწრაფვა მრავალფეროვნებისა და უპირატესობისკენ; ყურადღების მიპყრობის სურვილი და სხვა. განმავითარებელი შეფასება დროულად გამოავლენს სტუდენტის მიღწევებს, რაც მისი შინაგანი მოტივაციის წყარო ხდება. მცდარი წარმოდგენის შემთხვევაში ლექტორი შესაბამის შენიშვნასა და რეკომენდაციას, წახალისებას აძლევს სტუდენტს და მის შემდგომ აქტივობას სწორი მიმართულებით წარმართავს. [6].

ამგვარად, პრაქტიკულ მეცადინეობაზე ან სემინარზე, განმავითარებელი შეფასების მიზნით, საჭიროა სტუდენტის მიერ საკითხის გაგება-გააზრებაზე ლექტორის მხრიდან მუდმივი დაკვირვება. სასწავლო პროცესის წარმატებით წარმართვისათვის კი, აუცილებელია თითოეული სტუდენტისათვის ინდივიდუალური და დროული უკუკავშირის მიწოდება, მცდარი წარმოდგენების გამოსწორება და ახალი ცოდნისა და გამოცდილების სწორ წარმოდგენებზე დაშენება. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს მყარი, სისტემური და გრძელვადიან პერიოდზე გათვლილი ცოდნის ჩამოყალიბებას.

საკვანძო სიტყვები: განმავითარებელი შეფასება, სწავლის ხარისხის ამაღლება, სასწავლო პროცესის შეფასება, უკუკავშირი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. უზნაძე 1964: უზნაძე დ., შრომები ტომი III-IV საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი, 1964.

2. ასათიანი 2016: ასათიანი ა., უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2016.

3. ტრენინგებისა 2020: ტრენინგებისადა კონსულტაციების ცენტრი, სკოლა-ლაბი, განმავითარებელი შეფასება საქართველოში ეროვნული სასწავლო გეგემების მიხედვით. CTC, Empowering People For Change, Skola-Lab. თბილისი, 2020.

4. https://iliauni.edu.ge/en/iliauni/units/developmentoffice/siaxleebi/assessment-tools-for-new-learning-environments-in-higher-education-institutions-asset2.page Assessment Tools for the Learning Environments. Supporting projects and activities in the fields of education (2017-2020).

5. Greenstein 2010: Greenstein, L., What Teachers Really Need to Know About Formative Assessment, 2010.

6. Ursin 2018: Ursin, J., Nissinen, K., How to measure students' innovation competences in higher education: Evaluation of an assessment tool in authentic learning environments. 2018.

7. Wiliam 2017: Wiliam, D., Embedded Formative Assessment : (Strategies for Classroom Assessment That Drives Student Engagement and Learning). Solution Tree. 2017.

Ianina Gigiberia
Doctor of Informatics Invited Lecturer
Georgian National University (SEU)
Lia Kurkhuli
Doctor of Psychology Professor
Georgian National University (SEU)

Formative Assessment and Student Success

Summary

It is important to use formative assessment to maximize student opportunity. Formative assessment helps the student to receive feedback on his/her own achievements, to correct misconceptions in a timely manner, to build new knowledge and experience on the correct notions, and to increase motivation.

The formative assessment helps the lecturer on reflection of his/her own practice, to control the dynamics of student development and to improve the quality of learning-teaching. This contributes to the effectiveness of the teaching process and the building of solid knowledge by the student.

Keywords*:* formative assessment, improving the quality of learning, assessment of the learning process, feedback.

პედაგოგიკის და განათლების ისტორია

ავთანდილ ასათიანი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აღზრდის თავისებურებები მონოთეისტურ და პოლითეისტურ პანთეონებში

აღზრდას ანტიკურ სამყაროში ინტელექტუალურ-ესთეტიკური და სამოქალაქო მოტივები ასაზრდოებდა, რომელთა საფუძველზე მიმდინარეობდა ბავშვის უნარების განვითარება, რაც შემდგომში განაპირობებდა მათ მიერ სოციალური მოვალეობების შესრულებას. ხოლო, მონოთეისტურ პანთეონში (ებრაელებში) აღზრდას ღრმა რელიგიური ხასიათი ჰქონდა და უმთავრეს ამოცანად მიჩნეული იყო ღვთიური განგებულების შესრულება.

იუდაისტური პედაგოგიკის საბაზო პრინციპი მისი კონსერვატიულობაა, რაც იდეალურ ვითარებაში მომდევნო თაობის საქმეებზე ერთგვარ მიჯაჭვულობაში გამოიხატებოდა. ელადისა და რომისგან განსხვავებით, იუდაიზმის თანახმად, საზოგადოების კეთილდღეობა და სიჯანსაღე უფრო მეტად არის განპირობებული ყოფა-ცხოვრებაში დამკვიდრებული წესების ერთგულებით და ღვთიური განგებულების განუხრელი შესრულებით, ვიდრე საზოგადოების ცალკეულ წევრთა მიღწევებით, ან ინდივიდუალური ტალანტით და სრულყოფილი კანონებით. რამდენადაც იუდაიზმში აღზრდა ტრადიციულად მშობლების მოვალეობაა, ამდენად, მათი პასუხისმგებლობა ბავშვთა აღზრდაში საზოგადოების სიმშვიდის განმაპირობებელ ფაქტორად იქცა. აქედან გამომდინარე, ძველ ებრაელებში სასიცოცხლო მნიშვნელობა შეიძინა ოჯახურმა აღზრდამ, რაც იუდაიზმის წმინდა წიგნებში მრავალგზის დასტურდება.

იუდეველთა სახლში 3-4 თაობა ერთად ცხოვრობდა და ოჯახებიც მრავალრიცხოვანი იყო. ასაკოვანი ადამიანები პატივით სარგებლობდნენ: „ჭაღარის წინაშე წამოდექი და პატივი ეცი მოხუცებულის სახეს“, - გვასწავლის ბიბლია (ლევ. 19, 32). ოჯახებში უფროსი თაობის წარმომადენლები გარკვეული აღმზრდელობითი ამოცანის გადაწყვეტას ემსახურებოდნენ, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ აქ გამოკვეთილი იყო სოციალური მეურვეობის ინსტიტუტი.

საზოგადოების ერთ-ერთ მტკიცე საყრდენს წარმოადგენდა ამა თუ იმ ხელობის მიმართ ოჯახების დინასტიური დამოკიდებულება. ხელოსანთა ოჯახში აღზრდილი ბავშვი მეტწილად მამის კვალს მისდევდა, რადგან ბავშვობიდანვე უფროსებთან ერთად შრომას ეჩვეოდა. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ძველი აღთქმის იუდეური პედაგოგიკა ეფუძნებოდა სწორედ შრომით აღზრდას. ეს არ იყო შრომითი მოქმედებების თამაშით იმიტაცია, როგორც ამას ჰქონდა ადგილი ძველ ბერძნებში (ნამდვილის მსგავსად პატარა ინსტრუმენტებით თამაში); სახეზე იყო სრულფასოვანი შრომა ოჯახის წევრებთან ერთად. შრომა იმდენ ხანს და იმ დატვირთვით გრძელდებოდა, რა ფიზიკური შესაძლებლობაც მოზარდს ჰქონდა.

ბავშვი ყველგან ბავშვია და თავისუფალ დროს ებრაელი ბიჭები და გოგონებიც ისევე თამაშობდნენ, როგორც მათი თანატოლი წარმართი ბავშვები. არქეოლოგები დღესაც პოულობენ ბავშვების სათამაშოებს, რომელთა შორის ისეთი სათამაშოებიცაა (თარიღდება 900-600 წწ. ჩვ. წ-მდე), რომლებსაც აშკარად ემჩნევა უფროსების ხელი. მაგალითად, ჟღარუნას

პატარა კოლოფის ფორმა ჰქონია, მომცრო ნახვრეტებით გვერდებზე. ზოგიერთ თოჯინაზე მოსახსნელი ხელ-ფეხიც ფიქსირდება. ათასში ერთხელ თიხისა თუ მძივის მარცვლებისგან თმებიც კი უკეთებიათ. მხრებში გაკეთებულ ნახვრეტებში გაყრილი იყო ძაფები, რომლებიც მათი მართვის საშუალებას იძლეოდა. შესაძლოა, რომ ასეთი თოჯინები რელიგიურ ცერემონიებშიც გამოიყენებოდა. ისრაელიანთა ბავშვები, როგორც ყველა ბავშვი ქვეყანაზე, უფროსებს ბაძავდნენ (2.189).

თუკი ძველ საბერძნეთსა და რომში მთავარი საზოგადოებრივი აღზრდა იყო, იუდეველთა ტრადიციაში ამგვარ მისიას სინაგოგები ასრულებდნენ. მსხვეპლშეწირვას და საკულტო რიტუალებს ებრაელები იერუსალიმის ტაძარსა და სხვა მრავალრიცხოვან სინაგოგებში აღავლენდნენ. სწორედ სინაგოგებში კითხულობდნენ მორწმუნე ებრაელები ლოცვებსა და წმინდა წიგნებს.

რაც შეეხება ტიპურ სასწავლო დაწესებულებებს, დიდი ხნის განმავლობაში ისრაელიანთა შორის საზოგადოებრივი განათლების ცნება, სკოლები და სასწავლებლები არ არსებობდა (5,42-43). განათლება სავალდებულო იყო მხოლოდ მათთვის, ვისაც საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულება დაეკისრებოდა. ასეთებად მიჩნეული იყვნენ ღვთისმსახურთა და ლევიანთა შვილები, მწიგნობრები და სამხედრო მეთაურები. მათი სწავლება საოჯახო და რელიგიურ სკოლებში მიმდინარეობდა. მოგვიანებით საოჯახო აღზრდას ჩაენაცვლა სასკოლო სისტემა, რომელშიც მამის ფიგურა შეცვალა დამრიგებელმა. მას აღსაზრდელები ისევე პატივისცემით უნდა დამორჩილებოდნენ, როგორც ნამდვილ მშობელს. სინაგოგებთან ასწავლიდნენ ბავშვებს თორას, ანგარიშს და წერა-კითხვას, რასაც რაბინი წარმართავდა. მეცადინეობებზე მკაცრი დისციპლინა ბატონობდა. დაუშვებელი იყო თავისუფალი აზრის გამოთქმა, კამათი და სწავლებაში თამაშის ელემენტების გამოყენება, რაც ასე გავრცელებული იყო ძველ საბერძნეთში. „ელოლიავე შვილს და გაგამწარებს, ეთამაშე და ურვად გექცევა. ნუ იცინებ მასთან, რათა მასთანვე არ იტანჯო და კბილები არ აღრჭიალო. თავის ნებაზე ნუ მიუშვებ სიჭაბუკეში“ (ზირ. 30,9-13). ასეთ სიმკაცრესთან ერთად, მეორე მხრივ, ბავშვთა ინიციატივის დათრგუნვა თვითმიზანი არ ყოფილა. ძველი აღთქმის წიგნებში წახალისებულია ცნობისმოყვარეობის გამოჩენა რწმენის, ისრაელიანთა ისტორიული ტრადიციების მიმართ (გამ. 13,14). ამისათვის ისეთ ადგილებში, სადაც თავისი რჩეული ხალხისთვის ღმერთმა საოცრებები მოახდინა, სპეციალურად ქვებით აგებდნენ დიდ ნიშებს. როცა ბავშვები მათი დანიშნულებით ინტერესდებოდნენ, უფროსები და აღმზრდელები დაწვრილებით უხსნიდნენ ყველაფერს (იესო, 4, 5-6).

სხვა მეცნიერებათა შესწავლა მკაცრად შეზღუდული იყო. ცოდნა, თავისთავად, არაფერია, - მიაჩნდათ ებრაელებს, - იგი კარგია მხოლოდ მაშინ, როცა გვეხმარება რჯულისა და ტრადიციების შენარჩუნებაში. ებრაელთათვის არსებობდა გარკვეული აკრძალვებიც ზოგიერთი ღვთიური წიგნის კითხვისა. ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი ნორჩი სულისთვის საღვთო წიგნების გაცნობა ზიანის მომტანი იქნებოდა. სკეპტიკურად იყვნენ განწყობილი ფილოსოფიის შესწავლისა და ფიზიკური ვარჯიშისადმი, რადგან ისინი წარმართულ სიბრძნეს უკავშირდებოდა.

ამასთან ერთად, სიბრძნის არსი იუდეველთა ტრადიციაში კარგად იყო ცნობილი და დაფასებულიც. ძველი აღთქმის წიგნები: იგავები, ეკლესიასტე, სოლომონის სიბრძნე, ზირაქის სიბრძნე ისრაელიანთა ცხოვრების თანამგზავრს და სიბრძნის წყაროს წარმოადგენდა.

ზოგადად ძველი აღთქმის წიგნები თამამად შეიძლება დახასიათდეს, როგორც პედაგოგიკური; მაგრამ არა ბავშვებისათვის გამიზნული, არამედ მთლიანად ხალხისათვის დღენიადაგ სასწავლი და გასათვალისწინებელი. როგორც ბიბლიის მკვლევრები ამტკიცებენ, იუდაიზმის წმინდა წიგნებში, შესაძლებელია, შეგვხვდეს მეზობელი ხალხის კულტურიდან ბევრი რამ, კერძოდ, პარალელები და ციტატები ბაბილონური, ეგვიპტური, ბერძნული სიბრძნის წიგნებიდან. ეს გაუცნობიერებლად ხდებოდა, რადგან იუდაიზმი სხვა კულტურებთან კავშირს შეგნებულად გაურბოდა.

განსხვავებულ რელიგიებშიც, ძირითადად, მონათესავე აღმზრდელობითი პრინციპები ფიქსირდება, რაც ინტუიციურად ერთნაირი წარმოშობისაა. გულის სიღრმეში ყველა ხალხი ღმერთთან კავშირით სულდგმულობდა. პედაგოგიკა, როგორც ცოდნისა და გამოცდილების გარკვეული სფერო, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანის ზნეობრივ ფერისცვალებასა და განღმრთობაში. ამიტომ მის კანონზომიერებებს მეტ-ნაკლებად ყველა ხალხი იზიარებდა. თუმცა, ძველი აღთქმის წიგნები სიბრძნეს და ჭეშმარიტებას განასხვავებს მისი ანტიკური გაგებისაგან. თუკი ბერძნისათვის ეს ცნება ითვლებოდა ინდივიდუალური ძიების ობიექტად და სიწმინდის სინონიმად, იუდაიზმში „სიბრძნის დასაბამია შიში უფლისა" (ფს. 110,10). აქ იმდენად დიდია უზენაესი ღმერთის მოწიწება, რომ ნებისმიერი თვითნებური მცდელობა ღვთიური განგებულების სფეროში შეჭრისა, რომელიც განპირობებულია ფილოსოფიური გონით, იუდაიზმის თვალსაწიერიდან განიხილება, როგორც უკიდურესად არაგონივრული და თავხედური (3.96).

იუდეურ რელიგიურ სკოლებში ასწავლიდნენ ხელოვნებისა და ფილოსოფიის საწყისებსაც, მაგრამ სწავლება მკაცრად შეზღუდული იყო, ხოლო წარმართულ კულტურასთან ნებისმიერი შეხება ღია კრიტიკის ობიექტი ხდებოდა.

ზოგადად, ხელოვნების, მეცნიერების და შემოქმედებითი სფეროების მიმართ იუდაიზმი გულგრილი იყო. ბიბლია მაღალ შეფასებას აძლევს მშენებლებს, მუსიკოსებს და მომღერლებს. სწორედ მშენებლები იყვნენ საჭირო უფლის ტაძრის ასაშენებლად. ღვთისმსახურებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებდა მუსიკა და სიმღერა. მაგალითად, დავით მეფე თავისი ფსალმუნების აკომპანირებას გუნდის ლოტბართან ერთად არფაზე აკეთებდა (ფს. 4,5, 6,8,9). სოლომონის ტაძარი, განსაკუთრებით, მისი მთავარი ნაწილი, შემკული იყო ბრინჯაოს კოლონებით, რომელსაც „წმინდათა წმინდა" ერქვა. იგი მდიდრულად იყო შემკული ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობებით, რომლებსაც ამშვენებდა ქერუბიმებისა და მიწის ნაყოფიერების მხატვრული ნიმუშები.

თუმცა, საყურადღებოა ისიც, რომ ხელოვნების ნიმუშებს და მეცნიერულ გამოგონებებს დიდი ხალისით არ ხვდებოდნენ იუდაიზმში. ფილოსოფიური ცოდნა, მეცნიერება და ხელოვნება ფასდებოდა არა მათი თავისთავადი ღირებულებით, არამედ იმით, თუ რამდენად ეხმარებოდა ადამიანებს ღმერთის შეცნობასა და რჯულის დაცვაში. იუდაიზმმა, ფაქტობრივად, აკრძალა ღმერთის მხატვრული წარმოსახვა ხელოვნებაში. მთელ ბიბლიურ ეპოქაში ცნებები „ხელოვნება" და „მხატვარი" თითქმის ყოველთვის ნეგატიური მნიშვნელობით მოიხსენიება; ისინი ღვთიური გზიდან გადახვევასა და კერპების თაყვანისცემასთან ასოცირდება.

ზოგიერთები გვკიცხავენ იმისათვის, რომ ჩვენ შორის არ იყო ბევრი გამომგონებელი, ჩვენ სხვაგვარად ვფიქრობთ, რადგან ყველაზე დიდი კეთილგონიერებაა არაფერი არ

შეცვალო, ვიდრე იფიქრო ღვთიური განგებულების საწინააღმდეგოდ, - წერდა იოსებ ფლავიუსი (6,175).

გაცილებით უფრო კეთილგანწყობილია საღვთო წერილი ხელობის მიმართ. ისუ ზირაქის ძე ჩამოთვლის სხვადასხვა ხელობის წარმომადგენლებს (დურგალი, მჭედელი, ოქრომჭედელი...) და მიუთითებს მათ სასარგებლო საქმიანობაზე: „მათ გარეშე ვერ აშენდება ქალაქი, ვერც ხალხი დასახლდება და იცხოვრებს იქ" (ზირ. 38, 27-32). მაგრამ ამ პროფესიის ადამიანების შექება უპირობო არაა, რადგან მათი ხელობის მნიშვნელობის კვალდაკვალ, იუდაიზმის თვალსაზრისით, შეინიშნება საეჭვო შემოქმედებითი და ესთეტიკური მოტივები: „ყველა მათგანს (ხელოსნებს) თავისი ხელების იმედი აქვს.... და მათი ლოცვა მიმართულია მათივე შემოქმედებითი წარმატებისკენ". „მათ კრებებზე არ იწვევენ, მოსამართლის სავარძლებში არ სხდებიან.... არ კითხულობენ იგავებს"; აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ადამიანური ყოფა-ცხოვრების ნებისმიერ სფეროს, რომელიც ღვთიური განგებულების აღსრულებასთან უშუალოდ არ არის დაკავშირებული, იუდაიზმი საეჭვოდ მიიჩნევს. ცხადია, რელიგიისაგან დაშორებული პროფესიული აღზრდა-განათლებაც მიუღებელია, რაც განპირობებულია ისრაელიანთა რელიგიური შთაგონებით.

იუდაიზმის პედაგოგიკის მთავარი საზრისი გახდა არა აღსაზრდელის პიროვნება, როგორც ელინებთან, არამედ საღვთო რჯულის მცნებების გადმოცემა. სწორედ მის საფუძველზე აღმოცენდა ყველაფერი დანარჩენი – მოქმედებაც და განსჯაც. იუდაიზმის აღზრდის სისტემა აშკარად განსხვავებულია ანტიკური ინტელექტუალიზმისა და ესთეტიზმისაგან. იგი ბავშვს განიხილავს ინდივიდუალური ნების მატარებლად, რომელმაც უნდა აირჩიოს მთავარი – იცხოვროს ღვთიური განგებულებით თუ მის გარეშე? ხოლო აღზრდის შინაარსი და უმთავრესი მეთოდი საღვთო რჯულისა და მცნებებისადმი აღსაზრდელის ნებისყოფის დაქვემდებარებაში გამოიხატება, რასაც პედაგოგიკურ ვოლუნტარიზმად მიიჩნევენ თანამედროვე მკვლევრები.

რამდენადაც ცნობილია, აღზრდის ასეთი ხერხი დაკავშირებული იყო გონებრივი განვითარების ამოცანასთან. ამის შესახებ ებრაელი ისტორიკოსი იოსებ ფლავიუსი წერდა: „ცნობიერების გაღვიძების ადრეულ პერიოდში ჩვენ ვსწავლობთ მათ (კანონებს) და გვაქვს გარკვეული მონახაზი ჩვენს გულში" (6,175). მიუხედავად ამისა, ცოდნა აქ მხოლოდ საქმის მცირე ნაწილია, რომელიც შემდგომი აღზრდის საწინდარია. იუდაისტური და ელინისტური აღზრდის სისტემების შედარებისას იოსებ ფლავიუსი გამოყოფს მთელ რიგ არსებით განსხვავებებს ბერძნული ინტელექტუალიზმისაგან: „თავისი შინაარსით საღვთო რჯულმა (მოსეს კანონებმა) ყველაფერს გადააჭარბა. მას შემდეგ, რაც ღმრთის თაყვანისცემა მიიჩნია არა სათნოების ნაწილად, არამედ ღმრთის აღიარებას დაუკავშირა ყველა სხვა სათნოება, იგულისხმება სამართლიანობა, ვაჟკაცობა, სიწმინდე, სიბრძნე და სამოქალაქო თანხმობა. ყოველივე ამის შემდეგ ჩვენი მოქმედება, უბრალოდ დასვენება თუ ყოფითი საუბრები, წარმოუდგენელია ღვთის თაყვანისცემის გარეშე. საერთოდ არსებობს აღზრდის ორი გზა, რომლებიც განაპირობებს აღსაზრდელის ზნეობრივ ქცევას. პირველი გამოიხატება სიტყვიერ ქადაგებაში, მეორე კი მიიღწევა პრაქტიკული მაგალითებით, რომლებიც მოქმედებს სულიერი ძალების სრულყოფაზე. ათენელებმა და სხვა პოლისების ბერძნებმაც, სახელმწიფო კანონების უზენაესობა აღიარეს და დაუდევრობა გამოიჩინეს ზნეობრივი მაგალითებით აღზრდისას" (6,176).

იოსებ ფლავიუსი შემდეგ აღზრდის მეთოდებსაც ეხება და მიუთითებს, რომ „ჩვენი რჯულმდებელი საფუძვლიანად აერთიანებს აღზრდის ორივე მეთოდს. იგი უყურადღებოდ არ ტოვებს ზნეობრივ მაგალითებს და რჯულის მცნებებს, რომლებიც მოიცავს ყოფა-ცხოვრების და ზნეობის ყველა წვრილმანს. უფრო მეტიც, საღვთო რჯულმა ზუსტად განსაზღვრა ყველა მხარე და მათ შორის საკვების მიღების წესებიც, როდის რა უნდა მიეღოთ და რისგან შეეკავებინათ თავი, როდის უნდა ეშრომათ და როდის დაესვენათ. ყველაფერი ღვთის განგებულებით იმართებოდა და არა საკუთარი ნება-სურვილებით, რათა არ ჩავარდნილყვნენ ცოდვაში. ღმერთმა დაუდევრობის შესაძლებლობაც არ დაუტოვა რჯულის მიმდევრებს, რამეთუ საღვთო რჯულის ცოდნა აღზრდის აუცილებელ პირობად აქცია და ცალსახად უბრძანა ყველას, მოესმინათ მისთვის არა ერთჯერ ან რანდენიმეჯერ, არამედ ყოველ კვირას შეკრებილიყვნენ, და დეტალურად შეესწავლათ რჯულის კანონები" (6,174), - წერდა იოსებ ფლავიუსი.

ამდენად, იუდაიზმის აღზრდის მთავარი ნიშანი მისი მკაფიოდ გამოხატული რელიგიურ-ეთიკური მიმართულებაა, რომლის გასაღებიც, ებრაელთა ცნობიერების თანახმად, მოსეს მცნებებია; ხოლო საღვთო რჯულის მიზანი არა იმდენად ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაა, არამედ იმ ზნეობრივი საფრთხეების თავიდან აცილება, რომლებიც ადამიანებს პირველცოდვის შემდეგ ერგოთ. ამიტომ იუდაიზმის ეთიკური იდეალი აშკარად აღემატება ყველა დანარჩენს. მაშინ, როცა ანტიკური აღზრდის სისტემა აღიარებდა ცალკე აღებული ესთეტიკური, პიროვნული და საზოგადოებრივი განვითარების ღირებულებას, იუდაიზმის პედაგოგიკამ ისინი ღვთიური განგებულების აღსრულების საშუალებად მიიჩნია.

იუდაიზმის პედაგოგიკის რელიგიური საფუძველი და მისი ეთიკური შეფერილობა დიდწილად ამსუბუქებდა მის მკაცრად რეგლამენტირებულ მეთოდებს. აღზრდა ძველ ებრაელებში არ იყო ავტოკრატიული და აბსოლუტური, არ დაკანონებულა ტირანული დამოკიდებულება (მამის ან სკოლის დამრიგებლის საშუალებით), არ შემოუღიათ ბავშვების წვრთნა, როგორც სპარტაში. აღზდა ემსახურებოდა მხოლოდ უზენაესის ნებას, რაც, ებრაელთა აზრით, ყველაზე ჭეშმარიტი და სასარგებლო გზა იყო.

სწორედ პირადი რელიგიური პასუხისმგებლობის პრინციპმა მოახდინა ზემოქმედება სამართლებრივ ნორმაზე, რომლის მიხედვითაც მშობლების ვალის ან დანაშაულის გამო პასუხისმგებლობას მის მემკვიდრეებს აკისრებდნენ, ხოლო ბავშვთა საქციელისათვის პასუხს მშობლებს მოჰკითხავდნენ. წარმართებისაგან განსხვავებით, ებრაელები არ ამკვიდრებდნენ მიწიერ სამართლიანობას. ეს მისია უზენაესის ნებას დაუქვემდებარეს. იოსებ ფლავიუსი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავდა: „მშობლების დანაშაულისათვის შვილები არ უნდა ისჯებოდნენ, თუ ეს ბავშვები სათნონი არ არიან, მაშინ მათ მიმართ სინანული გვმართებს, რადგან ისინი წარმოიშვნენ ბოროტი მშობლებისაგან" (7,171).

ებრაელთა მრავალრიცხოვან დღესასწაულებზე, განსაკუთრებით, ბავშვის დაბადებასა და წინადაცვეთასთან დაკავშირებულ ცერემონიალებში, შეინიშნება მისტიციზმის ელემენტები, რაც მიმართულია ბავშვის წარმატებისა და კეთილად აღზრდისაკენ. ასეთი რიტუალები ანუ საიდუმლოებები სიმბოლური დატვირთვის მატარებელი იყო და მასში მონაწილე ღვთის მადლის თანაზიარი ხდებოდა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ძველი აღთქმის რელიგიისთვის საკრამენტალიზმი, როგორც მეთოდი და თვალსაზრისი, ნაკლებადაა დამახასიათებელი.

იუდაიზმში აღზრდის მიზანი, ონტოლოგიური თვალსაზრისით, ისეთივე იყო, როგორიც მთელი იუდეის მოზრდილი მოსახლეობისა, რომელიც უფლის მადლითა და მცნებების დახმარებით ცდილობდა აღედგინა ღმერთთან კავშირი, რაც ადამმა და ევამ დაკარგეს. ამის საფუძველზე იუდაიზმის პედაგოგიკამ წარმოადგინა ძირეულად განსხვავებული, თანმიმდევრული და ერთიანი ტრადიცია, რომელშიც არ არის განსხვავება „დიდაქტიკურ ღვთისმოსაობასა" და ზოგად ზნეობრივ ნორმებს შორის. აქ აღზრდა მიმდინარეობდა არა სპეციალური სააღმზრდელო ხერხებითა და „განსაკუთრებული აკრძალვებით", არამედ თორას კანონებით.

სულ სხვა ვითარება პოლითეისტურ სამყაროში, სადაც ანტიკურმა ფილოსოფიურმა აზროვნებამ უზრუნველყო გონებისა და სულის თავისუფლება, რამაც დიდი გასაქანი მისცა პლურალისტურ აზროვნებას. დასაშვები გახდა სამყაროს აღქმისა და ცხოვრების პრინციპების მიმართ განსხვავებული, ინდივიდუალური მიდგომა. თუმცა დისციპლინისა და ჭეშმარიტების გაგების ერთიანი სტანდარტის გარეშე ბავშვთა აღზრდა შეუძლებელი გახდა. ამიტომ ელინური პედაგოგიკა ორმაგი სტანდარტის წინაშე აღმოჩნდა: ერთი მორალი უფროსებისთვის, მეორე – ბავშვებისათვის. ამგვარი ზნეობრივი რელატივიზმი, რასაკვირველია, გავლენას ახდენდა აღსაზრდელებზე, ბავშვთა აზრდა პირდაპირ უკავშირდებოდა მათთვის განუსაზღვრელი უფლებების მინიჭებას, რაც „ზრდასრულობის" პრივილეგიასთან ასოცირდებოდა.

იუდეველთა დოგმატური აზროვნება და ფუნდამენტალიზმი ცხოვრების წესში ძლიერ ზემოქმედებას ახდენდა აღსაზრდელებზე. „და იყოს ეს სიტყვანი, რომელთაც მე გიბრძანებ დღეს, შენს გულში ჩაუნერგე ისინი შენს ძეთ და ელაპარაკე მათზე სახლში ჯდომისას. და გზაზე სიარულისას, დაწოლისას, და ადგომისას. და შეიბი ნიშნად ხელზე, და იყოს ისინი შუბლსაკრავად შენს თვალებს ზემოთ. და დააწერე ისინი შენი სახლის კარის წირთხლებსა და შენს კარიბჭეებს" (რჯლ. 6, 6-9), - ამგვარი სიმბოლური დატვირთვის მატარებელია ღვთის მოწოდება მისი რჩეული ხალხის რელიგიურ-საზოგადოებრივი წყობისა და ზნეობრივი ერთიანობისათვის.

რჯულში აშკარად ხაზგასმულა შვილების მორჩილების მნიშვნელობა მშობელთა ნებისადმი: „პატივი ეცი მამაშენსა და დედაშენს, რათა დღეგრძელი იყო მიწაზე, რომელსაც გაძლევს უფალი, შენი ღმერთი" (გამ. 20, 12). ღმერთი კატეგორიულად აფრთხილებს მშობლებსაც: „....მე ვარ უფალი ღმერთი შურისმგებელი, რომელიც მამათა ცოდვას შვილებს მოვკითხავ, ჩემს მოძულეთა მესამე და მეოთხე თაობას" (გამ. 20, 5). მშობლებმა შვილების დასჯაც არ უნდა დაივიწყონ, რადგან: „ვინც თავის შოლტს ზოგავს, სძულს თავისი ძე, ხოლო ვისაც უყვარს, სჯის მას" (იგავ. 13, 24).

შესაძლებელია, თანამედროვე ადამიანებს ზედმეტად მკაცრი მოეჩვენოთ იუდაური აღზრდა, რაც უსაფუძვლო არ არის, მაგრამ ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ასეთმა მიდგომამ თავის დროზე ისტორიული როლი ნამდვილად შეასრულა. იუდაისტური აღზრდის მოთხოვნები და მოტივები ერთიანობაში უფრო გარკვეულია (განსაზღვრულია), ვიდრე თავისუფლების აბსტრაქტული ანტიკური იდეალები, რაც, მათი აზრით, საზოგადოებრივ სიკეთეს და პიროვნულ განვითარებას მოასწავებდა.

იმის მიუხედვად, რომ პალესტინა სხვადასხვა კულტურების გადაკვეთაზე მდებარეობდა, ამან მაინც ვერ შეძლო ისრაელიანთა ტრადიციების და თვითმყოფადობის შეცვლა. ზოგიერთი მმართველი (ეპიფანე ანტიოქიელი, ჰეროდე) ცდილობდა, ხელოვნურად

მოეხდინა მათი ზნეობისა და ცხოვრების წესის ელინიზირება. მაგრამ ხალხი ამას ყველა საშუალებით ეწინააღმდეგებოდა, მათ შორის, შეიარაღებულ აჯანყებაზეც არ ამბობდა უარს.

ანტიკური საბერძნეთის ფილოსოფიამ აღიარა ადამიანური სულიერების მთავარი საჭიროება – ღვთიური ჭეშმარიტების ზიარება, მაგრამ წარმოდგენა არ ჰქონდა, სად და როგორ შეეცნო იგი. ელინური აღზრდა ამის საფუძველს არ იძლეოდა. სწორედ ამიტომ აღმოჩნდა იგი მკაფიო ზნეობრივი ორიენტირების მიღმა.

როგორც სხვადასხვა საშუალებიდან ჩანს (სპარტანული აღზრდის ფენომენი, აბორტის პრობლემა წარმართულ სამყაროში), პიროვნების მიმართ ყურადღება და პატივისცემა ძველ ბერძნებსა და რომაელებთან შეფარდებითი ხასიათისაა. ოღონდ თეორიულად ელინიზმმა ადამიანი დააყენა სამყაროს ცენტრში და აღიარა მისი ფილოსოფიური ღირებულება. სინამდვილეში ანტიკურ ისტორიაში ადამიანის ინტერესები ხშირად სოციალურ და ეგოისტურ მოსაზრებებს ეწირებოდა. იმის გამო, რომ არ ჰქონდა ადამიანის სულიერ და მეტაფიზიკურ ცხოვრებაზე მყარი რელიგიური წარმოდგენა, ბერძნულ კულტურას არ შეეძლო ბოლომდე სიზუსტე გამოეჩინა თავის ანთროპოლოგიაში. ისეთი ცნებები, როგორიცაა საზოგადოება და პიროვნება, რელიგიის მიღმა აღმოჩნდა; თუმცა, მათ იურიდიულ ფორმულირებას ხშირად მიმართავდნენ პოლიტიკური პოზიციებიდან, რაც ზედაპირულ ხასიათს ატარებდა.

იუდაიზმის აღზრდის არსი და მშობლების მოვალეობა, რაც მკაცრ რელიგიურ ნორმებს ეფუძნებოდა, შეიძლება, უფრო ფორმალური და მიწიერი მოგვეჩვენოს, ვიდრე ელინური აღზრდა. მაგრამ, არსებითად, იუდეურ პედაგოგიკასა და ზნეობრიობას გაცილებით მყარი და გამოკვეთილი საფუძველი აქვს, ვიდრე ფრიად განვითარებულ, ფილოსოფიურად დასაბუთებულ, მაგრამ ურელიგიო პოზიციას.

ანტიკურობა და ბიბლიური იუდაიზმიც ადამიანის სულს უკვდავად მიიჩნევდა, რომელიც ადამიანის მიწიერი ცხოვრების შემდეგაც აგრძელებდა სიცოცხლეს და შესაბამისად იმისა, რამდენად ზნეობრივად იცხოვრა ადამიანმა ხორციელი არსებობისას. ამის მიხედვით დაიმკვიდრებდა ადგილს სამოთხეში ან ჯოჯოხეთში. სწორედ ასეთი დილემა ახდენდა გადამწყვეტ გავლენას ადამიანის ზნეობასა და, აქედან გამომდინარე, აღზრდაზე.

ადამიანებისათვის სიკვდილის შიშიც ბუნებრივია. იგი ადამიანის სულის მთრთოლვარე სიმია, რომელიც ყოველთვის ძლიერ დაჭიმულია და მზად არის, მცირე შეხებაზეც დადებითი იმპულსი შეიძინოს: „უფლის შიში დაატკბობს გულს, შვებას, სიხარულსა და ღღეგრძელობას მიანიჭებს. უფლის მოშიშს ბოლო კეთილი ექნება და იკურთხება თავისი აღსასრულის დღეს" (ზირ. 1, 10-11). აღსასრულის შეგონება, სიკვდილის გარდუვალობის შეხსენება იუდაისტური პედაგოგიკის და, ზოგადად, ზნეობრიობის განსაკუთრებული საკითხია: „გახსოვდეს აღსასრული და მოეშვი მტრობას; გახსოვდეს ხრწნა და სიკვდილი და აღასრულე მცნებანი" (ზირ. 28, 6). "ყველა საქმეში გახსოვდეს შენი აღსასრული და აღარასოდეს სცოდავ" (ზირ. 7, 36).

განსხვავებულია სიკვდილის განცდა ანტიკურ კულტურაში. მარადისობისთვის მზადება თან სდევს პლატონის ფილოსოფიას. თუმცა, „უმაღლესი სამყაროს უსხეულო იდეა" ძალიან ბუნდოვანი და მიწიერისაგან განსხვავებულია; ამიტომ აქედან რაციონალური დასკვნის გაკეთება თითქმის შეუძლებელია.

პლატონის აზრით, აღზრდა საზოგადოებრივი ხასიათის მოვლენაა, ამიტომ იგი მტკიცედ ორგანიზებული ზემოქმედებაა ბავშვზე. პლატონი აღზრდაში იმიტომაც ხედავს

საფრთხეს, რომ სულს გვამი არ სჭირდება, მაგრამ გვამი სულზე ახდენს გავლენას. სული შეიძლება გვამისაგან შეირყვნას. ცუდი და ბოროტი ხორცისაგან გამოდის და, ვინაიდან სული იდეის მსგავსად უცვლელი არაა, შესაძლებელია მისი დამახინჯება. აღმზრდელებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ სულის სიწმინდისათვის საჭიროა მისი გამიჯვნა ხორციელი ცოდვებისაგან. რაც შეეხება სიკვდილის შიშს, იგი პლატონს ნაკლებად აღელვებს, რადგან ამაზე უარესი რამეც შეიძლება დაემართოს ადამიანს.

სული არის სპირიტუს, რაც არის ცალკე ადამიანში და მის გარეშე ადამიანი არ იქნებოდა, – მიაჩნდა არისტოტელეს, – ხოლო, როცა ადამიანი კვდება, მაშინ ეს მოაზროვნე სული ცალკე აგრძელებს არსებობას. რაციონალური (გონებრივი) სული არის უკვდავი და ინდივიდუალური (პირადული).

სტოიციზმის შეხედულებით, მსოფლიოს აძლევს სიცოცხლეს ღმრთეებრივი ცეცხლი, რომელსაც უზენაესი გონება განაგებს. ადამიანის გვამი ცოცხლობს და აზროვნებს, ვინაიდან მას ენიჭება ამ ცეცხლის საწყისის ნაწილაკები, რომელიც ყველაფერშია. როგორც ეს ცეცხლი აღწევს სამყაროს ყველა საზღვარს, ისე ადამიანის სულს უკავია მთელი მისი გვამი, რომელშიც იგი დგას. ამიტომ ადამიანის სული, გვამის სიკვდილის შემდეგ, მსოფლიური ცეცხლის განმასახიერებელ ცის სხეულთ უბრუნდება.

საერთოდ, ამაღლებულისადმი სწრაფვა ანტიკურობის ზოგადი, ესკიზური პერსპექ-ტივაა. ალბათ პლატონსაც და სხვა ანტიკურ მოაზროვნეებსაც გაუჭირდებოდათ ზუსტი პასუხის გაცემა კითხვაზე – ადამიანი რომ მარადისობას ეზიაროს, კერძოდ რა უნდა გააკეთოს ამისათვის აღზრდამ.

ამ კითხვაზე პასუხს თავისებურად შეეცადა იუდაიზმი, რომლის თანახმად ადამიანს ორი სული აქვს: ერთი - სასიცოცხლო და მეორე - ღვთაებრივი. პირველი დაკავშირებულია სხეულებრივ არსებობასთან, მეორე, ღვთაებრივი სული, ღვთისკენაა მიპყრობილი. მთავარი დილემა ადამიანისთვის ამ სულების არჩევაა, რაშიც იგი თავისუფალია. მის ნებაზეა დამოკიდებული, ღვთისმორწმუნე იქნება, თუ მისგან განდგომილი. ამასთანავე, ადამიანს ყოველთვის აქვს მონანიების საშუალება. მონანიება ნიშნავს ცოდვის გაცნობიერებას, მისი გამოსწორების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას და შესრულებას. მაგრამ ეს არაა საკმარისი, რადგან, თუ ადამიანმა სულიერი მდგომარეობა არ შეიცვალა, ცოდვა ისევ განმეორდება. ამიტომ სულიერი მდგომარეობისა და ამის შედეგად ქცევისა და ცხოვრების წესის შეცვლა არის სრული მონანიება.

სიკვდილი იუდაიზმში აღქმულია ადამიანის მთლიანობის დარღვევად: მისი ბუნებ-რივი ნაწილი - სხეული მიწას უბრუნდება, ხოლო უკვდავი, არამატერიალური, ღვთაებრივი სული - ღმერთს. მკაფიო წარმოდგენა იმქვეყნიური ყოფის შესახებ იუდაიზმში არ არის. მკვდრები არაფერს გრძნობენ (ფს. 146,4). თქვენ არ უნდა გქონდეთ იმის შიში, რომ სიკვდი-ლის შემდეგ ტკივილს იგრძნობთ ან დაიტანჯებით, რადგან ბიბლია სიკვდილს ძილს ადარებს (ფს. 13,3). „მართლები დაიმკვიდრებენ დედამიწას და მარადიულად იცხოვრებენ მასზე“ (ფს. 37,29).

საყურადღებოა აღზდის სფეროში პარალელური მიდგომები, რაც ფიქსირდება ანტიკურ საბერძნეთსა და იუდაიზმში; თუმცა, იმ განსხვავებით, რომ ელინისტურ ეპოქაში დამკვიდ-რებულმა პაიდეამ ბერძნის აღზრდა შეცვალა ბერძნად აღზრდის ამოცანით, ხოლო, ამის საპირისპიროდ, ეზრაულმა იუდაიზმმა ეთნიკური სახე მიიღო, რაც ეზრა წინაწარმეტ-ყველის წიგნშიცაა დამოწმებული: „რადგან მოიყვანეს მათი ასულები თავიანთვის და

თავიანთი ვაჟებისათვის, და შეერია წმიდა თესლი ამ ქვეყნების ხალხებს" (ეზრ. 9, 2). ამის შემდეგ ეზრაული იუდაიზმი ზურგს აქცევს ებრაელად აღზრდას და უპირობოდ ბატონობს ებრაელის აღზრდის იდეა. (4,24).

იუდაიზმისთვის უმთავრესი იდეოლოგიური პოსტულატი კონსერვატიზმი გახდა, რაც მანამდე იყო სასარგებლო, სანამ იგი თვითმიზნად არ იქცა და მანკიერების დაფარვა ტრადიციების და თვითმყოფადობის შენარჩუნების მცდელობად არ იქნა მიჩნეული. თავის მხრივ, ებრაელთა რელიგიური და პედაგოგიკური შეხედულებები არსებობდა ანტიკური ფილოსოფიის თვალთახედვის მიღმა და არ დატოვა მასზე რაიმე სერიოზული კვალი. ეს იმ დროს, როცა ელინური კულტურა თავად საზროობდა სხვა ხალხების და რელიგიების იდეებითა და კონცეფციებით. ბერძნებისათვის დამახასიათებელი იყო კულტურათა ურთიერთგამდიდრება, რაც საოცარი სინკრეტიზმის უნარით გამოარჩევდა მათ იუდეველებისაგან. სწორედ ამიტომ ანტიკურობისთვის უცხო აღმოჩნდა ძველი აღთქმა. ელინებმა და რომაელებმა უბრალოდ ვერ დაინახეს თავიანთი ადგილი ძველი აღთქმის იდეალებში.

მაცხოვრის ხორციელი მოვლინების დროს როგორც წარმართული, ისე იუდეური სამყარო ერთნაირად მწუხარე სურათს ქმნიდა და ძალიან დაშორებული იყო ჭეშმარიტ ღმერთს. ამიტომაც ვერ შეიცნეს ღვთის ძე და სულიერ კრიზისში აღმოჩნდნენ.

განხილული საკითხის შესახებ ჩვენი მსჯელობა შემდეგი დასკვნის საფუძველს გვაძლევს: თუ ანტიკურ საბერძნეთსა და რომში აღზრდა სახელმწიფოებრივი იყო, იუდაისტური აღზრდის მიმართულებას რელიგია განსაზღვრავდა, ანუ აღზრდას თეოცენტრული ხასიათი ჰქონდა. ხოლო ანტიკურ სამყაროში აღმზრდელობით პროცესს ფილოსოფია კვებავდა. თუკი იუდაიზმში აღზრდას პრაქტიციზმი ასაზრდოებდა, ანტიკურ საბერძნეთში დიდი ყურადღება ეთმობოდა პიროვნების თავისუფლებას. იუდაიზმში ოჯახური ტრადიცია და უფროს-უმცროსობის იერარქია გადამწყვეტი იყო.

სწავლების შინაარსის ფორმირებისას მეტი თავისუფლებაა საბერძნეთში, წამყვანი აქ საერო განათლებაა; ხოლო იუდაიზმში სწავლება ძირითადად უფლის მცნებებზეა ორიენტირებული და ყველგან სწავლობენ თორას. მცნებების შესწავლა და დაცვა უფლის ნების გამოხატულებაა. საბერძნეთში კი პიროვნების ნებასა და უნარებზეა დამოკიდებული სწავლა, რომელიც სათნოების რანგშია აყვანილი. პროფესიონალი მასწავლებლები ანტიკურ სამყაროში ძირითადად პედონომები და ფილოსოფოსები არიან, ხოლო იუდაიზმში ამ საქმიანობას ღვთისმსახურები, მწიგნობრები და რაბინები ეწევიან.

საკვანძო სიტყვები: აღზრდა იუდაიზმში, აღზრდა ანტიკურ სამყაროში, იუდაისტური პედაგოგიკა, რელიგიური პედაგოგიკა, პრაქტიციზმი აღზრდაში, სახელმწიფოებრივი აღზრდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბიბლია 2001: ძველი და ახალი აღთქმის წიგნები, საქართველოს ბიბლიური საზოგადოება, თბილისი, 2001.

2. ბიბლიის ენციკლოპედია 1998: ბიბლიის ენციკლოპედია, გ.ბ.ს. საქართველოს წარმომადგენლობა, ერთტომეული, თბილისი, 1998;

3. ასათიანი 2016: ასათიანი ა., აღზრდა ბიბლიურ იუდაიზმში, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამომცემლობა, თბილისი, 2016.

4. ლობჟანიძე 2006: ლობჟანიძე ს., აღზრდის ეთიკური პრინციპები ეპოქალური ცვალებადობის შუქზე, სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი, თბილისი, 2006.

5. Шестун 1998: свящ. Евгений Шестун, Православная педагогика, Самара, 1998.

6. Иосиф Флавий 1994: Иосиф Флавий, Возражение против Апиона о древности еврейского народа, Москва, 1994.

7. Иосиф Флавий 1996: Иосиф Флавий, Иудейские древности, Т. 1, Москва, 1996.

8. Jentsch 1951: Jentsch W. Urchristliches Erziehungsdenken. Die Paideia Kyriu im Rahmen der hellenistisch-juedischen Umwelt. Gutersloh, 1951.

Avtandil Asatiani
Georgian Technical University

Features of education in the monotheistic and polytheistic pantheon

Abstract

In the polytheistic pantheon, in Ancient Greece and Rome, education was public, which was fed by intellectual, aesthetic and civic motives, on the basis of which the child's skills were developed, which subsequently led to the fulfillment of social duties. And in the monotheistic pantheon (Jews), education had a pronounced theocentric character and the fulfillment of divine providence was considered as the main task.

In Greece, there is more freedom in shaping the content of education, secular education is leading here; And in Judaism, the teaching is mainly focused on the commandments of the Lord, and the Torah is studied everywhere. In Greece, learning depends on the will and ability of a person, which is considered a virtue. Professional teachers in the ancient world were mainly “Pedonomi” and philosophers, while in Judaism this activity was performed by ministers, scribes and rabbis.

Keywords: education in Judaism, education in the ancient world, Jewish pedagogy, religious pedagogy, pragmatism in education, state education.

იმერი ბასილაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესორი

დეკანოზ დავით ღამბაშიძის პედაგოგიური შეხედულებები

ცნობილი სასულიერო და საზოგადო მოღვაწე დავით ბესარიონის ძე ღამბაშიძე (1842-1910) დაიბადა 1842 წელს მღვდლის ოჯახში. „1855 წლის 1 სექტემბერს შევიდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ 1861 წელს სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში. სემინარია დაამთავრა 1867 წლის 28 ივნისს. 1867 წლის 20 აგვისტოს აკურთხეს დიაკვნად, ხოლო 30 აგვისტოს მღვდლად და დანიშნეს ფუთის ეკლესიის წინამძღვრად“ (ქუთაისის ცენტრალური არქივი 1910: 1). 1867 წლის 14 ოქტომბერს დაინიშნა ბლაღოჩინად შორაპნისა და სვერის საბლაგოჩინო ოლქებში. 1868 წლის 13 ივლისს მისივე თხოვნით გადაიყვანეს სოფელ შროშის წმ. გიორგი ეკლესიის წინამძღვრად. 1871 წლის 25 აგვისტოს არჩეული იქნა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მმართველობის წევრად. 1873 წელს დაჯილდოვდა სკუფიით (ქუდით). 1874 და 1875 წელს აირჩიეს იმერეთის სამღვდელოების ყრილობის თავმჯდომარედ (ქუთაისის ცენტრალური არქივი 1910: 1). 1875 წლის 10 მარტს გადაიყვანეს ცხრაწყაროს წმ. გიორგის ეკლესიაში. 1875 წლის 17 მაისს დაინიშნა სოფელ შროშის სასოფლო სახალხო სკოლის მზრუნველად. 1876 წლის 1 სექტემბერს მისივე თხოვნით გაანთავისუფლეს ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მმართველობის წევრობისგან. 1876 წლის 24 მარტს ნაყოფიერი მუშაობისათვის უწმინდესმა სინოდმა დააჯილდოვა კამილავკით. 1877 წლის 1 ნოემბერს დაინიშნა ყვირილის ორკლასიან სასწავლებელში საღვთო სჯულის მასწავლებლად. 1881 წლის 20 აპრილს ბლაღოჩინად 12 წლიანი ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდა ქმინდა ანას მესამე ხარისხის ორდენით (ქუთაისის ცენტრალური არქივი 1910: 2). 1883 წლის 1 ოქტომბერს გამოსცა ჟურნალი „მწყემსი“ და მისი რუსული დამატება „პასტირი“. 1884 წლის 19 ოქტომბერს იმერეთის ეპარქიის სამღვდელოებამ აირჩია ქართული საეკლესიო გალობის აღმდგენელი კომიტეტის თავმჯდომარედ. 1884 წლის 21 სწკემბერს დაინიშნა შორაპნის მაზრის საეკლესიო - სამრევლო სკოლების მეთვალყურედ. 1879 წლიდან 1885 წლამდე ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში სწავლა - აღზრდის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით არჩეული იქნა იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების ყრილობის თავმჯდომარედ. 1887 წლის 1 იანვრიდან მისივე სურვილით გადაყვანილი იქნა ყვირილის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში (ქუთაისის ცენტრალური არქივი 1910: 3). 1887 წლის 12 აპრილს დაჯილდოვდა დეკანოზის ხარისხით. 1891 წლის 13 აპრილს გახდა წმინდა ნინოს მეორე ხარისხის ორდენის კავალერი. 1886 წლიდან 1896 წლამდე იყო იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატთა ყრილობის თავმჯდომარე. 1899 წელს დაჯილდოებული იქნა წმინდა ვლადიმირის მეოთხე ხარისხის ორდენით (ქუთაისის ცენტრალური არქივი 1910: 4).

1907 წლის 30 ივნისს აირჩიეს შორაპნის საბლაღოჩინო ოლქის ბლაღოჩინად. 1907 წლის 23 ივლისს დაინიშნა ყვირილის ორკლასიანი საეკლესიო - სამრევლო ქალთა სკოლის გამგედ და საღვთო სჯულის მასწავლებლად. 1907 წელს მიწვეული იქნა საქართველოს საისტორიო საზოგადოების ნამდვილ წევრად (ქუთაისის ცენტრალური არქივი 1910: 4).

დავით ღამბაშიძეს ჰყავდა მეუღლე ოლღა ნიკოლოზის ასული ოტრეპიევა, დაბადებული 1851 წელს. შვილები: ქსენოფონტე (დაბადებული 1868 წელს), ვახტანგი (იგივე ვლადიმერი დაბადებული 1872 წელს), მიხეილი (დაბადებული 1878 წელს), დავითი (დაბადებული 1884 წელს)(ქუთაისის ცენტრალური არქივი 1910: 5).

როგორც ჩვენს მიერ წარმოდგენილი საარქივო მასალებიდან ჩანს, გამოვიდა თუ არა სამოქმედო ასპარეზზე, დავით ღამბაშიძემ თავის განათლებით, ერუდიციით, ღვთისმოსავობით, ეროვნულობით, მოიპოვა პოპულარობა და ავტორიტეტი. 25 წლის ასაკში დაინიშნა შორაპნისა და სვერის საბლაგოჩინი ოლქის ბლაღოჩინად, საიდანაც დაიწყო მისი მსახურება და ბრძოლა ქართველი ხალხის თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და მეფის რუსეთის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ. დავით ღამბაშიძემ ბრძოლის იარაღად ეკლესიის ამბიონიდან არა მარტო მრევლთან ზნეობრივი და ეროვნული შეგონებები აირჩია ქადაგებათა სახით, არამედ პუბლიცისტური გამოცემაც.

1883 წელს მისი რედაქტორობით გამოვიდა სასულიერო ორგანო - ორკვირეული გაზეთი „მწყემსი“ ქართულ ენაზე, რომლის დამატების რუსულ ენაზე გამოცემა „Пастырь“-ის სახით რედაქციამ დაიწყო 1885 წლიდან. გაზეთი გამოდიოდა 1883-1910 წლებში. იგი ოცდაშვიდი წლის განმავლობაში, როგორც ქართულ, ისე რუსულ ენაზე ქართულ საზოგადოებას ახსენებდა და აჩვენებდა საკუთარი ისტორიული წარსულის მნიშვნელობას და გარკვეულ წარმოდგენას უქმნიდა იმ დროინდელ პრობლემატურ საკითხებზე, როგორც სულიერი, ისე ეროვნული თვალსაზრისით. ყოველივე ამის სათავეში იდგა დეკანოზი დავით ღამბაშიძე. მისი რედაქტორობით გაზეთი ცდილობდა სააშკაროზე გამოეტანა ქართველი ერისათვის დამღუპველი მანკიერი პროცესები, რომელმაც მოიცვა საქართველოს ყოველი კუთხე.

რუსეთის იმპერიის საგანმანათლებლო პოლიტიკის მესვეურები ცდილობდნენ, რომ შეეტიათ ქართველთა მშობლიური ენისათვის, რაც გამოიწვევდა ქართველთა ცნობიერების შეცვლას და მათ გარუსებას.

დეკანაზ დავით ღამაშიძის ეროვნულობის მთავარ მახასიათებელს, სწორედ ის წარმოადგენს, რომ მან „მწყემსის“ ფურცლებზე ერთ-ერთმა პირველმა წამოსწია ეროვნული პრობლემა და გაილაშქრა ქართული ენის დასაცავად. გაზეთის ფურცლებზე გამოაქვეყნა წერილების სერია, რომელიც ეხებოდა 1881 წლის სასწავლო გეგმის კრიტიკას და ქართულ ენაზე სწავლებას სამეგრელოს სკოლებში.

1880-იანი წლების დასაწყისიდან, რეაქციის გაძლიერების ვითარებაში, სულ უფრო აშკარად იგრძნობოდა ქართველი ხალხის ინდივიდუალურობის განმაპირობებელი ნიშნების: მშობლიური ენის, კულტურისა და ეკლესიის განადგურების საშიშროება. ხელისუფლების გამთიშველი პოლიტიკა ასევე სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა ქართველი ხალხის ეროვნულ მთლიანობას. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მე-19 საუკუნის 80-90 იან წლებში გაზეთ „მწყემსის“ ღვაწლი ქართული ენის შენარჩუნებასა და დაცვაში. „დიდ იმპერიას მივეკედლეთ იმისათვის, რომ დაქსასული ერი ივერიისა შეკრებილიყო, გაერთიანებულიყო და შეერთებული ძალით შედგომოდა ეროვნულ საქმეს... მაგრამ [რუსები] იღწვიან, რათა ეს ერთობა არ ჩამოვარდეს ჩვენთა შორის. ჩვენი დაქსასვა, დანაწილება და დაქუცმაცება - აი, მათი ჯოჯოხეთური იდეალი“ **(ღამბაშიძე 1889ბ: 6)**.

რუსეთი პატარა ერების დაკნინებასა და გადაგვარებას მშობლიური ენის შეზღუდვითა და შემდეგ მისი სრული გაუქმებით ცდილობდა, რადგან მას სურდა რომ ეროვნული სული

დაეკარგა ახალ თაობაში, დედაენის შეზღუდვა და გაუქმება უპირველეს ყოვლისა დაწყებით სკოლებში ხორციელდებოდა, რათა მომავალ თაობას აღზრდის დასაწყისშივე დაეკარგა სამშობლო ენა. მათ რუსული ენა დაწყებით სკოლებში შემოიღეს და „მუნჯური“ მეთოდით ასწავლიდნენ.ამას რა თქმა უნდა არ შეეგუა მოწინავე ქართვლი ინტელიგენცია და პირველ რიგში გაზეთი „მწყემსის“ რედაქტორი დეკანოზი დავით ღამბაშიძე. იგი „მწუხარებას გამოთქვამდა ამ ანტიქართული მოვლენის მიმართ: „ჩვენ არასოდეს და არა ვისგან არ გაგვიგონია, რომ მეგრელებისათვის ქართული ენა ისეთი უცხო ენა იყოს, როგორც ზოგიერთები ფიქრობენ... თავისთავად შეცდომაა ისიც, როდესაც მეგრულს ქართულისაგან განსხვავებულ ენობრივ ჯგუფად თვლიან, და ეს მარტო უცოდინრობით როდი მოსდის მავანს, არამედ სრულიად შეგნებულად წინასწარგანზრახულად ხდება ქართველთა ერთიანობის დარღვევა“ **(ღამბაშიძე 1885: 10)**.

სკოლებში რუსიფიკატორული პოლიტიკის განხორციელება დაიწყო ქართული ენისა და მართლწერის გაკვეთილების რაოდენობის შემცირებით. სკოლებში რუსიფიკაციის გაძლიერებას კარგად გამოხატავს თბილისის ქალთა ეპარქიული სასწავლებლის 1892-1893 წლების სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც, მოსამზადებელ კლასში ქართულ ენასა და მართლწერას ორ-ორი საათი ეთმობოდა,ხოლო რუსულ ენას ექვსი საათი. ქალთა ეპარქიულ სასწავლებელში შექმნილი ვითარება ქართველი საზოგადოების სამართლიან გულისწყრომას იწვევდა - „სამშობლო ენის სწავლება ამ სასწავლებელში მხოლოდ მაშინ სწარმოებს, როცა შეგირდების მშობლები ამ საგნისათვის გაიღებენ ხოლმე განსაკუთრებულ ხარჯს წლიურად... როგორი დედები უნდა გამოვიდნენ ის ქალები, რომელთაც თავისი სამშობლო ენა თითქმის სრულიად დავიწყებიათ, და ამის გამო ვერც სხვა უცხო ენა შეუთვისებიათ! რა კეთილი მოელის იმ ოჯახს, საცა ასე მოუმზადებელი ქალები დედობის უფლებას მოიხვეჭენ?“ **(ღამბაშიძე 1893: 9)**.

რუსეთი ყველანაირად ცდილობდა დაემტკიცებინა ქართული ენის არასაჭიროება, მაგალითისათვის გაზეთ „მწყემსის“, რედაქტორს დავით ღამბაშიძეს ასეთი ფაქტი მოჰყავს: „იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე სასწავლებელში ქართველთა რიცხვი სხვა ეროვნებათა რიცხვს აჭარბებდა-ცდილობდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ქართველი მოწაფეები ქართველებად არ ეცნოთ, რათა თავიდან აეცილებინათ ქართული ენის სწავლების საჭიროება **(ღამბაშიძე 1905 ბ: 6)**.

მეფის ხელისუფლება ყველაფერს აკეთებდა სკოლებში სასწავლო საგნებიდან ამოეღო ქართული ენა, იგონებდა ახალ-ახალ მეთოდებს რათა დაემტკიცებინა მისი არასაჭიროება. „უსამართლობა და პედაგოგიური მოთხოვნილებათა საწინააღმდეგოა მეგრელების, სვანების, აფხაზებისა და ოსებისათვის სალიტერატურო ქართული ენის სწავლება. თუ ერს (ავტ. იგულისხმებიან, ზემოთ ჩამოთვლილნი) არა აქვს მწერლობა და ღვთისმსახურების ენა, უნდა ასწავლო რუსული და სლავიანური!“ **(ღამბაშიძე 1905ბ:6)**. „ერთი ჩვენი სწავლა-განათლების შემაფერხებელი საგანი, რომელთანაც არავითარი ცდა და შრომა არ გადის. ეს იმიტომ, რომ ეს საგანი გარედან მოგვდგომია კარზე და ჩვენგან დამოუკიდებლად არის. ჩვენ მოგახსენებთ რუსულს ენაზე. ეს დაბრკოლება უმთავრესად მდგომარეობს იმაში, რომ ამ საგნის შესწავლა ძლიერ აფერხებს ჩვენი მოზარდი ყმაწვილების ჭკუა-გონების წრთვნას.“ **(ღამბაშიძე 1889 ბ: 6)**.

„მწყემსის“ ფურცლებზე ხშირად იბეჭდებოდა პუბლიკაციები, რომელშიც საუბარი იყო სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გავრცელების მნიშვნელობაზე. დეკანოზ დავით ღამბაშიძეს მიაჩნდა, რომ სასწავლებელში შეძენილი ცოდნა და უნარ-ჩვევები უნდა დახმარებოდა პირველ რიგში, ქართველ გლეხობას მეურნეობის უკეთ დაგეგმვასა და წარმართვაში. სწორედ ამ მიზნით, არსდებოდა სამრევლო სკოლებთან სამაგალითო მეურნეობები, სადაც ყმაწვილებს მებაღეობას, მეაბრეშუმეობას თუ მებოსტნეობას ასწავლიდნენ: „დღემდის ჩვენთან არ იყო ისეთი სასწავლებელი, რომელიც მიანიჭებს კაცს რიგიან ცოდნას - ადვილად იბატონოს ამ მშვენიერ ქვეყანაზე... ღმერთმა ადღერძელოს ის პირები, ვინც ამ საქმის განხორციელებას ხელი შეუწყო“(**ღამბაშიძე 1889დ:13-14)**. ნიშანდობლივია, რომ დ. ღამბაშიძე საქართველოს გადარჩენას, მისი ღირსეული მომავლის საწინდარს, სწორედ ქართველი ხალხის სწავლა-განათლებისადმი სიყვარულსა და სწრაფვაში ხედავდა.

„მწყემსის“ ფურცლებზე ქვეყნდებოდა პუბლიკაციები საეკლესიო - სამრევლო სკოლებისა და სასულიერო სასწავლებლების მდგომარეობისა და საქმიანობის შესახებ. ჟურნალი „მწყემსის“ რედაქტორი დეკანოზი დავით ღამბაშიძე ხშირად განიხილავდა საკითხს, თუ რა დგომარეობა იყო სწავლა-აღზრდის კუთხით საქართველოს საეგზარხოსოს სასულიერო სასწავლებლებში? მან წერილების რამდენიმე სერიაც კი მიუძღვნა ამ საკითხს. 1893 წლის 15 სექტემბრის (№17) ნომერში გამოაქვეყნა მონაცემები, თუ „რა მდგომარეობაშია სწავლა-აღზრდის საქმე საქართველოს საეგზარხოსოს სასულიერო სასწავლებლებში?“. იგი წერდა: 1890, 1891 და 1892 წლებში, თუ როგორ მიდიდოდა სწავლა-აღზრდა ჩვენს სასწავლებლებში წინა ნომრებში გაგაცანით. დღეს კი გვსურს გაგაცნოთ მდგომარეობა ამ უკანასკნელ წლებში **(ღამბაშიძე 1893:1-4).** დეკანოზი დავით ღამბაშიძე აღნიშნავს, რომ 1867 წლიდან 1893 წლამდე სასულიერო სასწავლებლებში მატერიალური და ნივთიერი მდგომარეობა გაუმჯობესდა. მაგრამ სწავლა - აღზრდის საქმეში ასეთ მდგომარეობას ვერ ხედავს. მიუხედავად ამისა ხაზგასმით ამბობს, რომ მოსწავლეთა-რიცხვი სასწავლებლებში იზრდება, მაგრამ სწავლის დასრულებას ძალზე ცოტანი ამთავრებენ. დავით ღამბაშიძე პირველად აქვეყნებს სასულიერო სასწავლებლის სტატისტიკურ მაჩვენებლებს. აღწერს სასწავლებლიდან მოსწავლეთა განთესვის მიზეზებს და ძირითად მიზეზად ასახელებს:

- სასწავლებლებში სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობა (ე.წ. მუნჯური მეთოდი);
- მოსწავლეთა არა სტაბილური ნივთიერი და მატერიალური მდგომარეობა;
- მასწავლებელთა ცოდნის დაბალი დონე და ანაზღაურება;
- მასწავლებლების მიერ სწავლების თვალსაჩინო მეთოდების არა სწორად გამოყენება;
- სახელმძღვანელო წიგნების არა მეთოდურობა;
- რასაც თან დაერთო უწმინდესი სინოდის მიერ 1890 წელს დაამტკიცებული დირექტივები, რომლებიც ყველა ტიპის სასულიერო სასწავლებლისაგან მოითხოვდა: 1. ქართველი პედაგოგების დაუყოვნებელ შეცვლას რუსი მასწავლებლებით; 2. ქართული ენის სწავლებისათვის განკუთვნილი საათების სრულ ლიკვიდაციას; 3. ბიბლიოთეკებიდან ქართულენოვანი წიგნების გამოტანას **(ღამბაშიძე 1894: 1-5)**.

დეკანოზ დავით ღამბაშიძის აზრით, „სწავლება არის ერთობა მასწავლებელსა და გამოუცდელ ბავშვთა შორის, რომ ამ ერთობის შემწეობით მასწავლებელმა ყმაწვილებს გადასცეს და შეასწავლოს საჭირო ცოდნა და გონებითაც აღამაღლოს იგინი. როდის შეუძლია სწავლებას რომ ასეთი ზეგავლენა იქონიოს მოსწავლეებზე? მხოლოდ მაშინ, როცა სწავლება

სწარმოებს საუკეთესო, უკვე გამოცდილი და ნაყოფიერი მეთოდით. მეთოდი არის სული სწავლებისა. მეთოდი აძლევს სწავლების ერთიანობას, წყობილებას. სიცხოველს და მიმ-ზიდველობას. ვინაიდგან მეთოდს ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ სახალხო სკოლების მასწავლებლებმა უნდა უარყონ ძველი მექანიკური მეთოდი სწავლებისა" **(სარედაქციო წერილი 1898ბ: 1-4).**

ქართული საზოგადოების წარმომადგენლებს მიაჩნდათ, რომ რუსულ ენაზე სწავლება აფერხებდა განათლების ხარისხს საქართველოში არსებულ სკოლებში. მათი აზრით, სწავ-ლა-აღზრდის გაუმჯობესების მიზნით საჭიროა სკოლებში დაინერგოს ქართულ ენაზე სწავლება. ამ საკითხთან დაკავშირებით დავით ღამბაშიძე წერდა: „ერთი ჩვენი სწავლა-განათლების შემაფერხებელი საგანი, რომელთანაც არავითარი ცდა და შრომა არ გადის. ეს იმიტომ, რომ ეს საგანი გარედან მოგვდგომია კარზე და ჩვენგან დამოუკიდებლად არის. ჩვენ მოგახსენებთ რუსულს ენაზე. ეს დაბრკოლება უმთავრესად მდგომარეობს იმაში, რომ ამ საგნის შესწავლა ძლიერ აფერხებს ჩვენი მოზარდი ყმაწვილების ჭკუა-გონების წრთვნას" **(ღამბაშიძე 1893: 17).**

ჩვენში არსებულ სკოლებში მე-19 საუკუნის 80-90-იანი წლებიდან მკვიდრდება ე. წ. თვალსაჩინო მეთოდი, რომელიც მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის არ არსებული საერთო ენის უქონლობის გამო იქცა ე. წ. მუნჯურ მეთოდად. „საღმრთო სჯული ექვსი და შვიდი წლის ბავშვებს მათ გასაგებ დედა-ენაზე უნდა ასწავლონ და არა მუნჯურად, მათთვის უცხო ენაზე - წერდა ჟურნალი „მწყემსი"... მე იმედი მქონდა, რომ მადლობას გამომიცხადებდნენ, დამაჯილდოვებდნენ ამისთანა სიმართლის თქმისთვის, წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, როდესაც დამიბარეს და შემახურეს: „როგორ გაბედე მაგის თქმა? ამით შენ უარს ყოფ მთავრობის განკარგულებასო, შენ წინააღმდეგი ხარ კეისრისა, შენ ასეთი და ისეთი ხარო". მადლობა ღმერთს, რომ ჩემი ნამსახურებითი სია ვერ იგდეს ხელში, თორემ, გაქვს ღვთის წყალობა, იმას გააპატიოსნებდნენ, - „...მეორეჯერ გაბედულად დაუმტკიცე საზოგადოებას, თუ რა სიყვარულით ჰკიდებს ხელს ჩვენი ხალხი რუსულის ენის შესწავლას, რა თავგამეტებით ებრძვის სხვა-და-სხვა დაბრკოლებას, რომ როგორმე რუსული ენა შეისწავლოს და თავისუფლად ლაპარაკობდეს მასზე, დაუმტკიცე ყველას, რომ ქართველები კარგა ბლომად ქრთამსაც ხარჯავენ, რომ თავიანთი შვილები მიაღებინონ რუსის სკოლებში"-ო. ერთი სიტყვით, ცხადად და აშკარად დაუმტკიცეთ მართებლობას და საზოგადოებას ჩვენი ხალხის კეთილი გრძნობა, ერთგულება და მეცადინეობა რუსული ენის შესწავლის შესახებ..." **(ღამბაშიძე 1889ა: 23-24).**

XIX საუკუნის 80-90-იანი წლებიდან საქართველოში რამდენიმე წიგნი თუ არსებობდა ქართულ ენაზე. პრესის წარმომადგენლები ფხიზლად ადევნებდნენ თვალყურს პირველ-დაწყებითი სახელმძღვანელოების შედგენა-გამოცემას. ისინი შესაბამის შეფასებას აძლევდნენ მათ. საქართველოში გამომავალ სხვა გაზეთებს არ ჩამორჩა ჟურნალი „მწყემსი". ასე მაგალი-თად: არითმეტიკა, ხალხის შექმნილი საუნჯეა, ყველა ხალხს და მათ შორის ქართველებსაც, უძველეს მიწათმოქმედ ერს, თავისი არითმეტიკა აქვს, და იგი არა თუ მშობლიურ ენაზე უნდა ისწავლებოდეს, არამედ სახელმძღვანელოში სავარჯიშოები, ამოცანები, ზომა-წონის ერთეულები - სწორედ ადგილობრივი ცხოვრებიდან უნდა იქნეს აღებული. ეროვნული ნიადაგისაგან მოწყვეტა შეასუსტებს საგნის პრაქტიკულ მნიშვნელობასა და მოსწავლეთა

დაინტერესებას, რაც პედაგოგიური მიზნების სრულ-ყოფილ განხორციელებას ხელს შეუშ-ლის“ (**ღამბაშიძე 1896: 6**).

ჟურნალის რედაქციას მიაჩნდა, რომ მასწავლებელმა უნდა იცოდეს ხალხის მატერიალურიდა სულიერი ყოფა, მისი წარსული და აწმყო. დეკანოზი დავით ღამბაშიძის აზრით, ,, მასწავლებლებმა და აღმზრდელებმა, თუ კარგად არ იციან ჩვენი ხალხის შინაური ყოფა-ცხოვრება, მისი განსაკუთრებული ჩვეულებანი, ღირსებანი და ნაკლოვანებანი, გაუჭი-რდებათ თავისი საქმის წარმატებითი წაყვანა. მათი აღმზრდელობითი ზომები უქმად და უნაყოფოდ დარჩებიან: დაიბადება აღმზრდელთა და შეგირდთა შორის განხეთქილება, ატყ-დება ნამდვილი ომი, - რასაც დღეს ბევრ სასწავლებელში ვხედავთ“ (**ღამბაშიძე 1888ა: 3**).

ქართული პედაგოგიკურ აზრს ყურადღების გარეშე არ დარჩენია მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის არსებული ურთიერთობის მნიშვნელობა, სწავლის მოტივაციის აღძვრის საქმეში, ჟურნალი ,,მწყემსი“ სარედაქციო წერილში წერდა ,, ,,არა გვგონია, რომ სიყვარულს რომელიმე წრეში იმდენი საპატიო და დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს, როგორც ამას აქვს პედაგოგიურს ასპარეზზედ მოსწავლეთა და მასწავლებელთა შორის, იგი არის ერთი უძლიერესთაგანი იარაღი, რომლითაც მხოლოდ შეუძლია პედაგოგს დანერგოს თავის ნორჩ მოსწავლეებში ყოველი კეთილი ადამიანური თვისება და გამოიყვანოს მათგან ბოლოს ნამდვილი კაცები. წინააღმდეგ შემთხვევაში კი ამაოა ყოველი მეცნიერება. ეს საქმე რომ ძნელია, ამას არც ჩვენ უარვყოფთ, მაგრამ სრულიად დარწმუნებულნი კი ვართ, რომ თუ პედაგოგი ამ ასპარეზზედ შესვლისთანავე მიზნად დაიდებს თავისი საქმის წარმატებისა-თვის წინ წაიძღვანოს პირველად ყოვლისა სიყვარული თვისსა და მოწაფეთა შორის, უეჭველად გამარჯვებული დარჩება და მისი სამსახურიც ნაყოფიერი იქნება“(სარედაქციო წერილი**1884: 25**).

დეკანოზმა დავით ღამბაშიძემ მე-19 საუკუნის 80-90-იან წლებში ყურადღება მიაქცია აღზრდისა და სწავლების პროცესის ერთიანობას. იგი წერდა: ,,მარტო წერა-კითხვის ცოტა-ოდენი შესწავლა და ცოდნის სხვადასხვა დარგებიდან მერე - ქვევრად გაცნობა დიდ სარ-გებლობას ვერ მოუტანს კაცობრიობას. სოფლის სკოლებში წერა - კითხვის და სწავლების გავრცელებასთან ერთად უნდა წარმოებდეს შეგნებული აღზრდა, რომ სოფლის სკოლების მასწავლებელნი თავიანთი მოვალეობის დროს უნდა მოქმედებდნენ არა მარტო ისე, როგორც მასწავლებელნი, არამედ როგორც ხელმძღვანელი და აღმზრდელი ახალი მოზარ-დი თაობისა, რომ სკოლამ გონებითად და ზნეობითად აამაღლოს თვით მდაბიო ხალხიც“(**ღამბაშიძე 1898ა: 1**).

დოგმატიზმი და სქოლასტიკა თავისთავად გამორიცხავდა შემოქმედებითსა და შეგნებულ მიდგომას სასწავლო მასალისადმი. ეს მეფის ხელისუფლების შორსგამიზნული პოლიტიკის ნაწილი იყო. შემოქმედი, თვითმყოფი, დამოუკიდებელი აზრების მქონე ადამიანები მას სრულიადაც არ ესაჭიროებოდა, პირიქით, ყოველმხრივ აფერხებდა ასეთი ადამიანების გარავლებას რუსეთის იმპერიაში და მეტადრე, მის განაპირა მხარეებში. მექანიკური წვრთნა და ვარჯიში ახალგაზრდობის გონებას აჩლუნგებდა. გონება-ჩლუნგი ადამიანები კი მთავრობისა-თვის საშიშნი არ იყვნენ. ყველაფერი ის, რაც რუსეთის იმპერიის სკოლებში კეთდებოდა, საღ პედაგოგიურ აზრს ეწინააღმდეგებოდა და ვიწრო მიზნობრივი ტენდენციებით ხასიათდებოდა. ამას კარგად ამჩნევდა ქართული პედაგოგიური აზროვნება. დ. ღამბაშიძის სიტყვებით: „როდე-საც მასწავლებელნი მექანიკურად აზეპირებდნენ მოსწავლეთა მთელს სტატიებს და სხვა და

სხვა საგნებს, ნორჩ მოსწავლეთა გონება, ამით კი არ იხსნება, პირიქით ჩლუნგდება. ასეთი სწავლება მარტო ენას და ხსოვნას უვარჯიშებს მოსწავლეთ. უსარგებლოა აგრეთვე სწავლების ის წესიც, რომელი წესითაც მოსწავლენი ჯარისკაცებივით არიან გაქვავებულნი და ისმენენ მხოლოდ მას, რასაც მასწავლებელი ეუბნება მათ. ასეთი სწავლების დროს, მართალია, ითვისებენ რამდენიმე სიტყვას მასწავლებლისას, მაგრამ უაზროდ და გაუგებრად"(**ღამბაშიძე 1898ბ:14).**

დეკანოზი დავით ღამბაშიძე მიიჩნევს, რომ მასწავლებლის მოვალეობაა მოწაფისათვის ბუნებრივი ნიჭის სამოქმედოდ გამოწვევა და მისი ვარჯიშობა. იგი წერს: „ქების ღირსია ის მასწავლებელი, რომელმაც თავის მოწაფეებში აღძრა თვითმოქმედება, სიყვარული მეცადინეობისა, ცოდნისა და გრძნობა განათლების საჭიროებისა, მაგრამ ყოველივე ეს შეადგენს განათლების დასწაყისს. შეიძლება ყმაწვილში აღძრა სიყვარული ცოდნისა და განათლების საჭიროება, მაგრამ ასეთი ყმაწვილი განუვითარებელი დარჩეს. მტკიცე აღმზრდელობითი სწავლება ითხოვს, რომ მასწავლებელი იყოს აღჭურვილი ჭეშმარიტებით და აღფრთოვანებული სასწავლო საგნების დიდი მნიშვნელობით. მასწავლებლის უმთავრეს მოვალეობად ის უნდა ჩაითვალოს, რომ მოსწავლეს ბევრი ახალი ცოდნა მისცეს და მისი გონება ამით გააფართოოს" (**ღამბაშიძე 1898გ: 15-16)** დ. ღამბაშიძის აზრით, მასწავლებლის ყურადღება უმთავრესად მიმართული უნდა ყოფილიყო იმაზედ, რომ მოსწავლეს შეუმუშაოს პრინციპი ანუ უჩვენოს, რა სახით უნდა შეითვისოს მან ცოდნა და როგორ განავითაროს გონება. თუ მასწავლებელი აჩვევს ბავშვს უცნობი საგნის შესწავლას, მას შემდეგ ყოველი მასალის შეძენა თვითონ შეუძლია. მასწავლებელმა უნდა აჩვენოს ბავშვებს ნივთი და თვითონ და ხანგრძლივი დაკვირვების შემდეგ გააკეთებინოს აღწერა. შეაჩვიოს მოწაფე თვითმოქმედებას; მას თვითონ მიაღებინოს აქტიური მონაწილეობა იმ მასალის გაგებაში და დამორჩილებაში, რომელიც მზად ეძლევა სახელმძღვანელოებით. ამ სახით მიღებული ცოდნა რაოდენობრივად შედარებით ძლიერ ცოტა იქნება, მაგრამ თვისებით მეტად სასარგებლო ბავშვის მომავალ განვითარებაში.

დეკანოზი დავით ღამბაშიძემ ყურადღება მიაქცია აგრეთვე ბავშვის პირველ შთაბეჭდილებებს მის პედაგოგიურ მნიშვნელობას. „ადამიანის აღზრდისა და განვითარების საქმეში - წერს დავით ღამბაშიძე - დიდი მნიშვნელობა უნდა მივსცეთ იმ პირველ შთაბეჭდილებათა და ზედ მოქმედებათა, რომელთაც მიიღებს ბავშვითავის სიყმაწვილის პირველ წლებში, ყმაწვილი შთაბეჭდილებანი იდენად ძლიერნი არიან, ისე ღრმად იბეჭდებიან ადამიანის სულში, რომ მათგან განთავისუფლება არ შეუძლია სამარის კარებამდის და სიბერემდი..... ბავშვის მახვილსა და მიმღებიან სულს არაფერი არ გამოეპარება შეუნიშნავად და შეუმჩნევლად" (**ღამბაშიძე 1888ბ:** 2). ამიტომ დეკანოზი ურჩევს მასწავლებლებს, რომ „თავისი შეგირდები კარგად შეისწავლონ, გაეცნენ მათ ცუდმიდრეკილებათ, ჩვეულებათა და ზნეთა, რომლებიც მათ მოჰყვებიან მშობლების სახლიდან, ანგაუჩნდებათ სკოლაში ცუდი ამხანაგების მეოხებით"(**ღამბაშიძე 1888ბ: 4)**.

მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო „მწყემსის" ფურცლებზე ბავშვთა საოჯახო შრომით აღზრდას. ბავშვის პრაქტიკული ცხოვრებისათვის მომზადებას. დ. ღამბაშიძე წერდა: „სანამ ჩვენ თვითონ რბილსა და ძვალში გამჯდარი გვაქვს სიზარმაცე და მკერდზე წამოწოლი ვაღამებთ და ვათენებთ უსაქმოდ - ჩვენი შვილებიც არასოდეს არ მიეჩვევიან შრომას, არასოდეს არ შეიქმნებიან მორბედ და საქმიან კაცებათ. სანამ ჩვენ ამ უსაქმობას მიჩვეულნი, მუქთამჭამელებად დავრჩებით და ურცხვათ წინაპართაგან დანატოვარს მათი სისხლით

და ხმლით შეძენილს სარჩო საბადებელის ყლაპვას და ფანტვას არ მოვშლით, ჩვენი შვილებიც არ მოიშლიან მუქთა-მჭამელობასა და მტკიცებულობას სხვისი ქონებისას და კეთილ-შეძენილისას“ (**ღამბაშიძე 1888ა: 2)**.

სკოლაში გამეფებული იყო ადამიანისთვის დამამცირებელი მეთოდები, თვალყურის დევნა, აბუჩად აგდება, როზგი, თმის აგლეჯვა და ა.შ. ეს ყოველივე ემსახურებოდა იმას, რომ მეფის რუსეთის სურვილი იყო კოლონიალური პოლიტიკის გამტკიცება და ხალხში მორჩილების დანერგვა. მე-19 საუკუნის 90-იანი წლებიდან სწავლებიის მეთოდებიდან გავრცელებული იყო სწავლების ე.წ. პრაქტიკული მეთოდი, ახსნითი კითხვის მეთოდი და გაკვეთილის აკრომატიკული გადაცემის მეთოდი. სწავლებაში მთავარი ადგილი მასალის კითხვას, კატეხიზაციას, ზეპირ გადმოცემას ჰქონდა დათმობილი. შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლებს ახალგაზრდა თაობის სწავლა განათლების მისაღებად კი არ ხსნიდნენ არამედ უნდოდათ მეფის ერთგული მოხელეების გამოზრდა.

დავით ღამბაშიძის აზრით, ,,სწავლება არის ერთობა მასწავლებელსა და გამოუცდელ ბავშვთა შორის, რომ ამ ერთობის შემწეობით მასწავლებელმა ყმაწვილებს გადასცეს და შეასწავლოს საჭირო ცოდნა, და გონებითაც აღამაღლოს იგინი. როდის შეუძლია სწავლებას, რომ ასეთი ზედ - გავლენა იქონიოს მოსწავლეებზე? მხოლოდ მაშინ როცა სწავლება წარმოებს საუკეთესო, უკვე გამოცდილი და ნაყოფიერი მეთოდით. მეთოდი არის სული სწავლებისა. მეთოდი აძლევს სწავლებას ერთიანობას, წყობილებას, სიცხოველეს და მიმზიდველობას. ვინაიდგან მეთოდს ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ სახალხო სკოლების მასწავლებელთ სწავლების დროს უნდა უარჰყონ ძველი მექანიკური მეთოდი სწავლებისა“(**ღამბაშიძე 1898ა: 3)**.

დავით ღამბაშიძე ეწინააღმდეგება დოგმატურ და სქოლასტიკურ სწავლებას და მხარს უჭერს შეგნებულ და შემოქმედებით სწავლებას. შეგნებულ და შემოქმედებით სწავლებაში იგი განსაკუთრებით ხაზს უსვამს მასწავლებლის როლს. დ. ღამბაშიძე წერს: ,,ქების ღირსია ის მასწავლებელი, რომელმაც თავის მოწაფეებში აღძრა თვითმოქმედება, სიყვარული მეცადინეობისა, ცოდნისა და გრძნობა განათლების საჭიროებისა, მაგრამ ყოველივე ეს შეადგენს განათლების დასაწყისს. შეიძლება ყმაწვილში აღძრა სიყვარული ცოდნისა და განათლების საჭიროება, მაგრა ასეთი ყმაწვილი განუვითარებელი დარჩეს. მტკიცე აღმზრდელობითი სწავლება ითხოვს,რომ მასწავლებელი იყოს აღჭურვილი ჭეშმარიტებით და აღფრთოვანებული სასწავლო საგნების დიდი მნიშვნელობით **(სარედაქციო წერილი 1898ბ)**.

დავით ღამბაშიძე მოსწავლის აღზრდის პროცესში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევ-დნენ მასწავლებლის პირად მაგალითს. დ. ღამბაშიძეს მიაჩნია, რომ „ „ყმაწვილის კეთილად აღზრდა შეუძლია მხოლოდ იმ მასწავლებელს, რომელიც თვით არის შესაფერისად აღზრდილი. ეს უკანასკნელი დასკვნა იმაზეა დაფუძნებული, რომ ყმაწვილებზე ცხოველი მაგალითები უფრო მოქმედებენ, ვინემ სიტყვიერი დარიგებანი... მხოლოდ იმ მასწავლებელს შეუძლია აღმზრდელობითი ზეგავლენა იქონიოს მოწაფეზე, რომელიც თავისი მოქმედებით აძლევს მოწაფეს კეთილი ცხოვრების მაგალითია, სიტყვით და საქმით ასრულებს თავის მოვალეობას... მოსწავლეთ უყვართ და პატივს სცემენ კეთილს და პატიოსან მასწავლებელთ. ცდილობენ მიბაძონ მათ კეთილ ცხოვრებას. ასეთი მასწავლებლების კეთილი ცხოვრება ნერგავს ნორჩ ყმაწვილების გულსა და გონებაში სიყვარულს კეთილისა და სიმართლისადმი“(**ღამბაშიძე 1898ა:17)**.

მეოცე საუკუნის დასაწყისში საქართველოში დაიწყო „ახალი სკოლის“ იდეის განვითარება. ბავშვთა შრომითი აღზრდის პედაგოგიკურ იდეას აყენებდნენ და იცავდნენ ჯერ კიდევ ჯონ ბელერსი (1664-1725), ჟან ჟაკ რუსო (1712-1778), ჰენრიხ პესტალოცი (1746-1827), რობერტ ოუენი (1771-1858). უნდა აღვნიშნოთ, რომ ჰ. პესტალოცი და რ. ოუენი პრაქტიკულადაც ახორციელებდნენ ცხოვრებაში. მეოცე საუკუნის დასაწყისში შრომითი აღზრდის იდეას ქადაგებდნენ გ. კერშენშტაინერი (1854-1932), ვ. ლაი (1862-1926), ჯ. დიუი (1859-1952) და სხვა. მასწავლებელთა ნაწილში გავრცელდა ე. წ. „მოქმედების სკოლის“, ხოლო მეორე ნაწილში „შრომის სკოლის“იდეა. მათი აზრით, ბავშვები შორიდან კი არ შეხედავდნენ საგნებსა და მოვლენებს, არამედ გრძნობათა ორგანოების განვითარებისა და შთაბეჭდილებათ გამდიდრების მიზნით, თვით მიიღებდნენ სასკოლო შრომაში (ნაკვეთზე მუშაობა, შრომა, ხაზვა-ხატვა, ცეკვა-სიმღერა) აქტიურ მონაწილეობას. თითოეული პროექტი, თუ საკითხი ქართული პრესის განხილვის საგანს წარმოადგენდა. საუკუნე რევოლუციური ქარტეხილებით დაიწყო, რომელმაც გავლენა მოახდინა საგანმანათლებლო დაწესებულებებზე.

1905-1907 წლების რევოლუციამ საშუალო სკოლის არსებულ მდგომარეობაში დატოვება შეუძლებლად გახადა. ზემოთთქმულიდან გამომდინარე საშუალო სკოლის რეფორმის რამოდენიმე პროექტი იქნა წარდგენილი. ისინი ძირითადში ითვალისწინებდნენ მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებებისათვის ანგარიშის გაწევას, მეცადინეობის პროცესში ადგილობრივი პირობების მხედველობაში მიღებას, უფროსი კლასების მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობის ორგანიზაციას, მშობელთა კომიტეტების უფლება - მოვალეობების გაფართოებას და სხვ. (ბასილაძე 2019: 5). ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიის პედაგოგების ინიციატივით შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელმაც შეიმუშავა პროგრამა ქართული ენის სწავლების შესახებ საშუალო სკოლაში, ასეთივე პროგრამა შედგა პირველ დაწყებითი სკოლებისათვის. კომისიის მიერ შემუშავებული პროგრამა იმავე წელს წარუდგინეს მთავრობას. პროგრამის შემქმნელები მოითხოვდნენ, რომ „სამშობლო ენაზე სწავლება დაეწყოთ 1905-1906 სამოსწავლო წლიდან“ **(სარედაქციო წერილი 1907:13)**. ამ პროექტების პრაქტიკულ განხორციელებას ბედი არ ეწერა. იგი განათლების სამინისტროში დასამარდა. მეფის რუსეთის ხელისუფლება კვლავ რეაქციულ პოლიტიკას აგრძელებდა საქართველოში არსებულ საგანმანათლებლო სივრცეში. იგი კვლავ იბრძოდა ქართული ენის წინააღმდეგ. ბრძოლის ეტაპები არ გამორჩენია დეკანოზ დავით ღამბაშიძეს. მას მიაჩნდა, რომ“ სარწმუნოება ზნეობის საფუძველია. სარწმუნოება კი, თავის მხრივ, მხოლოდ დედა ენაზე შეიძლება გაძლიერდეს“ **(ღამბაშიძე 1905ა: 22)**. ამიტომაც დავით ღამბაშიძე პრინციპულად არ დაემორჩილა ზემდგომთა მოთხოვნას ყვირილის “ნორმალურ სკოლაში“ რუსულ ენაზე ესწავლებინა საღვთო სჯული და სამსახური დატოვა **(ღამბაშიძე 1905ა: 22).** ჩვენ მიგვაჩნია, რომ დეკანოზ დავით ღამბაშიძიე ეს ქმედება, „საღვთო სჯულის„ ქართულ ენაზე სწავლება, იმ დროისათვის არის გმირობის ტოლფასი.

დეკანაზ დავით ღამბაშიძეს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის საეკლესიო წიგნების შედგენასა და გამოცემაში. მათ შორის უდა აღვნიშნოთ: 1. ლოცვანი; 2. გელათის მონასტერი და ცხოვრების აღწერილობა მეფის დავით აღმაშენებლისა; 3. შიო მღვიმის მონასტერი და ცხოვრების აღწერა ღირსისა მამისა ჩვენისა შიოსი; 4. მთავარმოწამე დავით და კონსტანტინე და მოწამეთის მონასტერი; 5. ვარძიის მონასტერი; 6. მარტვილის მონასტერი; 7. საუფლო და ღვთისმშობლის დღესასწაულების აღწერა ზნეობრივ სწავლა დარიგებით; მოწამენი, ღირსნი მამანი და დედანი საქართველოს ეკლესიისა, შესანიშნავი საქართველოს მეფენი და დედოფალნი; 8 რელიგიური და ზნეობრივი შინაარსის წიგნები და საუბრები; 9. მოთხრობანი და

დაბადებანი; 10. სასულიერო და საერო მოღვაწეთა ხატები და მხატვრობანი (შოთა რუსთაველი, თამარ მეფე).

ამრიგად დეკანოზი დავით ღამბაშიძის პედაგოგიური საქმიანობა და მოღვაწეობა ემსახურებოდა რუსეთის ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკის მაცრ კრიტიკას, რადგან ის არ შეესაბამებოდა ქართველი ხალხის ინტერესებს. მას მიაჩნდა, რომ სწავლების შინაარსი აუცილებლად უნდა ასახავდეს ხალხის ჭეშმარიტ ბუნებას. მან თავის ქმედებებით ხელი შეუწყო ქართული ეროვნული სულის გააქტიურებას და შენარჩუნებას. მისი საქმიანობა უნდა განვიხილოთ, როგორც პროგრესული აქტი, რომელმაც ხელი შეუწყო ქართველი ხალხის ეროვნულ გათვითცნობიერებას, მასების აღზრდას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის სულისკვეთებით.

საკვანძო სიტყვები: პირადი მაგალითი, აღზრდა, სწავლება, მშობელი, ოჯახი, სკოლა

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **ბასილაძე 2019:** ბასილაძე ი., ფანჩულიძე ს., ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკა და ბულინგი ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში მე-19 საუკუნის 80-90-იანი წლების ქართული პრესის მიხედვით და ქართველთა ბრძოლა ქართული ენის დაცვისათვის, RUSSIANIZATION POLICY OF TSARISM AND BULLYING IN GEORGIAN EDUCATIONAL SPACE ACCORDING TO THE GEORGIAN PRESS OF THE 80S AND

90S OF THE 19TH CENTURY GEORGIANS' FIGHT FOR THE PROTECTION OF GEORGIAN LANGUAGE, **INTERNATIONAL JOURNAL OF INNOVATIVE TECHNOLOGIES IN SOCIAL SCIENCE, 4(16), June 2019, https://doi.org/10.31435/rsglobal_ijitss. *ISSN 2544-9338.***

2. **სარედაქციო წერილი1884:** სარედაქციო წერილი, ჟურნალი „მწყემსი",1884, №14.

3. **სარედაქციო წერილი 1898:** სარედაქციო წერილი, „ქების ღირსია ის მასწავლებელი, ჟრნალი „მწყემსი", 1898, №15-16.

4. **სარედაქციო წერილი 1898ბ:** სარედაქციო წერილი, ჟურნალი „მწყემსი",1898, №14.

5. **სარედაქციო წერილი 1907: სარედაქციო წერილი, ახალი ამბები,** ჟურნალი „მწყემსი", 1907, №8.

5. **ფხალაძე 2004:** საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია და ქართული ენის საკითხი XIX საუკუნის მეორე ნახევარში(პერიოდული მასალების მიხედვით), დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2004.

6. **ქუთაისის ცენტრალური არქივი 1910:** ქცა, ფონდი 21, საქმე 18397, 1910.

7. **ღამბაშიძე 1885:** ღამბაშიძე დ. სარედაქციო წერილი, ჟურნალი „მწყემსი"., 1885 წ. №7.

8. **ღამბაშიძე 1888ბ:** ღამბაშიძე დ., ბავშვის პირველი შთაბეჭდილებების პედაგოგიურ მნიშვნელობა, მწყემსი, 1888, №22.

9. ღამბაშიძე 1888ა: ღამბაშიძე დ, საოჯახოშრომითი აღზრდა, ჟურნალი „მწყემსი",1888,№22.

10. ღამბაშიძე 1889ა: ღამბაშიძე დ., „მწარე ფიქრები სოფლის მღვდლისა"„მწყემსი", 1889. № 23-24.

11. ღამბაშიძე 1889 ბ: ღამბაშიძე დ., „რა მდგომარეობაშია დღეს ჩვენს მხარეში სწავლა-განათლების საქმე?", გაზეთი „მწყემსი", 1889 წ., №2.

12. ღამბაშიძე 1889გ: ღამბაშიძე დ. „მწარე ფიქრები“, გაზეთი „მწყემსი“, 1889 წ., №7.

13. ღამბაშიძე 1889 დ: ღამბაშიძე დ. ქუთაისის სამეურნეო სკოლის კურთხევა, ჟურნალი „მწყემსი“, 1889 წ., №13-14.

14. ღამბაშიძე 1893: ღამბაშიძე დ., „რა მდგომარეობაშია სწავლა-აღზრდის საქმე საქართველოს საეგზარხოსოს სასულიერო სასწავლებლებში?“,1893. №17.

15. ღამბაშიძე 1894: ღამბაშიძე დ., სწავლა-აღზრდა სასულიერო სასწავლებლებში, ჟურნალი „მწყემსი“ 1894. №1.

16. ღამბაშიძე 1896: ღამბაშიძე დ., ქართული სახელმძღვანელოები, ჟურნალი„მწყემსი“, 1896 წ., №6.

17. ღამბაშიძე 1898ა: ღამბაშიძე დ., პირადი მაგალითი სწავლებაში, „მწყემსი“, 1898, №17.

18. **ღამბაშიძე 1898ბ:** ღამბაშიძე დ., დოგმატიზმი და სქოლასტიკა სწავლებაში„მწყემსი“, 1898, №14.

19. ღამბაშიძე 1898გ: ღამბაშიძე დ., მასწავლებლის უმთავრესი მოვალეობა, „მწყემსი“, 1898, №15-16.

20. ღამბაშიძე 1905ა: ღამბაშიძე დ., სარწმუნოება ზნეობის საფუძველია, ჟურნალი „მწყემსი“, 1905 წ., №22.

21. ღამბაშიძე 1905 ბ: ღამბაშიძე დ., „მწარე ფიქრები“, ჟურნალი „მწყემსი“ 1905 წ., №8.

22. ჭეიშვილი 2017: ჭეიშვილი თამთა, რუსეთის იმპერიის ანტიქართული პოლიტიკის ზოგიერთი საკითხი XIX - XX საუკუნეების მიჯნაძე გაზეთ „მწყემსის“ პუბლიკაციების მიხედვით, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მოამბე“, 2017, №2(10).

Imeri Basiladze
Professor, Kutaisi Akaki Tsereteli State University

Deacon Davit Gambashidze's Pedagogical Views

Abstract

Deacon Davit Gambashidze's pedagogical activities and work served in favour of the strict criticism of Russian tsarism's educational policy, because it was not relevant to the interests of Georgian people. He thought that the content of teaching must reflect the true nature of people. With his actions, he contributed to the activation and retention of the Georgian national spirit. His work should be considered as a progressive act that contributed to raising the national awareness of the Georgian people, and educating the masses in the spirit of freedom and independence.

Key words: personal example, upbringing, teaching, parent, family, school

ნოდარ ბასილაძე
საქართველოს საპატრიარქოს წმ. ტბელ აბუსერისძის
სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

განათლება რევოლუციამდელ აჭარაში
(1878-1917 წწ.)

დიდი ქართველი პედაგოგი, საბავშვო მწერალი და საზოგადო მოღვაწე იაკობ გოგებაშვილი წერდა: „დედამიწის ზურგზედ იქნება მეორე ხალხი არ არსებობდეს, რომელსაც ამდენი წყურვილი ჰქონდეს სწავლისა, როგორც აქვთ იმერ ქართველებს. გაზვიადებული არ იქნება ვთქვათ, რომ ბევრს იმერს წიგნის ცოდნა იმდენად სწყურიან, როგორც ცხელის უდაბნოს მწყურვალს ირემს ცივი წყაროს დაწაფება“ (გოგებაშვილი, 1990: 5).

დიახ, ქართველი კაცი ოდითგანვე მიილტვოდა ცოდნისკენ, სინათლისკენ. გადაუჭარ-ბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს წყურვილი, ეს მისწრაფება ცოდნისკენ ქართველთაგან ყველაზე უფრო აჭარის მკვიდრთ - მაჰმადიან ქართველებს ახასიათებდათ. და ეს არც იყო გასაკვირი, რადგან აჭარა ხომ სამასი წლის განმავლობაში ოსმალთა უღლის ქვეშ იტანჯებოდა. ამ ხნის მანძილზე საქართველოს ეს ულამაზესი და ერთ დროს დაწინაურებული მხარე საგრძნობლად ჩამორჩა საქართველოს სხვა რეგიონებს. ოსმალთა ბატონობის პერიოდში აჭარა უწიგნურობამ მოიცვა. ქართულ ენაზე წერა-კითხვის მცოდნე სანთლით საძებარი გახდა. აჭარლები დანატრებული იყვნენ ქართულ წიგნს, ქართულ წერა-კითხვას, მშობლიურ ენას. ამას ისინი ეღირსნენ მხოლოდ დედასამშობლო საქართველოსთან დაბრუნების შემდეგ. 1878 წლის 13 ივლისს ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით მრავალტანჯული აჭარა - საქართველოს ეს სისხლხორცეული ნაწილი სულთანის მტარვალთა კლანჭებისგან გათავისუფლდა და საქართველოს დაუბრუნდა. ასე გადაურჩა იგი ეროვნულ გადაგვარებასა და ფიზიკურ მოსპობას.

აჭარელთა კულტურული ჩამორჩენილობის აღმოფხვრასა და ორი ძმის სულიერ შეკავში-რებაში გადამწყვეტი სიტყვა სკოლას უნდა ეთქვა. ქვეყნის წინასვლა-განვითარების ძირითად პირობად ილია ჭავჭავაძესა და მის თანამებრძოლებს - XIX საუკუნის II ნახევრის ქართველ განმანათლებლებს მომავალი თაობის ჭეშმარიტ მამულიშვილებად ჩამოყალიბება მიაჩნდათ, რაც სწავლა-განათლებისა და აღზრის მოწოდების სიმაღლეზე დაყენებას მოითხოვდა. ამიტო-მაც იყო, რომ დედასამშობლოსთან ახლადდაბრუნებულ აჭარაში განათლება პრიორიტეტულ დარგად იქცა. ამ ამოცანის განხორციელებისთვის საჭირო იყო აჭარაში ქართული სკოლების გახსნა და მშობლიურ ენაზე სწავლების წარმართვა, რასაც დიდი ილია „ჭირთა ამხსნელ სახსარს“, „კეთილდღეობის მომფენ საშუალებას“ უწოდებდა.

ახლადდაბრუნებულ მაჰმადიან ქართველთა ბედის წაღმა დატრიალებას გონებითა და გულით გაღვიძებული თაობა სჭირდებოდა. ასეთი თაობა, უპირველეს ყოვლისა, სკოლას უნდა აღეზარდა. სკოლის გარეშე არავითარი სასიკეთო ძვრები ხალხის ცხოვრებაში არ მოხდებოდა, მაგრამ უცხო სამყაროდან გამოხსნილ აჭარაში აღსადგენი იყო არა მარტო ქართულ ენაზე სწავლება და აღზრდა, არამედ განსხვავებულ რელიგიურ სამყაროში ცხოვრებით დეფორმირე-ბული ეროვნული შეგნებაც (გუგუნავა, 1997: 69-70). ეს იმიტომ რომ მუსლიმანური სარწმუ-ნეობის მქადაგებლები აიგივებდნენ რელიგიასა და ეროვნებას. ისინი შთააგონებდნენ

მორწმუნეებს, რომ მუსლიმანს ეროვნება არა აქვს. მთავარია, ის იყოს მუსლიმანიო. აქედან გამომდინარე, აჭარაში ეროვნული ცნობიერების აღდგენისა და მისი განმტკიცებისთვის ბრძოლას არა მარტო საგანმანათლებლო, არამედ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობაც ჰქონდა. ამიტომაც იყო, რომ ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით, XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველმა განმანათლებლებმა თურქეთის უღლისგან თავდახსნილ აჭარაში იწყეს ეროვნული განათლებისთვის ბრძოლა. მათ ყურად იღეს აჭარის მოწინავე საზოგადოების, მგზნებარე მამულიშვილების - შერიფ ხიმშიაშვილის, მემედ აბაშიძის, გულო კაიკაციშვილის, რეჯებ ნიჟარაძის, აბდულ მიქელაძისა და სხვათა თხოვნა, რის შედეგადაც ახლადდაარსებულმა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“, ილია ჭავჭავაძის თაოსნობით, 1881 წლის 12 მარტს ქალაქ ბათუმში გახსნა პირველი ქართული სკოლა (ამჟამად ილია ჭავჭავაძის სახელობის №1 საჯარო სკოლა), რომელშიც დაწყებითი განათლება უნდა მიეღოთ მაჰმადიან ქართველთა შვილებს. სკოლის გახსნაზე საგანგებოდ ჩამოსულა და მგზნებარე სიტყვა წარმოუთქვამს ილია ჭავჭავაძეს. მასვე შეურჩევია აღნიშნული სკოლის პირველი მასწავლებელი.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობის სხდომაზე ბათუმის პირველი ქართული სკოლის მასწავლებლად ფარული კენჭისყრით აურჩიევიათ ალექსანდრე ნანეიშვილი, პეტერბურგის სამედიცინო-ქირურგიული აკადემიის ყოფილი სტუდენტი, რომელიც მესამე კურსიდან ხალხოსნურ მოძრაობაში მონაწილეობისთვის გაურიცხავთ.

ალ. ნანეიშვილს მხოლოდ წელიწადნახევარი უმუშავია ბათუმის სკოლაში, მაგრამ ამ მოკლე ხანში მას ბევრი რამ გაუკეთებია სკოლის ფეხზე დაყენებისთვის. 1882-1883 სასწავლო წელს კი სკოლას სათავეში ჩადგომია მოსე ნათაძე, რომელიც მანამდე ხონის ორკლასიან სასწავლებელში მუშაობდა. ამ დროისთვის სკოლაში მხოლოდ 32 მოსწავლე ყოფილა, მაგრამ ნათაძის თავდადებულ შრომას სასურველი შედეგი გამოუღია და მომდევნო წელს მოსწავლეთა რიცხვი გაორმაგებულა, რის გამოც მასწავლებელი იძულებული გამხდარა ორ ცვლად ემუშავა.

მოსე ნათაძის გარდაცვალების შემდეგ ილია ჭავჭავაძეს 1891 წელს ბათუმის სკოლის გამგე-მასწავლებლად გამოუგზავნია მიხეილ შარაშიძე. აი, რას წერს ეს უკანასკნელი თავის მოგონებაში: ბათუმში გამგზავრებამდე, ილია ჭავჭავაძემ მიმიხმო ბინაზე და ასე დამარიგა: „ჩემი პირადი სურვილი და განკარგულება იყო, რომ შენ ასეთ პასუხსაგებ ადგილზე გამეგზავნე. იმედია გაამართლებ ჩემს ნდობას... დიდი სიფრთხილით არის მუშაობა საჭირო ქართველ მუსლიმანებს შორის. გახსოვდეს, რომ ქართველი მუსლიმანები - ჩვენი ძმები, მეტად ნიჭიერი, დინჯი, დაკვირვებული და ზრდილობიანი ხალხია. იხმარე ყოველი ღონე, რათა მათი ნდობა და სიყვარული დაიმსახურო. იარე საყავეებში, ნუ დაერიდები სარდაფებში, მეჩეთში, და ერთი სიტყვით, იქ სადაც ქართველ მუსლიმანებს ჩვევიათ თავის შეყრა. დიდი მიღწევა იქნება ჩვენი მხრივ თუ წერა-კითხვასთან ერთად მათ შეაგნებინებ, რომ ისინიც ქართველებია, რომლებიც ჩვენგან განირჩევიან მხოლოდ და მხოლოდ სარწმუნოებით“ (შონია, 1985: 36).

მართალია, მოწინავე მაჰმადიან ქართველებს კარგად ესმოდათ, რომ ისინი ქართველები იყვნენ, მაგრამ მაჰმადიანური რელიგიით დაბანგული ერთი ნაწილი ქართველობას ქრისტიანობასთან აიგივებდა და ორჭოფობდა. სწორედ აქ იყო დიდი მუშაობა საჭირო, რასაც ბრძენი ილია სკოლას აკისრებდა. იგი ყველას არწმუნებდა, რომ სარწმუნეობითი განსხვავება არ არის მთავარი. ამის თაობაზე გაზეთი „დროება“ 1880 წლის 23 დეკემბერს წერდა: „ნურავის ნუ ექნება იმის შიში და ეჭვი, რომ ვინმე ეცდება მაჰმადიანი ყმაწვილების გაქრისტიანებას, რჯულის

გამოცვლას. სკოლა მხოლოდ იმას ეცდება, რომ ასწავლოს რამე ყმაწვილებს, გონება გაუხსნას იმათ, ნამდვილ პატიოსან გზაზე დააყენოს, კაცურ კაცად შექმნას და რადგან ჭეშმარიტია, რომ კაცური კაცი, პატიოსანი და ქვეყნის შვილი შეიძლება ქრისტიანიც იყვეს და მაჰმადიანიც“ (წულუკიძე, 1982: 21).

ბათუმის პირველ ქართულ სკოლაში ყველაზე დიდხანს იმუშავა ალექსანდრე მგელაძემ, რომელმაც ადგილობრივ მკვიდრთა განსაკუთრებული სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. ამ სკოლის მასწავლებლად იგი დაინიშნა 1903 წლის 9 სექტემბერს, 1915 წელს კი სკოლის გამგედ დააწინაურეს. აქედან მოყოლებული იგი სიკვდილამდე (1932 წ.) ბათუმის პირველი ქართული სკოლის უცვლელი ხელმძღვანელი იყო. 1925 წლის 6 ივნისის დადგენილებით ალ. მგელაძის პედაგოგიური მოღვაწეობის 40 წლის იუბილესთან დაკავშირებით ბათუმის პირველ ქართულ სკოლას მისი სახელი მიეკუთვნა.Mმას შემდეგ ამ სკოლას წლების განმავლობაში (1937 წლამდე) მგელაძის სკოლის სახელით მოიხსენიებდნენ, რაც პედაგოგის დიდი დამსახურების აღიარება იყო.

ასე დაიწყო აჭარაში ქართული წერა-კითხვისა და ეროვნული კულტურის აღორძინება, რაშიც უდიდესი როლი ქართველ სამოციანელებს, უწინარეს ყოვლისა კი, ილია ჭავჭავაძეს, იაკობ გოგებაშვილს, ნიკო ცხვედაძესა და სხვებს შეუსრულებიათ.

მიხეილ შარაშიძესთან საუბრისას ილია ჭავჭავაძის ზემოთ მოხმობილ სიტყვებში მკაფიოდ ჩანს აჭარის პირველი ქართული სკოლის მასწავლებელთა მთავარი ამოცანა. ეს ამოცანა იაკობ გოგებაშვილმა ასე გამოხატა: „განზრახვა, რომელმაც გამოიწვია ამ სკოლის დაფუძნება, მდგომარეობდა იმაში, რომ ახლად შემოერთებული მაჰმადიან ქართველთა შვილები მიეზიდნა, პირველ-დაწყებითი განათლება მიეცა მათთვის, გაემართნა ქართულს წერა-კითხვაში, მათის შუამავლობით შემდეგში გაევრცელებინა აჭარა-ქობულეთში ქართულის წიგნის ცოდნა და ამ გზით განეახლებინა კავშირი ღვიძლთა ძმათა შორის, რომელნიც ულმობელმა ბედმა ერთმანეთს გაჰყარა...“ (გოგებაშვილი, 1990: 59).

ბათუმის პირველმა ქართულმა სკოლამ დიდი როლი შეასრულა ადგილობრივ მაჰმადიან ქართველთა შვილებში ეროვნული თვითშეგნების ამაღლებასა და „გონებითა და გულით გაღვიძებული“ (ი. ჭავჭავაძე) მომავალი თაობის აღზრდაში. ამის დასტურია ცნობილი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის ჰაიდარ აბაშიძის (ბათუმის პირველ ქართულ სკოლაში შევიდა 1900 წელს) სიტყვები: „მე სრულიად ახალგაზრდამ შევიგნე, რომ „თათარი“ კი არა, ქართველი ვიყავი. ამის შეგნება ყველაზე ადრე შთამინერგა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ბათუმის ქართულმა სკოლამ“ („ახალგაზრდა კომუნისტი“, 1959: 29 დეკემბერი).

აჭარის მოწინავე ინტელიგენციის ენერგიული ბრძოლის შედეგად 1897 წელს დაარსდა ბათუმის ვაჟთა, ხოლო 1900 წელს - ქალთა გიმნაზია. ნებადართული იყო კერძო სკოლების გახსნაც. ამ გზით ბათუმში გაიხსნა პალიევას (1888 წ.), ლებედევას (1893 წ.), ჟელტუხინას (1902 წ.), მეფისოვას (1903 წ.) და ბერაიას (1902 წ.) კერძო სასწავლებლები, მაგრამ ამ სკოლებში სწავლება ძირითადად ბავშვებისათვის გაუგებარ რუსულ ენაზე მიმდინარეობდა (ბაბილოძე, 1979: 12).

მასწავლებელთა კადრების მოზიდვის გარდა, აჭარაში ბევრი სხვა საკითხიც იყო მოსაგვარებელი. ჩატარდა წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა. საზოგადოებამ ქალაქ ბათუმის პირველი ქართული სკოლისთვის წელიწადში 240 მანეთად დაიქირავა სამოთახიანი ახალი სახლი ეზოთი, მაშინდელი ახმედიეს ქუჩაზე. ეს იყო ერთკლასიანი სახალხო სკოლა სწავლების

ოთხწლიანი კურსით. სკოლაში ისწავლებოდა საღვთო სჯული, ქართული ენა, რუსული ენა, არითმეტიკა, თვალსაჩინო სწავლება, სუფთა წერა, გალობა და გიმნასტიკა. პირველად სკოლაში მიღებულ იქნა 28 მოწაფე, მათ შორის 11 მაჰმადიანი ქართველის შვილი, რომელთაგან ერთი იყო გოგონა - ულვიე აბაშიძე, რომლის ჩარიცხვამ ე. წ. „გიაურების“ სკოლაში უარყოფითი გამოხმაურება პოვა მუსლიმანურ საზოგადოებაში.

მიუხედავად ამისა, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ოდნავადაც არ აკმაყოფილებდა მიღწეული. ამიტომ საზოგადოების წევრებმა სულ მალე განიზრახეს ბათუმის პირველი ქართული სკოლისთვის საკუთარი შენობის აგება, რისთვისაც საჭირო იყო მიწის ნაკვეთი, რაც ძალზე გაძნელებულა. მაშინ ხუსეინ აბაშიძეს (მემედ აბაშიძის ბიძა) სპეციალური წერილი გაუგზავნია ილია ჭავჭავაძისთვის და უცნობებია „ჩემი მამულიდან ას საჟენ მიწას შევწირავ სკოლის შენობის ასაგებადო“ (ნიორაძე, 1958: 33).

მას მალე სიტყვა საქმედ უქცევია და იმ ადგილას, სადაც ახლა ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის №1 საჯარო სკოლაა, გამოუყვია მიწის ნაკვეთი. სულ მოკლე ხანში ბათუმის პირველი ქართული სკოლისთვის აუშენებიათ ერთსართულიანი შენობა, რომელიც შედგებოდა ორი საკლასო ოთახისგან, ერთი დარბაზისგან, საბიბლიოთეკო და ერთი საშუალო ზომის ოთახისგან. მოგვიანებით სკოლაზე დაშენდა მეორე სართული. აღნიშნული სკოლის შენობა დაანგრიეს 1970 წელს და მის ადგილას აშენდა ქ. ბათუმის ამჟამინდელი №1 საჯარო სკოლის ოთხსართულიანი შენობა (კომახიძე, 1996: 7-8).

ასე დაიწყო აჭარაში ქართული წერა-კითხვის გავრცელება და ეროვნული კულტურის აღორძინება. მაგრამ მეფის რუსეთის ბატონობის პერიოდში სკოლების რიცხვი აჭარაში ნელა იზრდებოდა, რადგან ცარიზმი აჭარლებს არაქართველებად, თურქებად თვლიდა და ქართული სკოლების გახსნას მხარს არ უჭერდა, მეტ ყურადღებას უთმობდა თურქულ და რუსულ ენებზე სწავლებას და მხოლოდ რუსულ სკოლებს ხსნიდა და აფინანსებდა. გარდა ამისა, ადგილობრივი რეაქციული ძალები და ხოჯა-მოლები მოსახლეობას არწმუნებდნენ, რომ სკოლებში თქვენს შვილებს გააქრისტიანებენ და მუსლიმანობას დააკარგვინებენო. ამის შიშით აჭარის ზოგიერთ სოფელში დიდი წვალებით გახსნილი რამდენიმე სკოლა დაიხურა. მაგალითად, ასე დახურულა ამჟამინდელი ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ხერთვისის სკოლა, ხოლო დაბა ქედის სკოლაში ქართულის მასწავლებელი გაუთავისუფლებიათ და მის ნაცვლად მოუწვევიათ ეროვნებით ბერძენი მასწავლებელი, რომელიც ბავშვებს რუსულად და თურქულად ასწავლიდა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, რუსეთის თვითმპყრობელობის პერიოდში აჭარაში კი არ დაიხურა მედრესეები, არამედ მათი რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა. მაგალითად, 1904 წელს აქ სულ 257 მედრესე იყო, ხოლო 1914 წლისათვის - 342 (ცივაძე, 1970: 9). ამის მიზეზი იყო ის, რომ ოლქის ადმინისტრაციას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მავნედ მიაჩნდა ქართული სკოლებისა და ქართველი მასწავლებლების არსებობა აჭარაში. ამას ადასტურებს ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის მიერ 1909 წლის აპრილში კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველისადმი გაგზავნილი მიმართვა (№743), რომელშიც ვკითხულობთ: „იძულებული ვარ გთხოვოთ თქვენ, მიაქციოთ ყურადღება იმას, რომ ბათუმის ოლქში სკოლების სიმცირის პირობებში, როდესაც ოლქის მოსახლეობა რელიგიურ და სხვა მოსაზრებათა გამო უნდობლობით ეპყრობა რუსულ სკოლას, ქართველ მასწავლებელთა დანიშვნა... უდავოდ არასასურველია...“ (სიგუა, 1969: 18).

აჭარის მშრომელი მოსახლეობა კი დაჟინებით მოითხოვდა ქართულ ენაზე სწავლებას. ამას ადასტურებს შემდეგი ფაქტი: 1915 წლის ზაფხულში ომით გამოწვეულ ვითარებასთან

დაკავშირებით, ხულოში ჩასულა გენერალი პოროშინი. მაშინ იქაურ მცხოვრებლებს გენერლისთვის განუცხადებიათ - ჩვენ ქართველები ვართ და სკოლაში ქართულად სწავლის ნება მოგვეცითო. „შარშან ომის დაწყებამდე ამის თქმა შეძლეს მხოლოდ ჩურუქსუელებმა (ქობულეთლებმა), წლეულს შუაგულ აჭარაშიც ითხოვენ ქართული ენის სწავლების შემოღებას და ისიც იმ დროს, როცა მთავრობის დიდი მოხელე მათთან სულ სხვა ანგარიშის გასასწორებლად არის ამოსული“... - წერდა გაზეთი „საქართველო“ (ცივაძე, 1970: 15).

რევოლუციამდელ აჭარაში განათლებისა და ქართული წერა-კითხვის გავრცელების საქმეში მეტად ძვირფასია ზ. ჭიჭინაძის ღვაწლი. ამ საქმეში დიდი როლი ითამაშეს ასევე აპ. წულაძემ, პ. იოსელიანმა, გრ. გურიელმა, ი. მესხმა, თ. სახოკიამ, ალ. ყიფშიძემ, ნ. ცხვედაძემ, ხულოში იოსებ მელიქიშვილმა, მღვდელმა ბესარიონ დოლიძემ და სხვებმა.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა აჭარაში 1914 წელს, თურქი „ჩეთნიკების“ შემოსევის შემდეგ. მიუხედავად შექმნილი საომარი მდგომარეობისა, აჭარის მშრომელები დაჟინებით მოითხოვდნენ ქართული სკოლების გახსნას. 1906 წლიდან „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ პარალელურად, გიორგი ყაზბეგის თაოსნობით, თბილისში დაარსდა ქართველთა კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოების კავშირი („ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოება“), რომლის თავმჯდომარე პირველ ხანებში იყო მიხეილ მაჩაბელი. ეს ორგანიზაცია მჭიდროდ იყო დაკავშირებული „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან“ და შეძლო სკოლების გახსნა, ბიბლიოთეკა-სამკითხველოების დაარსება, ომში დაზარალებულთათვის დახმარების გაწევა. სწორედ ამ საზოგადოების თაოსნობით 1916 წელს „ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ“ აჭარის 6 სოფელში (ყოროლისთავი, ჩხუტუნეთი, ხუცუბანი, ალამბარი, ქედის აგარა და ხულოს აგარა) გახსნა დაწყებითი სკოლები. მალე ერთკომპლექტიანი დაწყებითი სკოლები გახსნილა შავშეთის რაიონის სოფელ წყალსიმერში და ხულოს მაზრის სოფელ თხილვანასა და ყარადერეში (ამჟამად შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელი ოლადაური), აგრეთვე - ამავე მაზრის სოფელ ფაჩხაში, დიოკნისში, ადაძეებსა და ჭვანაში, სადაც სწავლება, ძირითადად, ქართულ ენაზე ი. გოგებაშვილის „დედა ენის“ მიხედვით მიმდინარეობდა (დუმბაძე, 2008: 91).

ხულოს რაიონში სკოლების გახსნაში თემურ ხიმშიაშვილს დიდი დახმარება გაუწიეს ხულოს ეკლესიის მოძღვარმა ბესარიონ დოლიძემ და ხულოს სკოლის გამგემ იოსებ მელიქიშვილმა.

ამან აღაშფოთა პანისლამისტები და მათ დაიწყეს მოსახლეობაში პროვოკაცული ხმების გავრცელება ქართული სკოლების მავნეობის შესახებ, რომელთა წინააღმდეგ გაბედულად ილაშქრებდნენ აჭარის ჭეშმარიტი მამულიშვილები: მემედ აბაშიძე, ჰაიდარ აბაშიძე, აბდულ მიქელაძე, შერიფ ხიმშიაშვილი, გულო კაიკაციშვილი, რეჯებ ნიჟარაძე და სხვები. მათი მუხლჩაუხრელი შრომისა და სრულიად საქართველოს მოწინავე მამულიშვილთა მხარდაჭერით აჭარაში გადაიდგა უდიდესი ნაბიჯი მოსახლეობის ეროვნული გათვითცნობიერების, განათლებისა და კულტურის აღმავლობის საქმეში. აჭარა რომ დღეს საქართველოს განუყოფელი ნაწილია, ეს უმთავრესად მათი დამსახურებაა.

ამ დროს აჭარის სკოლები განიცდიდნენ მასწავლებელთა კვალიფიციური კადრების ნაკლებობას. 1917 წლისათვის აჭარაში მუშაობდა 140 მასწავლებელი, მაგრამ მათ შორის არც ერთი ადგილობრივი კადრი არ იყო. ისინი ძირითადად გურიიდან, იმერეთიდან და სამეგრელოდან ჩამოსულები იყვნენ. მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთი მათგანის ცოდნის დონე ძალზე დაბალი იყო. 1937 წლის 5 იანვარს გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ ფურცლებზე დაიბეჭდა აჭარის

განსახკიმის მოადგილის, აჭარის მასწავლებელთა ატესტაციის კომისიის თავმჯდომარის ლავ. გეგეშიძის წერილი „აჭარის მასწავლებელთა პირველი რიგის ატესტაციის შედეგები“, რომელ-შიც იგი აღნიშნავს, რომ ბევრ კარგ მასწავლებელთან ერთად, აჭარის სკოლებში შეხვდებით ისეთ მასწავლებლებსაც, რომლებიც ვერ პასუხობენ ელემენტარულ კითხვებზე. აი, ისინიც:

ბათუმის რაიონის სოფ. ჩიქუნეთის დ/სკოლის მასწავლებელმა თ. კვირკველიამ ვერ დაასახელა ილ. ჭავჭავაძის, ე. ნინოშვილის, აკაკი წერეთლის ვერც ერთი ნაწარმოები. არ წაუკითხავს არც ერთი თანამედროვე ქართველი მწერლის ნაწარმოები. შეკითხვაზე: ვინ დაწერა „განკარგულება“ - პასუხობს ილ. ჭავჭავაძემო. აზერბაიჯანის დედაქალაქად მან მოსკოვი დაასახელა, მტკვარი არ იცის რომელ ზღვაში ჩადის და სხვა.

სოფელ ზუნდაგის (ქედის რაიონი) დ/სკოლის II-IV კლასების მასწავლებელმა ალ. წულაძემ შეკითხვაზე - ვისი ნაწარმოებია „კაკო ყაჩაღი“ - პასუხობს აკ. წერეთლისაო, „კაცია ადამიანი“ ალ. ყაზბეგმა დაწერაო.

ქედის რაიონის სოფ. გეგელიძეების დ/სკოლის I-III კლასების მასწავლებელი ბ. თოფურიძე „კაცია ადამიანში“ მოქმედ პირებად ასახელებს გოგია უიშვილს, კაცია მუნჯაძეს, არ იცის აზერბაიჯანის დედაქალაქი, ესპანეთის დედაქალაქად შვეცია დაასახელა.

ხულოს რაიონის სოფ. ჩანჩხალოს დ/სკოლის მასწავლებელმა ა. გიორგაძემ ილია ჭავჭავაძის ვერც ერთი ნაწარმოები ვერ დაასახელა, ვერ დაასახელა საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკები, ბელორუსიის დედაქალაქად დაასახელა მონღოლეთი, არ იცის აზერბაიჯანისა და სომხეთის დედაქალაქები, საფრანგეთის დედაქალაქად მან ტოკიო დაასახელა და სხვა.

მიუხედავად აღნიშნულისა, ყოფილ საბჭოთა კავშირში აჭარამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია განათლებისა და კულტურის განვითარებაში. 1930-1940-იან წლებში, ძირითადად, დამთავრდა მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, განხორციელდა საყოველთაო-სავალდებულო დაწყებითი სწავლება და დაიწყო შვიდწლიან საყოველთაო-სავალდებულო სწავლებაზე თანდათანობით გადასვლა, გაიხსნა ახალი ზოგადსაგანმანათ-ლებლო სკოლები და პროფტექნიკური სასწავლებლები, გაფართოვდა უმაღლესი სასწავლებ-ლების ქსელი, განმტკიცდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სკოლები უზრუნველყოფილ იქნა კვალიფიციური პედაგოგიური კადრებით. საბჭოთა პერიოდში აჭარაში არ დარჩენილა თით-ქმის არც ერთი სოფელი რომ სკოლა არ გახსნილიყო. ყოველივე ამის შედეგი იყო ის, რომ საქართველო ყოფილ საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკებს შორის განათლებისა და კულტურის საქმეში ერთ-ერთ ყველაზე მოწინავე რესპუბლიკად ითვლებოდა, ხოლო აჭარას საბჭოთა კავშირის 20 ავტონომიურ რესპუბლიკას შორის პირველი ადგილი ეჭირა. „ზოგიერთ ისტორიის „ხელახლაწამკითხველს“ თუ დავუჯერებთ, - წერს პროფესორი დევი სტურუა, - თურმე ქართველ ხალხს ამ სამოცდაათი წლის მანძილზე არაფერი უკეთებია, არც არაფერი აუშენებია, არც არაფერი შეუქმნია და თურმე ახლაღა ვიწყებთ ნულოვან ციკლიდან ეკონომიკისა და კულტურის შექმნას“ (სტურუა, 1998: №173).

ეს, რა თქმა უნდა, აშკარა სიცრუეა.

ასეთია იმ შეუპოვარი ბრძოლისა და გამარჯვებათა სახელოვანი გზა, რომელიც აჭარამ განვლო რევოლუციამდე განათლებისა და კულტურის დარგში. დღეს მადლიერი აჭარის მშრომელები დიდი სიყვარულითა და პატივისცემით იგონებენ იმ ადამიანებს, ვინც იმ ძნელბედობის წლებში მოღვაწეობდა აჭარაში და, გარკვეული სიძნელეების მიუხედავად, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ამ კუთხის მოსახლეობის ეროვნულ გათვითცნობიერებასა და მათ განათლებაში.

აჭარა არასოდეს დაივიწყებს და მუდამ მადლიერების გრძნობით მოიხსენიებს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ხელმძღვანელებსა და მის წევრებს, რომლებიც ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის პირობებში თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში სათავეში ედგნენ განათლებისა და კულტურის აღორძინების საქმეს ჩვენს ქვეყანაში.

აჭარის მკვიდრთა მეხსიერებიდან არ ამოიშლება ალექსანდრე ნანეიშვილის, მოსე ნათაძის, მიხეილ და ერმილე შარაშიძეების, ივლიანე გოგოლიშვილის, ისიდორე რამიშვილის, ალექსანდრე მგელაძის, ნიკო ჯაყელისა და სხვათა სახელები, რომლებიც აჭარაში იმ ძნელბედობის პერიოდში მოღვაწეებდნენ და ხოჯა-მოლების წინააღმდეგობის მიუხედავად, თავიანთი უანგარო შრომით ასობით ახალგაზრდას აუხილეს თვალი, ასწავლეს ქართული წერა-კითხვა, ჩაუნერგეს სამშობლოსადმი სიყვარული და თავდადება, გაუღვიძეს ეროვნული გრძნობები. ამიტომ აჭარის განათლების ისტორია მათ სახელთანაა დაკავშირებული.

საკვანძო სიტყვები: რევოლუციამდელი აჭარა, მაჰმადიანი ქართველები, ოსმალთა უღელი, მუსლიმანური სარწმუნოება, წერა-კითხვის საზოგადოება, მშობლიურ ენაზე სწავლება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბაბილოძე გრ., 1979: განათლების აღმავლობა აჭარაში, ბათუმი,1979.

2. გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1959: 29 დეკემბერი, 1959.

3. გაზ. „საბჭოთა აჭარა”, 1937: 5 იანვარი.

4. გოგებაშვილი ი., 1990: რჩეული თხზ. ხუთ ტომად, ტ. II, თბ., „განათლება“, 1990.

5. გოგებაშვილი ი., 1990: რჩეული თხზ. ხუთ ტომად, ტ. III, თბ., „განათლება“, 1990.

6. გუგუნავა ნ., 1997: მემედ აბაშიძე - განმანათლებელი, ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“, ბათუმი, 1997.

7. დუმბაძე ნ., 2008: პირველი ქართული სკოლები აჭარაში, ჟურნ. „ჭოროხი“, №3,2008.

8. კომახიძე თ., 1996: ქალაქ ბათუმის განათლებისა და კულტურის ისტორიის საკითხები, ბათუმი, 1996.

9. ნიორაძე გ., 1958: პირველი ქართული სკოლა ბათუმში, 1958.

10. სიგუა ს., 1969: სახალხო განათლება რევოლუციამდელ საქართველოში (1907-1917 წწ.), თბილისი, 1969.

11. სტურუა დ., 1998: ქართველთა ერთიანობის სიმბოლო და დროშა, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 11 ივლისი, №173, 1998.

12. შონია ა., 1985: აჭარის მოჭირნახულე, ბათუმი, 1985.

13. ცივაძე ე., 1970: ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის განვითარება აჭარის ასს რესპუბლიკაში, ბათუმი, 1970.

14. წულუკიძე ვ., 1982: პირველი ქართული სკოლა აჭარაში, ბათუმი, 1982.

NODAR BASILADZE
Professor, St. Tbel Abuseridze
University of the Patriarchate of Georgia,
Doctor of Pedagogic Sciences

EDUCATION IN PRE-REVOLUTIONARY ADJARA (1878-1917)

Abstract

Adjara has been under the yoke of the Turks for 300 years. Prior to this time, this advanced part of Georgia was covered by illiteracy. Those who can read and write in Georgian could be counted on fingers.

On July 13, 1878, by the decision of the Berlin Congress, the afflicted Adjara was freed from the clutches of the Sultan's rulers and returned to Georgia forever, but the tsarist government did not try to open Georgian schools here and eliminate illiteracy among Muslim Georgians. Georgian educators saw this well. Therefore, on March 12, 1881, the newly established Society for the Promotion of Literacy among Georgians, led by Great Ilia, opened the first Georgian school in Batumi. After that, other schools were opened in Adjara and Adjara was again among the advanced regions of Georgia. Today, it is not inferior to other advanced parts of Georgia.

Key words: pre-revolution Ajara, Muslim Georgians, Ottoman yoke, Muslim faith, literacy community, teaching in native language.

გელა ცაავა
აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იოანე იალღუზიძე (გაბარათი, გაბარაევი) - პირველი ოსი განმანათლებელი

ივანე (იოანე) იალღუზიძე ოსური განმანათლებლობის სათავეებთან იდგა. იგი დაიბადა 1775 წელს ჯავის ხეობის სოფელ ზალდეში, (ახლანდელი ოკუპირებული ქურთის მუნიციპალიტეტი) მღვდლის ოჯახში და გაბარაევების გვარს ეკუთვნოდა. (თოგოშვილი, 1969; 30). ბ. ბიგულაევის მიხედვით, იგი 1770 წელს დაბადებულა ჯავაში. მეცნიერი თავის შრომაში აღნიშნავს, რომ იოანე ცნობილ მემამულეთა გვარს ეკუთვნოდა სამხრეთ ოსეთშიო. (Бигулаев, 1952; 52) აქვე უნდა დავძინოთ, რომ პროფესორ ტ. სარიშვილს იგი ოს სახალხო მოღაწედ და მღვდლის ოჯახში დაბადებულად მიაჩნია. (სარიშვილი, 1962; 81) იალღუზიძემ ქართული გრაფიკის საფუძველზე შექმნა ოსური დამწერლობა, 1821 წელს შეადგინა პირველი ოსური ანბანი. იგი გაქართველებული ოსია, რომელმაც სამსახური ერეკლე მეორესთან დაიწყო. ერეკლე მეორემ მას აზნაურობა უბოძა. იგი იყო იოანე წილკნელის (ქარუმიძის) გაზრდილი. იალღუზიძეს წილკნელთან ქართულ ენაზე უსწავლია რიტორიკა, გრამატიკა, ფიზიკა, კატეგორია (ბერძნიშვილი, 1983; 45)

პირველი მცდელობა ოსებისთვის საკუთარი ანბანის შექმნისა დაკავშირებულია ცხინვალის რეგიონში ქრისტიანობის გამავრცელებელი კომისიის მოღვაწეობასთან. კომისია 1745 წელს შეიქმნა რუსეთის ეკლესიის სინოდის გადაწყვეტილებით. (ბასილაშვილი, 2015)

უფრო ადრე, 1811 წელს, იალღუზიძემ[1] ქართული ენიდან თარგმნა რომანი „ტარიელი“, რომელმაც, რა თქმა უნდა, ხელი შეუწყო მისი ლიტერატურული ნიჭის განვითარებას და მომავლის პოეტური ოსტატობის ჩამოყალიბებას. იგი ავტორია ლექსისა „ალღუზიანი” (1885 წელი).

ლექსი „ალღუზიანი“ ასახავს მოწინავე ოსების სულიერ ძიებას მეორე ნახევარში XVIII საუკუნეში ოსთა ეროვნული თვითშეგნების თავისებურებებს. პოემამ თავისი იდეოლოგიური პათოსით წინასწარ განსაზღვრა ოსური ლიტერატურის პრეისტორია.

იალღუზიძის პოეტურ ნაწარმოებებს შორისაა ქართულ ენაზე დაწერილი ზემოხსენებული პოემა, რომელიც ოსთა ლეგენდარული მეფის ალღუზონის ლაშქრობებსა და საქმიანობას ეხება. შესაბამისად, მეცნიერები ფიქრობენ, რომ აღნიშნული პოემის გამოქვეყნების შემდგომ მიიღო იოანემ გვარი ,,იალღუზიძე”.

იოანე იალღუზიძე საეკლესიო წიგნებსაც თარგმნიდა და ხალხს ოსურად მიმართავს. მან გააცნობიერა საზოგადოებაში კლასობრივი ანტაგონიზმის ბუნება, დაამტკიცა გლეხებსა და მიწის მესაკუთრეებს შორის მიმდინარე ბრძოლის არსი. დიდი როლი ითამაშა იალღუზიძემ სახალხო განათლების განვითარებაში ცხინვალის რეგიონში.

იოანე იალღუზიძის, როგორც აღმზრდელის მოღვაწეობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ოსური კულტურის განვითარებისთვის და ხელი შეუწყო ოსებისთვის რუსული და ქართული კულტურების გაცნობას. მას სჯეროდა, რომ რუსეთი მის ხალხს ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა ეკონომიკური და კულტურული განვითარებისთვის.

როდესაც იალღუზიძე მცირე ასაკში იმყოფებოდა, ერეკლე II-ის ბრძანებით ჩამოიყვანეს და წმინდა დავით გარეჯის მონასტერში გაამწესეს, სადაც მან მოახერხა შეესწავლა ფილოსოფია, ფოლკლორი, ქართული მწერლობა, თეოლოგია.

---

[1] „კალმასობაში” იოანე იალღუზიძე ასეა დახასიათებული: „იოანე ოსყოფილი, რომელმაც მიიღო ფილოსოფია და სთარგმნა ოსთა ენათა ზედა კონდაკი და ლოცვანი და მრავალნიცა დაიმოწაფა”. („კალმასობა”, II, გვ. 197).

იალღუზიძე 1820 წლიდან ქართულ და ოსურ ენებზე ასწავლის ოს სტუდენტებს ქ. თბილისის სასულიერო სემინარიაში. გარდა პედაგოგიური მოღვაწეობისა, იალღუზიძე ცნობილია როგორც გადამწერი და პოეტი. მან გადაწერა ,,ვეფხისტყაოსანი" და სულხან-საბა ორბელიანის ,,სიტყვის კონა". (თედეევი 1985; 5-7).

ოსური კულტურის განვითარებაში იალღუზიძის საქმიანობა განსაკუთრებულ მნიშვნელობა იძენს იმ დროიდან, როდესაც მან მუშაობა დაიწყო ,,ოსეთის სასულიერო კომისიაში" მთარგმნელად.

იოანე იალღუზიძე მასზე დაკისრებულ მოვალეობებს შესანიშნავად ასრულებდა და საქართველოს ეგზარქოს თეოფილაქტეს წარდგინებით 1821 წლის 3 სექტემბერს საგუბერნიო ჩინი მიიღო და დაენიშნა ხელფასი წელიწადში 118 მანეთი და 80 კაპიკი ვერცხლით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იალღუზიძემ ქართული დამწერლობის საფუძველზე შექმნა ოსური ანბანი, რომელიც დაიბეჭდა ქ. თბილისში. აღსანიშნავია, რომ ანბანი ხუცური შრიფტითაა დაბეჭდილი.

მან ქართულ ანბანს ოსური ენის სპეციფიკური ბგერებისათვის ორი ნიშანი დაუმატა და შეადგინა ოსური ენისათვის სრულყოფილი ანბანი. ამ დამატებით ნიშნებს წარმოადგენს: 1. Z - დავიწროებულია ა (თანამედროვე ოსური გრაფიკით æ); 2. j - გერმანულიდან გადმოცემული ნიშანი, ქართული ჲ-ის შესატყვისი (თანამედროვე ოსური გრაფიკით - й). სხვა სპეციფიკური თანხმოვნების გადმოსაცემად იალღუზიძემ გამოიყენა ქართულ გრაფიკაში ანტონ კათალიკოსის მიერ შემოღებული ასოები ґ და ф (თანამედროვე გრაფიკით ы, ф) (თედეევი 1985; 27)

იოანე იალღუზიძემ ქართულიდან ოსურ ენაზე თარგმნა რამდენიმე ტექსტი: 1. 1802 წლით დათარიღებული ხელნაწერი, რომელიც ეხება სოფელ ვანათში სასამართლოს დაწესებას. ოსური ტექსტი შესრულებულია ქართული გრაფიკით.

ხელნაწერი 1926 წელს ქართველმა ისტორიკოსმა დავით კარიჭაშვილმა აღმოაჩინა წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდში, ხოლო საფუძვლიანად შეისწავლა გიორგი ახვლედიანმა, ქართველმა ლინგვისტმა და ოსოლოგმა. 2. ,,ლოცვანი", დაიბეჭდა ქ. თბილისში 1820 წელს (ტირაჟი 300 ეგზემპლარი); 3. „საღმრთო ლიტურგია" (ქ. მოსკოვი, 1821 წელი, 600 ეგზემპლარი); 4. ოთხთავი, შესრულებული 1923 წეს, რომელიც არ გამოქვეყნებულა; 5. გამოკრებილი კურთხევანი (ქ. მოსკოვი, 1824 წელი, 500 ეგზემპლარი).

აღსანიშნავია, რომ ხელნაწერები მხედრულად სრულდებოდა და იბეჭდებოდა ხუცურად. ამ წიგნებით სარგებლობდნენ როგორც სამხრეთ, ისე ჩრდილოეთ ოსეთის სამრევლოებში თითქმის 25 წლის მანძლზე (თედეევი 1985; 109-120)

იოანე იალღუზიძე 1830 წლის 5 აგვისტოს გარდაიცვალა ქოლერის დაავადებით. მის ქვრივს - მარიამ იალღუზიძეს, ქმრის განსაკუთრებული დამსახურების გამო ოსების გაქრისტიანების საქმეში, დაენიშნა პენსია[2].

იოანეს დარჩა სამი შვილი - ერთი დაოჯახებული ქალიშვილი და ორი ვაჟიშვილი, რომელთაგან უფროსი, მამის სიცოცხლეშივე ჩარიცხული იყო სასულიერო უწყებაში, უმცროსი კი იოანეს გარდაცვალების დროს სწავლობდა სასულიერო სემინარიაში.

იოანე იალღუზიძის მიერ შედგენილმა ოსურმა ანბანმა მართალია საბოლოოდ ფეხი ვერ მოიკიდა ცხინვალის რეგიონში, რაც მეფის რუსეთის კოლონიზატორული პოლიტიკის შედეგს წარმოადგენდა, მაგრამ აღნიშნული ანბანის ბედი იოანეს შემოქმედების ისტორიულ-კულტურულ მნიშვნელობას ვერ ჩრდილავს.

---

[2] სცსა - საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 16, საქმე 9899, ფ. 9

აქვე აღსანიშნავია, რომ იალღუზიძის ნაშრომები წარმატებულად გამოიყენეს ოსური ენის მეცნიერული გრამატიკის შესადგენად, რომელსაც საკმაოდ მაღალ შეფასებას აძლევდა აკადემიკოსი ანდრიას იოჰან შეგრენი. აკადემიკოს გიორგი ახვლედიანის მოსაზრებით, იალღუზიძის ტექსტებს დიდი მნიშვნელობა გააჩნია ოსური ენის ისტორიისათვის.

დაბოლოს, დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ იალღუზიძე ისტორიოგრაფიაში წარმოჩენილია როგორც XIX საუკუნის პირველი მესამედის გამორჩეულ საზოგადო მოღვაწედ. ქართული კულტურის უძველეს ტრადიციებზე აღზრდილმა მეცნიერმა უდიდესი ამაგი დასდო ოსური კულტურისა და დამწერლობის განვითარებას, ბეჭდვითი ლიტერატურის ჩამოყალიბებას, წერა-კითხვის მცოდნე ოსთა რაოდენობის მნიშვნელოვან ზრდას.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, განათლება, იალღუზიძე, ენა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბასილაშვილი 2015: ბასილაშვილი ა., „ოსური დამწერლობის ისტორიიდან". თბილისი, 15 ნოემბერი, 2015. ხელმისაწვდომია: http://caucasusresearchers.blogspot.com/2015/11/
2. ბერძნიშვილი 1983: ბერძნიშვილი მ., „მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის", ტომი II, თბილისი, 1983 წელი. სცსა - საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი II , საქმე 9899.
3. თედეევი 1964: თედეევი ო., „ქართული ოთხთავის ოსური თარგმანის ისტორიისათვის". თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. ტ. 108, თბილისი, 1964.
4. თედეევი 1985: თედეევი ო., „პირველი ოსური ხელნაწერების ენა", თბილისი, 1985.
5. თოგოშვილი 1969: თოგოშვილი გ., „ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობა 1801-1921 წ.წ., თბილისი, 1969.
6. სარიშვილი 1962: სარიშვილი ტ., „იოანე იალღუზიძის კულტურულ-საგანამანათლებლო მოღვაწეობა 1770-1830: ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VII, თბილისი, 1962.
7. Бигулаев 1952: Бигулаев Б., „Крадкая История Осетинского Писма", Дзауджикау, 1952.
8. Фидарова 2014: Фидарова Р., Кайтова И., „И. ЯЛГУЗИДЗЕ – ПЕРВЫЙ ОСЕТИНСКИЙ ПРОСВЕТИТЕЛЬ". 2014. Г. Владикавказ, ხელმისაწვდომია: https://www.gramota.net/articles/issn_1997-2911_2014_4-3_52.pdf

GELA TSAAVA
Ph.D. Doctor, Associate Professor
Sokhumi State University Center for Peace Studies

Ioane Yalguzidze (Gabaraty, Gabaraev) - the first Ossetian Educator

Abstract

Yalghuzidze is presented in historiography as an outstanding public figure of the first third of the 19th century. The scientist, brought up on the ancient traditions of Georgian culture, contributed greatly to the development of Ossetian culture and writing, the formation of printed literature, and a significant increase in the number of literate Ossetians.

Yalghuzidze's works were successfully used to compile a scientific grammar of the Ossetian language, which was highly rated by academician Andrias Johan Shegren. According to academician Giorgi Akhvlediani, the texts of Yalghuzidze are of great importance for the history of the Ossetian language.

Keywords: Georgia, Education, Yalguzidze, Language.

ჩვენი იუბილარები

აკაკი ზოიძე - 80

განათლების დარგის თვალსაჩინო მოღვაწეს, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების ხელმძღვანელს, განათლების აკადემიურ დოქტორს, პროფესორს, განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, აკაკი ზოიძეს 80 წელი შეუსრულდა.

ხუთ ათეულ წელზე მეტია, რაც იგი განათლების დარგის განვითარების, მოზარდი თაობის აღზრდა-განათლების, მომავალ პედაგოგთა მომზადებისა და მასწავლებელთა პროფესიული დაოსტატების სამსახურში იღვწის და იხარჯება.

„დედა ენის“ ხიბლს და მადლს მშობლიური სოფლის - ბრილის რვაწლიან სკოლაში ეზიარა. შემდეგ იყო ჭვანის საჯარო სკოლა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ იღვწოდა ბრილის საჯარო სკოლაში, დასაწყისში ბიოლოგიის, ხოლო შემდეგ დაწყებითი კლასების მასწავლებლად. სკოლასა და ბავშვებზე უსაზღვროდ შეყვარებული მაძიებელი პედაგოგი შვიდი წლის განმავლობაში გატაცებით, ენთუზიაზმით აზიარებდა აღსაზრდელებს ქართული ენის ხიბლს, აკეთილშობილებდა, ამშვენიერებდა და ბუნების, ქვეყნის, ადამიანების სიყვარულით მუხტავდა.

1971 წელს აკაკი ზოიძე პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ბათუმის ინსტიტუტის დაწყებითი განათლების სასწავლო-მეთოდური კაბინეტის გამგედ დააწინაურეს. კაბინეტი, რომელსაც სამი ათეული წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა იგი მასწავლებელთა პროფესიული დაოსტატების ერთ-ერთ ძლიერ და მისაბაძ კერად იქცა. მისი მუშაობა განზოგადდა როგორც საქართველოს, ისე ყოფილი სსრ კავშირის მასშტაბით, კერძოდ, სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე და იგი ვერცხლის მედლით დაჯილდოვდა.

სამაგალითოა აკაკი ზოიძის როლი სტუდენტი ახალგაზრდობის გონებრივ განვითარებასა და ზნეობრივ სრულქმნაში. მრავალი წლის განმავლობაში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლებისა და პედაგოგიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტში კითხულობდა ლექციებს.

2009 წელს აჭარის მთიანეთში, კერძოდ, ხიჭაურში გაიხსნა საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სასწავლო უნივერსიტეტი. ამ უდიდესი ეროვნული მნიშვნელობის საქმეში პირადი წვლილის შეტანის მიზნით მან ქალაქიდან მთაში გადაინაცვლა და დღემდე კოლეგებთან ერთად იღწვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებისათვის.

განსაკუთრებით აღსანიშნავია აკაკი ზოიძის თავდაუზოგავი საქმიანობა საქართველოს იაკობ გოგებაშვილის პედაგოგთა კავშირის აჭარის რესპუბლიკურ ორგანიზაციაში. იგი

წლების განმავლობაში იყო ამ ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო 2003 წლიდან უნარიანად ხელმძღვანელობს მას. მისი ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით მრავალფეროვანი ღონისძიებები ტარდება მასწავლებელთა გამოცდილების განზოგადების, ამაგდარი პედაგოგების, პროფესორ-მასწავლებლების ღვაწლისა და ამაგის წარმოსაჩენად. მისი ცხოვრებისეული კრედოა სხვას დაეხმაროს, სხვების მუშაობა და ღვაწლი წარმოაჩინოს, სხვებს მიაგოს პატივი და მიანიჭოს სიხარული.

მაძიებელი პედაგოგის ბიოგრაფიის მნიშვნელოვანი ნაწილია მისი მეცნიერული და ჟურნალისტური მოღვაწეობა. სამი ათეული წლის განმავლობაში უანგაროდ იღვწოდა იგი მთავარი პედაგოგიური გაზეთის „სახალხო განათლების“ საკუთარ, ხოლო გაზეთ „აჭარის“ საზოგადოებრივ კორესპონდენტად. არის საჭირო და საყურადღებო წიგნების, მეცნიერული ნაშრომების, ნარკვევებისა და პუბლიცისტური წერილების ავტორი, რომელთა საერთო რაოდენობა ათასს აჭარბებს.

ბატონი აკაკი უნარიანად უხამებს სამეცნიერო-პედაგოგიურ და ჟურნალისტურ საქმიანობას საზოგადოებრივ მოღვაწეობას. იყო აჭარის მასწავლებელთა და საქართველოს ჟურნალისტთა ყრილობების დელეგატი. აჭარის განათლების სამინისტროს საატესტაციო კომისიის წევრი, საზოგადოება „ცოდნის“ პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარე, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის საკვალიფიკაციო კომისიის თავმჯდომარე, არის ტბელ აბუსერისძის უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი, სათავეში უდგას იაკობ გოგებაშვილის პედაგოგთა კავშირის აჭარის რესპუბლიკურ ორგანიზაციას...

აკაკი ზოიძის ხანგრძლივი, უმწიკვლო და ნაყოფიერი მუშაობა ჯეროვნადაა დაფასებული. დაჯილდოებულია მედლებით, მათ შორის პედაგოგებისათვის სანუკვარი იაკობ გოგებაშვილის მედლით, დიპლომებითა და საპატიო სიგელებით, მინიჭებული აქვს აჭარის დამსახურებული მასწავლებლის წოდება, ზაქარია ჭიჭინაძის პრემია, არის განათლების აკადემიური დოქტორი, პროფესორი, განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ბატონ აკაკის ვულოცავთ დაბადების 80 წლისთავს და ვუსურვებთ პიდად წარმატებებს და მისთვის ჩვეული შემართებით კვლავაც დიდხანს ემსახუროს მომავალი თაობის აღზრდა-განათლების ეროვნულ საქმეს.

თამაზ ნუცუბიძე - 75

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ თამაზ ნუცუბიძეს დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა.

თამაზ ნუცუბიძე დაიბადა 1947 წლის 12 მაისს ქ. თბილისში, პროფესორ ქეთევან კლიმიაშვილი-ნუცუბიძისა და აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის სახელოვან ოჯახში.

პროფესორ თამაზ ნუცუბიძეს დამთავრებული აქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ეკონომიკის ფაკულტეტები. მუშაობდა იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ მეცნიერებათა კვლევით ინსტიტუტში მეცნიერ მუშაკად.

1993 წელს აკადემიკოს დავით ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია პედაგოგიკაში.

თამაზ ნუცუბიძე მუშაობს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საინჟინრო ეკონომიკის, მედია-ტექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე. იგი სისტემატურად მონაწილეობს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში, აქვეყნებს სამეცნიერო ნაშრომებს სხვადასხვა ჟურნალებში.

პროფესორი თამაზ ნუცუბიძე ავტორია ორმოცდაათზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის მონოგრაფიების, დამხმარე სახელმძღვანელოებისა და სწავლების მეთოდური საშუალებების.

პედაგოგიურ დარგში განსაკუთრებული დამსახურებისათვის დაჯილდოებულია იაკობ გოგებაშვილის სახელობის მედლითა და საპატიო სიგელით.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ხანგრძლივი და ნაყოფიერი პედაგოგიური მუშაობისათვის სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდაში გაწეული დიდი ღვაწლისათვის დაჯილდოებულია საპატიო დიპლომით.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და ჟურნალ „მოამბის“ რედაქცია ულოცავს პროფესორ თამაზ ნუცუბიძეს დაბადებიდან 75 წლისთავს, უსურვებს ჯანმრთელობას და ნაყოფიერ სამეცნიერო საქმიანობას.

თამარ გოგოლაშვილი - 75

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, პროფესორ თამარ გოგოლაშვილს 75 წელი შეუსრულდა.

პროფესორმა თამარ გოგოლაშვილმა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მომავალი თაობის აღზრდა-განათლებისა და პედაგოგიკის მეცნიერების სამსახურს მიუძღვნა; პედაგოგიური საქმიანობა საბავშვო ბაგა-ბაღში დაიწყო, შემდეგ მუშაობდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად თბილისის 112-ე საშუალო სკოლაში. წლების განმავლობაში აგრეთვე მუშაობდა კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროში სხვადასხვა თანამდებობებზე. 1986 წლიდან თამარ გოგოლაშვილი საქართველოს განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის თანამშრომელია, სადაც მან გაიარა გზა უმცროსი მეცნიერ-მუშაკიდან წამყვან მეცნიერ-თანამშრომლამდე. ხოლო 2007 წლიდან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორია.

თამარ გოგოლაშვილი წლების განმავლობაში კითხულობდა სასწავლო კურსებს ქ. თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში შრომითი/გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელთათვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ სფეროში მის მიერ დამუშავებული სტანდარტების, პროგრამების და სახელმძღვანელოების შედგენის მეთოდური გამართულობა, რაც ქართულ ეროვნულ ტრადიციებს ეფუძნებოდა.

თამარ გოგოლაშვილი ავტორია 9 გრიფირებული სახელმძღვანელოსი (საყოფაცხოვრებო შრომა, მე-5-6 კლასები, საყოფაცხოვრებო შრომის ტექნოლოგია, მე-7-8-9 კლასები, შრომითი სწავლება, პირველკლასელთათვის) და 5 დამხმარე სახელმძღვანელოსი (დეკორატიულ-გამოყე-ნებითი ხელოვნება, V-X კლ, მძივი დეკორატიულ-გამოყენებით ხელოვნებაში), რომლითაც სხვადასხვა წლებში მიმდინარეობდა სწავლება საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში.

თამარ გოგოლაშვილია 75 წლის იუბილეს თითქმის ამდენივე ნაშრომით ხვედება, მათ შორის გამორჩეული ადგილი მასწავლებელთათვის გამიზნულ მეთოდურ წიგნებს უჭირავს (საყოფაცხოვრებო შრომის V-IV კლასის მასწავლებლის წიგნი, საყოფაცხოვრებო შრომის ტექნოლოგიის VII-IX კლასის მასწავლებლის წიგნი, შრომითი სწავლება, მასწავლებლის წიგნი, მეთოდური რეკომენდაციები, პირველი კლასი, შრომითი სწავლების დიდაქტიკური მასალები დაწყებითი კლასებისათვის და სხვ.). ამაგდარი მეცნიერი და ახალგაზრდობის აღმზრდელი თამარ გოგოლაშვილი დაურალავი შრომის მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგები მრავალჯერ განხდარა საჯარო განხილვის საგანი, ამას მოწმობს მისი აქტიურობა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებზე.

მომავალი თაობის აღზრდა-განათლებაში დამსახურებისათვის თამარ გოგოლაშვილს დამსახურებულად მიენიჭა ქართველ პედაგოგთა უმაღლესი წოდება იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემია, ხოლო პედაგოგიკური მეცნიერების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის იგი არჩეული იქნა საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და ჟურნალ „მოამბის" რედაქცია გულითადად ვულოცავთ ჩვენს კოლეგად და თანამოაზრეს დაბადებიდან 75-ე წლისთავს და ვუსურვებთ წარმტებებს პროფესიულ საქმიანობაში და პირად ცხოვრებაში.

იოსებ ბაციკაძე - 75

პროფესორ იოსებ ბაციკაძეს დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა. მისი მრავალმხრივი და ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა ნახევარ საუკუნეზე მეტს ითვლის.

იოსებ ბაციკაძე დაიბადა 1947 წელს ქ. თბილისში. 1964 წ. ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე, რომელიც 1969 წელს წარჩინებით დაამთავრა. 2006 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე "ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სპეციალობებზე საინჟინრო გრაფიკის სწავლების ახალი მეთოდიკა და მისი განხორციელების გზები." 1970 წლიდან დღემდე მუშაობს და ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა საქართველოს ტექნიკურ ინივერსიტეტში, 2011 წლიდან საინჟინრო გრაფიკისა და ტექნიკური მექანიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელია.

ბატონი იოსები თითქმის ნახევარი საუკუნეა პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა და ერთხელაც არ შეპარვია ეჭვი თავისი ცხოვრებისეული გზის არჩევაში. იგი 100-მდე სამეცნიერო და მეთოდური ნაშრომის ავტორია, მათ შორის 1 მონოგრაფიისა და 30-ზე მეტი სახელმძღვანელოსა და დამხმარე სახელმძღვანელოს ავტორი და თანაავტორი. მას მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კონფერენციებში, აქვს მოპოვებული რამდენიმე გრანტი. სამაგალითოა მისი დამოკიდებულება სტუდენტ-ახალგაზრდობასთან. სარგებლობს დამსახურებული ავტორიტეტით კოლეგებსა და თანამშრომლებს შორის.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და ჟურნალ „მოამბის" რედაქცია ვულოცავთ ბატონ იოსებ ბაციკაძეს განვლილ 75 წელს. ვუსურვებთ ხანგრძლივ მხნეობას და ნაყოფიერ სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას ჩვენი ხალხისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

მერაბ მაღრაძე - 75

5 წლის წინ 70 წლის იუბილე მივულოცეთ საქართველოს განათლების სისტემის ღვაწლმოსილ მუშაკს, ჩვენი აკადემიის აკადემიკოსს, ღირსების ორდენის კავალერს, ბატონ მერაბ მაღრაძეს. სწრაფად გაირბინა ხუთმა წელმა და დღეს ბატონი მერაბი უკვე 75 წლისაა.

მერაბ მაღრაძე დაიბადა ხარაგაულის რაიონის სოფელ ლეღვანში, 1947 წლის 5 ოქტომბერს. დაამთავრა ლეღვნის საშუალო სკოლა (1965 წელს) და თბლისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტი, ფსიქოლოგიის სპეციალობით (1970 წელს). არის ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი (1983 წლიდან). სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობდა თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში (1970-1971 წლები), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (1971-1973 წლები), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახელობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (1973-1976 წლები), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქუთაისის სამეცნერო ცენტრში (1976-1984 წლები), პედაგოგთაა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალურ ინსტიტუტში (1984-1990 წლები) და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში (1990 წლიდან დღემდე). იყო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის კათედრის გამგე (1998-2006 წლები) და ფილოსოფია-ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი (2013-2021 წლები). ამჟამად აგრძელებს მუშაობას ამავე დეპარტამენტის ასოცირებულ პროფესორად, აგრეთვე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან არსებული „ფსიქოლოგიური განწყობის კვლევის და კორექციის სამეცნიერო ცენტრის“ უფროს მეცნიერ თანამშრომლად.

მერაბ მაღრაძე, თავისი ცხოვრების ბოლო ხუთწლოვან მონაკვეთში, უნივერსიტეტში აქტიურ პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად, ნაყოფიერ კვლევით მუშაობას ეწეოდა. ამ პერიოდში მან 15 სამეცნიერო ნაშრომის (12 სტატიის და 3 მონოგრაფიის) გამოქვეყნება მოასწრო. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია კოლექტიური მონოგრაფია მისი მასწავლებლის, ცნობილი ქართველი ფსიქოლოგის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, შალვა ჩხარტიშვილის მეცნიერული შემოქმედების შესახებ, რომელიც ამავე მეცნიერის კიდევ ორ მოწაფესთან, პროფესორ ნოდარ ბარამიძესთან და პროფესორ ირაკლი იმედაძესთან თანაავტორობით შეიქმნა.

ამჯერად მ. მაღრაძე მუშაობს განათლების მიმართულების სამაგისტრო პროგრამისათვის განათლების ფსიქოლოგიის დამხმარე სახელმძღვანელოს შექმნაზე, სადაც, უცხოური სახელმძღვანელოებისაგან განსხვავებით, განათლების ფსიქოლოგიის ძირითადი საკითხები დ. უზნაძის განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის შუქზე იქნება განხილული. წარმატებას ვუსურვებთ ბატონ მერაბს ამ მნიშვნელოვან საქმეში.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და „მოამბის“ რედაქცია გულითადად ვულოცავთ ჩვენს კოლეგას და მეგობარს მერაბ მაღრაძეს ამ საიუბილეო თარიღს, ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს და ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას.

გამოსათხოვარი

ლეონიდე ჯახაია

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიამ და ქართულმა ფილოსოფიურმა სკოლამ მძიმე დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ლეონიდე ჯახაია. იგი დაიბადა 1932 წლის 13 სექტემბერს ქალაქ სოხუმში, იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა ოქროს მედლით და სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი წარჩინებით. 1963 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ადამიანის ცოდნის ბუნების შესახებ“, ხოლო 1970 წელს ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „მეცნიერებათა კლასიფიკაცია, როგორც ფილოსოფიური და მეცნიერებათმცოდნეობითი პრობლემა“. 1983-1993 წლებში იყო საქართველოს სახელმწიფო სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ფილოსოფიის კათედრის გამგე. 1977-1978 წლებში მოღვაწეობდა სოფიის უნივერსიტეტში (ბულგარეთი), ხოლო 1983-1986 წლებში - კომენსკის სახელობის უნივერსიტეტში ბრატისლავაში (ჩეხეთი), სადაც დაჯილდოვდა მეტად პრესტიჟული იან ამოს კომენსკის მედლით.

ამ დროს სიტუაცია აფხაზეთში უკიდურესად დაიძაბა, დაიწყო ომი, სოხუმი დაეცა, და პროფესორი ლეონიდე ჯახაია ოჯახით აღმოჩნდა თბილისში დევნილის სტატუსით. თბილისში ამ დროს მუშაობა განაახლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალმა, სადაც პროფესორი ლეონიდე ჯახაია მუშაობდა ჯერ ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე, ხოლო შემდგომში - ფილოსოფიისა და სოციოლოგიის კათედრის გამგედ.

პროფესორი ლეონიდე ჯახაია იყო საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი. 1993 წლის 30 აპრილს საქართველოს განათლების სამინისტროს გაზეთში „განათლება“ დაიბეჭდა მისი წერილი სათაურით: „დროა ვიფიქროთ პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიაზე“. საქართველოს პედაგოგიურმა საზოგადოებრიობამ აქტიურად დაუჭირა მხარი ამ იდეას, და 1995 წელს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის ეროვნულ ინსტიტუტში ჩატარდა კონფერენცია, რომელმაც დააფუძნა საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემია, რომლის პრეზიდენტად კონფერენციამ აირჩია პროფესორი ნათელა ვასაძე, ხოლო ვიცე-პრეზიდენტად - პროფესორი ლეონიდე ჯახაია.

პროფესორი ლეონიდე ჯახაია არის ავტორი 30 მონოგრაფიისა, 200-ზე მეტი სტატიისა ჟურ-ნალ-გაზეთებში ქართულ, რუსულ, აფხაზურ, ინგლისურ, ფრანგულ, ბულგარულ, ჩეხურ და სლოვაცურ ენებზე. დაჯილდოებულია ღირსების მედლით.

2017 წლის სექტემბერში პროფესორმა ლეონიდე ჯახაიამ დაასრულა პედაგოგიური მოღვა-წეობა სოხუმის უნივერსიტეტში, თუმცა სიცოცხლის ბოლომდე აგრძელებდა სამეცნიერო მუშაობას.

წავიდა ჩვენგან ჩვენი ძვირფასი კოლეგა, თვალსაჩინო მეცნიერი და საუკეთესო პედაგოგი, რომლის ხსოვნას დავიწყების ბურუსი ვერასოდეს დაფარავს. ჩვენ, მის კოლეგებს ისღა დაგვრჩენია, რომ ვუსურვოთ – ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

დავით გოცირიძე



ამ სამყაროში მოვლინებულ ადამიანს ორი არჩევანი აქვს: ან სიკეთის გზას გაჰყვეს, სამოთხისკენ წაიყვანს, ან ბოღმა და ბოროტება ინდომოს, რაც უთუოდ ჯოჯოხეთში ამოაყოფინებს თავს. ბატონ დავითს ამ ცხოვრებაში სიკეთის მეტი არაფერი უკეთებია, ამიტომ მისი მეგობარ-ახლობლები მშვიდად უნდა ვიყოთ, მისი სული აუცილებლად სამოთხეში ბრძანდება.

ნიჭიერი კაცი იყო ბატონი დავითი. რასაც აირჩევდა, იქ მუდამ პირველი იყო. პირველი არჩევანი სკოლის დამთავრებისთანავე გააკეთა. მოგეხსენებათ, იგი ძალიან ნიჭიერი და წარმატებული ფეხბურთელი იყო - საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრი. დიდი წარმატებები ელოდა სპორტში, მაგრამ მეცნიერებაში დამკვიდრება აირჩია. ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში ჩააბარა და ცნობილი პედაგოგის, დიმიტრი მგელაძის, მოწაფე გახდა. დავით გოცირიძე სტუდენტობის დროიდანვე ჩაება მეცნიერულ საქმიანობაში. დაიცვა დისერტაციები და ცნობილი ენათმეცნიერი გახდა. სათავეში ედგა სლავისტიკის მიმართულებას. იყო თსუ სლავისტიკის ინსტიტუტის დირექტორი. ხელმძღვანელობდა განათლების მეცნიერებათა აკადემიას. იყო მსოფლიოს მრავალი სამეცნიერო ასოციაციის წევრი თუ პრეზიდენტი... აღზარდა მეცნიერებათა დოქტორების მთელი თაობები. ცხოვრებაში თბილი და მოსიყვარულე პიროვნება უხვად გასცემდა სიკეთეს, უშურველად ეხმარებოდა ყველას, ვისაც მისი მადლიანი ხელი სჭირდებოდა. მისი წასვლა ქართული საზოგადოებისთვის აუნაზღაურებელი დანაკლისია.

ნათელში იყოს მისი უკვდავი სული!

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრები:
პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
თემურ ჯაგოდნიშვილი,
ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი,
პროფესორი რევაზ ძნელაძე

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და ჟურნალ „მოამბის“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ყოფილი პრეზიდენტის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ დავით გოცირიძის გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს განსვენებულს ოჯახს, მის მეგობრებსა და კოლეგებს. გვჯერა, რომ მისი ღვაწლი მეცნიერებისა და განათლების წინაშე მომავალშიც დიდ სამსახურს გაუწევს მომავალი თაობის პროფესიულ დახელოვნებას.

კონსტანტინე რამიშვილი

გარდაიცვალა ცნობილი ქართველ მეცნიერი, თვალსაჩინო მკვლევარი და პედაგოგი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, კონსტანტინე რამიშვილი.

პროფესორი კ. რამიშვილი იკვლევდა თანამედროვე განათლების თეორიისა და პრაქტიკის პრობლემებს (უწყვეტი განათლება, მოზრდილთა განათლებისა და შედარებითი პედაგოგიკის საკითხები, პედაგოგიური მენეჯმენტი და ა.შ.). მისი კვლევის შედეგები, ხანგრძლივი მეცნიერული მუშაობის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები და დასკვნები მოცემულია 150-ზე მეტ სამეცნიერო ნაშრომში.

პროფესორ კონსტანტინე რამიშვილის ნაშრომებში ჩანს ავტორის ფართო განათლება და ერუდიცია. მისი ნაშრომებიდან აღსანიშნავია: „შედარებითი პედაგოგიკა“, „მშობელთა უნივერსიტეტები“, „როცა მშობლები მერხთან არიან“, „მოზრდილთა განათლების თეორიული საფუძვლები“ და სხვ.

პედაგოგიკის მეცნიერებაში გარკვეული გამოცდილებით მოვიდა ბატონი კოტე. 1961 წელს, თბილისის ა.ს პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის წარმატებით დამთავრების შემდეგ მუშაობდა ბავშვთა კოლონიაში, მასწავლებლად ტოპოგრაფიულ ტექნიკუმში, სკოლის დირექტორის მოადგილედ კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის დარგში, საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს სახალხო უნივერსიტეტების მეთოდკაბინეტის გამგედ და საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობაში. პროფესორ კ. რამიშვილის პრაქტიკული და თეორიული გამოცდილება ფართოდ აისახა მის საკანდიდატო (1976) და სადოქტორო დისერტაციებში (1993).

1981 წელს პროფესორი კონსტანტინე რამიშვილი მუშაობას იწყებს თბილისის ა.ს პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1982-1999 წლებში ის იყო რუსული ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, ხოლო 1999-2006 წ.წ. ხელმძღვანელობდა პედაგოგიკის კათედრას, სადაც კოლეგების დიდი პატივისცემით სარგებლობდა.

ბატონი კოტე ყოველთვის აქტიურად მონაწილეობდა რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზში. მისი მოხსენებები გამოირჩეოდა აქტუალობით, საკითხისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულებით.

პროფესორი კონსტანტინე რამიშვილი უშურველად უზიარებდა ახალგაზრდებს საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 15 საკანდიდატო და 5 სადოქტორი დისერტაცია. 2 წლის განმავლობაში (2004-2006) ის იყო პედაგოგიკის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, 2002-2014 წ.წ. საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

2003 წელს არჩეული იქნა რუსეთის პედაგოგიურ და სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. 1999 წელს კიდევ ერთხელ იქნა აღიარებული პროფესორ კონსტანტინე რამიშვილის მეცნიერული ღვაწლი და ის არჩეულ იქნა საერთაშორისო

ორგანიზაციის „განათლება საზღვრებს გარეშე“ - პრეზიდიუმის წევრად. ბატონი კოტე იყო აგრეთვე სამეცნიერო ჟურნალ „ინტელექტისა“ და საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მოამბის“ რედკოლეგიის წევრი.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობისათვის პროფესორი კონსტანტინე რამიშვილი დაჯილდოებული იყო განათლების წარჩინებული მუშაკისა და იაკობ გოგებაშვილის მედლით.

პედაგოგთა მრავალი თაობის აღმზრდელის, ახალგაზრდა მეცნიერთა დამკვალიანებლის, ღვაწლმოსილი მეცნიერის და სანიმუშო მოქალაქის კონსტანტინე რამიშვილის სახელი მუდამ დარჩება მისი აღზრდილების, მეგობრებისა და კოლეგების გულში.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ზოგადი პედაგოგიკა

ირინე გოგიბერიძე, თამარ დოგრაშვილი - სწავლების ზოგიერთი მოდელი და მისი პრაქტიკული რეალიზების ასპექტები ---------- 4
იმერი ბასილაძე - ტერმინების „მენტორისა“ და „ქოუჩის“ გაგების საკითხისათვის ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ---------- 9
ლალი აბდალაძე, მაია ახვლედიანი, ნინო ორჯონიკიძე - საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის სამართლებრივი აქტებისა და სახელმძღვანელო დოკუმენტების ცნობადობის საკითხისათვის ქ. ქუთაისის სკოლამდელ დაწესებულებებში ---------- 16
ლია მენთეშაშვილი, ვაჟა გიგაური, ნინო ჩახუნაშვილი - საშინაო დავალების ორგანიზაცია და მეთოდიკა ---------- 24
ნოდარ ბასილაძე - ოჯახის როლი ბავშვთა ჰუმანიზმის სულისკვეთებით აღზრდაში ----- 35
თამარ დოგრაშვილი, ირინე გოგიბერიძე - სწავლის პრინციპები ---------- 45
მელანია ჩხიტუნიძე, ია დარბაიძე - სკოლისა და ჯახის როლი მოსწავლეთა უნარებისა და შესაძლებლობების განვითარების პროცესში ---------- 50

სკოლამდელი აღზრდა

იმერი ბასილაძე, მანონი ბერუჩაშვილი - ტყის ბაღები ადრეულ განათლებაში ----------60

დაწყებითი სკოლა

ნატო გიორგაძე - პროექტის მეთოდით სწავლება დაწყებითი საფეხურის მე-4 კლასში -- 66

საგანთა სწავლების მეთოდიკა

ნათელა მაღლაკელიძე - რეფორმიდან რეფორმამდე (თუ კარგად დავიწყებული ძველი? ---------- 70
გიორგი ბრეგაძე, ბაკურ ბაკურაძე, გიორგი ბერძულიშვილი - ვექტორები კომპლექსურ სიბრტყეზე ---------- 74
ბაკურ ბაკურაძე, გიორგი ბერძულიშვილი, გიორგი ბრეგაძე - კომპლექსურ სიბრტყეზე მონაკვეთის გაყოფა λ ფარდობით და მისი გამოყენება საძიებო პლანიმეტრიული ამოცანების ამოხსნისას ---------- 79
ჯამბუ ავალიანი, მაია მელუავა - ლირიკული ნაწარმოების სწავლების ფსიქოლოგიურ-მეთოდიკური ასპექტები ---------- 85
აკაკი ზოიძე - შემოქმედებთი სახის სავარჯიშოები მოსწავლეთა შემოქმედების განსავითარებლად ---------- 91

უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა

იანინა გიგიბერია, ლია ქურხული -განმავითარებელი შეფასება და სტუდენტის წარმატება ---------- 101

პედაგოგიკის და განათლების ისტორია

ავთანდილ ასათიანი - აღზრდის თავისებურებები მონოთეისტურ და
პოლითეისტურ პანთეონებში ---------- 105
იმერი ბასილაძე - დეკანოზ დავით ღამბაშიძის პედაგოგიური შეხედულებები ------ 115
ნოდარ ბასილაძე - განათლება რევოლუციამდელ აჭარაში (1878-1917 წწ.) ---------- 126
გელა ცაავა - იოანე იალღუზიძე (გაბარათი, გაბარაევი) - პირველი ოსი
განმანათლებელი ----------134

ჩვენი იუბილარები

აკაკი ზოიძე ---------- 137
თამაზ ნუცუბიძე ---------- 139
თამარ გოგოლაშვილი ---------- 140
იოსებ ბაციკაძე---------- 141
მერაბ მაღრაძე ---------- 142

გამოსათხოვარი

ლეონიდე ჯახაია---------- 143
დავით გოცირიძე ---------- 144
კონსტანტინე რამიშვილი ---------- 145

Contents

GENERAL PEDAGOGY

Irine Gogiberidze, Tamar Dograshvili - Some models of teaching and aspects of its practical Realization ---------- 8
Imeri Basiladze - About the Terms „Mentor“ and „Coach“ in Georgian Educational Field ---------- 14
Lali Abdaladze, Maia Akhvlediani, Nino Orjonikidze - Georgian educational system’s legal acts’ and manual documentation’s issue of notability in Kutaisi’s pre-school facilities ---------- 23
Lia Menteshashvili, Vazha Gigauri, Nino Chakhunashvili - Organization and Methodics of Home work ---------- 34
Nodar Basilaladze - Raising children with the spirit of humanism ---------- 44
Tamar Dograshvili, Irine Gogiberidze - Principles of learning ---------- 49
Melania Chkhitunidze, Ia Darbaidze - The Role of School and Family in the Process of Developing Students' Skills and Abilities ----------59

PRESCHOOL EDUCATION

Imeri Basiladze, Manoni Beruchashvili - Forest Gardens in Early Education ---------- 65

ELEMENTARY SCHOOL

Nato Giorgadze - Teaching by the project method in the 4 th grade of the primary level ---------- 69

METHODOLOGY OF TEACHING DISCIPLINES

Natela Maglakelidze - About Modern Methods of Georgian Literacy teaching---------- 73
Giorgi Bregadze, Bakur Bakuradze, Giorgi Berdzulishvili - Vectors on complex planes ---------- 78
Bakur Bakuradze , Giorgi Berdzulishvili, Giorgi Bregadze - Divide a line on a complex plane by area and its use to solve search planimetric tasks ---------- 84
Jambu Avaliani, Maia Meluava - Psychological-methodical aspects of teaching a lyric work ---------- 90
Akaki Zoidze - Creative Exercises for the Development of Students’ Creativity ---------- 100

HIGHER EDUCATION PEDAGOGY

Ianina Gigiberia, Lia Kurkhuli - Formative Assessment and Student Success ---------- 105

HISTORY OF PEDAGOGY ND EDUCATION

Avtandil Asatiani - Peculiarities of upbringing in monotheistic and polytheistic pantheon ---------- 114
Imeri Basiladze - Deacon Davit Gambashidze’s Pedagogical Views ---------- 125
Nodar Basiladze - EDUCATION IN PRE-REVOLUTIONARY ADJARA (1878-1917) ---------- 133
GELA TSAAVA - Ioane Yalguzidze (Gabaraty, Gabaraev) - the first Ossetian Educator ---------- 136

JUBILEES

Akaki Zoidze ---------- 137
Tamaz Nutsubidze ---------- 139
Tamar Gogolashvili ---------- 140
Ioseb Batsikadze ---------- 141
Merab Maghradze ---------- 142

FAREWELL

Leonide Jakhaia ---------- 143
Davit Gotsiridze ---------- 144
Konstantine Ramishvili ---------- 145

ავტორთა საყურადღებოდ!

„საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“ არის რეცენ-ზირებადი და რეფერირებადი პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი. რეფერირებულია საქართველოს ტექინფორმის ქართულ რეფერატულ ჟურნალში და სრულიად რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო და ტექნიკური ინფორმაციის ინსტიტუტის (ВИНИТИРАН) საერთა-შორისო რეფერატულ ჟურნალში. შეტანილია საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებულ სამეცნიერო ჟურნალების ნუსხაში, რომლის თანახმა-დაც, ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია ჩაითვლება დისერტაციისათვის გამიზნულ სამეცნიერო ნაშრომად.

ჟურნალი მოეწოდება საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების და კვლევითი და-წესებულებების თითქმის ყველა ბიბლიოთეკას, საქართველოს მეცნიერებათა აკადე-მიის ბიბლიოთეკას, ეროვნულ ბიბლიოთეკას, ტექინფორმს და სხვ.

გამოსაქვეყნებელი ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

• სამეცნიერო სტატია შეიძლება დაწერილი იყოს ქართულ, რუსულ ან ინგლისურ ენაზე;

• ნაშრომს უნდა ახლდეს რეზიუმე (8-10 სტრიქონი) და საკვანძო სიტყვები (4-8) სტატიის და რეზიუმეს ენებზე. ამავე ენაზე უნდა ითარგმნოს ავტორის სახელი, გვარი და ნაშრომის სათაური, სამეცნიერო ხარისხი, აკადემიური თანამდებობა და სამუშაო ადგილი.

• ლიტერატურა მოცემული უნდა იყოს ორიგინალის ენაზე საერთაშორისო APA ს სტილის მიხედვით. ლიტერატურის სია დალაგებული უნდა იყოს ანბანური პრინციპით. თავდაპირველად ქართულენოვანი ლიტერატურა, შემდეგ ევროპულ და რუსულ ენებზე.

• ნაშრომი უნდა იყოს აწყობილი Microsoft Word-ში;

• ქართული ნაშრომი იწყობა Sylfaen შრიფტით;

• რუსული და ინგლისური ნაშრომები იწყობა Times New Roman შრიფტით;

• შრიფტის ზომა 12, ინტერვალი 1,5; ველის ზომა მარჯვენა მხარეს - 30 მმ, მარცხენა, ზედა და ქვედა ველი უნდა იყოს 20-20 მმ.

• ნაშრომის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 8 ნაბეჭდ 4 ზომის გვერდს, თანდართული ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალით (არაუმეტეს 8-10 დასახელები-სა) და რეზიუმეების ჩათვლით;

• ნაშრომს ცალკე ფურცელზე უნდა დაერთოს ავტორის საკონტაქტო რეკვიზიტები: მისამართი (სახლის, სამსახურის, სასწავლებლის). სამეცნიერო ხარისხი და წოდება, თანამდებობა, ტელეფონის ნომერი, ელ-ფოსტა;

• ნაშრომი უნდა მოგვაწოდოთ CD დისკით და ამობეჭდილი სახით ერთ ეგზემპლარად 4 ზომის ქაღალდზე;

• ნაშრომში გამოქვეყნებულ მასალაზე პასუხისგებელია ავტორი;

• სტატიის ჟურნალში დაბეჭდვის ან დაბეჭდვაზე უარის თქმის შეტყობინება ხდება წარდგენიდან 3 თვის ვადაში.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვირეკეთ ტელეფონზე 5 95 44 91

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია
საქართველო, თბილისი, 0186, პოლიტკოვსკაიას ქ. №61
ტელ: 5 95 44 91 21; 5 93 62 88 42
ელ-ფოსტა: ganatlebisakademia@gmail.com
ვებ-გვერდი: www.sgma.ge

ACADEMY OF EDUCATIONAL SCIENCES OF GEORGIA
Politkovskaya Str.61, 0186, Tbilisi, Georgia
Tel: 5 95 44 91 21; 5 93 62 88 42
E-mail: ganatlebisakademia@gmail.com
WEB-page: www.sgma.ge

© საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია
© ACADEMY OF EDUCATIONAL SCIENCES OF GEORGIA